

შორენა პორტავა



სოციალური  
ცვლილებების თაორია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## შორენა კორტავა

# სოციალური ცვლილებების თეორია



გამომცემლობა „ანდერსალი“  
თბილისი 2021

მოცემული წიგნი არის შედეგი სამწლიანი თანმიმდევრული შრომის. იგი მოიცავს სოციალური ცვლილებების ანალიზს სხვადახვა, სოციო-კულტურულ და ასევე პოლიტიკურ ქრილში. განხილულია დარგში აღიარებული სპეციალისტების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები, არგუმენტები, ხანგრძლივი კვლევის შედეგები საკითხებზე, როგორიცაა ცვლილებები სამეცნიერო-აკადემიურ წრე-ებში, სწავლების მეთოდებსა და შინაარსში; რისკები, რის წინაშეც დგას დღეს მსოფლიო საზოგადოება და ასევე ადგილობრივი მთავრობები ლოკალურ დონეზე; ეკოლოგიური ტიპის პრობლემები; დარგის უახლესი ტენდენციები, ისეთი როგორიცაა ეკონომიკის სოციოლოგიის ჩარჩოებში გიგ-ეკონომიკა, კრიპტო ვალუტა, ბლოკჩეინი; ტრენდული სოციალური მოძრაობები, ახალი პოლიტიკური იდეოლოგია, წილებული კონვიციალსტურად და ზოგადად კონვიციალისტური მანიფესტი.

წიგნი განკუთვნილია პირველ რიგში უმაღლეს სასწავლებლებში სოციო-ოლოგიის პროგამზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის, ასევე სხვა სოცია-ლურ მეცნიერებათა შესწავლით დაკავებული ახალგაზრდებისათვის; უკვე შემდგარი, დიპლომირებული სპეციალისტებისათვის; წიგნის თემატიკით, საზოგადოებისა და მასში მიმდინარე ცვლილებებით დაინტერესებული მკითხველთა ფართე წრისათვის.

**რედაქტორი:** მერი ჭანტურია, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუ-მის სახ. უნივერსიტეტის პრიფესორი, სოციოლოგი, მკვლევარი.

**რედაქტორი:** დავით გელანტია, ეკონომისტი, ექსპერტი საბანკო-საფინანსო საქმის, საბანკო საქმეში მიმდინარე წლები ციფრულ პლატ-ფორმებში განხორციელებული პროექტების თანახელმძღვანელი ბადენ-ვიურტემბერგის მხარეში, ლუდვიგის უნივერსიტეტის (გერმანია) ახალგაზრდა მეცნიერი, მკვლევარი.

გარეკანზე გამოყენებული ილუსტრაციის ავტორია, მხატვარი, გიორგი რუხაძე. საავტორო უფლებები დაცულია.

© შ. კორტავა, 2021

გამომცემლობა „ენივალსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკოსიანის №4, თე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-036-0

## სარჩევი

შესავალი წერილი ავტორისაგან	5
1. სწავლულთა ქარიზმატული ერთობა – ცვლილებები სამეცნიერო სივრცეში	12
2. ევოლუციის თეორიის დეკონსტრუქცია	44
3. თანამედროვე საზოგადოება – მოდელი, აქტუალური პრობლემები, რისკები	59
4. თანამედროვეობის მახასიათებლები – ალენ ტურენის კლასიფიკაცია	75
5. ე.ნ. მოქმედი სუბიექტის დაბრუნება მოდერნის პირობებში	93
6. სოციალური მოქმედების თეორიის დეკონსტრუქცია	107
7. გერმანული განათლების სისტემაში მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული ცვლილებები და ამერიკული განათლების სისტემა; შედარებითი ანალიზი კურტ ლევინის მიხედვით	120
8. მეთოდები, რომელიც თანამედროვეობაში გამოიყენება ხალხთაშორისი ურთიერთობების კვლევისას, ეთნო-ფსიქოლოგის შესწავლისას; გაზომვის ინდიკატორი ე.ნ. ფემინურობა/ მასკულინურობის კოდები	141

9. უკუეფექტი კომუნიკაციის საშუალებების სიჭარბისაგან, ჯონ კინის მიხედვით	156
10. თანამედროვე სოციოლოგიის ტენდენციები, ISA; „გლობალური დიალოგის“ აქტუალური თემატიკის ზოგადი მიმიხილვა	167
ტერმინები	209

**წიგნი ეძღვნება ტარიელ გელანტიას<sup>1</sup> ნათელ ხსოვნას,  
ჩემი ბავშვობის ლამაზ მოგონებებს.**

## **შესავალი წერილი ავტორისაგან**

ვინაიდან ის, რასაც მოვიაზრებთ ჩვენ თანამედროვეობისა და მოდერნულობის ქვეშ, არის შედეგი ინდუსტრიული რევოლუციის, ხოლო ინდუსტრიული რევოლუცია პროდუქტი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, საჭიროდ ჩავთვალე ჩემი ახალი, რიგით მეხუთე წიგნი დარგში, „სოციალური ცვლილებების თეორია“, დამეწყო ანალიზით, როგორ გამოიყურება დღეს მიმდინარე ცვლილებები აკადემიურ წრეებში.

---

<sup>1</sup> **ტარიელ გელანტია** (1951 წ. 18 მარტი, საქართველო, ხობი – 2019 წ. 16 ოქტომბერი, გერმანია, ფრაიბურგი) – თსუ პროფესორი 1980 იან წლებში, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტ-ეკონომისტი. იკვლევდა უშუალოდ ნეო-ლიბერალურ ეკონომიკურ თეორიას. სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობის წლებში მივლენილი იყო თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მოსკოვის, მინსკის, ლათვიეთის, დრეზდენის უნივერსიტეტებში. წლების მანძილზე უუნალ „ეკონომისტში“ ხელმძღვანელობდა სამეცნიერო რუბრიკას, როგორც განყოფილების გამგე. არის დარგში არაერთი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი. ასპირანტურაში სწავლების წლებში მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო პროფესორი იროდიონ ქვაჩახია, სადოქტორო დისერტაციის უცხოელი ოპონენტი კი აკადემიკოსი ვალენტინ ფიოდოროვი (1939-2021). პირველი მოწვევის პარლამენტში იყო ამავედროს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, გ.ა. ხობის რაიონის მაურიტარი დეპუტატი, დასახელებული ფრაქცია „მრგვალი მაგიდა, თავისუფალი საქართველოს“ მიერ; ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე. 90-იან წლებში მიმდინარე პოლიტიკური ვითარების გამო, უკვე პოლიტიკური დევნილის რანგში, მოუნია ოჯახთან ერთად ემიგრირება გერმანიაში, სადაც დაჟყო სიცოცხლის ბოლო ათეული წლები. ყავს ხუთი შვილი და მეულლე.

ვინ არიან ეს ადამიანები, მეცნიერები ზოგადად და თანამედროვე საზოგადოების სტრუქტურაში რა ერთეულებით არიან წარმოდგენილი, რა როლს თამაშობენ ლოკალურად ცალკეული სახელმწიფოს სხვადასხვა სექტორის განვითარებისა და აღმშენებლობის თუ კონკრეტულად, შესაბამისი აკადემიური დისციპლინის საზღვრებში, მათ შორის გლობალურად.

დასაწყისისათვის ვეყრდნობი რამდენიმე ავტორს, ძირითადად დანიელ ბელს. ვხელმძღვანელობ მათ შორის პიერ ბურდიესეული შედარებითი ანალიზით, კონკრეტულად კი ფრანგული და გერმანული სამეცნიერო წრეებისათვის მახასიათებელი დისკურსის, რომელშიც გაზომვას ექვემდებარება მეტი ან ნაკლები ეგალიტარულობის ხარისხი სასტარტო ეტაპიდან აკადემიურ წრეებში დასამკვიდრებლად ცალკეული ცოდნას მოწყვერებული ნიჭიერი კადრის დონეზე.

მნიშვნელოვანია ისეთი საკითხები, როგორიცაა ფინანსების მოზიდვა სამეცნიერო კვლევებისთვის. ახალი ტენდენციები, როცა მეცნიერები კერძო სექტორშიც, ანუ უნივერსიტეტების გარეთ მოღვაწეობენ, მაგალითად, ბელას ტიპის ლაბორატორიებში.<sup>2</sup> ტენდენციის შეცვლა: უწინ თუკი ეგონათ, განათლება მორალიზების საშუალებაა, დღეს ამას უყურებენ, როგორც გზას წარმატებისა და კეთილდღეობისაკენ. უწინ თუკი ეგონათ პროცესი სწავლებისა არის სასრულო და უმაღლესი სასწავლებლის კარების გამოხურვასთან ერთად დიპლომით ხელში ამონიურება, დღეს ამბობენ, სწავლა სიკვდილამდე, ვინაიდან ძალიან სწრაფად იცვლება ჩვენი ყოველდღიურობა, დარგი, სექტორი, სადაც ვმოღვაწობთ და აუცილებელია შრომის ბაზარზე მოთხოვნადი რომ იყო და გთვლიდნენ კვლავაც კომპეტენტურად, მუდმივად ისრუტავ-

<sup>2</sup> ბელას ლაბორატორია, Bell Labs – ყოფილი ამერიკული, ამჟამად ფინურ ამერიკული კორპორაცია, მსშვილი კვლევითი ცენტრი კომუნიკაციის სფეროში ელექტრონული და კომპიუტერული სისტემებისა.

დე თითოეულ სიახლეს, ადაპტირდებოდე საჭიროებებთან დარგის, სექტორის.

წიგნის მეორე ქვეთავი ამერიკელი სოციოლოგის, ტალ-კოტ პარსონსის მიერ წამოწეულ თემას ეხება. ევოლუცია, სოციო-ბიოლოგიურ ჭრილში და თან ერთვის რამდენიმე კრიტიკული კომენტარი, დაწყებული ენტონი გიდენსიდან და ზოგადად საკითხებით, რომელთა განხილვით აქტიურად არიან საზოგადოებრივ მეცნიერებში დაკავებული, მაგალი-თად ისტორიციზმი, პროგრესის ან რეგრესის თეორიები, სა-დაც სუბიექტური შეფასება მკვლევარისა მეტია, ვიდრე წმინდა მეცნიერული, ანუ ობიექტური ანალიზი უბრალოდ სოციალურ ცვლილებების, რამე ზე-საზოგადოებრივ მოვ-ლენამდე დაყვანის გარეშე.

საინტერესოა როგორ ესმის ტალკოტ პარსონსს ე.ნ. სწორი ადაპტაციური ქცევა და ზოგადად რატომ იზომება იმუნიტეტი სოციალური ჯგუფის, ინდივიდის დონეზე საგან-გებო ვითარებაში მისი გამოვლენის უნარით. რაა ის ეკზის-ტენციალური გამოწვევა თუნდაც, რაც ქვეყნებს, რეგიონებს უდგებათ სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში გლობალურ დონეზე მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე.

შემდეგი საკითხი არის რისკები, რომელსაც ექვემდება-რება ჩვენი ეპოქა და მის ფარგლებში თითოეული სოციალუ-რი ერთობა, დაწყებული ეკოლოგიურიდან, დამთავრებული ე.ნ. მაინტეგრირებელი ღირებულებების მოშლით... ეკონო-მიკური ფუნდამენტალიზმი, თუნდაც ნეო-ლიბერალიზმი, რასაც რისკის რანგში აიყვანებ როგორც ფემინისტები (მაგა-ლითად, ამერიკელი მკლევარი, ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი ნენსი ფრეიზერი, ან კიდევ კონვიციალისტური მანიფესტის ავტორები, უშუალოდ ინიციატორი კონვიცია-ლისტური აქტივიზმის (პარიზ-ნანტერის უნივერსიტეტის ემერეტუსი, ფრანგი სოციოლოგი ალენ კეიე).

უმუშევრობა ასევე განიხილება როგორც რისკ-ფაქტორი. უმუშევრობის სტატისტიკა მსოფლიო მაშტაბით ჯერაც წარმოების წესის შეცვლამ განაპირობა. იგულისხმება გადასვლა სერვისული ტიპის მომსახურებაზე.

საკითხების თანმიმდევრული განხილვისას უცხოელი მკვლევარების კვალდაკვალ შევეცადე მაქსიმალურად წამომენია დარგში წამყვანი ქართველი მეცნიერები, მათი შრომები, ცალკეული მოსაზრება გამეშალა წიგნის ტექსტში, მიმეწოდებინა საინტერესოდ, როგორც უახლესი წარსულიდან, ისე თანამედროვე (ედუარდ კოდუა, ვახტანგ ერქომაიშვილი, გურამ თევზაძე, თამაზ ბუაჩიძე, აკაკი ყულიჯაანიშვილი, მერაბ მამარდაშვილი).

წიგნში ცალკე თავადაა წარმოდგენილი თანამედროვეობის მახასითებლები; შესაბამისად დამუშავებული. აქ უფრო როგორ მნიშვნელოვანია ორი კონცეპტუალური ტერმინის გამიჯვნა, „თანამედროვე“ და „მოდერნული“, რასაც შიგადაშიგ ვაღწევ მაგალითის ხარჯზე, დავუშვათ როცა გაზომვის ინდიკატორად ვიღებ ამერიკის (აშშ) და იაპონიის შემთხვევას.

პოლიტიკის მეცნიერებებში ხშირია მსგავსი დიფერენციაცია: პირველი, მეორე და მესამე მსოფლიოს ქვეყნები. აქედან გამომდინარე, ვცდილობ ხაზის გასმას, სამყაროში, რომელსაც იტევს ერთიანი კალენდრული დრო, თანამედროვეობა და მოდერნულობა ერთდროულად როდი გვეძლევა. მსგავსადვე, დემოკრატიის სტანდარტებში ცალკეული ერისახელმწიფოს დონეზე, ასევე არ ფიქსირდება პომოლოგიური ველი; ეკონომიკური სისტემები რეგიონალურ დონეზე ყველგან მწყობრი როდია. უფრო მეტიც, 21-ე საუკუნეშიც ზოგიერთი აშკარად შორსაა მდგომარეობისაგან, რომელიც

გელბრაითის<sup>3</sup> მიერ ჯერ კიდევ რა დროიდან იდენტიფიცირ-დებოდა „საზოგადოებად სიუხვისა, კეთილდღეობისა“.

წიგნის მეხუთე ქვეთავს ასე ქვია, „მოდერნის პირობებ-ში ე.წ. მოქმედის სუბიექტის დაბრუნება“ და დარგში გათ-ვითცნობიერებული მკითხველისათვის იმთავითვე ნათელია, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში შედარებით ანალიზს ვაკეთებთ ალენ ტურენის პოზიციიდან ამოსვლით.

შეექვსე თავი გულისხმობს წინარეს ლოგიკურ გაგრძე-ლებას. აյ ჩანს როგორ და რატომ მსოფლიო მასშტაბით მიმ-დინარე ინსტიტუციონალური ცვლელებები განაპირობებენ ეროვნულ დონეზე ადგილობრივი მთავრობების ავტორიტე-ტის ვარდნას, შეგვიძლია ამას დავარქვათ უბრალოდ შესუს-ტება მათი ზეგავლენისა, როცა მნიშვნელოვანი გადაწყვეტი-ლებების მიღებაა დღის წესრიგში. ინდივიდების დონეზე, რომლებიც ცხადია სოციუმში ინტეგრირებული არიან ამა-თუმ ორგანიზაციის ჩარჩოებიდან, პირიქით, შეინიშნება ე.წ. თავისუფალი მოძრაობის სფეროს რადიუსის ზრდა და ჩვენ პარალელურად თვალს მივადევნებთ, როგორ იკლებს გარე-მოს მხრიდან მათი დეტერმინირებულობის ინდექსი.

წიგნის ბოლო ოთხი ქვეთავი არის საკითხების მიქსი, უფრო მეტად ახლოს მყოფი ჩვენს ყოველდღიურობასთან. მათ შორისაა სოციალურ მეცნიერებებში გავრცელებული ტენდენციები ინტერდისციპლინარულ ჭრილში პრობლემა-ტური, აქტუალური საკითხების კვლევისა. რომ მეჩვენებინა სოციალური ცვლილებები უშუალოდ განათლების სფეროში

<sup>3</sup> ჯონ კენეტ გელბრაითი (1908-2006), ამერიკელი მეცნიერი, წარმომად-გენელი კეინსიანიზმის, ამერიკის ეკონომისტთა ასოციაციის პრეზიდ-ნეტი... 1958 წელს მის მიერ გამოცემული „სიუხვის საზოგადოება“ სო-ცილოგიაში დიდხანს დარჩა განხილვის საგნად, სხვადასხვა ქვე-მიმარ-თულებებში თანაც, მაგალითად, ე.წ. საზოგადოების თეორები, ინსტი-ტუციონალური, სოციალური ცვლილებების თეორიები და მსგავსი.

ინტერკულტურული შედარებითი ანალიზის ფონზე როგორ მიმდინარეობდა დაწყებული მეორე მსოფლიო ომიდან დღემდე, დამჭირდა გერმანელი მეცნიერის, კურტ ლევინის მონოგრაფიის, „სოციალური კონფლიქტების გადაჭრა“, დამუშავება. წარმოდგენილ მასალას თანერთვის კურტ ლევინის შესახებ მეტად საინტერესო ბიოგრაფიული მასალა, აღებული სხვადასხვა წყაროდან. ლევინის კვლევების პრეზენტაცია ქართულ აკადემიურ სიკრცეებში დღემდე ფაქტიურად არ მომხდარა, და ამიტომ ეს ქვეთავი ვფიქრობ ამ კუთხით უფრო სიახლე. მარია მონტესორიდან დაწყებული მის მიერ დაწყებითი განათლების სფეროში ყველა მნიშვნელოვანი ფიგურა, მოვლენა და ტენდენცია შესწავლილი.

ვინაიდან კულტურათმორისი კვლევები გლობალიზაციის პროცესის ტემპთან ერთად სულ უფრო ინტენსიური ხდება, არ შემეძლო ჰოლანდიელი სოციოლოგები, მამა-შვილი ჰოფსტედე, ცალკე ქვეთავად არ წარმომედგინა და არ მელაპარაკა გაზომვის მეტად საინტერესო, მათ მიერ შემოთავაზებულ ინდიკატორზე „ფემინური/მასკულინური“, რომელიც არის ერთგვარი ინდექსი და მიესადაგება თანამედროვეობაში როგორც მოქმედ სუბიექტს, ადამიანს, ისევე სოციალურ ერთობას, ერთობებს, განსაზღვრულს ეთნიკური, პოლიტიკური ან რომელიმე სხვა ნიშნით.

ბოლოდან მეორეა ჯონ კინი, მკვლევარი, ექსპერტი თანამედროვეობაში აპრობირებული კომუნიკაციის საშუალებების. აქ უშუალოდ IT სპეციალისტებისთვის კარგად ცნობილი საკითხებია ერთიანად თავმოყრილი, მაგრამ ამ თავმოყრის საფუძველი სოციოლოგიური ანალიზია. სიჭარბე და საყოველთაო ხელმისაწვდომობა კომუნიკაციის საშუალებებისა ციფრულ ველში რა მინუსებს გულისხმობს, მეტიც, შესაძლოა საფრთხეებსაც კი. აი, მაგალითად, ე.ნ. ექო-კამერა, რომელშიც ადამიანები თითქოს ერთმანეთის დუბლიკატები გამხდარან, თანდათან უქვეითდებათ არათუ კრიტიკული აზ-

როვნებისათვის საჭირო სისხარტე და უნარები, ობიექტური რეალობის აღქმას კარგავენ, შთანთქავენ ყველაფერს, რითაც ქაოტურად ხერგავს ვების ესათუის მაუწყებელი.

ცხადია, ასე იყო წინასწარვე გათვლილი, ბოლო ქვეთავი ეთმობა უახლეს ცვლილებებს, მათ შორის მიმდინარეს უშუალოდ დარგში. სოციოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის (ISA) საქმიანობის დეტალებია წარმოდგენილი, როგორ უზრუნველყოფს ასოციაცია კავშირს თავის აუდიტორიასთან, რა ფორმით გვაწვდის დარგში სიახლეებზე ინფორმაციას. დაწყებული ISA ყოველწლიური პერიოდიკიდან დამთავრებული პერიოდიკაში გამოქვეყნებული აქტუალური საკითხებით, ყველაფერია გათვალისწინებული. ბოლო ქვეთავი თანმიმდევრულად გვიხსის, 21-ე საუკუნეში როგორ ფუნქციონირებს გიგ-ეკონომიკა, რა მოლოდინები აქვთ კრიპტოვალუტისა და უშაუალოდ ბლოკჩეინიდან, როცა შრომის ბაზარი ასევე ვებში გადაინაცვლებს დასაქმებულის შრომითი უფლება ვინდა უნდა დაიცვას, რადგან არ არსებობს ციფრული ველის ჩარჩოში პროფესიული კავშირების სამართლებრივი ჩართვის მექანიზმი. რა არის ეს, ახალი პოლიტიკური იდეოლოგია, თუ მოდური ინტელექტუალური ტენდენცია, კონვიციალიზმი და ე.ნ. კონვიციალისტური მანიფესტი, რატომ აწერენ მას ხელს სხვადასხვა რელიგიური ავტორიტეტები; რატომ იხარჯებიან კონვიციალისტები ნეო-ბერალიზმის დაუინებულ კრიტიკაში და ნამდვილად, როგორი საინტერესო, მნიშვნელოვანია მათი მხრიდან ეკოლოგიური კრიზისის ასეთ სერიოზულ რანგში აყვანა.

## **1. სწავლულთა ქარიზმატული ერთობა-ცვლილებები სამეცნიერო სივრცეში**

ამერიკელი სოციოლოგი, დანიელ ბელი (1919-2011), პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორეტიკოსი, მის მიერ სქემატურად კონსტრუირებულ თანამედროვე საზოგა-დოების სოციალურ სტრუქტურაში სამეცნიერო საზოგადო-ებას შემდეგ კოორდინატებში მონიშნავს:

✓ სტატუსობრივი ჯგუფები, პორიზონტალური სტრუქ-ტურის მქონე, რომელშიც სტრატიფიკაციის ღერძი ეფუძნე-ბა ცოდნას.

კატეგორია A შედგება პროფესიონალური ჯგუფებისა-გან, სადაც დომინირებენ I მეცნიერები და II ტექნოლოგები (ისინი, ვინც გამოყენებითი ცოდნით ოპერირებენ, ინჟინე-რული, ეკონომიკური, სამედიცინო).

✓ სიტუაციური ჯგუფები, ვერტიკალური სტრუქტურის მქონე, სადაც კატეგორია C ნარმოდგენილია უნივერსიტე-ტებითა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებით.

✓ მაკონტროლირებელი სისტემა, რომელიც საზოგადო-ების პოლიტიკურ ორგანიზაციას წარმოადგენს.

კატეგორია B აქ რამდენიმე სუბიექტით არის დაკომ-პლექტებული და მათ შორისაა ელიტები (სამეცნიერო, აკა-დემიური და არამხოლოდ).

დანიელ ბელი აღნიშნავს, ვინიდან სამეცნიერო ფენა მუდმივად დაკავებულია ფუნდამენტური კველევებით, ისინი მეტწილად გადართული არიან კვლევებისთვის აუცილებებ-ლი პირობების უზრუნველყოფაზე. მათ ინტერესშია პოლი-ტიკური და ნებისმიერი სხვა გარეგანი ზეგავლენისაგან თა-ვისუფალი პირობების მიღწევა.

რესურსები რომელთაც მოდენრულ საზოგადოებაში მოიხმარენ და ხედავენ ასევე, როგორც უპირატესობის გარკვეულ წყაროს, ცხადია არიან არა მხოლოდ მატერიალური, არამედ სიმბოლური. მაგალითად, პიერ ბურდიეს<sup>4</sup> მიერ შემოთავაზებულ სოციალური ველის თეორიაში, ეს ველები არიან კატალიზატორები რესურსების, ანუ კაპიტალის შემდეგი ნაირგვაობისა

- ✓ კულტურული
- ✓ პოლიტიკური
- ✓ ეკონომიკური

ჩამონათვალში დომინირებს სწორედ კულტურული, რადგან მის ხარჯზე ხორციელდება ოფიციალური ნომინაცია. შესაბამისი ინსტიტუცია გასცემს ამათუმი რანგის დიპლომს, რაც ცალკეული ინდივიდების ჰაპიტუსს მათი შეგნებული ცხოვრების მანძილზე აკონსტრუირებს და სოციალური მობილობის პროცესში განიხილება ფსონის სახით. ესაა სწორედ კულტურული კაპიტალის პაკეტი.

პიერ ბურდიე კულტურულ კაპიტალზე, ზოგადად სწავლულებსა და მაღალი წრის ადამიანებზე წერს სახელდობრო კონკრეტულ ნაშრომში, „პოლიტიკის სოციოლოგია“ და „განსხვავება - მსჯელობის უნარის კრიტიკა“<sup>5</sup>. ბურდიე ამბობს, რომ სწავლულსა (თუ პედანტს) და მაღალი წრის ადა-

<sup>4</sup> პიერ ბურდიე (1930-2002), ფრანგი სოციოლოგი, ეთნოლოგი, ფილოსოფოსი, პოლიტიკური პუბლისცისტი, მე-20 საუკუნის ერთ-ერთი გავლენიანი სოციოლოგი, 35 წიგნისა და 400 მდე სტატიის ავტორი.

<sup>5</sup> „განსხვავება – მსჯელობის უნარის კრიტიკა“, არის გამოშეტემლობა დიოგენეს მიერ, 2006 წელს მომზადებული. წიგნი გამოიცა ღია საზოგადოების ინსტიტუტის – ბუდაპეშტი და თბილისის ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის ხელშეწყობით, მერაბ მამარდაშვილის სახელობის საგამომცემლო დახმარების პროგრამის ფარგლებში.

მიანს შორის დაპირისპირება ყველა ეპოქაში გემოვნებასა და კულტურაზე კამათის ცენტრში იდგა. ნორბერტ ელიასი<sup>6</sup>, ავტორი მონოგრაფიისა, „ინდივიდუუმების საზოგადოება“, უკეთებს შედარებით ანალიზს ფრანგულ და გერმანულ სამეცნიერო წრეებს. ელიასის დაკვირვებით, საფრანგეთში ინტელიგენტი უდრის ბურჟუას და სრულიადაა ინტეგრირებული სამეფო კარის საზოგადოებაში. გერმანიაში კი საუნივერსიტეტო ინტელიგენცია სამეფო კარისაგან დაპირისპირებაში ჩამოყალიბდა. ნორბერტ ელიასი ფრანგულ-გერმანული ამ მოდელების შესაბამისად ასეთ დიხოტომიას იძლევა

✓ „სიდარბაისლე“, სიმსუბუქე, ზედაპირულობა, ნიშანი „ცივილიზაციის“.

✓ სერიოზულობა, სიღრმისეულობა, გულწრფელობა, ნიშანი „კულტურის“.

არტურ შოპენპაუერს<sup>7</sup> „ცხოვრებისეული სიბრძნის აფორიზმებში“ აქვს ერთგვარი შედარებითი ანალიზი არისატოკრატიის ტიპების

✓ გვარიშვილობით

<sup>6</sup> ნორბერტ ელიასი (1897-1990), ებრაული წარმოშობის გერმანელი სოციოლოგი, რომელმაც მოგვიანებით ბრიტანეთის მოქალაქეობა მიიღო. ელიასის სოციოლოგიური კონცეფცია ფიგურაციის გაგებაზეა დაფუძნებული. ფიგურაცია, ესაა სოციალური პროცესები და სტრუქტურები, ურთიერთკავშირების ჯაჭვები, რომელშიც ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთქმედებენ. ნორბერტ ელიასს დანარჩენი სოციოლოგებისაგან განსხვავებით აინტერესებდა არამხოლოდ პროცესი ურთიერთქმედების, არამედ ფორმაც.

<sup>7</sup> არტურ შოპენპაუერი (1788-1860), გერმანელი ფილოსოფოსი. მისი ფუნდამენტური შრომაა, „სამყარო, როგორც ნება და წარმოდგენა“, რომლის კომენტირებითა და პოლულარიზაციით ლამის გარდაცვალებამდე იყო დაკავებული. მისი წერის აფორისტულმა სტილმა თავისებური ზეგავლენა მოახდინა ფრიდრიხ ნიცშეზე, ავტორზე ე.ნ. ზეკაცის თეორიისა.

✓ ფულით

✓ სულით

ცხადია სული აქ თეოლოგიური გაგებით არ მოიზრება და ვინაიდან შოპენპაუერიც, სწორედ გერმანულ კლასიკურ აკადემიურ წრეს წარმოადგენს, მისი ნააზრევი თავსებადია ელიასის მიერ კონსტურირებულ სქემასთან. რადგან შოპენპაუერი უპირატესობას ანიჭებდა მესამე გვარს, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ გერმანიაში ინტელიგენტი აუცილებლობით არ დაიყვანებოდა ბურჟუაზე.

ფორმულირება, რომ მეცნიერი ქმნის პროდუქტს ცოდნის სახით, არის ცალსახა. ცოდნა შეიძლება იყოს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული. დანიელ ბელის მიერ კონსტრუირებულ თანამედროვე საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, სტატუსობრივ ჯგუფებში იერარქიის მეორე საფეხურს იკავებენ ტექნოლოგები (ისინი, ვინც ოპერირებენ გამოყენებითი ცოდნით).

სოციალური ცვლილებების თეორიაში, რაც არის სწორედ მოცემული მონოგრაფიის თემა და ძირითადი ხაზი, ანალიზს ექვემდებარება ევოლუციის თეორია, ევოლუცია როგორც ბიოლოგიური, ასევე სოციალური. ტალკოტ პარსონსი<sup>8</sup> მიიჩნევს, რომ ადაპტაცია არის განუყოფელი ელემენტი ბიოლოგიური და სოციალური ევოლუციის. ადაპტაციაში არ იგულისხმება პასიური მისადაგება გარემო-პირობებისადმი. იგი გადარჩენის მეტად აქტიურ ფაქტორებს ითვალისწინებს, მაგალითად, როგორიცაა დაუფლების უინი, უინი გარემოს შეცვლისა იმგვარად, რომ გადარჩე თავადაც და სისტემამ კი პარალელურად საკუთრივი საჭიროებები უზრუნველყოს. ადაპტაცია და სიტუაციურ პრობლემებთან გამკლავების

<sup>8</sup> პალკოტ პარსონსი (1902-1979), ამერიკელი სოციოლოგი. სტრუქტურული ფუნქციონალიზმის წარმომადგენელი. თანამედროვე თეორიული სოციოლოგიის ფუძემდებელი.

უნარი არის განუყოფელი. პრობლემები არის არამხოლოდ სიტუაციური, არიან მუდმივიც. გაურკვევლობა, განუსაზღვრელობა, სიცხადის არარსებობა არის მათშორის პრობლემა. მიუკუთვნება კატეგორიას „მუდმივი“, თუმცა გადაილახება ეტაპობრივად, ანუ სიტუაციურად. გაურკვევლობის მდგომარეობა იწვევს შფოთს, შფოთი შიშისაგან განსხვავებით არ არის კონკრეტულ ობიექტზე მიბმული. ანუ, უმისამართოა, განვენილია. გაურკვევლობის და მისგან გამოწვეული შფოთის მოსახსნელად თანამედროვე საზოგადოებაში არის შემდეგი საშუალებები და მათ კლასიფიკაციას ახდენენ ჰოლანდიელი სოციოლოგები, გირტ ჰოფსტედე და გერტ იან ჰოფსტედე წლების მანძილზე სხვადასხვა კულტურების შედარებითი ანალიზისას ჩატარებული ემპირიული კვლევების ხარჯზე, მონოგრაფიაში, „კულტურები და ორგანიზაციები“<sup>9</sup>.

- ✓ სახელმწიფო
- ✓ ტექოლოგიები
- ✓ რელიგია

**ტექნოლოგიებზე** პასუხისმგებლობას იღებენ სწორედ ისინი, ვინც ოპერირებენ გამოყენებითი ცოდნით და დანიელ ბელის სქემაში თანამედროვე საზოგადოებისა, ჰორიზონტალური სტრუქტურის მქონე სტატუსობრივ ჯგუფებში წარმოადგენენ მეორე რანგს (ინჟინრები, ეკონომისტები, მედიცინის დარგის მუშაკები და არამხოლოდ).

**სახელმწიფოს** რაც შეეხება, თუკი იგი არ ფუნქციონირებს მაღალი სტანდარტის დემოკრატიის პირობებში, როგორც ეს არის სამწუხაოდ ტიპური ე.წ. მეორე და მესამე მსოფლიოს ქვეყნებისათვის, შეუძლია ხანდახან საკუთარ

<sup>9</sup> გირტ ჰოფსტედე, გერტ იან ჰოფსტედე, კულტურები და ორგანიზაციები, გონების პროგრამული უზრუნველყოფა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2011 წელი.

მოქალაქეებს „დააღალატოს“. სახელმიწოს ფუნქციებს, როცა ჩამოთვლიან სოციალოგიაში, სწორედ ადაპტაციას მიუთითებენ პირველ რიგში. ანუ, ერთის მხრივ არიან ინდივიდები, თავიანთი საჭიროებებით, რომელიც სურვილებამდე დაიყვანება. მეორეს მხრივ სახელმწიფო, აღჭურვილი კონსტიტუციით, რომელიც გაცხრილავს ამათუმ მოქალაქის, სოციალური ჯგუფის – იქნება ეს ეთნიკური, პოლიტიკური, რელიგიური – რომელი სურვილი შეიძლება დაკმაყოფილდეს კანონის ფარგლებში, ანუ ისე, რომ არ შეიზღუდოს სხვისი უფლება, თავისუფლება და მითუმეტეს, არ შეილახოს სხვისი, სხვათა ლირსება. ნებიმსიერი ტიპის საზოგადოებაში ინდივიდის საჭიროება, რომელიც საბოლოოს ჯამში კვალიფიცირდება კონკრეტულ სურვილად, არის მსგავსი. არსებობს აპრაპამ მასლოუს<sup>10</sup> მიერ შედგენილი უნიკალური ხუთდონიანი სქემა ამ საჭიროებებისა.

✓ ყველაზე დაბალი დონე. ფიზიოლოგიური მოთხოვნები.

✓ მეორე დონე. უსაფრთხოების მოთხოვნები.

✓ მესამე დონე. საჭიროებები სოციალურ კვაშირებში.

✓ მეოთხე დონე. სოციალური სტატუსის საჭიროება.

✓ მეხუთე დონე. თვითრეალიზაციის მოთხოვნები.

ადამიანთა საჭიროებები ცხადია საზოგადოების მოდერნიზაციის კვალდაკვალ სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება, მაგრამ კვალავაც ამ ხუთი საფუძველმდებარე მიმართულების ჩარჩოებში. როდესაც დანიელ ბელი თანამედროვე

<sup>10</sup> აპრაპამ მასლუს (1908-1970), ამერიკელი ფსიქოლოგი, ფუძემდებელი ჰუმანისტური ფსიქოლოგიისა. ფართედაა ცნობილი „მასლოუს პირამიდა“ – დიაგრამა, რომელიც იერარქიულად წარმოადგენს ადამიანურ მოთხოვნილებებს. მისმა იერარქიულმა მოდელმა მოთხოვნილებების ფართე გამოყენება ჰპოვა ეკონომიკურ თეორიაში, დაკავა რა მნიშვნელოვანი ადგილი მოტივაციის თეორიაში და მომხმარებელთა ქცევაში.

საზოგადოების სქემას ადგენდა, მე-3, მაკონტროლებელ სისტემაში (საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაცია), გამოყო საფეხური, სოციალური გაერთიანებებისა და ზენოლის ჯგუფების ქუდის ქვეშ, რიგით მეორე ნომრად, სპეციფიკური ინტერესის მატარებელი ჯგუფები და ჩამონათვალში მიუთითა, ახალგაზრდობა, ქალები, ჰომოსექსუალები და ა.შ. ადამიანთა უფლებებზე წარმოდგენები, ჩვენ ვართ მომსწრე როგორ იხვენება კაცობრიობის ისტორიის მანძილზე.

- ✓ სამოქალაქო უფლებები
  - ✓ პოლიტიკური უფლებები
  - ✓ სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული უფლებები
  - ✓ კოლექტიური უფლებები
- ის რაც დღეს აღიქმება, როგორც აპრიორი, ცხადი, შეიძლება საუკუნეების წინ ადამიანის, სოციალური ჯგუფის დევნის საგანი გამხდარიყო სისტემის მხრიდან.

**რელიგია** არის მესამე კომპონენტი, რომელიც გაურკვევლობასთან და მისგან მომდინარე შფოთვით გამოწვეულ დისკომფორტთან გამკვლავებაში ეხმარება ადამიანებს. არსებობს წინარელიგიური აზროვნების ფორმა – მითოსი; პრიმიტული რელიგიები – ფეტიშიზმი, ტოტემიზმი, ანიმიზმი – გაჯერებული მაგიით და ნასაზრდოვები ცრურწმნებით; მსოფლიო რელიგიები, ამათგან რიგი მონოთეისტური (იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი), რიგი პოლითეისტური (ინდუიზმი) და გარკვეული რელიგიური სწავლებები, სადაც უშუალოდ ღმერთის ცნება არ ფიგურირებს (ბუდიზმი, კონფუციანელობა და დაოსიზმი).

ტალკოტ პარსონსის მიერ შემოთავაზებული ადაპტაციის კონცეფცია ხანდახან მკაცრი კრიტიკის ობიექტია. ენ-

ტონი გიდენსი<sup>11</sup> თავის ერთ-ერთ აკადემიურ ნაშრომში, „საზოგადოების მოწყობა“ წერს, იგი (ანუ, პარსოსნისეული ადაპტაციის თეორია) ყოვლისმომცველი და შესაბამისად ბუნდოვანია. ადაპტაცია ნაწილობრივ დაკავშირებულია „გადარჩენასთან“, ნაწილობრივ კი გარემომცევლ მატერიალურ სამყაროსთან ურთიერთქმედების ხასიათში ვლინდება, თუმცა მათზე როდი დაიყვანება. ის ასოცირდება განუსაზღვრელობის შემცირებასთან და ეს იდეა, ფიქრობს გიდენსი, ისევე როგორც წარმოდგენა სიმბოლოების და ღირებულებების კიბერნეტიკულ ზეგავლენაზე, ნასესხებია ე.ნ. სისტემური თეორიიდან. ავტორი ამასთან არ გვაძლევს „განუსაზღვრელობა/გაურკვევლობის“ არანიარ ზუსტ ფორმულირებას. მტკიცებულება კონცეპლუალურად არის განფენილი და ფაქტიურად უსარგებლო.

საზოგადოების მოდერნიზაციის პროცესი რომ ე.ნ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციით დაიწყო, მარტივი ჭეშმარიტებაა. მეცნიერება, როგორც ცოდნაზე, თანაც ცოდნის ახალ, კომპეტენტურ კატეგორიებზე პასუხისმგებელი სისტემაა და როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, იგი ორი მიმართულებით იმსრულდება.

✓ თეორიული ცოდნა (კაბინეტურ გარმოში მომუშავე აკადემიური პერსონალი)

✓ პრაქტიკული ცონდა, ანუ „გამოყენებითი“ (ლაბორატორიებში, შესაძლოა არა-საუნივერსიტეტო გარემოშიც კი, ე.ნ. საველე პირობებში მომუშავე ტექნილოგები)

<sup>11</sup> ენტონი გიდენსი (1938), ბრიტანელი სოციოლოგი, ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა თანამედროვე სოციოლოგიაში, იმდენადაც, რომ ფრენკ ვებსტერი (1950), ასევე ბრიტანელი სოციალური მკვლევარი, საკუთარ მონოგრაფიებს ფაქტიურად მხოლოდ გიდენსის თეორიების ანალიზზე აგებს.

დანიელ ბელი მონოგრაფიაში „პოსტინდუსტრიული საზოგადოება“ მეცნიერების მომავალს ცალკე ქვეთავად განიხილავს და მეცნიერზე, სწავლულზე აღმატებულ ხარისხში ლაპარაკობს. ამასთან დასძენს, რომ მეცნიერული ცოდნის მხოლოდ უტილიტარულ საჭიროებაზე დაყვანა მოღვაწეობის ამ სახეობის თავხედური გაუფასურებაა და სხვა არაფერი. ალბათ დღემდე ყველაზე წარმატებული ქართველი სოციოლოგი, პროფესორი ედუარდ კოდუა, დანიელ ბელის ჩინებული მცოდნე და ექსპერტი ასევე კატეგორიულად აფიქ-სირებდა მეცნიერებაში თეორიული ცოდნის თავისთავად ლირებულებას, რომელიც სოციალურ ინჟინერიამადე მისი დაყვანის აუცილებლობას არ გულისხმობდა.

დანიელ ბელი ლაპარაკობს, რომ ისევდაისევ აღმოცენდება კლასიკური თავსატეხების რიგი. უნდა იყოს კი მეცნიერება უკიდურესად „სუფთა“? ემსახუროს მხოლოდ ცოდნას, ჭეშმარიტებას, როგორც ეს სამეცნიერო საზოგადოებას წარმოუდგენია. იქნებ მეცნიერება საზოგადოებას უნდა ემსახუროს. თუკი მეცნიერება უნდა იყოს „სუფთა“, როგორდა შეძლებს გაამართლოს ფინანსების განუსაზღვრელი მოცულობა, რომელიც აუცილებელია თანამედროვე სამეცნიერო კველევების ჩასატარებლად, ეს თანხები რა მოცულობით უნდა გამოიყოს? ნიშნავს კი მეცნიერების სიწმინდე აპოლიტიკურად დარჩენას სახემწიფო მხარდაჭერის მისაღებად? როცა ვამბობთ, „მეცნიერება საზოგადოების სამსახურში“, ეს სამსახური როგორდა განისაზღვრება? მეცნიერება იღებს ამ ინიციტივას თავის თავზე თუ პოლიტიკურ სისტემას ეკუთვნის გადამწყვეტი ხმა? სამეცნირო-ტექნიკური მოღვაწეობის რომელი მიმართულება – სამხედრო, სამოქალაქო – ითვლება პრიორიტეტულად?

ზოგადად მეცნიერების ეთოსი, თვლის ბელი, გულისხმობს ჭიდილს ბიუროკრატიზაციასთან, პოლიტიკურ დამო-

კიდებულებასთან, ტოტალიტარიზმთან. მეცნიერებაში არის ქარიზმატული ასპექტები და იგი მისი მოღვაწეების ცხოვრებას, მას წმიდაობის შეფერილობას აძლევს. ისევე, როგორც ქრისტიანობა, ეს ქარიზმატული სიმძლავრე, თავის თავში დაიტევს უტოპის, ისკიარადა მესიანიზმის ამოუძირკვავ ელემენტებსაც კი.

დანიელ ბელი ცდილობს ჩამოაყალიბოს, დღესდღეობით ვინ გამოდის მეცნიერების სახელით.

მეცნიერების სახელით გამოდიან

✓ ცალკეული პიროვნებები

ნობელის პრემიის ლაურეატები, ანდა ისინი, ვინც აღიარება მოიპოვა კოლეგების გარემოცვაში, ანუ აკადემიურ წრეებში. მათი ავტორიტეტი განპირობებულია ქარიზმატული სამეცნიერო ერთობით. მას მერე, რაც მეცნიერები ასე დაიხარჯნენ ბირთვული იარაღის კონსტრუირებაში სამხედრო „დერუავების“ სასარგებლოდ, მათი დიდების შარავანდები გაფერმკთალდა. საზოგადოებამ გააცნობიერა მარტივი ჭეშმარიტება, როგორც პიროვნება, თუკი ის გახდება შედარების საგანი, მეცნიერი, არც უკეთესი და არც უარესია. მეცნიერების დარგში თუნდაც კოლოსალური მიღწევა აპრიორი არ განსაზღვრავს ცალკეული აკადემიური წრის წარმომადგენლის მორალურ მახასიათებელს. ჩვენ მივუყვებით ამ-ჯერად დანიელ ბელის სქემას, თუმცა აქ კონტექსტიდან გამომდინარე, ერთი დეტალზე მინიშნებაა მნიშვნელოვანი. მეცნიერების, ზოგადად განათლების შიგნით მიმდინარე ტრანსფორმაციებზე ბევრს წერს ფრანგი პოსტმოდერნისტი ჟან ფრანსუა ლიოტარი. ლიოტარის პერიფრაზი ასეთია – „უწინ და დღეს“ – „უწინ“ ცოდნა ესახებოდათ ადამიანის მორალიზაციის საშუალებად, „დღეს“ ცოდნა, რაც უფრო საფუძვლიანი და ხარისხიანია, ნიშნავს პაზარზე მაღალ ფასად გაყიდო შენი თეორიულ-პრაქტიკული უნარჩვევები და იყო ძვირად ანაზღაურებადი კადრი შრომის ე.წ. პირველ და მაშა-

სადამე მეტად სტაბილურ ბაზარზე. ცოდნა, კულტურული კაპიტალი გნებავთ, არის უბრალოდ გარანტია ცხოვრების მაღალი ხარისხის, სტატუსის. აქ ცხადია იგულისხმება ინდი-ვიდუალური დონე.

✓ ახალგაზრდა რადიკალების მოძრაობები; ეკოლოგ-რეფორმატორების ჯგუფი ჩანერგილი აკადემიურ სივრცეში (უახლეს მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ედუარდო კონი)<sup>12</sup>.

დანიელ ბელი დასძენს, რომ ამ კატეგორიას, ხშირად სიმართლის თქმა უწევს საკუთარი ინტერესების საზიანოდ.

✓ ინსტიტუციონალური ასოციაციები, ისეთები, როგო-რიცაა მეცნიერების ეროვნული აკადემია, ტექნიკურ მეცნი-რებათა ეროვნული აკადემია.

ზოგადად მეცნიერებათა ეროვნული აკადემიები თავია-ნთ თავს აღიქვამენ კვაზიოფიციალურ უწყებებად, რაც ორი მიზეზითაა განპირობებული. I – ჯერ კიდევ ბიუროკრატიის სტრუქტურირებისთანავე, გაჩნდა აუცილებლობა სახელ-მწიფო დაწესებულებების კოორდინირებისა. მოლაპარაკე-ბების წარსამართავად, მისაღწევად თანამშრომლობისა და არამხოლოდ, ცხადია, უნდა არჩეულ ყოფილიყო ერთიანი სა-მეცნიერო ორგანო. II – სწორი კულტურული პოლიტიკის შე-მუშავება მიიჩნევა სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვნად, ლაპარაკია აქ მცირე ერ-სახელმწიფოებზე, რომელთაც მუდ-მივად ეკსიზტენციალურ გამოწვევებთან უწევთ გამკლავება, თუ მეგასახელმწიფოებზე, რომელთა პრობლემა დიდიხანია

<sup>12</sup> **ედუარდო კონი (Eduardo Kohn)**, თანამედროვე ანთროპოლოგი, მაკგილის უნივერსიტეტის პროფესორი (კვებეკი, კანადა). ცნობილი გახდა მონოგრაფიით, „როგორ შეიგრძნობენ ტყეები“. შეიძლება წიგ-ნის შესაგალი მისი უფრო ძლიერი კომპონენტია და დანარჩენი, უბრა-ლოდ ნოსტრალგია სულიერ პრაქტიკებზე, თუმცა საკითხის ასე დასმა, არის უკვე წიგნის ცხადი უპირატესობა.

აშეკარად არაა თვითდამკვიდრება. მართებული კულტურული პოლიტიკის შემუშავების საჭიროებიდან აღმოცენდა ეროვნეული კვლევითი საბჭო, რომელიც ეროვნული აკადემიის მსგავსია.

ეროვნული კვლევითი საბჭოების დაფუძნების საჭიროების პარალელურად უპრიანია მოვნიშნოთ „მართებული კულტურული პოლიტიკის“ მახასიათებლები. ქართველი ფილოსოფოსი, აკაკი ყულიჯანიშვილი, თავის მონოგრაფიაში „კულტურის თეორია“<sup>13</sup>, განითარებადი კულტურის პოლიტიკის თვალსაზრისით კულტურის პოლიტიკის ზოგად მიზნებს ჩამოთვლის<sup>14</sup>, რომელთა შორის უმნიშველოვანესია შემდეგი

✓ საერთაშორისო ურთიერთობების დონეზე - მსოფლიოს სურათის ჩამოყალიბება, რომელიც არსებული რეალობის ადეკვატურია და ობიექტურად ასახავს საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემას; მსოფლიოს სურათი კალკირებული „მტრის ხატზე“ ოპერირების გარეშე და მაქსიმალურად თავისუფალი ტენდენციური პოზიციონირებისგან „მეგობარი/მტერი“<sup>15</sup>.

✓ საშინაო პოლიტიკის დონეზე – პლურალისტური და ტოლერანტული კულტურული გარემოს ჩამოყალიბება, რომელიც მაქსიმალურად ხელს უწყობს სხვადასხვა სუბკულ-

<sup>13</sup> აკაკი ყულიჯანიშვილი, კულტურის თეორია, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2009.

<sup>14</sup> ყულიჯანიშვილი ა. 2009. გვ. 170-172

<sup>15</sup> რაც შეეხება გასავლიან პოზიციონირებას, „მეგობარი/მტერი“, იყო ასეთი რუსი პოეტი, ვსევოლოდ ნეკრასოვი (1934-2009), რომელსაც ერთ ლექსში, შესრულებული სტილში ზედმიწევნით პოსტმოდერნი, აქვს მეტად საინტერესო კუპლეტი: „Охого, у нас то хорошо, у них плохо, что у них плохо, то у нас хорошо, почему уж так, потому что, у нас – Родина, а у них что...“

ტურქის პარმონიულ თანაარსებობას; კონტრკულტურები-სათვის<sup>16</sup> ასევე სივრცის დაშვება (თუკი ისინი მარგინალიზა-ციას არ ექვემდებარებიან, ან პირიქით, მარგინალიზაციას არ უქვემდებარენ სოციალურ გარემოს); მთელი მოსახლეო-ბის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა (რამდენა-დაც ეს შესაძლებელია პრაქტიკულად) კულტურულ ღირე-ბულებებისადმი შემოსავლების დონის, ეროვნულობის, სარ-წმუნოების, ადგილსამყოფელის და სხვა კრიტერიუმების მი-უხედავად.

✓ ორივე დონეზე, როგორც საერთაშორისო, ასევე სა-შინაო პოლიტიკის – დარგის მაღალკალიფიციური სპეცია-ლისტების მომზადება; პროფესიონალების, ექსპერტების, უხეშად რომ ვთქვათ ინკუბატორზე, თანხების მაქსიმალუ-რად გადასროლა საზოგადოების შესატყვის სეგმენტებში.

ყულიჯანისეული ჩამონათვალი ცხადია ვრცელი და დეტალურია, თუმცა ჩვენი შემთხვევა მსგავს კონკრეტიკას არ საჭიროებს.

დავუბრუნდეთ მსჯელობის საწყის პუნქტს, როდესაც ზოგადი ანალიზი მისი მეტნაკლებად ამომწურავად შევძე-ლით. ანუ, სოცილური ცვლილებების ფონზე თანამედროვე საზოგადოებაში მეცნიერების ბედი და სოციუმში მეცნიე-რის, სწავლულის როლი, ფუნქცია და მისი სტატუსი. დანიელ ბელი პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორიაში აღნიშ-ნავს, რომ იდეა მეცნიერებისა ათვლის სათავეს ძელი სა-

<sup>16</sup> კონტრკულტურა/სუბკულტურა კულტურის თეორიებში განისაზ-ლვრება ამგვარად. კონტრკულტურა თავის თავს დომინანტი კულტუ-რისაგან დეიდენტიფიკივაციის საშუალებით განსაზღვრავს და ხანდახან ინოვაციების მნიშვნელოვანი წყარო ხდება; სუბკულტურა დომინანტი კულტურის ფარგლებში თანაარსებობს და არ უდგას მას ოპოზიცია-ში. ზოგადად ორივე შესაძლოა იყოს ეთნიკური, პოლიტიკური, რელი-გიური და ან ახალგზრდული.

ბერძნეთიდან იღებს. სავლე წერეთელის მონოგრაფია, ორ-ტომეული, „ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში“<sup>17</sup> დღემდე არის ძევლი ბერძნული ფილოსოფიის, მეცნიერების ისტორიის შესასწავლად უნიკალური მეგზური. მეცნიერებათა კლასიფიკაცია დღის წესრიგში დადგა მაშინ, როდესაც ფილოსოფიის წიაღში აღმოცენდა მრავალი თემატურად განსხვავებული დარგობრივი დისციპლინა და ამასთან დაინტერინდათან დათანობითი ზრდა მათი ავტონომიურობის ხარისხისა ფილოსოფიასთან მიმართებაში. მეცნიერებათა კლასიფიკაციის რამდენიმე შაბდლონური იდეალური ტიპი არსებობს, თუმცა სოციოლოგებისთვის პროფესიული ინტერესიდან გამომდინარე საინტერესო აღბათ მაინც ოგიუსტ კონტის მიერ<sup>18</sup> შემოთავაზებული მოდელია. კონტი თვლის, რომ ფილოსოფიას განსაკუთრებული შემცველობა არც გააჩნია, იგი არის უბრალოდ საშუალება დანარჩენ მეცნიერებათა სისტემატიზაციისთვის. კონტთან პოზიტივისტური კლასიფიკაციის უკანასკნელი ფორმულირებით წარმოდგენილია მეცნიერული დისციპლინების შემდეგი რიგი:

- ✓ მათემატიკა
- ✓ ფიზიკა
- ✓ ბიოლოგია
- ✓ სოციოლოგია

<sup>17</sup> სავლე წერეთელი, ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში, ტომი I – ანტიკური ფილოსოფია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1973.

<sup>18</sup> ოგიუსტ კონტი (1798-1857), ფრანგი ფილოსოფოსი, პოზიტივიზმის ფუძემდებელი, სოციოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინის ფუძემდებელი. მისი ძირითადი შრომებია: 1 – პოზიტივისტური ფილოსოფიის კურსი; 2 – პოზიტივისტური პოლიტიკის სისტემა, ანუ ტრაქტატი სოციოლოგიაში, რომელიც ადგენს კაცობრიობის რელიგიას.

## ✓ მორალი

ზემორე ჩამონათვალი უშუალოდ პოლიტიკურ სოციო-ლოგიაში სპეციალიზირებულ მკვლევარს, დომინიკ კოლას მითითებული აქვს საკუთარი წიგნის პირველსავე ქვეთავში, „პოლიტიკური სოციოლოგია“. ოგიუსტ კონტისეული თავდა-პირველი მეცნიერებათა კლასიფიკაცია უფრო ვრცელია და ასე გამოიყურება:

მათემატიკა, ასტრონომია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია (ფიზიოლოგია), სოციალური ფიზიკა (სოციოლოგია), მორალი.

კონტის არჩევანი სხვადასხვა სინონიმურ მნიშვნელობებს შორის, მაგალითად „პოლიტიკური მეცნიერება“, „სოციალური ფიზიკა“, „სოციოლოგია“ თანდათან იცვლებოდა.

თავდაპირველი მეცნიერებათა კლასიფიკაცია არისტოტელეს<sup>19</sup> განეკუთვნება. იგი მეცნიერებებს დაყოფდა თეორიულად, რომელთა მიზანიცაა ცოდნა ცოდნისათვის, პრაქტიკულად და „პოეტიკურად“. თეორიულ მეცნიერებებს მიაკუთვნა ფიზიკა, მათემატიკა და „პირველი ფილოსოფია“ (იგივე თეოლოგიური ფილოსოფია, მოგვიანებით სახელდებული მეტაფიზიკად). პრაქტიკულ მეცნიერებებში კი დააჯგუფა ეთიკა და პოლიტიკა (იგია უკვე მეცნიერება სახელმწიფოზე).

მეცნიერების ისტორიას, როცა ძველი საბერძნეთიდან მოვუყვებით, შეუძლებელია ყურადღების გარეშე დავტოვოთ სოფისტები, ვინც პირველად დაუდო საფუძველი ფასიან

<sup>19</sup> არისტოტელე (384-322 ჩ.წ. წ. ალ. მდე), დაიპადა მაკედონიის ქ. სტაგირაში, ბერძნულ კოლონიაში. 18 წლის ასაკში ჩავიდა ათენში და შევიდა პლატონის სკოლაში, სადაც 20 წლის განმავლობაში სწავლობდა. ცნობილია, რომ ძალიან უყვარდა თავისი მასწავლებელი, თუმცა იმასაც ამბობდა, „მიყვარს პლატონი, მაგრამ კიდევ უფრო ჭეშმარიტება“. იყო ალექსანდრე მაკედონელის აღმზრდელი.

სწავლებას და სწავლება აქცია არა მარტო მოწოდებად, როგორც ეს ესმოდათ მათ წინამორბედებს, არამედ ხელობად<sup>20</sup>, რაც იყოს იმ დროისთვის სრულიად უცხო, მოდერნული მიდგომა. ცხოველ ინტერესს გარდა ამისა იწვევს ჭეშმარიტების სოფისტური ინტერპრეტაცია, რომელიც ჩამოგავს თანამედროვე პოსტმოდერნისტულ ფილოსფიასა და სოციოლოგიაში არსებულ ჭეშმარიტების გაგებას. სავლე წერეთელი 1973 წელს, ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში წერდა<sup>21</sup>, „სოფისტი ნიშნავდა მცოდნეს, გამომგონებელს, მომხერხებელს. სოფისტები იყვნენ სიბრძნის მასწავლებლები, ხალხში სიბრძნის შემტანი, განმანათლებელები. სიტყვა **სოფისტში** არავითარი ურიგო არ იგულისხმებოდა. სოფისტი პროტაგორა ამაყობდა, რომ ის სოფისტი იყო და ადამიანების აღზრდა-განათლებას ეწეოდა. ჰეროდიტე სოლონსა და პითაგორას სოფისტებს უწოდებდა. სოფისტები ქალაქიდან ქალაქში დადიოდნენ და ფასიან ლექციებს კითხულობდნენ. ხალხში განათლება შეჰქონდათ.

სოფისტები დემოკრატიის ინტერესებს იცავდნენ. ცდოლობდნენ ცოდნა მიეცათ პიროვნებისათვის, რათა იგი ყოფილიყო თავისუფალი. არ დამონებოდა რელიგიას, ავტორიტეტს. მათ სიბრძნე მიაჩნდათ გარკვეულ ძალად ადამიანისათვის, რომელიც საზოგადოებაში, სახელმწიფოში ცხოვრობს და მოქმედებს.

სოფისტებმა საფუძველი ჩაუყარეს ისეთ მეცნიერებებს, როგორიცაა რიტორიკა, გრამატიკა, სტილისტიკა, ორ-

<sup>20</sup> მოწოდება/ხელობა, ეს ბინარული ოპოზიცია სოციოლოგებისთვის იმთავითვე ნაცნობია და ეკუთვნის გამოჩენილ გერმანელ სოციოლოგს, მაქვს ვებერს (1864-1920). მოწოდება/ხელობა არის ვებერის მიერ სტატუსობრივი, იგივე პრესტიუ ჯგუფების შესასწავლად გამოსადეგი სწორად შედგენილი ბინარული ოპოზიცია.

<sup>21</sup> სავლე წერეთელი, 1973, გვ. 170-173

თოეპეია. მათ დაადგინეს ამ მეცნიერების პრინციპები. სოფისტებმა შემოიღეს დიალექტიკა, როგორც დავის, კამათის ხელოვნება, სადაც მთავარი ყურადღება ექცეოდა არა აზრის ჭეშმარიტებას და შინაარსს, არამედ ფორმას, როგორც აზრის გადმოცემის ხერხს.“

სამეცნიერო სამუშაოების ორგანიზაცია იწყება XVII საუკუნიდან. ამ პერიოდში იქმნება აკადემიური, სამეცნიერო საზოგადოებები. ისინი თავდაპირველად მდიდარი მეცნატების კმაყოფაზე იმყოფებიან, ანუ მხარდაჭერილი არიან გარე-საუკუნეერსიტეტო სფეროდან. სამეცნიერო კველევების ინსტიტუციონალიზაცია ეროვნული აკადემიების დაფუძნებას ემთხვევა. მაგალითად მოყვავს დანიელ ბელს XVIII საუკუნის საფრანგეთი. XIX საუკუნის გერმანიაში უკვე არ-სებობს სამეცნიერო ცენტრები, რომლის ფარგლებშიც ცალკეული დარგები ვითარდება. უნივერსიტეტების ბაზაზე ფუძნდება სამეცნიერო ლაბორატორიები. ისინი ცოდნის კონკრეტულ სფეროში სამეცნიერო საზოგადოების ცენტრებად ყალიბდებიან.

დანიელ ბელი აკეთებს ფაქტის კონსტატაციას. უნინ უნივერსიტეტები<sup>22</sup> უპირატესად პოლიტიკური სისტემის ჩარჩოებში მოქმედებდნენ. გერმანიასა და საფრანგეთში უნივერსიტეტები და აკადემიები სახელმწიფოებრივი ორგანიზაციები იყვნენ, პროფესორები კი სახელმწიფო მოხელეებად იყვნენ.

<sup>22</sup> პირველი უნივერსიტეტების აღმოცენებას ქართველი ფილოსოფოსი აკაკი ყულიჯანიშვილი თავის მონოგრაფიაში „კულურის თეორია“, უკვე რენესანსის ეპოქიდან აღნიერს. მისი თქმით, ამ დროს განვითარდა ქალაქური სკოლები, დამოუკიდებელი მატერიალურად, რომლებიც მონასტრებთან აღარ ასოცირდებოდნენ. ინტენსიურად დაიწყო განვითარება საერო ლიტერატურამ. ფილოსოფიაში ნომინალიზმს დაუპირისპირდა რეალიზმი და შესაძლებელი გახდა მიეღო სწავლების მსურველები ბოლონიის, პარიზის, ოქსფორდის უნივერსიტეტებს და არამარტო.

ბი. მეცნიერები, თვითმართვადი საზოგადოების რანგში ოდნავ შეზღუდულები იყვნენ, რამეთუ თავისუფლება გულისხმობდა საკულტური მიმართულების არჩევას, სამეცნიერო დამსახურების აღიარებას, წოდებისა და ხარისხის მინიჭებას. მეცნიერების მსგავსი ავტონომია იყო მისი ეთოსის ცენტრი. მეცნიერების მორალური ძალა თუმცა თვითრეგულირებადი სამეცნიერო ერთობაა.

სამეცნიერო საზოგადოება არის ადამიანური ცივილიზაციის უნიკალური მოვლენა. სამეცნიერო საზოგადოება გულისხმობს აპრიორი დეიდეოლოგიზაციას<sup>23</sup>. მას არ გააჩნია იდეოლოგია და თავისუფლალია პოსტულირებადი დოგმების ნაკრებისაგან. სამეცნიერო საზოგადოებას აქვს ზეობრივი საყრდენი, რაც წინასწარგანსაზღვრავს ქცევის დაწერილ ნორმებს. იგი როდია პოლიტიკური მოძრაობა, სადაც სურვილისამებრ შეიძლება შესვლა და კენჭისყრის საფუძვლზე გახდომა სრულფასოვან წევრად. სამეცნიერო საზო-

<sup>23</sup> **დეიდეოლოგიზაცია**, ტერმინის ყველაზე ცხად განმარტებას ვხვდებით ქართველ ფილოსოფოსთან, ვახტანგ ერქომაიშვილი, ნაშრომში, ადამიანი, თავისუფლება, იდეოლოგია. იდეოლოგია, როგორც დოგმატური აზროვნების საფუძველი, საჭიროა განეიტრალდეს ან იდეოლოგიათა პლურალიზმით, ან კიდევ დეიდეოლოგიზაციით, ანუ, იდეოლოგიაზე უარის თქმით, რაც აბსოლუტურ ჭეშმარიტების ფლობის ამბიციური სურვილისგან უარისთქმით იწყება და გრძელდება კრიტიკული აზროვნების უპირატესობის გათავისებით. ერქომაიშვილის თქმით, „იდეოლოგია არის ცნობიერების ჰორიზონტის დავიწროება, გონებრივი შეზღუდულობა. იგი პროკრუსტეს სარეცელია, რომელიც აკვიატებული იდეების საფუძველზე ალამაზებს სინამდვილეს. უფრო ზუსტად, იგი რეალობიდან გაქცევაა, რადგან იმყოფება საკუთარი ილუზიის ტყვეობაში, რომელიც არამარტო სხვას ატყუებს, არამედ თავსაც იტყუებს. იდეოლოგია სიბეცეა, თუმცა ისეთი, რომელსაც პრეტენზია აქვს აპსოლუტური ჭეშმარიტებაზე. ერთი სიტყვით, იგი ცნობიერების ქრონიკული დავადებაა, რომელსაც სერიოზული მკურნალობა სჭირდება“ – ერქომაიშვილი ვ. 2002, გვ. 456

გადოებისადმი მიკუთვნებულობა განისაზღვრება ტალანტითა და დარგის შესაბამისი ხედვებით. იგი არაა ეკლესია, რომელშიც რწმენის ელემენტები დოგმაზე ბაზირდება და გაშუალდება საიდუმლოებაში მონაწილეობით (ციტირებას ვახდენ დანიელ ბელიდან<sup>24</sup>). სამეცნიერო საზოგადოებები ორიენტირებული არიან ობიექტური ცოდნის ძიებაზე. ობიექტური ცოდნა საშუალებას იძლევა შემოწმდეს და გადახალისდეს, ან სულაც უკუგდებულ იქნეს ძველი ცოდნა. ორგანიზაციის ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ დაწესებულებას, მიუხედავად მისი პროფილისა, ეარსება იერარქიის გარეშე. ეს წესი, ცხადია ვრცელდება სამეცნიერო საზოგადოებაზეც და აქაც გვაქვს იერარქები და შესაბამისი პრივილეგიები. პრივილეგიად შეიძლება ჩაითვალოს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება და პასუხიმგებლობა, ასევე მაღალი სტატუსი, ავტორიტეტი, თუნდაც ის, რომ არის სფერო, კადრი, მოთხოვნადი, მაღალანაზღაურებადი. სამეცნიერო საზოგადოებაში არის უმთავრესი მოღვაწეობის შედეგი და აქ პრივილეგიებზე წესი მემკიდრეობითობისა როდი ვრცელდება. შესაძლოა მხოლოდ, ამათუიმ კონკრეტულმა სამეცნიერო სკოლამ, სწავლულმა, მეცნიერული ხედვა და გარკვეული ლირებულებები მიიღოს, როგორც მემკვიდრეობა. როდესაც მუშავდება გამოწენილი კორიფიული მონაცემები, მნიშვნელოვანია მემატიანისათვის, ასევე მკითხველისათვის, ვისი იდეური მემკვიდრე იყო იგი, ვინ იქონია მის ხედვებზე პირდაპირი, ანდა ირიბი ზეგვალენა. ასე მაგალითად, ფრიდრიხ ნიცშესათვის სახელდება არტურ შოპენჰაუერი, ისკიარადა მატიანე მიუთითებს, რომ კომპოზიტორ ვაგნერთან მეგობრობამაც კი განსაზღვრა მისი აზრთანყობა და ამან აშკარა კვალი დატოვა ნიცშეს გახმაურებულ მონოგრაფიაზე „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სული-

<sup>24</sup> დანიელ ბელი, 1999, გვ. 507

დან“. ავილოთ, თუნდაც კარლ მარქსი და ნეომარქესისტების დაუსრულებელი პლეადა, მარქსის თავისებური დუბლიკატები, ათლეულიდან ათწლეულამდე. ან კიდევ უაკანი, რომელიც თავის მხრივ ზიგმუნდ ფროიდის აჩრდილს ვერ განეშორა და მთელი თავისი აკადემიური კარიერა ფროიდისეული ფსიქონალიზის კირკიტს დაუთმო. იდეური მემკვიდრეობა არ კვალიფიცირდება მიმბაძველობად. მეცნიერებაში, ადრე არსებული თეორია, თეორიები მსახურობენ სახორცე მასალად ახალი თეორიისთვის, მითუფრო, რომ თანამედროვე ეტაპზე მეცნიერებათა განვითარებისა მოწონებული და მოწოდებულია ინტერდისციპლინარული კვლევები, აქცენტი მუდმივად კეთდება დარგთა შორის დაგროვილი ცოდნის კომპარატივისტული ანალიზის საჭიროებაზე. არაორდინალური განცხადებებით გამორჩეული ერთ-ერთი სკანდალური ფილოსოფოსი აღმოსავლეთ ევროპიდან, სლავონ უოუეკი, კარლ მარქსისა და უაკანის თავისებური სიმბიოზია. მანერა, რაზეც ვლაპარაკობთ, უფრო ნორმაა, ვიდრე გამონაკლისი. ოგისუტ კონტის ბიოგრაფები მოუთითებენ, რომ კოლეგების ნაშრომებს კატეგორიულად აღარ კითხულობდა, რადგან ფიქრობდა იყო ამაში თავისებური გონების დაბინძურების საფრთხე. აღბათ, ეს უფრო იყო ახირება თავისებური აზრთა წყობის მქონე ადამიანისა, ვიდრე მეცნიერის-თვის ნიშანდობლივი გამოხატვის ფორმა.

დანიელ ბელი იმეორებს ბერტრან უუვენელს<sup>25</sup>, სამოქალაქო საზოგადოების წევრი თუ ადამიანი ხდება თავად და-

<sup>25</sup> ბერტრან უუვენელ დეზ იურსენი (1903-1987), ფრანგი ფილოსოფოსი, სოციოლოგი, ფუტუროლოგი, პოლიტოლოგი, ეკონომისტი. დამფუძნებელი უურნალისა Futuribles. გარდა ამისა, გახლდათ უძველესი შამპანის კეთილშობილი გვარის წარმომადგენელი. მისი ძირითადი სამეცნიერო შრომებია, „გადანაწილების ეთიკა“, „ძალაუფლება, მისი ზრდის ბუნებითი ისტორია“.

ბადების ფაქტით და სრულუფლებიან მოქალაქედ გარკვეული ასაკის მიღწევის შემდგომ გვევლინება, საქმე სხვაგვარადაა სამეცნიერო საზოგადოებაში, სადაც აუცილებელია საკუთარი ადგილის ზედმიწევნით ძებნა და იგი მხოლოდ რჩეულების ხვედრია. სკოლაში მოსწავლეს შეუძლია დოქტრინების, სამეცნიერო ჭეშმარიტებების დასწავლა, ე.წ. მეცნიერების მკვდარი საფუძვლების. უნივერსიტეტში სტუდენტმა საჭიროა გააცნობიეროს ცოდნის მთელი შეფარდებითობა მისი მარად ცვალებადი ხასითი. იყო მეცნიერი, ნიშნავს წინარე იყო შეგირდი. ხელოვნების დარად, ამბობს ბელი, ხანდახან აქაც გვხვდება ორიგინალები ანდა თვითნასწავლები, მაგრამ ადამიანი სამეცნიერო კვალიფიკაციას აღწევს ხელმძღვანელის თაოსნობით. მეცნიერთა შორის შთამბეჭდავია, როგორც თანამშრომლობა, ასევე მეტოქეობა. მეცნიერების საკვანძო მომენტი კი არის კვლევის საგნის განსაზღვრა. კვლევის საგანი და კვლევის ობიექტი იგივეობრივი ცნებები როდია. ქართული სოციოლოგის მამა, ედურად კოდუა, თავის მონოგრაფიაში „სოციოლოგის შესავალი“ ამ ორი დეფინიციას მეტად კვალიფიციურად მიჯნავს. მაგალითისათვის ავიღოთ საზოგადოებრივი მეცნიერებები. უკვე დეფინიცია „საზოგადოებრივი“ მიუთითებს, რომ ისინი გადამკვეთი სიმრავლეები არიან. პოლიტიკის მეცნიერებანი, ეკონომიკა, დემოგრაფია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ცხადია ყველა საზოგადოების შენავლაზეა ორიენტირებული და კვლევის საგანი აქვთ იდენტობრივი. რაც შეეხება კვლევის ობიექტს, ობიექტი სწორედ რომ სპეციფიკურია და არის საფუძველი მათი, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინის განსაზღვრების და ამასთან, ინდივიდუალური კვლევის მეთოდის თავისებურებების დეტალურად გამწერი.

რაც შეეხება სამეცნიერო აღმოჩენებს, ისინი მკაცრ კრიტიკულ ანალიზს ექვემდებარებიან. დანიელ ბელის

თქმით, არიან პირველი საფეხურის არბიტრები. მათი კეთილგანწყობა ხელს უწყობს გამოკვლევების შედგების სამეცნიერო უურნალებსა და ალმანახებში პუბლიკაციას. არსებობენ ასევე უმაღლესი ავტორიტეტები, მათ სიტყვას აღიარება, პატივისცემა მაოქვს. სამეცნიერო საზოგადოებაში, სხვა ინსიტუტების დარად არიან უხუცესები, ვინც ნაწილობრივ აკომპლექტებს აკადემიას ან სხვა ორგანიზაციულ სტრუქტურებს. ისინი არაოფიციალური მმართველები არიან. უხუცესების აზრს შეუძლია ახალ მიმართულებაზე გამოკვლევების დაჩქარება ანდა დამუხრუჭება, მინიჭება პრემიის, პერსპექტიული პირველადმომჩენის დაჯილდოვება ავტორიტეტით, დამოუკიდებლობით. პროფესორის ვაკანსიამდე გაზრდას ათი წელი მაინც ჭირდება. თუკი სახელდახელოდ აღმოცენდა ახალი სამეცნიერო სკოლა და პროფესორის ახალი შტატები იქნა დაშვებული, სოციალური მობილობა საუნივერსიტეტო დაწასებულების შიგნით დროში იგებს. ბელის თქმით, ამ პროცესის პარალელურად ვითარდება სამეცნიერო ეთოსი, რაც თავისუფალი გამოკვევების ნორმებს ეფუძნება.

სამეცნიერო ეთოსი, ესაა აფექტურად შეფერილი ლირებულებებისა და ნორმების კომპლექსი, რომელიც მეცნიერების ადამიანისათვის, სწავლულისათვის სავალდებულოდ ითვლება. ნორმები გამოიხატებიან მიწერილობების, აკრძალვების, მჯობინებებისა და დაშვებების ფორმით.

სამეცნიერო ეთოსი რობერტ მერტონის<sup>26</sup> მიხედვით ოთხი ელემენტისაგან შედგება

✓ უნივერსალიზმი

სამეცნიერო ცოდნის უპიროვნო ხასიათი.

✓ კოლექტივიზმი

<sup>26</sup> რობერტ მერტონი, (1910– 2003), მე-20 საუკუნის ყველაზე ცნობილი ამერიკელი სოციოლოგი.

სხვა მეცნიერის მხრიდან აღმოჩენის შესახებ თავისუფალი – შერჩევითობის გარეშე – შეტყობინება.

✓ უანგარობა

სამეცნიერო მოღვაწეობის იმგვარად წარმართვა, რომ ქვემარიტების შეცნობის გარდა, სხვა განზრახვა არ არსებობდეს.

✓ ორგანიზებული სკეპტიციზმი

როდესაც გამორიცხულია კრიტიკის გარეშე გამოკვევის შედეგების მიღება.

რობერტ მერტონისეულ ამ კლასიფიკაციას, მოგვიანებით დაემატა „რაციონალურობა“ და „ემოციუნალური ნეიტრალურობა“.

მითითებული იმპერატივების ფუნქციონალური საზრისი თითოეული მეცნიერის წინაშე აღტერნატივების რიგს შლის. მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება სწრაფად კოლეგებს გადასცესაკუთარი სამეცნიერო შედეგები, თუმცა პუბლიკაცია არ იჩქარო; იყო ახალი იდეების მიმღები, მაგრამ არა ზეგავლენის ქვეშ ინტელექტუალური მოდისა; ცდილობდე ცოდნის გაფართოებას, რომელიც კოლეგების მაღალ შეფასებას მიიღებს, მაგრამ იმუშაო ისე, რომ შენი კვლევების შედეგებს არ მიაქციო ყურადღება; დაიცვა ახალი იდეები, თუმცა მხარი არ დაუჭირო უარყოფილ დასკვნებს; მაქსიმალური ძალისხმება გამოიჩინო, რომ იცოდე დარგთან მიმართებული ნიუანსები, თუმცა ამასთან გახსოვდეს, რომ ერუდიცია ხანდახან ამახრუჭებს შემოქმედებითობას; იყო ზედმიწევნითი ფორმულირებებსა და დეტალურებში, მაგრამ არა პედანტი; გახსოვდეს მუდამ, რომ ცოდნა უნივერსალურია, თუმცა არ დაგავიწყდეს, რომ ნებისმიერი სამეცნიერო აღმოჩენა ერის ღირსების საკითხია და ემსახურება, სწორედ მის წარმომადგენლებს; აღზარდო მეცნიერეთა ახალი თაობა, მაგრამ სალექციო საა-

თებს გადაჭარბებული დროც აღარ დაუთმო; ისნავლო წონად ოსტატთან და მიბაძო მას, მაგრამ არ დააკოპირო იგი.

1990 წლის სექტემბერში, საერთაშორისო უურნალში „საქმიანი ადამიანები“ დაიბეჭდა ინტერვიუ სოციოლოგ თეოდორ შანინთან<sup>27</sup>, რომელიც ერთდროულად წარმატებულად მოღვაწეობდა ბრიტანეთისა და ისრაელის აკადემიურ წრეებში და იყო პოსტ-საბჭოთა რეალობის, პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციების ყველაზე გავლენიანი ექსპერტი. სტატიაში შანინი პოსტ საბჭოთა რეალობას – თავისივე სამეცნიერო სისტემით – აკვალიფიცირებდა, როგორც ავადმყოფ საზოგადოებას და ხელმძღვანელობდა დიურკემისეული ანომიის სქემით, რომელსაც საფუძვლად უდევს დეინტეგრაცია, ანუ სოციალურ მთელში მოქმედი სუბიექტების ინტეგრაციის არაეფექტური და დაბალი ხარისხი. შანინი ასეთ საგულისხმო რამეს წერს აღნიშნულ სტატიაში<sup>28</sup>:

„როგორც ადამიანი დაკავშირებული უნივერსიტეტებთან, მე ვფიქრობ, რომ საბჭოთა კავშირში სახეზე არაა ზოგიერთი მნიშვენლოვანი ელემენტი ასწავლო ადამიანებს აზროვნება. ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, ის მოქმედებს ცუდად.

ანგლო-საქსური ტრადიციით, ლექტორი წარმოადგენს სხვადასხვა შეხედულებას, ყურადღებას ამახვილებს სისუსტეებზე და წინააღმდეგობრიობაზე ამათუიმ მიდგომისა. ამისგან გასხვავებით, საბჭოთა ლექტორისათვის უცხოა ეჭ-

<sup>27</sup> თეოდორ შანინი (1930-2020), მნიშვნელოვანია მისი წვლილი გლეხური ერთობების შესწავლაში. ასევე, ისტორიულ სოციოლოგიასა და ეპისტემოლოგიაში. შანინის დაინტერესების საგანი უპირატესად იყო ცოდნის სოციოლოგია, არაფორმალური ეკონომიკა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა ეპისტემიოლოგია. 2002 წელს მეცნიერებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მიიღო ბრიტანეთის იმპერიის ორდენი.

<sup>28</sup> საერთაშორისო უურნალი „საქმიანი ადამიანები, 1990 წლის სექტემბერი, გვ. 73

ვი. უნივერსიტეტი ინგლისში – ესაა ადგილი, სადაც პროფესიონალის ასწავლის და იმავდროულად აწარმოებს კლვევებს, სტუდენტებს ასწავლის კვლევას და არამც ადამიანი, რომელიც მათ წინაშე წარსდგება მოსიარულე სახელმძღვანელოს რანგში. ჩვენს უნივერსიტეტებში თითქმის ალარ სარგებლობენ სახელმძღვანელოებით. ვინმეზე რომ თქვა, იგი სახელმძღვანელოს მიხედვით ასწავლის, ნიშნავს აწყენინო კოლეგას. ჩვენთან სტუდენტს ნებისმიერი საკითხის გამო გააგზავნიან ათობით წიგნთან და ამ წიგნებთან ტოვებენ მარტოკას. აუდიროტიაში სტუდენტები ატარებენ მხოლოდ დროის მეხუთედ წარილს, შედარებით საბჭოთა სტუდენტთან. ისინი ბიბლიოთეკებში მუშაობენ“.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტი, რომ მთელი პოსტსაბჭოთა სივრცე საბჭოთა აკადემიური მემკივდრეობის წაკლოვანებებიდან დღემდე ვერ გათავისუფლებულა.

ფრაგმენტში ამ სტატიიდან კარგად ჩანს, რომ დასავლური აკადემიური სივრცეებისთვის მნიშვნელოვანია სწავლების ლიბერალური მეთოდი და დამოუკიდებელი კვლევაძებისათვის საჭირო მდგრადი უნარჩვევების გამომუშავება. ანუ, იმთავითვე ადაპტირება კრიტიკული აზროვნების ელემენტარულ სტანდარტებთან, ანალიზისა და სინთეზის უნარის გამომუშავება.

ტოტალიტარიზმის პირობებში და არამხოლოდ, თვლის დანიელ ბელი, მეცნიერს დაუდგე ქომაგად, აპრიორი გამომდინარეობს სამეცნიერო ეთოსიდან. მას მოყავს ორი საგულისხმო მაგალითი, როცა მაღალი დონის პროფესიონალზე, მოთხოვნად მეცნიერზე ხორციელდებოდა პოლიტიკოსების, კერძოდ კი ხელისუფლების მხრიდან ზეწოლა და ეს ორი სახასიათო შემთხვევა აღებულია ამერიკის შეერთებული შტატების და საბჭოთა კავშირის რეალობიდან. დავიწყოთ საბჭოთა კავშირიდან, რადგან წარსულის ტრადიციიდან გამომდინარე იგი მეტნაკლებად უფროა ნაცნობი, ე.წ. ლისენკოს

საქმე, რომელიც „Times Literary Supplement“-ის მიმომხილვაში მეცნიერების ისტორიაში ყველაზე უჩვეულო ამბავად მოიხსენია. 1964 წლამდე, საბჭოთა გენეტიკაში, როგორც ამაზე ემოციურად წერს ბელი, ბატონობდა გაუნათლებელი, ნევროსტენული შარლატანი, ვინაც შეუზღუდავი დიქტატორული უფლებამოსილება მოიპოვა ბიოლოგიურ მეცნიერებასა და სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკაში. მისი მონდომებით სამუშაო ადგილი დაკარგა ასობით მეცნიერმა, ხოლო რაც შეხება სახელგანთქმულ რუს გენეტიკოსს, ნ.ი. ვავილოვს, მან საერთოდაც ერთ-ერთ სტალინისტურ გულაგში<sup>29</sup> დასრულა სიცოცხლე. უნივერსიტეტებში აკრძალეს გენეტიკის სწავლება, დაიკეტა ლაბორატორიები, ან უარესი, ისინი ლისენ्सოს თანამებრძოლებება დაისაკუთრეს და შედეგად ამ მიმართულებით სამეცნერო სამუშაოები შეჩერდა. ამ ამარზენი კამპანიის მიზეზი გახდა იდეოლოგიური კონცეფცია, რომელიც ცდილობდა თავს მოეხვია მტკიცებულება (დარგში, რომელიც ცნობილია ლამარკის ჰიპოთეზის სახით) თითქოს დროთაგანმავლობაში ინდივიდის მიერ შეძენილი უნარ-ჩვევები ძლიერია თავად მემკვიდრეობითობაზე და შედეგად გენეტიკური კოდიც კი შესაძლოა დეკონსტრუირებას დაექვემდებაროს. მენდელის თეორიები რასაც ქვია აკრძალეს. მოგეხსენებათ, რომ საბჭოეთში იდეოლოგი-

<sup>29</sup> სტალინისტური გულაგშის ყველაზე შთამბეჭდავი ქრონიკები ეკუთვნის ნობელის პრემიის ლაურეატს, დისიდენტს, ალექსანდრ სოლუენიცინს (1918-2008), რომელმაც ერთ დროს თავადვე იწვია გულაგის ტყვეობა და შემდგომ საკუთარი მტკიცნეული გამოცდილება გადაიტანა ფურცელზე რომანის სახით „არქიპელაგ გულაგი“. პროფესიულ ლიტერატურაში კი ფრანგი სოციოლოგი დომენიკ კოლა, „პოლიტიკური სოციოლოგიის“ ერთ-ერთ თავში დეტალურად აღნიერს საბჭოთა ცენზურის სისასტიკეს და იმ პირობებში შემოქმედი ხალხის, ინტელიგენციის გაუსაძლის ყოფას.

ური მანქანა აქტიურად იყო დაკავებული *homo novus*-ის<sup>30</sup> სახით ე.წ. *homo sovieticus*-ის<sup>31</sup> შექმნით და მსგავსი აბსურდის თეორიები მათ ხელს აძლევდათ.

ამერიკის შეერთებულ შტატებსაც ახსოვს მეცნიერის სამარცხვინო დევნა. ლაპარაკია ცნობილ ფიზიკოსზე, რ. ოპენგეიმერზე, რომელიც აქტიურად წლები ბირთვულ იარაღზე მუშაობდა. მე-20 საუკუნის 30-იანებში ხსენებული პერსონა საბჭოთა იდეების ტყვეობაში აღმოჩნდა, თუმცა მისი ინტერესი ინტელექტუალური სიმპატიის ფარგლებს არ გასცდენია. ამერიკულ სამეცნიერო წრეებში დიდი გულმუდგინებით შესაბამისი სამსახურების მხრიდან, ხდებოდა რ. ოპენგეიმერის პერსონის დემონიზაცია. აშშ უსაფრთხოების სამსახურმა 1954 წელს მოსმენაც კი გამართა რ. ოპენგეიმერის საქმესთან დაკავშირებით, თუმცა რაიმეგვარი დანაშაულებრივი ქმედების მტკიცებულებები მბრალდებელმა მხარემ ვერ წარმოადგინა.

სწავლულისთვის სასიკვდილო განაჩენის კლასიკური მაგალითია, ანტიკური ხანის უდიდესი მოაზროვნის<sup>32</sup>, სოკრატეს ამბავი. სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაციის ეგიდით 2020 წელს გამოცემულ საუნივერსიტეტო სწავლებისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოში, „დემოკრატია და მოქალაქეობა“, სოკრატეს ამბავი, ჩანართის სახით, არცთუშემთხვევითაა დამატებული ქვეთავში, სადაც „სამოქალაქო საზოგადოება“ მორიგ თემად განიხილება. სოკრატე თავის გამოსათხოვარ სიტყვაში ამბობს<sup>33</sup> „...არა, ათენელებო, არც

<sup>30</sup> ***homo novus*** (ლათ.), ანუ ახალი ადამიანი.

<sup>31</sup> ***homo sovieticus***, ანუ საბჭოთა ადამიანი.

<sup>32</sup> **სოკრატე** (470/69-399)

<sup>33</sup> გრიერ ბუროუსი, ზვიად აბაშიძე, ქეთევან მუხიგული, სალომე დუნდუა, თამარ ქარაია, დემოკრატია და მოქალაქეობა, საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი, 2020, გვ. 173-174

ისე ძნელია სიკვდილისაგან თავის დაღწევა; გაცილებით უფრო ძნელია, თავი დააღწიო სულიერ სიკვდილს: ის უფრო სწრაფად და უფრო მაღე ეწევა თავის საბრალო მსხვერპლს“. ავტორიტარული, ტოტალიტარული რეჟიმების პირობებში, ზოგადად სწავლულებს, წიგნებრი და მოაზროვნე ადამიანებს პირველ რიგში რომ სწორედ სულიერი სიკვდილი ემუქრებოდათ. იყო დარგები, რომელთაც განვითარების მინიმალური შანსიც კი არ ქონდათ, თუ რაიმე კამუფლიაჟს არ მიმართავდნენ. მაგალითად, საბჭოთა ბანაკის ქვეყნებში სოციოლოგიას ე.წ. ბურუუაზიული მეცნიერებების კრიტიკის ეგიდით თუ შეისწავლიდა უნივერსიტეტის ბაზაზე დაინტერესებული პირი. მხოლოდ მე-20 საუკუნის მიწურულს შეძლო პირადად პროფესორმა ედუარდ კოდუამ<sup>34</sup>, ისიც საკუთარი კოლოსალური ძალისხმევის ხარჯზე, ისეთი პროდუქტიული, ადრე აკრძალული ავტორების გამოცემა, როგორიც იყო მიხაკო წერეთელი, სერგი დანელია, არჩილ ჯორჯაძე, კონსტანტინე კაპანელი. ლაპარაკია საზოგადოებრივ მეცნიერებათათვის მეტად მნიშვენლოვან აკადემიურ შრომებზე, ისეთებზე, როგორიცაა მიხაკო წერეთლის მონოგრაფია „ერი და კაცობრიობა“, დღესაც კი შეუდარებლი თავისი სიღმით და ზოგადად სოციუმის სპეციფიკის კვალიფიციური ცოდნით.

დანიელ ბელი როდესაც მეცნიერთა ერთობლიობას ქარიზმატულობის ნიშნებს მიაწერს, ცდილობს თავდაპირველად გაგვარკვიოს, მეცნიერებთა ერთობლიობა, თუ ფერდი-

<sup>34</sup> ედუარდ კოდუა (1929-2002), ქართული სოციოლოგის ფუძემდებელი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, წლების მანძილზე სოციოლოგიის კათედრის გამგე, დარგში მთელი რიგი მონოგრაფიების ავტორი, რომელთაგან გამოყოფის ღირსია „სოციოლოგიის ისტორია“, „სოციოლოგიის შესავალი“, „კულტურის სოციოლოგია“.

ნანდ ტიონისიდან<sup>35</sup> აღებულ სოციოლოგიურ კატეგორიებს მოვიშველიებთ, ესაა Gemeinschaft, თუ Gesellschaft. Gemeinschaft, ანუ ერთობა, გულისხმობს პირველად ჯგუფს, გაერთიანებას პირადი კავშირების პრინციპით, რომელიც თვით-რეგულირებას ტრადიციისა და რწმენის ხარჯზე ახერხებს. ხოლო Gesellschaft, საზოგადოება, ესაა ბიუროკრატიული წესებით მოხელმძღვანელების მეორეული ორგანიზაციები, უპიროვნო, რისი მეოხებითაც მართვა/დაქვემდებარება თავისუფლების გარანტია. ბელის წარმოდგენით, სამეცნიერო სფერო ორივე კატეგორიის მახასიათებლებს შეიცავს.

ზემოთ ავლნიშნეთ, რომ ძველ საბერძნეთში, სწავლულებს, კერძოდ სოფისტებს განმანათლებლებად მიიჩნევდნენ. მიშელ ფუკოს, ფაქტიურად თანამედროვე ფრანგული სოციალური აზრის ყველაზე ნაყოფიერ წარმომადგენელს, ნარკვევში „რა არის განმანათლებლობა“<sup>36</sup> აქვს ასეთი ინტერპრეტაცია, რომელიც მისივე თქმით ისესხა შარლ ბოდლერისაგან. ლაპარაკია დენდიზმზე, მოვლენაზე, რომელიც უპირატესად წიგნიერი, მეცნიერი კაცის - იმისი ვინც განამათლებლობით არის დაკავებული - თვისებაა. ტექსტის ფრაგმენტი იწყება იმით, რომ მეცნიერი, წიგნიერი კაცი, განმანათლებელი, უნდა იყოს მოდერნული. ფუკო ამბობს, ბოდლერისათვის მოდერნულობა არაა უბრალოდ აწმყოსთან მიმართების ფორმა; ის, აგრეთვე, კავშირის სახეა, რომელიც უნდა დამყარდეს საკუთარ თავთან. მოდერნულობის ნებაყოფლობითი დამოკიდებულება უკავშირდება სავალდებულო ასკეტიზმს. იყო მოდერნული ნიშნავს არ მიიღო შენი თა-

<sup>35</sup> ფერდინანდ ტიონისი (1855-1936), გერმანელი სოციოლოგი და კრიმინოლოგი, პოლულარული გახდა მონოგრაფიით, „ერთობა და საზოგადოება; წმინდა სოციოლოგიის ძირითადი ცნებები“.

<sup>36</sup> იმანუელ კანტი/მიშელ ფუკო, რა არის განმანათლებლობა? ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2012.

ვი ისე, როგორც ხარ მომენტების მდინარებაში; შეხედო საკუთარ თავს, როგორც კომპლექსური და ძნელი დამუშავების ობიექტს: ეს ისაა, რასაც ბოდლერი უწოდებს, თავისი ეპოქის ლექსიკონის გამოყენებით, „დენდიზმს“. განამანათლებელები იმანუელ კანტის კლასიკური ფორმულირებით საკუთარი განსჯითი უნარების მოხმარებისკენ მოუწოდებდნენ მასებს; ურჩევდნენ მენტალურ/ფსიქოლოგიურ ყავარჯებზე უარის თქმას, რაც სწორედ იყო სარისკო საქმე და მხოლოდ მოწოდებით ასკეტს თუ გაუადვილდებოდა. ფაქტიურად აქ ლაპარაკია ეპოქებზე, სადაც აზროვნების წესი დოგმით ოპერირებაა. თუმცა დოგმისგან სრულიად თავისუფალი საზოგადოება, მხოლოდ უტოპიაშია მიღწევადი. ნებისმიერი განვითარებული საზოგადოება, ესაა ისევდაისევ სრულყოფის გზაზე მყოფი და არა სრულყოფილი. წინააღმდეგ შემთხევავში რეალური იქნებოდა ისტორიის დასასრული.

ცოდნა/ინფორმაცია პოსტმოდერნისტ ავტორებთან დღეს ტექსტებში მუდმივად არის კორელაციაში. ინფორმაციის შენახვის ტექნიკური საშუალებების გაჩენის და დახვენის შემდეგ შესაძლებელი გახდა დაგროვილი თეორიული ცოდნის, როგორც გამოცდილების გადაცემა. ეს პროცესი დაიწყო უკვე მაშინ, როცა გუტენბერგმა პირველი საბეჭდი პრესი ხელმისაწვდომი გახდა. დღეს თანამედროვე ტექნოლოგიების ერაში, როდესაც გაჯეტების, ე.ნ. ჭკვიანი ტექნოლოგიების გარეშე ჩვენი ყოველდღიურობა ძნელად წარმოსადგენია, ბუნებრივია რომ თეორიულ ცოდნასთან ერთად აუცილებელია ტერმინალთან მუშაობის უნარ-ჩვევების მუდმივი დახვენა. ციფრულ ველში იქმნება ინფორმაციის გლობალური ბანკები და ისინი ღიანი არიან საყოველთაო მოხმარებისათვის. ასეთ პირობებში შესაძლებელი ხდება სწავლების რეალური ფიზიკური გარემოდან – სასკოლო/საუნივერსიტეტო შენობიდან – ციფრულ დისტანციურ ველში გადა-

ტანა. 2020 წლიდან, რაც მსოფლიოს საკმაოდ არაორდინალურ, უჩვეულო ე.წ. კორონა-რეალობაში უწევს ყოფნა, სასწავლო პროცესი – იქნება ეს სასკოლო თუ საუნივერსიტეტო – სწორედ ვირტუალურ ველში მიმდინარეობს. ადრეც იყო მსგავსი პრაქტიკის ცალკეული შემთხვევა, მაგალითად როდესაც ფიზიკურად შეზღუდულ, გადაადგილების პრობლემის მქონე ან პენიტენციალურ, სასჯელალსრულებით დაწესებულებებში პატიმრობის ვადის გამო განთავსებულ პირთათვის უზდოდათ სწავლების მოქნილი პირობები და ზოგადად შესაძლებლობა შეეთავაზებინათ. ვირტუალურ ველში დისტანციური სწავლება დღეს უკვე საყოველთაოდ და კარგად აპრობირებული მეთოდია.

ბოლო დროის ყველაზე ტრენდული სოციალური მოძრაობა, რომლის გულის გული სწორედ აკადემიური წრეების წარმომადგენლებია, გახლავთ კონვივიალიზმი. კონვივილიზმის ამოსავალი პრინციპები დეკლარირებულია ე.წ. კონვივიალისტურ მანიფესტში, რომელიც უკვე ხელმეორედ, კორექტირებული სახითაც კი გამოიცა. გამოცემას ხელმძღვანელობს წარმატებული ფრანგი სოციოლოგი, ალენ კეიე<sup>37</sup>. კონვივიალისტურ მანიფესტს ასობით მეცნიერი, დარგის კორიფე, ინტელექტუალი, წარმატებული ადამიანი ხელოვნების სფეროდან, რელიგიური ადეფტებიც კი აწერენ ხელს. ალენ კეიეს თქმით, კონვივიალიზმი ესაა მშვიდობიანად თანაცხოვრების ახალი ხელოვნება, კრიტიკა ნეო-ლიბერალიზმისა და ზოგადად ყოველგვარი მომხვეჭველობის, ვერცხლისმოყვარების, პლანეტის ბუნებრივი რესურსების ბარბაროსული ძარცვის ფაქტების მხილება, სხვადასხვა რეგიონებში, ქვეყნებში, ქვეყნებს შიგნით სოციალური ჯგუფებისათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მოთხვნა. სოციო-

<sup>37</sup> **ალენ კეიე** – თანამედროვე სოციოლოგი; დასავლეთ პარიზის უნივერსიტეტისა დამსახურებული პროფესორი.

ლოგთა საერთაშორისო ასოციაცია – ISA – წელიწადში სამჯერ გამოსცემს პერიოდიკას, სახელწოდებით „გლობალური დიალოგი, რომელიც 17 ენაზე თარგმნილი, რეგულარულად იქტდება. სწორედ „გლობალური დიალოგის“ უახლეს გამოცემაში დაიბეჭდა ინტერვიუ ფრანგ სოციოლოგ ალენ კეის-თან. კეიემ ხსენებულ სტატიაში ამ ახალი, ერთგავრად რომანტიული შეფერილობისა და დონკიხოტობის ელემენტებით გაჯერებულ კონივივილიზმის მეხოტბე ინტელექტულების, სწავლულების, მისივე კოლეგების მოსაზრებები და ხედვები საკმაოდ კონსტრუქციულად ჩამოაყალიბა ხანგრძლივვადიან პერპექტივაში განერილი მსოფლიოს მაჯისცემის მეტად კე-თილშობილურად და გონივრულად შენარჩუნების თაობაზე.

როგორც ვხედავთ, მეცნიერები, წიგნიერი ადამიანები, და აქ არახალია რაიმე, მოღვაწეობენ არამხოლოდ ჩაკეტილ კაბინეტურ გარემოში, სადღაც რუს ლაბორატორიებში, არა-მედ ცდილობენ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაზეც, ტოლერანტობისა და მშვიდობიანი გარემოს შენარჩუნებაზე, მისი ხარისხის გაზრდაზე, ცდილობენ სწორედ რომ – დანიელ ბელის მანერით თუკი ვიტყვით – იყონ ქარიზმატული ერთობა არ გადაეჩვიონ განმანათლებლების საპატიო ვალდებულებას. ისინი ამბობენ, რიზომატული ტიპის საზოგადოება<sup>38</sup>, არის მომავლის საზოგადოება, ჰეტეროგენული და არა ჰომოგენური.

---

<sup>38</sup> რიზომა, რიზომატული ტიპის საზოგადოება – ფრანგი პოსტმოდერნისტების, ჟილ დელიოზისა და ფელიქს გუატარის მიერ შემუშავებული კონცეფციის საკვანძო ცნებები, რომელთა დეტალურ განხილვა-საც ქვემოთ, ცალკე ქვეთავში ვცდილობთ.

## 2. ევოლუციის თეორიის დეკონსტრუქცია

ევოლუციის თეორიის დეკონსტრუქციის მართებულობაზე ლაპარაკობს ბრიტანელი სოციოლოგი ენტონი გიდენსი. საკუთრივ დეკონსტრუქცია, ესაა ფრანგი პოსტმოდერნისტის, უკა დერიდას<sup>39</sup> მიერ საფუძვლიანად და-მუშავებული საკითხი და ვინემ გიდენსს, და ზოგადად ევოლუციის (ბილოგიური/სოციალური) თეორიას ჩავუღრმავდებოდეთ, დერიდასეული მნიშვნელობა ზემოხსენებული ტერმინისათვის განვმარტოთ. დერიდას და ზოგა-დად თანამედროვე ფრანგული აზრის ანთოლოგიის შემ-დგენელი გრეგ დიმიტრიადისი ჯორჯ კამბერლისთან ერ-თად, მონოგრაფიაში „თეორია განათლებისათვის“<sup>40</sup> მიუ-თითებენ, რომ დერიდასათვის დეკონსტრუქცია არის არა ნეგატიური ოპერაცია, რომლის მიზანიც ნგრევაა, არამედ გარკვეული დეტალური ანალიზი, რომლის მიზანია გაი-გოს, როგორ აიგო მთლიანობა, რათა აღადგინოს ის. დე-რიდასეული დეკონსტრუქციის ოპერაცია მიესადაგება ტექსტს და გრამატოლოგიის ჩარჩოებში რჩება, ხოლო ენ-ტონი გიდენსს ჭირდება ევოლუციის თეორიის დეკონ-სტრუქცია, რათა გაიაზროს, ბიოლოგიური/სოციალური სამყაროს ტრანფორმაციები რაიმე საზრისის მატარებელი თუა და ადაპტაცია მოქნილი სახეობებისა რამდენად უზ-რუნველყოფს პროგრესს, თუკი პროგრესი, როგორც გარ-

<sup>39</sup> უკა დერიდა (1930-2004) – ებრაული წარმოშობის ფრანგი მეცნიერი. მისი საკვლევი ინტერესის სპექტრში მოექცა ენის დინამიზმი, წე-რის ტიპი – ე.ნ. არქიწერა, გრამატოლოგია, დეკონსტრუქცია და ზო-გადად ცვალებადობა.

<sup>40</sup> გრეგ დიმიტრიადისი, ჯორჯ კამბერლესი, თეორია განათლებისათ-ვის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2010 წელი.

კვეული ლოგიკით ხანგრძლივი დროის მანძილზე თანმიმდევრულ ისტორიულ ხდომილებათა რიგში მსოფლიო პრაქტიკის სახით არსებობს, როგორც გაზომვადი პოზიტიური შედეგი.

ენტონი გიდენსის მონოგრაფიაში, სახელწოდებით, საზოგადოების წყობა, არის უშუალოდ ერთი ქვეთავი, რომელიც სოციალურ ცვლილებებს ეხება. აქ განხილული საკვანძო საკითხები, რომელთაც შეძლებისდაგვარად მოვიხილავთ, შემდეგია

- ✓ ევოლუციონიზმი და სოციალური თეორია
- ✓ ადაპტაცია
- ✓ ევოლუცია და ისტორია
- ✓ სოციალური ცვლილებების ანალიზი
- ✓ ცვლილებები და ძალაუფლება
- ✓ პარსონსი ევოლუციის თაობაზე

თავდაპირველად ნიმუშად ავიღოთ სოციალური თუ კულტურული ევოლუციონიზმის რამდენიმე სტანდარტული განმარტება.

პარსონსის აზრით ევოლუცია უპირატესად ცოცხალ სამყარომდე დაიყვანება. თუმცა სოციოლოგიური ანალიზი მოიცავს სოციალურ და კულტურულ მოვლენებს. ევოლუციასთან კორელაციაში მყოფი ცნებებია ცვალებადობა, შერჩევა, ადაპტაცია, დიფერენციაცია და ინტეგრაცია. სახეზეა, ამბობს სტიუარდ ჯულიანი, პერიოდულად განმეორებადი ფორმები, პროცესები, ფუნქციები. კულტურული ევოლუცია წარმოადგენს ისტორიული რეკონსტრუქციის განსაკუთრებულ ტიპს და იგი სპეციფიკური მეთოდოლოგიური მიდგომაა. ჯ. ხაკალის დაკვირვებით ევოლუციას შეძლებია – როგორც ბუნების ისევე სოციალურს – თავისი თავის, როგორც შეუქცევადი პროცესის

მხარდაჭერა; გადასხვაფერება საკუთარი რესურსებითვე; პროცესების წარმართვა საკუთარ წიაღში; დროში მიმართულების მიცემა; გამოწვევა ყველანაირი შესაძლო ორიგინალური სიახლის და მრავალფეროვნების წახალისება; რთული ორგანიზაციული ფორმების დანერგვა; ცოდნის განივთარება; გაცნობიერებული ინტელექტუალური მოღვაწეობის ნორმად ქცევა. ლესლი უაიტისეული დეფინიცია ასეთია, – არსებობს დროში ორგანიზებული თანმიმდევრულობა, რაც განაპირობებს ფორმების ერთი მეორიდან ამოზრდას. განვითარების საფეხურები მონაცვლეობენ, ასევე გადაიზრდებიან ერთმანეთში. ამ პროცესში დრო ისეთივე განუყოფელი და არსებითი ფაქტორია, როგორც ფორმაცვალება. ევოლუციური პროცესის დასახასიათებლად ლესლი უაიტი იყენებს ცვლადს, „განუმეორებელი“ და ამბობს რომ იგია ისტორიული, დიფუზიური, მდინარებაში მყოფი და ამიტომაც, შეუქცევადი. მათ შესასწავლად ორი მეთოდი – ნომოთეტიკური და იდეოგრაფიული – გვაქვს. ნომოთეტიკური მეთოდი ტიპურია ბუნებისმეტყველებისთვის. მისი ამოცანაა, მოვლენების განზოგადებით კანონების დადგენა. ნომოთეტიკური მეთოდი იგივე გენერალიზაციაა. იდეოგრაფიული მეთოდი ტიპურია პუმანიტარულ მეცნიერებებში. მისი ამოცანაა, ინდივიდუალურ მოვლენებში არსებითი მახასიათებლების აღწერა. იდეოგრაფიული მეთოდი იგივე ინვიდიდუალიზაციაა. ევოლუციის ყოველი მორიგი ფაზა რაიმე ადგილას და დროის რაღაც კონტინუუმში მიმდინარეობს, მაგრამ დრო და ადგილი პროცესთან მიმართებაში, მხოლოდ მეორეული ცვლადებია<sup>41</sup>. გადაჭმრელ როლს უაიტი ანიჭებს დრო-

<sup>41</sup> ის რომ დრო და ადგილი ევოლუციის კონკრეტული ფაზისთვის,

ში ორგანიზებულ ფორმათა თანმიმდევრულობას. მ. სალინზი ევოლუციის ორ მიმართულებაზე უთითებს. ადაპტაციური ტრანსფორმაციის მექანიზმები შობენ მრავალ-ფეროვნებას. არსებობის ახალი ფორმები უწინდელისაგან განსხავებულია. ევოლუცია პროგრესის წყაროა. მარტივი რთულსა და შესაბამისად აღმატებულში გადაიზრდება. ა.გ. ვამბობთ რომ სპეციფიკური ევოლუცია ზოგადისაგან განხსვავდება. სახეობის გენეზისი, წარმოშობის ხაზის ანალიზი გულისხმობს ფილოგენეტიკური<sup>42</sup> კლასიფიკაციის საჭიროებას.

ედუარდ კოდუა „სოციოლოგიის“ II ნაკვეთში<sup>43</sup> წერს, ახალი დროის ისტორიული ცვალებადობის თეორია, არის იგივე პროგრესის თეორია. ამ თეორიის წარმომადგენლები პროგრესს ხსნიან არამარტო ობიექტური ცვალებადობის ხასიათით, არამედ მისი სასურველობითაც, რადგან მას ვითომდა მოაქვს ბედნიერება და ჰუმანიზმი ადამიანებისათვის. თუმცალა, პროგრესი და წინსვლა ყოველთვის დაკავშირებულია სუბიექტის მიერ ობიექტის გააზრებას-თან, მის შეფასებასთან და არა თვით ობიექტის თვისებებ-თან; გარდა პროგრესისა, სოციალური ცვლილება შეიძლება კვალიფიცირდეს რეგრესად, სტაგნაციად, წრებ-

---

მხოლოდ მეორეული ცვლადია, არის ერთი-ერთი პოზიცია, თეორიული დაშვება და ვერ იქნება აყვანილი ფაქტის რანგში.

<sup>42</sup> ფილოგენეტიკა, ბიოლოგიური სისტემატიკის სფერო, რომელიც ცდილობს სახეობათა შორის ნათესაური კავშირის აღმოჩენას და უშვებს მათთვის საერთო წინაპრის არსებობის შესაძლებლობას. ფილოგენეტიკური სიტემატიკა აქტიურადაა დაკავებული სხვადასხვა გენეტიკური კოდების მახასიათებლების შესწავლით.

<sup>43</sup> ედუარდ კოდუა, სოციოლოგია, II ნაკვეთი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998.

რუნვად და აქაც, დაინტერესებული მხეითხველი მკვლე-ვარის სუბიექტური აზრის მარნუხებში ექცევა.

კონკრეტული ერი-სახელმწიფოს საზღვრებში იქნება ეს თუ მთელი მსოფლიოსი, ან კიდევ, ზოგადად ისტორიულ ჭრილში კაცობრიობაზე გავრცელდება, ერთია გარდაქმნების მიმართულება და შედეგი და მეორე ქცევის მომგებიანი წესი, რომელიც სახეობებმა, ინდივიდებმა ამდროს საჭიროა გაითავისონ. ქცევის ამ მომგებიან წესს გიდენსი ადაპტაციამდე დაიყვანს.

გარემოპირობებთან ადაპტირებით ფორმირდება კულტურის ტექნოლოგია, მისი სოციალური ფუნქციები, იდეოლოგიური შეფერილობა. „კულტურის თეორიაში“ ეთნიკური ჯგუფებისათვის აკაკი ყულიჯანიშვილმა ხალხთაშორისი კომუნიკაციების პირობებში სხვა კულტურებთან წარუმატებელი ადაპტაციის რამდენიმე იდეალურ-ტიპური მოდელი გამოყო.

- ✓ ნეოფიტი
- ✓ გარიყული
- ✓ ევნესი

სოციალური ცვლილებები ორი ფაქტორის ურთიერთმიმართებაში განხილვას მოითხოვს. ესენია, გარემო პირობები; სოციალური ჯგუფები და მათში ინტეგრირებული ინდივიდები. ზოგიერთი ავტორი, მაგალითად გერმანელი სოციოლოგი ნიკლას ლუმანი, თანამედროვე მაღალი სტანდარტის დემოკრატიის პირობებში რაციონალურ საწყისებზე დაფუძნებული პოლიტიკური ძალაუფლების მკვლევარი, სოციალური ჯგუფებისათვის გარემოს კომპონენტებში ფიზიკურ გარემოს, ბუნებას ანგარიშგასაწევად არცენი მიიჩნევს. ის იმდენადაა დაჯერებული საზოგადოების სისტემის უნივერსალური აუტოპოიეტური მახა-

სიათებლების თვითკმარობაში, რომ არათუ ფიზიკურ გა-  
რემოს, ბუნებას გამორიცხავს სოციოლოგიური ანალიზის  
სფეროდან, არამედ ცალკე აღებულ ინდივიდებსაც,  
გრძნობებით, ემოციებით და ცხოვრების გზაზე დაგროვი-  
ლი სპეციფიკური ადამიანური ისტორიებით. როგორც  
არასოდეს, 21-ე საუკუნეში ცალკეული ერი-სახელმწიფო-  
ების, მსოფლიო თანამეგობრობების წინაშე დღის წესრიგ-  
ში მტკიცნეულ საკითხად დგას გარემოს დაბინძურებით,  
პლანეტის რესურსების, სხვადასხვა სასარგებლო წიაღი-  
სეულის არამართებული და დაუსრულებელი ექსპლუატა-  
ციით გამოწვეული გლობალური ბუნებრივი კატაკლიზმე-  
ბი. ჩვენ წინარე თავში ვახსენეთ კანადელი ანთროპოლო-  
გი, ედუარდი კონი, რომელმაც შესაბამისი შეშფოთების  
ფონზე დაწერა აკადემიური ბესტელერი, „როგორ შეიგ-  
რძნობენ ტყეები“. რამდენიმე წელია, რაც შვედი ეკო-აქ-  
ტივისტი, სკოლის მოსწავლე გოგონა, გრეტა ტუნბერგი  
მსოფლიოს ყველა წამყვან ტელე-არხზე წარმოუდგენელი  
სიხშირით შუქდება, იბეჭდება მსოფლიოს ყველაზე კით-  
ხვად, მაღალრეიტინგიან მედიაპროვაიდერებში. მთელი ეს  
ვნებათაღელვა მოყვა ნათელი გოგონას უწყინარ ძალისმე-  
ვას, ყოველი სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილი პა-  
რასკევი ბუნების დაცვის საჭიროებაზე მცირე საჯარო  
განცხადებებისთვის დაეთმო საზოგადოებრივი თავშეყ-  
რის ადგილებსა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის შე-  
ნობების წინ. პლანეტის გადასარჩენად გაცდენილი პარას-  
კევი მთელი ევროპის მასშტაბით გრეტა ტუნბერგის თანა-  
ტოლებისათვის ლამის ღირსების საგნად იქცა. სხვადას-  
ხვა ქალაქებს გრაფიკიც კი დაუწესდათ. დანიშნულ ადგი-  
ლას, დროს ადგილობრივ ახალბედა ეკო-აქტივისტებს  
უერთდებოდა თავად ამ უჩვეულო სოციალური კამპანიის

ლიდერი და კეთდებოდა ერთობ ხმამაღალი განცხადებები. საბოლოო ჯამში ტუნბერგს აუდიენცია დაენიშნა თეთრ სახლში, ხოლო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მორიგ თავშეყრაზე ნათქვამი მისი ემოციური გამოსვლა პოლიტიკოსებში გარკვეული ბრალეულობის განცდის, დაფიქრებისა და უხერხულობის მიზეზი გახდა.

ადაპტაცია მარტივად რომ განმარტო გონივრული ქცევაა და გულისმხობს ხელთ არსებული სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რესურსების ყაირათიანად ხარჯვას, ეს ეხება როგორც სოციუმს, ისევე ცალკეულ ადამიანს. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან რესურსთა რიგს განეკუთვნება დრო, ინტელექტუალური უნარები. თუმცა არამარტო.

ადაპტაციას ხშირად მოქნილობამდე დაიყვანენ - უნარამდე სიტუაციის თავისებურებების რეალისტურად განჭვრეტისა. შესაბამისად ქცევის მეტნაკლებად სარგებლიანი მოდელის წაქეზებას მოუწოდებენ.

ინდივიდის დონეზე, თუკი ის მუდმივად საკუთარი თავის წინააღმდეგ დაიყოფა, იფლანგება ვიტალური რესურსები და შედეგი შეიძლება იყოს ფატალური. ასე ჩნდება სხვადასხვა ტიპის მავნე დამოკიდებულებები ნარკოტიკებზე, ალკოჰოლურ სასმელებზე, აზარტულ თამაშებზე ან რაიმე მსგავსი. სოციუმის პირობებში, ან უფრო გლობალური მასშტაბით, ვთქვათ ერის, კაცობრიობის, ასევე შეიძლება შინაგანობის გამოფიტვა, მორალური, ზნეობრივი დეგრადაცია. მსგავსი ნეგატიური მოვლენების ლოგიკური შედეგი იყო მეორე მსოფლიო ომი, ფაშისტური იდეოლოგია, პოლოკოსტი; 1917 წლის რუსული რევოლუცია და ბოლშევიკების მიერ თავსმოხვეული სოციალისტური ტოტალიტარული სისტემა, რომელმაც მსოფლიო პოლიტიკური რუკის სოლიდური ნაწილი მოიცვა და 70 წე-

ლი ბოგინებდა; ატომური, ბირთვული იარაღით მეგა-სახელმწიფოების აღჭურვა; ჰიროსიმასა და ნაგასაკის შემთხვევა; ჩერნობილის შემთხვევა; დღესდღეობით ცხელი კერები ავღანისტანში, სირიაში; ბავშვთა შიმშილი, ადამიანის უფლებების სასტიკი დარღვევა აფრიკის რიგ სახელმწიფოებში; მთელი მსოფლიოს მასშტაბით ტრანსნაციონალური დანაშაულებების უკონტროლო გავრცელება. ჩამონათვალი დიდია.

ფრანგი სოციოლოგის, ალენ კეიეს აზრით, წარმატებულ ადაპტაციასა და სოციალურ ცვლილებებს, ევოლუციას პროგრესის ხაზით ასევე აფერხებს მაინტეგრირებელი ღირებულებების არარსებობა; ეკონომიკური ფუნდამეტალიზმი, რომელსაც ზურგს უმაგრებს ნეო-ლიბერალიზმი; პლანეტის სასარგებლო წიაღისეულის განუწყვეტელი ექსპლუატაცია; ადამიანების შეპყრობილობა მომხვეჭველობით; ეგალიტარიზმის არასაკმარისი ნიშნული და პრივილეგირებულთა მცირე ჯგუფები. ალენ კეიემ და მისმა იდეურმა თანამოაზრებმა შემოგვთავაზეს გამოსავალის სახით ინტელექტუალური უტოპიის შეფერილობის მქონე აკადემიურ საწყისებზე ნასაზრდოვები სოციალური მოძრაობა კონვივიალიზმი, რომელსაც ერთ-ერთ მორიგქვეთავში დაწვრილებით განვიხილავთ.

რაც შეეხება ფუნქციონალიზმის პოზიციებიდან სოციალური ცვლილებების ანალიზს, რომელსაც მე პირადად უფრორე მართებულად და სუბიექტური შეფასებებისაგან დაცლილად მივიჩნევ, საინტერესოა ულრიხ ბეკის მიერ ფორმულირებული ნაშრომში „რისკის საზოგადოება – გზად ახალი მოდერნისაკენ“. ულრიხ ბეკი<sup>44</sup> გახლავთ

---

<sup>44</sup> ულრიხ ბეკი (1944-2015)

გერმანელი სოციოლოგი და პოლიტიკური ფილოსოფოსი, მიუნხენის უნივერსიტეტის და ლონდონის ეკონომიკური სკოლის პროფესორი. ე.ნ. რეფლექსიური მოდერნიზაციისა და რისკის საზოგადოების თეორიის ავტორი. გლობალიზაციის საკითხების აქტიური მკვლევარი. დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი უურნალისა Soziale Welt.<sup>45</sup>

1966 წლიდან მიუნხენის უნივერსიტეტში შეისწავლიდა სოციოლოგიას, ფილოსოფიას, ფსიქოლოგიას, პოლიტიკის მეცნიერებებს. ხოლო 1972 წელს კი მიიღო ფილოსფიაში დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. მეუღლე მისი, ფრაუ ელიზაბეტ ბეკ გერნშეიმი<sup>46</sup>, იყო თავადაც სოციოლოგი.

ულრიხ ბეკის ინტერესის საგანი თანამედროვე საზოგადოების ტრანსფორმირების ფონზე არის კლასობრივი უთანასწორობა, რომელიც მისი აზრით ცხოვრების დონის მატებასთან ერთად ქრება და გამოსჭვივის ყოველდიურობის ნიუნსებში, იქნება ეს არქიტექტურული დიზაინი, ჩაცმის სტილი, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ცხოვრების დაგეგმვარება თუ სხვა. თუმცა, ეს პროცესი გასაგები მიზეზების გამო პირველი, მეორე და მესამე მსოფლიოს ქვეყნებში, განსხვავებული ინტენსივობით მიმდინაროებს.

ამ პროცესის თანმდევია:

✓ ანაზღაურებადი შრომისაგან გამოთავისუფლებული მეტი დრო.

<sup>45</sup> დღეს უურნალ Soziale Welt რედაქტორი გახლავთ Eva Koehler, M.A. უურნალის ელექტორნული ფოსტის მისამართია soziale-welt@nomos.de

<sup>46</sup> ელიზაბეტ ბეკ გერნშეიმი (1946), გერმანელი სოციოლოგი, ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი; მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი. სამეცნიერო ხარისხი მიიღო 1973 წელს.

✓ ანაზღაურებადი შრომისაგან გამოთავისუფლებული დროის მატერიალური კუთხით კარგად უზრუნველყოფა.

✓ ანაზღაურებადი შრომისაგან თავისუფალ დროს ადამიანების პროდუქტიულობის შენარჩუნება და შესაძლოა უმჯობესი ხარისხითაც.

✓ მეტი ანაზღაურება.

✓ სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა მამაკაცებში დაახლოებით 10 წლით, ხოლო ქალებში 13 წლამდე.

ულრიხ ბეკი ამ ხუთი კომპონენტის კომპინაციიდან და არამარტო საუბრობს „ლიფტის ეფექტზე“. ცვლილება-თა განხილვადი შემთხვევის გენეზისს გერმანიის მაგალითზე აგებს, მოყოლებული კაიზერისეული პერიოდიდან, ვაიმარის რესპუბლიკის ჩათვლით ფედერაციულ გერმანიამდე, რომელმაც თანამედროვე გერმანიას მისცა სახე.

ულრიხ ბეკის აზრით, ცხოვრების დონის ზრდა სქესთა შორის ურიერთობებზეც კი აისახება და ე.წ. პატრიარქალური საზოგადოებისთვის მახასიათებელი სქესთა შორის მიმართების ჭრილში სტერეოტიპები ჩამოიშლება.

ზემოხსენებული „ლიფტის ეფექტის“ წყალობით დროდადრო, ამბობს ბეკი, შესაძლებელი ხდება „ნახტომები ისტორიაში“, რაც გვაძლევს სრულიად ახალ რეალობას, და პირველ რიგში ახალს ხარისხობრივად.

სოციალური ევოლუციის ზოგიერთი თეორეტიკოსი ამტკიცებდა, რომ ისტორიას აქვს საზრისი. ანუ მიმდინარე ცვლილებები ცალკეული ერი-სახელმწიფოების პოლიტიკურ ცხოვრებაში და მსოფლიოს მასშტაბით ასევე, არის გასაზღვრული – დავუშვათ ჰეგელის ტერმინს თუ მოვიშველიებთ – „აბსოლუტური გონით“. გეორგ ჰეგელი, მო-

გეხსენებათ რომ იყო ევროპაცენტრისტული მიდგომების ფუძემდებელი და საკუთარივე პოზიციიდან ამოსვლით ამტკიცებდა, თითქოს ე.წ. აბსოლუტური გონი, როგორც ისტორიულ მოვლენათა და ხდომილებათა კატალიზატორი, თავს ევროპული სახელმწიფოების მეშვეობით ავლენდა. ჰეგელი ფიქრობდა, რომ ისტორია, ესაა კაცობრიობის მოძრაობა ერთ გზაზე - თავისუფლების თანდათან გაცნობიერების გზაზე. თავისუფლების უკვე სრული გაცნობიერება კი მისაღწევს ხდიდა პროგრესს. ოსვალდ შპენგლერი, როგორც ამას ძალზე საინტერესოდ აღნიერს ქართველი ლვანწლმოსილი ფილოსოფოსი, ანთროპოლოგი თამაზ ბუაჩიძე<sup>47</sup>, ამგვარი გაგების წინააღმდეგი იყო. მონოგრაფიაში „ევროპის დაისი“ ვკითხულობთ, კაცობრიობას არა აქვს არავითარი მიზანი, არავითარი იდეა, არავითარი გეგმა ისევე როგორც არა აქვს მიზანი პეპლებისა და ორქიდების სახეებს. კაცობრიობის ისტორია, როგორც მთლიანობა, უწყვეტობა, ერთმანეთთან შინაგანად დაკავშირებულ საფეხურთა მონაცვლეობა შპენგლერისათვის არ არსებობს. და ეს იმიტომ, რომ არ არსებობს კაცობრიობა, როგორც ისტორიის ერთი სუბიექტი, ერთი გმირი, ერთი სუბსტანცია. კაცობრიობა ცარიელი სიტყვაა, წერს შპენგლერი. სხვათა შორის მიხაკო წერეთელი „ერსა და კაცობრიობაში“ ზედმინევნით იგივეს ამტკიცებს. მიხაკო წერეთელი კაცობრიობას განსაზღვარეს, როგორც „ფიქციას“, ხოლო ერს კი როგორც „ცოცხალ ორგანიზმს“ და როდესაც ხალხთაშორისი ურთიერთობების ჭრილში ერე-

<sup>47</sup> **თამაზ ბუაჩიძე**, თანამედროვე დასავლური ფილოსოფიის სათავე-ებთან, გამომცემლობა Carpe Diem, 2013 წელი. რედაქტორი, ანდრო ბუაჩიძე. თავი მეორე, ქვეთავი 5. ისტორიის ტრადიციული გაგების კრიტიკა.

ბისაგან მოითხოვენ კაცობრიობის წინაშე მათი მისის, სარგებლიანობის დასაბუთებას, საკუთარი პრიორიტეტულობის დემონსტრირებას, მსგავი ინიციატივები მხოლოდ ბოროტებად თუ შეირაცხება. ერი ვინაიდან ცოცხალი ორგანიზმია, ფიქციის, ანუ კაცობრიობის სამსხვერპლოზე არ უნდა მოიტანონ, – ხმამაღლი იყო წერეთელი. სომერ-სტეტ მოემი ლიტერატურული ნაწარმოებების გარდა კრიტიკულ წერილებსაც წერდა. ეს მწერალთა შორის გავრცელებული მანერაა. ასე აკეთებდა ანრე მორუა, უილიამ ფოლკნერი და მათი ლირებულებითი შეფერილობის მქონე შეხედულებები იყო მკითხველისთვის მუდამ საინტერესო. მწერალი, თუკი აქვს მსგავსი დონის აღიარება, ცხადია მიეკუთვნება უკვე საზოგადო მოღვაწეთა რიცხვს და მისი აზრი უკვე გარკვეული ფსონია. სომერსეტ მოემი მხარს უჭერდა მსოფლიოს ხალხთა შორის ჰეტეროგენულობის შენარჩუნებას. მოემი ე.წ. მსოფლიოს რიზომატიკულ სურათს ადარებდა სპარსულ ხალიჩას, სადაც ხიბლი და ლირებულება, სწორედ მარავალფეროვნებასა და სიჭრელეშია. ისტორია, შპენგლერის თანახმად, ცხადყოფს, რომ არსებობს არა კაცობრიობა, როგორც ერთი მთლიანობა, არამედ არსებობენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, თავის თავში ჩაკეტილი კულტურები; არსებობს თავის თავის თავში დახშულ კულტურათა სიმრავლე და არა ერთი უწყვეტი ძაფი კაცობრიობის მოძრაობისა. კულტურა ცხადია არ მყოფობს ცარიელ ადგილზე. ცალკეული კულტურის მატარებელი და გამტარებელი ასევე არის ხალხი, თუკი იგი მომწიფდა პოლიტიკური ერთეულის, სახელმწიფოს დონემდე, მაშინ უკვე ერი.

ისტორიის მამოძრავებელ ძალას რაც შეეხება, თანახმად ისტორიული მატერიალიზმისა, რომლის უკანაც

კარლ მარქსის გავლენიანი ფიგურა დგას, არის კლასთა შორის ბრძოლა. კლასთა შორის ბრძოლა ჰეგემონიისათვის ბრძოლამდე დაიყვანება და ის არაა მხოლოდ პოლიტიკური ძალაუფლების ჩარჩოებით შემოსაზღვრული. რესურსის რამდენიმე ტიპი არსებობს, რომელთა გამო ჩნდება სოციუმში დაპირისპირება და ვნებათაღელვა. ისინი პრივილეგიის საგანს შეადგენენ. ისტორიული მატერიალიზმის პარადიგმები ენტონი გიდენსს საეჭვოდ მიუჩნევია, თუმცა ნაშრომში „საზოგადოების მოწყობა“ ქვეთავში, რომელიც ეხებოდა სოციალურ ცვლილებებს, გიდენსი ზემოხსენებულ რესურსებს დეტალურად განერს.

გიდენსის თანახმად არსებობს ორი ტიპის რესურსი, ესენია, ალოკაციური და ავტორიტეტული.

ალოკაციური რესურსების კვალიფიცირება სამ რიგად არის შესაძლებელი. ჩამოვთვალოთ ისინი. პირველ ყოვლისა გარემოს მატერიალური თავისებურებები. დავუშვათ, ნედლეული, კვების მატერიალური წყაროები; მატერიალური წარმოებისა და კვლავწარმოების ერთეულები. აქ კონკრეტულად იგულისხმება წარმოების საშუალებები და ტექნოლოგიები, რასთანაც მიმართებაში ცდილობდა თავის დროზე კარლ მარქსი სოციალური კლასების განსაზღვრებას და ყოფდა ამ უკანასკნელთ წარმოების საშუალებებზე მონოპოლიის მქონედ და წარმოების საშუალებების – გარკვეული ანაზღაურების ხარჯზე - უბრალოდ ექსპლუატაციაზე დაშვებულებად; მესამე სახეს-ხვაობა ალოკაციური რესურსებისა არის საწარმო საქონლები, არტეფაქტები და ისინი შექმნილი არიან პირველი და მეორე პუნქტების ურთიერთქმედების მეშვეობით.

ავტორიტარული რესურსები ასევე სამი გვარისაა. აქ ჩამონათვალი იწყება სოციალური სივრცის, დროის ორგა-

ნიზაციით. ანუ, სივრცით-დროითი წესრიგი, გზებისა და ზონების განაწესი; შემდეგია, ერთობათა შიგნით ადამიანების ურთიერთობების ორგანიზაცია, ანუ, სხეულთა წარმოება/კვლავწარმოება. სავარაუდოდ ტონი გიდენსი სხეულში აქ მოიაზრებს არა ადამიანის ანატომიურ სხეულს, არამედ მის ჰაბიტუსს, რომელიც არის სიმბიოზი მისეული მრავალფეროვანი სოციალური როლებისა და დომინანტი სოციალური სტატუსის, მის მიერ ცხოვრების გზაზე დაგროვილი თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ნაკრები, მისი სიმბოლური, სახელდობრ სოციალური კაპიტალი ნდობისა და ავტორიტეტის სახით; ბოლო ერთეულია ორგანიზაცია სასიცოცხლო შანსებისა. თვითგანვითარებაზე და თვითგამოხატვაზე შანსების განაწილება. თვითგამოხატვა, თვითპრეზენტაცია, რომელზეც ირვინ გოფმანი გვესაუბრება ამაზე სახელწოდების ნაშრომში, მნიშვნელოვანად სხვაა. გიდენსთან იგულისხმება ის ფანჯარა, რომელიც სისტემამ ჩვენსა და არსებულ სოციალურ რეალობას შორის დატოვა. ამ ფანჯრის რადიუსით შემოიფარგლება ჩვენი თავისუფლება თვითგამოხტავისა. ცხადია, დისტანციის ეს ველი მოცულობითია მაღალი დემოკრატიის ქვეყნებში, ე.წ. ღია საზოგადოებებში, ხოლო ავტორიტარიზმის პირობებში შეზღუდული და ვიწრო. შესაძლოა აქ ადამიანს თვითგამოხატვისას თავის თავში სიყალბის, მლიქვნელობის გამოზრდა დასჭირდეს და ეს ყველაზე მტკიცნეული ეკსისტენციალური კრიზისია, რაზეც პასუხისმგებლობა სისტემას და მის ზურგს უკან მდგარ პირებს ეკისრებათ, ანუ სისტემის იდეოლოგებს.

ზოგიერთი მკვლევარი, მაგალითად ამერიკელი სოციოლოგი როუზი, სოციალურ ცვლილებებს დაიყვანს ღირებულებათა გაგებაში მოდიფიკაციებზე, რომელთაც

მისდევს საზოგადოება ან ძირითადი ჯგუფები საზოგადო-ებაში. არის ასეთი წიგნი; აკადემიური ნაშრომი; ავტორი ჯორჯ სოროსი. იგი მე-20 საუკუნის მიწურულს დაიბეჭდა მსოფლიოში 80/90 იან წლებში მიმდინარე მოვლენების, კერძოდ საბჭოთა კავშირში და ზოგადად სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში მომხდარი ცვლილებების გასააზრებ-ლად. წიგნს ქვია, „საბჭოთა სისტემა ღია საზოგადოებისა-კენ“, სადაც შედარებითი ანალიზის საგანია როუზის მიერ ნახსენები ლირებულებათა მოდიფიკაციები, რაც საბო-ლოო ჯამში დაიყვანება აზროვნების ტიპზე. აზროვნების ტიპი კი შეიძლება იყოს დოგმატური, ნასაზრდოვები ამა-თუმ შეფერილობის იდეოლოგით, ან კრიტიკული, ნე-ბისმიერი ტიპის იდეოლოგიისაგან თავისუფალი და შესაბა-მისად ჯანსაღი. სოციალური ცვლილებების ფონზე რისკი ერისა თუ კაცობრიობისათვის მოდის არა ბუნებრივი კა-ტაკლიზმებიდან, ფიზიკურ-მატერიალური გარემოდან, არამედ სწორედ ლირებულებათა მოდიფიკაციის საბო-ლოო შემცველობიდან, მაინტეგრირებელი ლირებულებე-ბის სიმწირიდან, რასაც ბუნებრივია შეუძლია შვას სხვათა გვერდით ბუნებრივი კატაკლიზმები, ფიზიკურ-მატერია-ლური გარემოსათვის სერიოზული საშიშროება. როცა საქმე ეხება ადამიანს, საზოგადოებას, აქ ყველაფერი არის ერთმანეთთან კორელაციაში და სწორედ ამ კორელაციის გულის გულის ამოცნობას და გაზომვას ვცდილობთ მეტ-ნაკლებად ზუსტ მახასითებლებში სოციოლოგები.

### **3. თანამედროვე საზოგადოება - მოდელი, აქტუალური პრობლემები, რისკები**

კლასიკური სოციოლოგიის სახელმძღვანელოებში, თუ-კი თავდაპირველად ცდილობენ საზოგადოების ცნების დე-ფინიციას, ამ სოციალური მთელის დეკონსტრუქციას ახორ-ციელებენ სისტემური ან სტრატიფიკაციული მოწყობის წე-სის აღწერით. საზოგადოების ინტერპრეტაციის სრულიად სხვა მანერას ამჟღავნებს სახელდობრ ორი მკვლევარი, ნიკ-ლას ლუმანი და ნორბერტ ელიასი. ნიკლას ლუმანის აზრით, საზოგადოება არის ის, რაც დიფერენცირდება კომუნიკაცი-ებად, იქნება ეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ რაიმე სხვა ჯრილში. ლუმანი ცალკე აღებულ ინდივიდს ერთგვარად აკ-ნინებს, როცა მას სისტემისაგან სრულიად დეტერმინებუ-ლად წარმოაჩენს. ნორბერტ ელიასი, მონოგრაფიაში „ინდი-ვიდების საზოგადოება“, საზოგადოებას დაიყვანს მიმართე-ბათა რიგზე „მე და ჩვენ“ მიმართებაში „მე და ჩვენ“ გვეძლე-ვა სწორედ სისტემის რაობა და სპეციფიკა. ადამიანები სა-ზოგადოებაში, წერს ელიასი, არიან ურთიერთგაპირობებუ-ლი და მხოლოდ შემდეგ, სისტემით დეტერმინებული. რა იგულისხმება აქ? სოციოლოგიაში არის ასეთი თემა, „სოცია-ლიზაცია“ და ქვესაკითხი, „ცხოვრების გზა“. ცხოვრების გზა პერიოდულ რესოციალიზაციათა სასრულონ ნაკრები, ლოგი-კური შედეგია და მას ყოფით სიტყვათხმარებაში ბიოგრაფი-ად მოვიხსენიებთ. ერთგვარი ტირე დაბადებისა და გარდაც-ვალების თარიღს შორის. სოციოლოგიის მონათესავე დარგი, ფსიქოლოგია სწორედ რომ ამ ფაქტს ურღმავდება და ინდი-ვიდის პროფილის, ფსიქო-ტიპის დასასწავლად ცდილობს სწორედ მისი ბიოგრაფიის მანძილზე მასთან პერიმეტრში მენ-ნაკლებად ახლოს მყოფი პირების ნაკვალევი მოიძიოს, იქნება ეს პოზიტიური სტიმულისა თუ რაიმეგვარი ტრამვის სახით. ჩარლ ჰორტონ კულს აქვს ე.წ. „სარკისებრი მეს“ თე-

ორია. „სხვა“ უან პოლ სარტრთან კვალიფიცირდება ჯოჯო-სეთად, მაგრამ ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში „სხვა“ ეს არის სარკე ჩვენი ცნობიერებისა, რომელიც გვეხმარება თვითრეფლექსიაში და შესაბამისად ადრეული ასაკიდანვე ინდივიდუალურ დონეზე „მე სუბიექტის“ „მე ობიექტისაგან“ გამიჯნვაში. ძალიან მარტივია ფორმულირება, „მე საკუთ-რივ (ჩემთვის)“, „მე თავისთავად“, ორივე ადმაიანთაშორისი მიმართებების პროდუქტია.

ნორბერტ ელიასთან, თუ როგორ არის „მეს“ „ჩვენში“ გადასვლის პროცესი წარმოდგენილი – პროცესი, რომლის გარეშეც შეუძლებელია სოციალური მთელისა და საზოგა-დოების ხანიერებაში შენარჩუნება – დაეთმობა მოცემული ქვეთავის სატიტულო ნაწილი.

ნორბერტ ელიასი თავისი გახმაურებული მონოგრაფი-ის<sup>48</sup> პირველსავე თავში წერს, საზოგადოება ეს ვართ ჩვენ ყველანი, საზოგადოება ესაა ერთად ბევრი ადამიანი. თუმცა ადამიანთა ერთობლიობა არის ჩინეთი, ინდოეთი, სხვადას-ხვა ისტორიული საზოგადოებები, მაგრამ ყველა ამათში გან-სხვავება მეტია, ვიდრე მსგავსება. ერთობლივი ცხოვრების ერთი ფორმიდან მეორეში გადასვლას საზოგადოების არ-ცერთი წევრი წინასწარ არ გეგმავს. შეუძლებელია დადას-ტურება იმისა, რომ კონკრეტულმა ადამიანებმა XVI-XVII საუკუნებში შეგნებულად, გეგმაზომიერად შექმნეს ჩვენი თანამედროვე ინდუსტრიალური საზოგადოება. ადამიანები ერთიან სოციალურ მთელში დიფერენცირდებიან სურვილე-ბისა და შესაბამისი მოღვაწეობის სფეროს მრავალგვარო-ბით. ისტორიულ და სოციალურ მეცნიერებთა ზოგიერთი წარმომადგენელი, კონკრეტულად კი სოციალური ფსიქო-ლოგები, სოციალურ მთელს მიაწერენ ერთგვარ *anima collectiva* ან კიდევ *group mind* და მიღრეკილი არიან სოციო-

<sup>48</sup> ელიასი ნორბერტ, 2001:14

ფსიქოლოგიური მოვლენები განიხილონ როგორც ჯამი, ან-და საშუალო არითმეტიკული მრავალი ცალკეული ადამიანის ფსიქოლოგიური გამოვლინების.

საზოგადოებაში ინდივიდუალური და სოციალური ერ-თიანობაში მოგვეცემა. თუკი სოციალურ მთელს კონფლიქ-ტი და დაძაბულობა განმსჭვალავს, ცხადია ეს საზოგადოე-ბის სტრუქტურულ ელემენტებს ერთი მეორის მიყოლებით მწყობრიდან გამოიყვანს. ინდივიდები თავისებური სურვი-ლის მანქანებია. მთელი შეგნებული ცხოვრება, ადამიანი სხვადასხვა სიტუაციური სურვილის დაკმაყოფილებაზე იხარჯება. ერთგვარი მოშურნე სული, თიმოსი<sup>49</sup>, მისი გამოვ-ლინების ფორმა იზოთიმიისა და მეგალოთიმიის სახით, გა-საზღვრავს ინდივიდუალური სურვილების ხასიათს. იმანუ-ელ კანტი წერდა, რომ ადამიანი არის მიზანი და აგრეთვე სა-შუალება. ვისთვის? ცხადია ადამიანისთვისვე. სხვადასხვა სოციალური სტრუქტურა, ოფიციალური უწყებებები, ნორ-მატიულ კანონთა კრებული ჩვენი ჩანაფიქრების მისაღები, ცივილური ფორმით განხორციელებაში გვეხმარება. ადამია-ნი, სხვა (სხვები) ასევე არის (არიან) ჩვენი სურვილების რეა-ლიზაციისაკენ მიმავალი ხიდი. ეს არ გულისხმობს ვინმესად-მი მომხმარებლურ ინტერესს. ერთი პირი მეორისათვის სა-სურველი A პუნქტიტად B პუნქტამდე როცა მიმავალი ხი-დია, თითოეულის ასე ვთქვათ ვირტუალურ ანგარიშზე, რა-საც ფრომალურად შეგვიძლია დავარქვათ რეპუტაცია, გროვდება სოციალური კაპიტალი.

როდესაც კორელაციაში განიხილება ინდივიდი/საზო-გადოება სოციალურ მეცნიერთა აზრი ორად იყოფა. ყოველ შემთხვევაში – ასე იყო – ადრეულ ეპოქაში.

<sup>49</sup> თიმოსი (იზოთიმია/მეგალოთიმია). ეს ცნებები კარგად და ახლებუ-რადაა განმარტებული ფრენსის ფუკუმას მიერ „ისტორიის დასას-რულსა და უკანასკნელ ადამიანში“.

✓ საზოგადოება, ესაა სასრულო მიზანი. ხოლო ინდივიდი, მხოლოდ საშუალება.

✓ ინდივიდი, ესაა საბოლოო მიზანი. ხოლო ინდივიდების გაერთიანება საზოგადოებაში, მხოლოდ საშუალება მათი კეთილდღეობის მისალწევად.

სოციალიზაციის პროცესის ელემენტარული ნიუანსების მცოდნემ ზოგადად იცის, რომ ადამიანს ადეტერმინებს მისი წინარე თაობა, როცა მზა პროდუქტის სახით ენისა და დომინანტი კულტურის, ქცევის ელემენარული წესების დასწავლაში ეხმარება. ავილოთ ქალაქის ხალხმრავალი ქუჩა. ადამიანები ბრბოში ერთმანეთისთვის სრულიად უცხო და არავინ არიან. თუმცა, თითოეული ქალაქის ცხოვრებაში, მა-ჯისცემაში მონაწილეობს. სადღაც მათ განსაზღვრული ფუნქციები ეკისრებათ, აქვთ გარკვეული ქონება, სამუშაო. მავანი უნივერსამის კონსულტანტია, მავანი ბანკის მოსამსახურე, სხვა დამლაგებელი, მაღალი წრის ქალბატონი, რანტიე, პოლიციელი, მეეზოვე, უძრავი ქონების აგენტი, სპეცულანტი თუნდაც, ჯიბის წვრილმანი ქურდი, უბრალოდ გოგონა, ლამაზმანი, რომლის იდენტიფიკაცია სოციალურ სტურქტურაში ჩართულობის ხარჯზე ძნელია, თუმცა თავისი მოხდენილობით თვალს ჭრის გამვლელს, ფასიანი ქალალდით მოვაჭრე, დურგალი, დიდი ქიმიური კონცერნის დირექტორი და შეიძლება სულაც უმუშევარი. დაკისრებული სოციალური როლისა და სტატუსის ხარჯზე მათ აქვთ შემოსავლის წყარო, დღის, კვირის რუტინული განაწესი, მოვალეობები, ცხოვრების თავისებური სტილი, პრიორიტეტები, პობი, გატაცებები, გნებავთ ხუშტურები და უცნაურობა, პირადი კავშირები. საკუთარი ტყავიდან ისინი ცხადია ვერ ამოხტებიან და ვერ გარდაიქმნებიან სურვილის შემთხვევაში სხვად. პოლიციელი უძრავი ქონების აგენტი ვერ გახდება, ისევ როგორც მეეზოვე, რანტიე. ბავშვობის გასაყართან ყველა არის ერთგვარ გზაჯვარედინზე. გზა არანაირად წინასწარ მოცე-

მული არაა. შენ დგამ ნაბიჯს, ამ ნაბიჯებს გარკვეული მი-  
მართულებით თანმიმდევრული ხასიათი ეძლევა და ასე კონ-  
სტურირდება ის, რასაც ინდივიდალური ისტორია, ცხოვრე-  
ბის გზა ქვია, რომელსაც მოაქვს ეს ფიქსირებული ფუნცია  
და სოციალურ მთელში ჩვენი ადგილი. ნორბერტ ელიასის  
თქმით საზოგადოებაში ადამიანთა შორის არსებობს განსაზ-  
ღვრული სტრუქტურის მქონე ფუნქციონალური ურთიერ-  
თკავშირი. თითოეულ ადამიანს, რომელიც ქალაქის ბრძოში  
მოძრაობს, სადღაც ყავს ნაცნობი, ახლო მეგობარი, მტერი,  
ოჯახი, ნაცნობების წრე; შესაძლოა მავანი მარტოსული იყოს  
და ცხოვრობდეს დაკარგულ, გარდაცვლილ ახლობლებზე  
მოგონებებით. სრულ იზოლაციაში სოციუმში არავინაა. უკი-  
დურეს შემთხვევაში პიპოთეტურადაც კი შეიძლება კავში-  
რის ფორმა განხორციელდეს და ამ დროს მაგალითად  
ღრმადმორწმუნე, თეისტი, ნებისმიერ ადამიანს განიხილავ-  
დეს მოძმის რანგში და-ძმად, რადგან მას ასე ავალდებულებს  
აღმსარებლობა, უფალი. სოციალურ მეცნიერთა შორის არის  
განსჯის საგანი, რელიგიური რწმენა, ესაა სოციალური მოვ-  
ლენა და საზოგადოების უშუალო პროდუქტი, თუ ადამიანის  
შინაგანი მოთხოვნილება, მისი რაობის განუყოფელი ნანილი,  
საზოგადოებამდელი მოცემულობა. ნებისმიერ შემთხვევაში  
რელიგიის სოციალური ფუნქცია ფაქტია და თავისი ზეგავ-  
ლენით კვალიფიცირდება, როგორც პოზიტიური. ნეილ  
სმელზერი კრებულში „სოციოლოგია“ წერდა, რელიგია არის  
განკუთვნილი საგანგებო ვითარებებისთვის, რაც შესაძლოა  
მორწმუნის გადასახედიდან იყოს სამწუხარო მოცემულობა,  
მაგრამ ფსიქოლოგისათვის მხოლოდ დადებითი. საგანგებო  
ვითარებაში რელიგიას შეუძლია პიროვნული დეზინტეგრა-  
ციის პირას მყოფი ადამიანის რეაბილიტაცია. სხვადასხვა  
ქვეყნებში არაერთი სოციოლოგიური კვლევის შედეგი მოწ-  
მობს, რომ მრევლის წევრობას, ანუ, ზოგადად რელიგიური  
ერთობისადმი ცხად მიკუთვნებულობას, რელიგიურ რიტუა-

ლებში, საიდუმლოებებში მონაწილეობას, ადამიანისთვის მოქვეს მეტად პოზიტიური მუხტი. ზოგი მკევლავარი იმასაც კი ამტკიცებს, რომ მრევლის წევრები გაცილებით დიდხანს ცოცხლობენ, ჯანმრთელობის პორბლემებს ნაკლებად უჩივიან. რელიგიურ ერთობაში ჯგუფური ლოიალობა სენსიტიურად და მძლავრად განიცდება. საზრისის დაკარგვა, რაც პიროვნულ დონეზე ანომიას<sup>50</sup> იწვევს, რწმენის მაღალი ხარისხის ფონზე ფაქტურად გამორიცხულია. როდესაც კარლ მარქსი გაუცხოების ტიპებში პოლიტიკურისა და შრომითი გაუცხოების გვერდით ასახელებდა რელიგიურ გაუცხოებას და მეტიც, ამ უკანასკნელს ხალხთა ოპიუმის რანგში აიყვანდა, მხედველობიდან რჩებოდა მისი მარეაბილიტირებელი ფუნქცია და ფსიქოანალიტიკოსის გადასახედიდან გაუცხოების მსგავსი კონსტატაცია იყო უმნიფარი. ეპოქის შეინარჩუნების რელიგია პოლიტიკის სამსახურში იდგა, ანდა პირუკუ, პოლიტიკა რელიგიის სამსახურში, ვთქვათ შუასაუკენეების ევროპის დარად, მარქსის გულისწყრომას გაითვალისწინებდა, მაგრამ დღეს, თანამედროვე ეგალიტარულ საზოგადოებაში, როცა რელიგია სრულიად გამიჯნულია პოლიტიკური ველისაგან, ისკიარადა ეკისრება ფუნქცია ადამიანთა შორის ძმობის, ტოლერანტობის, მშვიდობიანი ატმოსფეროს მხარდაჭერის, მეცნიერის მხრიდან მსგავსი კატეგორიული განაცხადები შეიძლება კვალიფიცირდეს, როგორც ცალკეულ აღმსარებელთა რელიგიური უფლებების და აქედან გამომდინარე ლირსების შელახვა. თანამედროვე მსოფლიომი რელიგური გრძნობების ერთგვარ რენესანსზე მოასწავებს გერმანიაში, კერძოდ ბერლინში წამოწყებული ნოვატორული პროექტი, რომელიც პირველად მედიაპროვაიდერმა Deutsche Welle – მ დაანონსა. ქალაქის ცენტრში, თვალსა-

<sup>50</sup> ანომია, ტერმინი, რომელიც პირველად იხმარა ფრანგმა სოციო-ლოგმა, ემილ დიურკემმა, ნაშრომში, თვითმკვლელობა.

ჩინო ადგილას გადაწყვიტეს გვერდიგვერდ აეგოთ ეკლესია, მეჩეთი, სინაგოგა. თავისებური ჟესტი, ხაზგასმა რელიგიის ფუნქციისა, რაც დაიყვანება მშვიდობასა და ძმობაზე, შენებასა და არა ნგრევაზე.

ნორბერტ ელიას არ გამორჩენია, რომ ადამიანები დაბადებიდანვე თავიანთი ბუნებრივი კონსტიტუციით განსხვავდებიან. თუკი სხეულის ფორმას, სილუეტის მოხაზულობას ავიღებთ შედარების კრიტერიუმად, ვიღაც შეიძლება იყოს ენდომერფი, სხვა ეკტომერფი ან მეზომერფი<sup>51</sup>. ტემპერამენტი, ის რაც ხასათად კვალიფიცირდება, ასევე ყველას აქვს განსხვავებული. გერმანელი ფსიქოლოგი, ფსიქოანალიტიკოსი, ფრიც რიმანი, მონოგრაფიაში „შიშის ძირითადი ფორმები“ ადამიანის ოთხ გავრცელებულ ფსიქო-ტიპს ასახელებს

- ✓ შიზოიდი
- ✓ დეპრესიული
- ✓ ობსესიური
- ✓ ისტერიული

დილეტანტი, დარგში ჩაუხედავი იფიქრებს, რომ მოცემული კლასიფიკაცია ერგება ინდივიდს გარკვეული მენტალური პრობლემებით, ანუ პაციენტს. არაფერი მსგავსი. ზოგად ფსიქოლოგიაში ტემპერამენტის ტიპები – სანგვინიკი; ქოლერიკი; ფლეგმატიკი; მელანქოლიკი – სწორედ რომ მსგავსი პრინციპითაა კონსტრუირებული.

ინდივიდის მახასიათებლები, სხეულის ფორმა, სილუეტის მოხაზულობა, ფსიქო-ტიპი და სხვა მსგავსი, კვალიფიცირდება როგორც ფსიქო-ფიზიკური მახასიათებლები. ისი-

<sup>51</sup> სხეულის ფორმის, სილუეტის მოხაზულობით ადამიანების კლასიფიკაცია ეკუთვნის უილამ შელდონს, ამერიკელ მეცნიერს, რომელსაც დანაშაულის ბიოლოგიური თეორიების დახვენაში ერთგავრი წვლილი მიუძღვის.

ნი ინდივიდის სოციალურ მახასიათებლებზე - როლი, სტატუსი, ჰაბიტუსი, განათლება, დიპოლომის რანგი, ძალაუფლება, სიმდიდრე - ზეგავლენას არ ახდენენ. ბიოლოგიურ მეცნიერებათა ცალკეული წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ მონათესავე გენები ადამიანთა შორის კეთილგანწყობის ხარისხს ზრდის. თუმცა, სოციალურ მეცნიერებებში ადამიანთა შორის კეთილგანწყობის ხარისხს ზრდის. თუმცა, სოციალურ მეცნიერებებში ადამიანთა შორის კეთილგანწყობის ხარისხს, თანამშრომლობის სურვილს და ჯგუფისადმი კუთვნილების განცდას ზრიდს, შესაბამისად დადებით ენერგიად გარდაქმნის საერთო ინტერესები, მიზნები, ღირებულებები. სწორედ რომ მათ აქვთ მაინტეგრირებელი ფუნქცია. უკვე კარგა ხანია სოციალური ქსელი ტრენდი, სიახლე აღარაა. ზოგიერთ სტაჟიან მომხმარებლს მოწყინების მომენტიც კი აღენიშნება. სოციალურ ქსელში შეიძლება ქიბერ-მეგობრის სტატუსით შეიძინო სრულიად, როგორც გერმანელები ამბობენ, *wildfremde Leute*, ანუ ტოტალურად უცხო, უცნობი ადამიანი(ები). როცა ჩატის ფანჯარა პირველად აქტიორუდება, ადრესატი და ადრესანტი, ეტაპობრივად, თანმიმდევრულად ცდილობენ გაუზიარონ ინფორმაცია საკუთარი ინტერესების სფეროზე, დაწყებული სპორტითა და მუსიკიდან, დამთავრებული პოლიტიკური მჯობინებით. მარკ პოსტერი<sup>52</sup>, კომუნიკაციის საშუალებათა განვითარებისა და სახეცვლილების ექსპერტი, აღნიშნავს, რომ ქსელში ადამიანი სახელმწიფოს დიქტატისგანაც კი შეიძლება გათავისუფლდეს, არათუ დისკორსტისგან კონკრეტული სოციალური ჯგუფის, გარემობათა ძალით, რისი დათმენის ვალდებულებაც აკისრია.

აკაკი ყულიჯანიშვილი „კულტურის თეორიაში“<sup>53</sup> წერს:

<sup>52</sup> შორენა კორტავა, პოსტმოდერნიზმი და თანამედროვეობა, გამოცემლობა უნივერსალი, თბილისი, 2016 წლი.

<sup>53</sup> აკაკი ყულიჯანიშვილი, 2009:37/38

„ადამიანს აქვს ორი ურთიერთგამომრიცხავი უნარი - ურთიერთობისა და განმარტოების. ადამიანი სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას თავს კიდევ უფრო მეტად გრძნობს ადამიანად, ამ შემთხვევაში იგი გრძნობს თავისი ბუნებრივი უნარების განვითარებას, მაგრამ ამავე დროს მას ახასიათებს განმარტოების ძლიერი მისწრაფება და ამიტომ ყველა მხრიდან წინააღმდეგობას ელის. წინააღმდეგობას რომ ან-ყდება ადამიანი თავის თავში აღვიძებს ძალებს, ეპრძვის ბუნებრივ სიზარმაცეს და ქმნის თავის მდგომარეობას სხვა ადამიანთა შორის. სწორედ აქედან იწყება პირველი ნამდვილი ნაბიჯი კულტურისაკენ. დაპირისპირების შედეგად თანდათან ვლინდება ადამიანი, უყალიბდება გემოვნება, იზრდება მისი განათლების დონე, რის საფუძველზეც ყალიბდება ზნეობრივი გარჩევის ჩანასახები, რომლებიც თავის მხრივ იქცევა განმსაზღვრელ პრაქტიკულ პრინციპად და ბოლოს მორალურ მთელად, ზნეობრივ მოვალეობად“.

ყულიჯანიშვილი აკაკი, როგორც თავადვე აღნიშნავს, აქ ზედმინევნით მისდევს იმანუელ კანტის ფორმულირებას.

ინდივიდის მხრიდან განმარტოებისაკენ გადაჭარბებული მისწრაფება სოციოლოგიაში კვალიფიცირდება ასოციალურობად, რამაც მავანი შეიძლება აქციოს მარგინალურ სუბიქტად ან სულაც მისი დისკვალიფიკაცია მოახდინოს დევიანტობამდე. ენტონი გიდენსი თავის „სოციოლოგიაში, მე-8 ქვეთავში რომელიც განეკუთვნება დევიაციასა და დანაშაულს, ერთ კონკრეტულ შემთხვევას იხსენებს. უზარმაზარი ქონების პატრონი, ვინმე პოვარდ ჰიუზი, ერთ მშვენიერ დღეს ფეშენებლური სატუმროს ნომერში გამოიკეტა. სრულიად მოწყდა სამყაროს. ბიბლიური წინასწარმეტყველივით წვერები მოუშვა და ერთგვარად გაველურდა. პოვარდ ჰიუზის ახირება წლები გაგრძელდა. სიცოცხლის ბოლომდე ფაქტიურად. ცხადია ცხოვრების მსგავს სტილზე იურიდიულ პასუხიმგებლობას ვერავინ დააკისრებდა, მაგრამ ეს იყო მით-

ქმა-მოთქმისა და ცნობისმოყვარეობის საგანი. ცნობილ რუს კლასიკოსს, ანტონი ჩეხოვს აქვს ასეთი ნოველა, „ადამიანი ფუტლიარი“, სადაც სწორედ ასოციალური ადამიანის უცნაური ცხოვრებაა აღნერილი. ანთროპოლოგი, კულტურის თეორეტიკოსი მარგარეტ მიდი, კვლევაში ამერიკულ სოციუმში სოციალიზაციის თავისებურებებზე<sup>54</sup>, აღნერს, თუ როგორ არ იშურებს ამერიკელი მშობელი წლების მანძილზე მიზან-მიმართულ ძალისმევას, საკუთარ შვილში (შვილებში) განმა-რტოებისადმი არათუ გადაჭარბებული, ზოგადად განმა-რტოების მიდრეკილების აღმოსაფხვრელად. ევროპაში ნახ-სენები მახასიათებელი სწობიზმამდე დაყავთ, ამერიკელი ფიქრობს, რომ იგი პირველი უთხრის ძირს წარმატებას და ცხოვრების მაღალ ხარისხს. ამერიკელისათვის ასეთი ეგო-იზმი მიუტევებელია.

საზოგადოებაში ინდივიდების ფუნქციონალური ურთი-ერთკავშირი თუ როგორ ქმნის სოციალურ ერთობას დაწ-ვრილებით მიმოვიზილეთ. ჯერი დადგა თანამედროვე საზო-გადოების მოდელის აღნერისა, რომელიც მრავალკომპონენტიანი, რთული და მეტად ეგალიტარულია, ვიდრე მისი წინა-მორბედი საზოგადოება(ნი). ჩვენს მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაცია ეკუთვნის დანიელ ბელს.

## I სტატუსობრივი ჯგუფები

სტრატიფიკაციის ღერძი ეფუძნება ცოდნას (პორიზონტა-ლური სტრუქტურები)

A. პროფესიონალების კლასი – ოთხი ფენა:

1. სამეცნიერო

<sup>54</sup> მარგარეტ მიდის აქ ნახსენები კვლევა, ჩემს მიერვე სახელდახელოდ თარგმნილი, დაიბეჭდა საერთაშორისო ჟურნალ, „კულტურათშორისი კომუნიკაციების“ 33-ე ნომერში, 2020 წელს.

2. ტექნოლოგიური (ცოდნის გამოყენებითი ტიპები: ინ-ჟინერული, ეკონომიკური, სამედიცინო).
  3. ადმინისტრაციული
  4. კულტუროლოგიური (შემოქმედებითი და რელიგიური საქმიანობა)
- B.** მოსამსახურები და მოვაჭრე პერსონალი
- C.** ხელოსნები და ნახევრადკვალიფიციური მუშები  
("ცისფერი საყელოები")

## II სიტუაციური ჯგუფები

პროფესიონალური საქმიანობების დანამატი სფეროები  
(ვერტიკალური სტრუქტურები)

- A. ეკონომიკური საწარმოები და კომერციული ფირმები
- B. მთავრობა (იურიდიული და ადმინისტრაციული ბიუროკრატია)
- C. უნივერსიტეტები და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები
- D. სოციალური სფერო (საავადმყოფოები, საყოფაცხოვრებო სამსახურები და ა.შ.)
- E. სამხედროები

## III მაკონტროლირებელი სისტემა

საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაცია

- A. ძალაუფლების უმაღლესი ეშელონი
  1. პრეზიდენტის აპარატი
  2. საკანონმდებლო ხელისუფლების ეშელონი
  3. ბიუროკრატიის ხელმძღვანელები
  4. უმაღლესი სამხედრო ხელისუფლება
- B. პოლიტიკური ჯგუფები:

სოციალური გაერთიანებები და ზენოლის ჯგუფები:

1. პარტიები
2. ელიტები (სამეცნიერო, აკადემიური, საქმიანი, სამხედრო)
3. მობილიზირებული ჯგუფები:
  - ა. ფუნქციონალური ჯგუფები (საქმიანი, პროფესიონალური, ჯგუფები, რომელიც გამოიყოფიან შრომის სპეციფიკის საფუძველზე)
  - ბ. ეთნიკური ჯგუფები
  - გ. ვიწრო მიმართულების ჯგუფები
    - (1) ფუნქციონალური (ქალაქის მერები, ლარიბები და ა.შ.)
    - (2) სპეციფიკური ინტერესის მატარებელი ჯგუფები (ახალგაზრდობა, ქალები, ჰომოსექსუალები და ა.შ.)

თანამედროვე საზოგადოებას რისკის საზოგადოებად ასევე ხშირად მოიხსენიებენ.

ყველაზე დიდი რისკი, მიაჩნია ფრანგ სოციოლოგს, ალენ კეიეს, მოდის ნეო-ლიბერალური იდეოლოგიდან. იგივე მოვლენას ჯორჯ სოროსი, ღია საზოგადოების თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი, ეკონომიკური ფუნდამენტალიზმის კვალიფიკაციას აძლევს<sup>55</sup>.

იდეალურ-ტიპური ნეოლიბერალური იდეოლოგია ექვს შემდეგ ვითარებას ეფუძნება:

1. არაა საზოგადოება, არიან მხოლოდ ინდივიდები;

<sup>55</sup> ეკონომიკური ფუნდამენტალიზმი, ღია საზოგადოება და მის წინაშე მდგარი საფრთხეები. ჩემი ავტორობით „ბურუსზე“ გამოქვეყნდა 2013 წლის იანვარს. საკითხი შედიოდა სადისერტაციო ნაშრომშიც და 2014 წელს გამოქვეყნებულ პირველ მონოგრაფიაში შევიდა ცალკე ვრცელ ქვეთავად.

2. სიხარბე - ეს კარგია;
3. რაც უფრო მდიდარია საზოგადოება, მით უკეთესი, რადგანაც თითოეული ინდივიდი მოიგებს ეკონომიკური ეფექტისაგან „სიმდიდრე ზემოდან ქვემოთ“;
4. ადამიანთა შორის ურთიერთქმედების ერთადერთი სასურველი საშუალება – ესაა თავისუფალი ბაზარი, მათ შორის თვითრეგულირებადი ფინანსური და სპეცულაციური ბაზარი;
5. დაგროვებაზე შეზღუდვის სახეზე არ ყოფნა – მეტი უცილობლად ნიშნავს უკეთესს;
6. ნეო-ლიბერალიზმის ალტერნატივების სახეზე არ ყოფნა.

2020 წელს საერთაშორისო სოციოლოგთა ასოციაციის პერიოდიკისათვის – „გლობალური დიალოგი“ – მიცემულ ინტერვიუში ალენ კეიე ამბობს:

ჩვენ ნეოლიბერალიზმის პირისპირ უძლურნი ვრჩებით, რადგან, თანამედროვე დიდი პოლიტიკური იდეოლოგიები, რომელთა მემკვიდრენიც ვართ: ლიბერალიზმი, სოციალიზმი, კომუნიზმი, ანარქიზმი (მათი სხვადასხვა კომბინაციები), უკვე უუნარონი არიან გაუმკლავდნენ პრობლემებს, რომელთაც დღეს წავაწყდებით. როგორც მინიმუმი არის სამი მიზეზი:

1. ყველა ეს იდეოლოგია, მათ ძირითად ვერსიებში, უკიდურეს შემთხვევაში, ეფუძნება წანამძღვარს, რომლის თანახმადაც ადამიანები პირველ რიგში საჭიროებათა მქონენი არიან. შესაბამისად იდეოლოგიური წინააღმდეგობა გამოწვეულია მატერიალური რესურსების დეფიციტით, რაც შემდეგ დასკვნამდე მიგვიყვანს: საზოგადოების უპირველესი ამოცანა არის – ანარმონს კიდევ მეტი (საქონელი და სიკეთე);

2. ამ „გადაწყვეტილებას“ შესაძლოა აზრი ქონოდა, ვიდრე ბუნება ამოუწურავი და უსასრულო ექსპლუატაციისათვის ხელმისაწვდომი ჩანდა (სანამ ჩვენ საუკონოვანი სტაგნაციის საშიშროების ქვეშ არ ვიმყოფებოდით [იგულისხმება მდგომარეობა, როცა საბაზრო ეკონომიკაში გვაქვს უმნიშვნელო ზრდა], რომლის დიაგნოზირებასაც მრავალი ეკონომისტი ახდენს. ებალა ჩვენ ვიცით, რომ ეს ასე არაა;
3. როცა ადამიანებს აღიქვამენ, როგორც საჭიროების მქონე არსებებს, ეს იდეოლოგიები ახდენენ იმ ფაქტის იგნორირებას, რომ კონფლიქტის კიდევ ერთი წყარო, უკიდურეს შემთხვევაში ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორიცაა მატერიალური რესურსების დეფიციტი, არის აღიარებისაკენ მისწრაფება. შედეგად, ძველი იდეოლოგიები უუნარო აღმოჩნდნენ ჩვენთვის შეეტყობინებინათ სხვადასხვა კულტურებისა და რელიგიების თანაარსებობის შესაძლო საშუალებებზე, როგორც ქვეყანათშორის, ისე ქვეყნისშიგნითა სივრცეში, რომ არაფერი ვთქვათ უკვე ქალებსა და კაცებს შორის მიმართებობზე.

ნეო-ლიბერალიზმის მეტ-ნაკლებად კონსტრუქციულ კრიტიკას ცხადია მკვლევარი არ ჯერდება და გამოსავლის სახით გვთავაზობს ახალ ე.წ. სოციოლოგიურ საწყისებზე აგებულ მიდგომას კონვიციალიზმის სახით.

იგი თვითონვე განგვანათლებს მოცემულ საკითხთან მიმართებაში.

„კონვიციალიზმი“ ეს ცარიელი აღნიშვნა როდია, იგი იმედის სიმბოლოა. მე შევხარი – ამბობს კეიე – რომ ერთმანეთისგან მეტად განსხვავებულ ინტელექტუალებს – მიდრე-კილთ ლიბერალური ანდა სოციალისტური შეხედულებებისაკენ, ერთის მხრივ, კომუნისტები და ანარქისტები, მეორე

მხრივ, რომ არაფერი ვთქვათ სხვადასხვა რელიგიური ტრადიციების მიმდევრებზე – შეთანმება შეუძლიათ ხუთ უმაღლეს ღირებულებასა და პრინციპზე, რომელთაც აქ დაწვრილებით კი არ აღვწერთ, მხოლოდ დავასახელებთ: ბუნების ერთიანობა, ზოგადსაკაცობრიო სოლიდარობა, ერთობა სოციალურობისა, ინდივიდუაციის და შემოქმედებითი ოპოზიციის ლეგიტიმაცია („თანამშრომლობა დაპირისპირების პირობებში, ერთმანეთის გაუნადგურებლად“). ეს ხუთი პრინციპი საერთო აქსიოლოგიურ<sup>56</sup> სივრცეს აფორმირებს, რომელიც შესაძლო პოლიტიკური არჩევანის სივრცეს ზღუდავს. ისინი ერთმანეთს აწონასწორებენ. მაგრამ, ყველანი ექვემდებარებიან იმპერატივს<sup>57</sup>, რომელსაც შეიძლება ეწოდოს კატეგორიული: ზედმეტობასა და ამპარტავნებასთან ბრძოლის სიახლეების განვითარებას. რათა თავისი ამპარტავნების კონტროლირება ისწავლოს, კაცობრიობას სრულიად ცოტა დრო დარჩა. სოციოლოგიის პრიორიტეტული ამოცანაა – მას ამ წამოწყებაში დაეხმაროს.

უან უაკ რუსომ როდესაც დიუონის აკადემიას წარუდგინა „მსჯელობა ადამიანთა შორის უთანასწორობის წარმოშობისა და საფუძვლების შესახებ“, ნაშრომში ჩამოაყალიბა კონცეფცია საზოგადოებაში უთანასწორობის გაჩენის მიზეზების შესახებ. უან უაკ რუსო წუხს, რომ ბუნებრივ მდგომარეობაში ადამიანები თავისუფალი და პოლიტიკურად თანასწორები იყვენენ; არ არსებობდა ბატონი – მჩაგვრელი, არ არსებობდა მონა – ჩაგრული. თანდათანობით იარაღებისა და შრომის სრულყოფის პროცესში საფუძველი ჩაეყარა ადამიანთა თანაცხოვრებას: მიწათმოქმედებაზე გადასვლამ წარმოშვა უთანასწორობის მთავარი მიზეზი – კერძო საკუთრება. რუსოს აზრით, ვინც პირველად მიწის ნაკვეთი შემო-

<sup>56</sup> აქსიოლოგიურ ანუ, ღირებულებით სივრცეს.

<sup>57</sup> იმპერატივს ანუ, მოთხოვნას.

ღობა და თქვა – ეს ჩემიაო, შემდეგ კი იპოვა ამ სიტყვების დამჯერი საკმაოდ გულუბრყვილო ადამიანები, იყო სამოქალაქო საზოგადოების ნამდვილი შემქმნელი. რუსოს თანახმად კერძო საკუთრება არის უთანასწორობის საფუძველი. წარმოიშობიან მდიდარი და ღარიბები. მდიდრები ღარიბებთან დებენ ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზე იქმნება სახელმწიფო, ხელისუფლება.

ნეო-ლიბერალიზმის კრიტიკა არ გულისმხობს როსუს პოზიციაზე აპელაციას და შესაბამისად, ესა არაა შემთხვევა, როდესაც კერძო საკუთრებაში ხედავენ პრობლემას. არანაირად. უბრალოდ იმეორებენ, რესურსები არ უნდა გადანაწილდეს პრინციპით მინიმუმს მაქსიმუმი (იგუისხმება ძალაუფლების საჭესთან მყოფი სუბიექტები...).

კერძო საკუთრება არის ერთგვარი მჭიდრი თავისუფლების. ეს პუნქტი საინტერესოდაა გაშლილი ქართველ მკვლევარის, ფილოსოფონისა და სოციოლოგის, პროფესორი გიგი თევზაბის წიგნში „ათი წერილი მითხველს მონობისა და ჩვენს შესახებ“.

საზოგადოების რაობა ზოგადად, თანამედროვე საზოგადოების მოდელი, მისთვის სახელდობრივი რისკები მრავალფეროვანია, რაზეც არაერთი სოციოლოგიური სკოლა და მკვლევარი მსოფლიოს მასშტაბით მუშაობს. საკითხს, ცხადია ვერც ერთი ქვეთავის და თუნდაც მონოგრაფიის ფარგლებში ვერ ამოვწურავთ, მაგრამ ამ ჯერზე მონახაზი მსგავსი მოცულობითა და შინაარსით, ვგონებ ჩვენი ინტერესები-დან გამომდინარე, საკმარისია.

#### 4. თანამედროვეობის მახასიათებლები – ალენ ტურენის კლასიფიკაცია

მოცემულ ქვეთავში ჩემს მიერ განხილული იქნება საკითხები, რომელთაც ალენ ტურენი თანმიმდევრულად განავრცობს ნაშრომში „მოქმედი ადამიანის დაბრუნება“<sup>58</sup>. სოციალური მეცნიერებების ბაზაზე სხვადასხვა საუნივერსიტეტო პროგრამებში წამყვანი ადგილი უჭირავს რახანია სასწავლო კურსებს, „ინსტიტუციონალური ცვლილებების თეორია“, „პოსტინდუსტრიალური საზოგადოების თეორია“, „ინფორმაციული საზოგადოების თეორია“ და მსგავსი. ყველა-გან აქ შესავალი იწყება დეფინიციით, თანამედროვე საზოგადოება და მის განმარტებას ცდილობენ სოციალური ცვლილებების ფონზე. ალენ ტურენი ასეთ შეკითხვას სვამს, თუკი თანამედროვე საზოგადოებას დავიყვანთ ცვლილებებზე, მაშინ რა განსაზღვრავს მასში სტაბილურობას? მოდერნიზაცია, ესაა გადასვლა პარტიკულარიზმიდან უნივერსალიზმამდე? თუკი ვექტორი რწმენიდან მეცნიერებაზე გადაინაცვლებს, მაშინ როგორდა შევისწავლით იმ კონკრეტულ საზოგადოებებს, რომელიც ეფუძნებიან სპეციფიკურ რწმენებს, ნორმებსა და ღირებულებებს?

უკვე არათუ თანამედროვე, პოსტთანამედროვე და პოსტისტორიულ საზოგადეობასაც კი ასახელებენ ცალკეული მკვლევარები. რამდენიმე საუკუნე დასჭირდა „ლიფტის ეფექტს“, ეხლა კი მნიშვნელოვანია ბალანსის მიღწევა. პოსტმოდერნისტულ თეორიებში არის ასეთი წყვილი, ავტორი, ჟილ დელიოზი & ფელიქს გუატარი. ფელიქს გუატარს უფრორე აქვს ასეთი მოსაზრება, ე.წ. ანტი-ფსიქიატრიის ჩარჩოებში, რომ პიროვნების დეზინტეგრაციის პროცესი დაიძ-

<sup>58</sup> Alain Touraine, LE RETOUR DE LA'ACTEUR Essai de sociologie

ლევა ახალი სუბიექტურობის შეძენით, რაც არაა მიღწევადი მხოლოდ სურვილის ქონით, ამას ჭირდება დრო, შრომა თან-მიმდევრული და უკვე როცა ინდივიდს, აქვს ხელთ იგი, ანუ ახალი სუბიექტურობა, საჭიროა ამა ახალ სუბიექტურობის შესისხლხორცება და წონასწორობის მდგომარეობის უზ-რუნველყოფა. ინდივიდი გარკვეულწილად, თუკი შევთან-მხდებით რომ საზოგადოების პროდუქტია, იგი მისი მიკრო-მოდელიც არის. ზოგადად ასეთი განზოგადებით, ადამიანი მიმართებაში სამყაროსთანაც კი მიკროკოსმოსად მოიაზრება, თუმცა ეს ლოგიკური ჯაჭვი, მხოლოდ ჩვენი მსჯელობის საგანს დაგვაცილებს.

კონკრეტული მკვლევარების ცხოველი ინტერესის სა-განია ანთროპოლოგიური კლვევები. ანთროპოლოგისათვის ისტორიციზმის ნებისმიერი ფორმა არის იმთავითვე უცხო. ანთროპოლოგი ოპერირებს შედარებითი კვლევის შედეგებით, ხოლო შედარების საგანი კი არის მთელი მრავალფე-როვნება ტრადიციული კულტურებისა და პლუს თანამედ-როვე ცივილიზაციის ერთობა-გაერთიანებები.

ისტორიზიცმის კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ პოლიტი-კური აგნენტები ვინაიდან სოციუმში ინტეგრაციას მეტად ვე-ლარ უზრუნველყოფენ, საზოგადოებრივი ცხოვრების უნიფა-კაცია მათი მხრიდან მიუღწეველია. ევროპაში, აღნიშნავს ტუ-რენი, ეს მეტად შესამჩნევია. ევროპაში სულ უფრო ვითარდე-ბიან ერთმანეთისაგან განსხვავებული კულტურები, აი მაგა-ლითად, ახალგაზრდული, „კომუნიტარული“ ანდა „მარგინა-ლური“, ე.წ. „მესამე ასაკის“ კულტურა, თუნდაც ჰომოსექსუა-ლური და ა.შ. ამავდროულად ინგრევიან ცალკეული კულტუ-რები, ლოკალური, რეგიონალური, ეთნიკური... და ყველგან კვალავ მრავალფეროვნება ჩნდება, ვინაიდან მრავალფეროვ-ნება ადამიანური ყოფიერების კანონზომიერებაა.

საზოგადოების განვითარების ახსნა, ტურენის აზრით, კარგა ხანია მატერიალისტური მოსაზრებებიდან არ ხდება.

ანუ, სოციალური ევოლუციონიზმი ღაფავს სულს. შეთან-ხმდნენ, რომ მოდერნიზაცია ეს არაა ბუნებრივი პროცესი, უ.ზ. თავისთავადი, რომელიც ისტორიული განვითარების კანონებით იმართება. ტურქი გამოყოფს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე „გეოლოგიურ“ წარმოდგენებს, რომლის თანახ-მადაც ეკონომიკური და ტექნოლოგიური რესურსები განიხი-ლება ყველაზე ღრმა შრედ, ხოლო პოლიტიკური ორგანიზა-ცია და იდეოლოგიური წარმოდგენები, როგორც შედარებით ზედაპირული სტრატები. დღეს, ამბობს ტურქი, ტექნოლო-გია და რაციონალიზაცია გამათავისუფლებელ ძალად აღარ მიაჩნიათ. უბრალოდ ესენია ფსონი თანამედროვე საზოგა-დოებაში, თუკი ადგილი აქვს დავასა და ქიშპს. ინდუსტრია-ლურ საზოგადოებაში იყო ნაწილობრივ ამგვარად, მაშინ რო-ცა მექანიზაცია მსახურობდა ფსონად კონფლიქტებში მუშა-თა მოძრაობასა და მეწარმეებს შორის. კაპიტალისტური მო-ნოპოლიის მოგერიებას მუშები საწარმოო ძალების განვითა-რებით ცდილობდნენ და ცხადია, მათთვის იყო მისაღები სა-ზოგადოების განვითარების ე.ნ. პროგრესის კონცეფცია.

ტურქი იმასაც აღნიშნავს, რომ საზოგადოებას აიგი-ვებდნენ სახელმწიფოსთან, რადგანაც სახელმწიფო უმნიშ-ვნელოვანეს როლს თამაშობდა მის ინტეგრაციაში. თანახმად ტურქისა, პირველი ეროვნული სახელმწიფოები, ინგლისი, შვედეთი, საფრანგეთი, თავდაპირველად იყვნენ სოციალუ-რი სიძმვიდის, პირველების, ფასეულობებისა და იდეების თავისუფალი ცირკულაციის გარანტი. დღეს სახელმწიფო არის ქცეული ე.ნ. აქტუალურ ძალაუფლებად. მას ერგო წი-ლად საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი ასპექტის მონი-ტორინგი, მათშორის უშუალოდ ეკონომიკური მოღვაწეობის. უნინ სახელმწიფო თუკი იყო იურისტი, დღეს ცხადია შეი-ნარჩუნა რა თავისი სამხედრო და დიპლომატიური ატრიბუ-ტები, გახდა ეკონომისტიც. ოდესლაც სახელმწიფოს როლი დაიყვანებოდა პოლიტიკურ და და იურიდიულ ფუნქციებზე.

სახელმწიფო უკვე აღარ მიიჩნევა მხოლოდ რეპრესიულ ორგანოდ. თუმცა დისტანცია სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის მაინც დიდად არ ფართოვდება. აქ იგულისხმება ასევე დისტანცია უშუალოდ სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან.

საზოგადოებრივი ცხოვრება შედგება ცვალებადი ქცევის ფორმათაგან, მაგალითად როგორიცაა ინტელექტუალური დებატები ან საზოგადოებრივი კონფლიქტი. საზოგადოების ეროვნული ერთობა ხდება სულ მეტად პრაქტიკული და იზრდება მისი მატერიალური ინტეგრაცია. ამავე დროს, საზოგადოებაში მიზანრაციონალურად მოქმედ ინდივიდთა შორის სულ უფრო მნიშვნელოვანად იზრდება განსხვავება, ისინი ხდებიან ავტონომიური, სახელმწიფო ინტერესები იდეოლოგიური სახისა მათთვის ნაკლებადაა საყურადღებო. როცა სახელმწიფო ცდილობს აწარმოოს დაუშველებელ დონემდე საზოგადოებრივი ცხოვრება, ეს აღიქმება, როგორც რაღაც სკანდალური და უმაღვე უკუიგდება. უკეთეს შემთხვევაში ამას მიაწერენ ავტორიტარიზმს. თანამედროვე სახელმწიფო საზოგადოებრივი ცხოვრების ერთიანობის პრინციპს უკვე ვეღარ განსაზღვრავს. აღენ ტურენის მიხედვით თანამედროვე სახელმწიფო არის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ბიუროკრატი, ხანდახან ტოტალური ძალაუფლებაც, თუმცა მიზანმიმართულად მოქმედი ინდივიდების საზოგადოებაში ინტეგრაციას როგორც უშუალოდ აგენტი აღარ უძღვება. ეს ცხადია გაკრვეულნილად განცდას ეროვნულობისა ასუსტებს, რაც უფროორე შესამჩნევია დასავლეთ ევროპის მაგალითზე. კულტურა თანდათან ინტერნაციონალური პროდუქტი ხდება<sup>59</sup>. იშვიათობაა დღეს მონოკულტურული სა-

<sup>59</sup> ქართველი მკვლევარები, კონკრეტულად კი ფილოსოფოსი ვახტანგ ერქომაიშვილი, უშუალოდ კულტურის თეორეტიკოსი აკაკი ყულიჯანიშვილი, როდესაც თავიანთ შრომებში ერის დეფინიციას იძლევიან

ხელმწიფოები, საზოგადოებები, მოვლენები ასწლეულების მანძილზე ისე განვითარდა, რომ მულტიკულტურალურობა არის ცხოვრების წესი. მას მერე რაც ქვეყანათშორის ადამიანების გადადგილების ინტენსივობა გაიზარდა, იდეები, მატერიალური ფასეულობები მარტივად ცირკულირებენ. ეს შედეგი ჯერაც ორი დემოგრაფიული თაობის წინათ ჩანდა წარმოუდგენელი. საყოველთაოდ მკვიდრდება კოლექტური მოძრაობები, რაც საზოგადეობრივ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევას თანდათან შეუძლებელს ხდის.

ალენ ტურენი ფიქრობს, რომ ამაზე მეტნაკლებად მკვლევარები არიან შეთანხმებული, მას მერე რაც ეროვნულობის ხარისხი დაცა, სოციალურ პრობლემებს და კონფლიქტებს გამოეცალათ ერთიანობის პრინციპი. ინდუსტრიალური საზოგადოების გარიურაუზე შეიქმნა წარმოდგენა ე.წ მუშათა საზოგადოებაზე. მუშათა ქმედება მაინც იყო ორიენტირებული პოლიტიკურად, ვინაიდან დაიყვანებოდა სოცია-

---

თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებების ფონზე, სახელდებული როგორც გლობალიზაცია, აღნიშნავენ, რომ ერთ დღევანდელ პირობებში, როგორც მონოკულტურული ერთობა იშვიათია. დემოგრაფიის საუნივერსიტეტო სწავლებისათვის გათვალისწინებულ სახლემდვანელოებში (გიორგი წულაძე, ნიკა მაღლაფერიძე, ავთანდილ სულაბერიძე, დემოგრაფია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2009) მთელი ქვეთავი ეთმობა შრომით მიგრაციების ნაკადს უცხო ქვეყნებში, დაწყებული ყოფილი კოლონიებიდან ე.წ ცენტრში, და მრავალრიცხვოვან ნაკადებს ე.წ პერიფერიებიდან, ანუ განვითარებადი ან სულაც მესამე სამყაროს ქვეყნები, განვითარებულ ქვეყნებში. ხშირია, რომ შრომითი მიგრანტები უცხო ქვეყნის ტერიორიაზე წლები რჩებან, თანდათან მკვიდრდებიან და საბოლოოდ ქვეყნის ოფიციალურ უწყებებს მიმართავენ მოქალაქეობის განაცხადით. არიან ასევე ე.წ. ეკომიგრანტები. მსოფლიოს სხვადასხვა ცხელი კერებიდან (იგულსიხმება სირიის და მსგავსი შემთხვევები), არის ასევე მოსახლეობის დიდი ნაკადი განვითარებულ, ანუ წარმატებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში.

ლისტურ იდეალებზე. ამერიკის შეერთებულ შტატებში გამონაკლისის სახით, მუშათა მოძრაობა არ იყო პოლიტიკურ ბრძოლაში ჩატარებული, რის გამოც იქ მუშებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ცენტრალური ადგილი აღარც ჰქონიათ. ამერიკაში ეთნიკურ უმცირესობათა პრობლემები არანაკლები მნიშვნელობის მქონე იყო კლასობრივ-ეკონომიკური კონფლიქტების გვერდით. ტურქის გააჩნდა მოსაზრება, რომ კონკრეტულად ეს ამერიკული გამოცდილება გავრცელდა და-სავლეთ ევროპაში მის თანამედროვე ეტაპზე. ერთმანეთთან მიმართებაში სახელმწიფო მასშტაბით სხვადასხვა სოციალური კონფლიქტი გახდა სულ უფრო ავტონომიური. მემარცხენებს რატომძაც დიდხანს ეგონათ, რომ კონფლიქტის თითო-ეული სახეობა არის ანტიკაპიტალისტური ბრძოლის ცალკეული ფრონტი და იგივედებიან ან დაიყვანებიან ანტი-იმპერიალისტურ ქმედებებზე. სოციოლოგიურ ნააზრევში დასავლური საზოგადოების ინდუსტრიალური ევოლუციის შესახებ მოცემული საკითხი იკავებს ცენტრალურ ადგილს. ბჭობის საგნად იქცა საზოგადოებრივი კონფლიქტის სხვადასხვა ფორმებს შორის დაიკარგა თუ არა სრულიად ერთიანობის პრინციპი და არიან კი ამიერიდან უნარის მქონე დაჯგუფდნენ ცენტრალური საზოგადოებრივი მოძრაობის ირგვლივ.

ე.წ. პლურალისტური თეორიები სოციალურ პრობლემებსა და კონფლიქტებში ერთიანობის საფუძველს მხოლოდ ფორმალურ, ინსტიტუციონალურ პროცესებთან დაკავშირებით ხედავენ. ალენ ტურნი კი პირიქით, თავის მხრივ არის იდეის მომხრე, რომ განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში ნებისმიერი კონფლიქტი, დავა, თავისთავად აღწევს კულმინაციას ერთიანობაში, ოლონდ ეს სულაც არაა სახელმწიფო ჩარევით და დავის საბოლოოო სახის პოლიტიზირებით განპირობებული. პოლიტიკური სახის დაპირისპირებები ცხადია უფროორე იყო ბმაში ისტორიულ ცვლილებებთან და მათი თავისებური სახით კონტროლის საშუალებას წარმოადგენდა.

სოციალური კონფლიქტები დაჯგუფებული არიან რაიმე კონ-კრეტული საზოგადოებრივი მიზნის ირგვლივ, ეს შეიძლება ეხებოდეს უშუალოდ რაიმე საზოგადოებრივ სიკეთეს, ფასეუ-ლობას, ანუ მათ მართვა/მოხმარებას. ამ ეტაპიდან საზოგა-დოებრივი განვითარების სოციოლოგია და პოლიტიკური ის-ტორია ერთმანეთს ფაქტიურად ემიჯნებიან. ტურენი თავის მონოგრაფიაში „მოქმედი ადამიანის დაბრუნება“<sup>60</sup> აკეთებს შედარებით ანალიზს ამერიკული და იაპონური საზოგადოე-ბის. დაინტერესების საგანია მოდერნულობის ხარისხი თითო-ეულში. თანამედროვეობის შესახებ საყოველთაოდ მიღებული კონცეფციის თანახმად ამერიკული საზოგადოება იაპონურზე წინწასულია. თუმცა მიუხედავად ამისა, იაპონია უფრორე მო-დერნულია. იაპონიის მოდერნულობის ქვეშ უპირატესად იგუ-ლისხმება ტექნოლოგიური ინფრასრუქტურა.

ალენ ტურენი აღნიშნავს, ბისმარკის გერმანია, მეიძის ეპოქის იაპონია ანდა საფრანგეთი ომისშემდგომ პერიოდში იმართებოდნენ როგორც ტრადიციულ ასევე მოდერნულზე ორიენტირებული ელიტებით. ეს არი იყო ჯგუფები ცალსა-ხად ბაზარზე ორიენტირებული. ზემოხსენებულ ელიტებში უმაღლეს დონეზე იდგა ეროვნული უსაფრთხოების საკითხი, ძლიერი, თვითმყოფადი სახელმწიფო სუტრუქტურის ჩამო-ყალბება, რაციონალიზატორული ედექტი. ამათ ხარჯზე ია-პონიამ შექმნა მაღალგანვითარებული მრეწველობა, საზოგა-დოებრივი ორგანიზაციის მოდერნულობის ხარისხის მისაღ-ნევად არქაული და ტრადიციული საშუალებების მოდიფიცი-რებას მიყო ხელი. განვითარების რომელიღაც ერთი კონკრე-ტული მოდელი სულაც არაა ნორმა და უპირატესი სხვაზე. ტურენის თქმით განვითარების შერჩეული მოდელი იძლევა საშუალებას ორი ტიპის პრობლემის გამოცალკევების. ერთი შეეხება უშუალოდ მოცემული საზოგადოებრივი ორგანიზა-

<sup>60</sup> Alain Touraine, LE RETOUR DE LA'ACTEUR Essai de sociologie

ციის ფუნქციონირების ტიპს. ხოლო მეორე, ქვეყნის იტორიულ ტრანსფორმაციას. სხვაგვარად ეს ასე უღერს, ინდუსტრიულური საზოგადოებისა და ინდუსტრიალიზაციის პრობლემები განსხვავდებიან.

პოლიტიკური ცხოვრება სულ მეტად დაიყვანება ეკონომიკურ მონიტორინგზე, საზოგადოებრივი ცხოვრება კულტურის სფეროსა და პიროვნების საჭიროებებზე. სოციოლოგიის ინტერესიც ცხადია ამ ყველაფრის შესაბამისად ორი მიმართულებაზე დაიყვანება. ცალკეული მკვლევარები სწავლობენ გამოცოცხლებას, აღორძინებას პოლიტიკური ცხოვრების. ისინი მეტად აღარ იზიარებენ რწმენას, რომ პოლიტიკური ინსტიტუტები მხოლოდმახოლოდ გარკვეული საზოგადოებრივი ძალებისა და ინტერესების ანარეკლია. მეორეს მხრივ, ასევე, საზოგადოებრივი ცხოვრება როდი ჰერონიათ ორგანიზაციის სტრუქტურითა და შინაგანი განაწესით მართვადი სისტემა. საზოგადოებრივი ცხოვრება, დღეს ჩვენ ასე გვესმის, ესაა მიზანრაციონალურად მოქმედ პირთა ურთიერთქმედებების ქსელი, ამავედროს როცა თითოეულ აქტორს გააჩნია საკუთრივი კერძო პროექტი, სტრატეგია, ნაკარნახევი მისივე საჭიროებებიდან და განსაზღვრული მისივე სტატუსით.

ზემოხსენებული გამიჯვნის ყველაზე თავლნათლივი შედეგი არის შესუსტება პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგნელობისა. მაღალი სტანდარტის დემოკრატიის ქვეყნებში მატულობს დისტანცირება პოლიტიკურად ორიენტირებულ პირებთან, ვინაც ხაზგასმით ეძებენ პოლიტიკურ ძალათა შორის წარმომადგნელობის საშუალებებს. პოლიტიკური პარტიები უფრორე დაიყვანება პოლიტიკურ წარმოებაზე, როცა მოთხოვნები ამათუმი სეგმენტიდან პარტიული ინტერესიდან ამოსვლით არის უპირატესად განსაზღვრული და ამიტომაც ტენდენციური და ხანაც სულაც იდეოლოგიზირებული, მიზანმიმართული ინტერესის სფეროში მოქცეული. ხოლო სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფები ცდილობენ მა-

თი მოთხოვნები პარტიებისგან შორს მყოფი სოციალური მოძრაობებიდან იყონ დეკლარირებული საჯაროობისთვის.

პოლიტიკური ცხოვრების უკვე დრომოქმული წესია პოლიტიკური იდეებისა და ძალების ეკონომიკურ ინტერესებზე გადაბმა<sup>61</sup>. პოლიტიკური ვნებათალელვა წარსულს ჩაბარდა ამბობს ტურქი და ჩვენ ფრანგულ (1848) ან კიდევ რუსულ (1917) რევოლუციებს დროის სოლიდური მონაკვეთი გვაშორებს.

როცა ლაპარაკია დასავლეთ ევროპის და არამხოლოდ, მათშორის ამერიკისაც, ინდუსტრიალიზაციაზე, ტურქი აფიქსირებს, რომ მისთვის, როგორც სოციოლოგისთვის, საინტერესო უფროა როგორ მოხდა დასავლეთის ქვეყნების გათანამედროვება. ტურქი ყურადღებას ამახვილებს სხავადასხვა საჭიროებით ნაკარნახევ საპროტესტო გამოსვლებზე

<sup>61</sup> ალენ ტურქის მონოგრაფია, რომელიც მოცემულ ქვეთავში არის ჩემს მიერ განხილვის საგანი, შობს სწორედ ამ კონკრეტულ პუნქტში კამათის საჭიროებას. თუმცალა, ცხადია არაა აუცილებელი კამათი იყოს კრიტიკული. ზემორე თავში იყო მოტანილი ფრაგმენტი პარიზ-ნანტერის უნივერსიტეტის ემერეტუსის, ფრანგი სოციოლოგის, ალენ კეიის მოსაზრებიდან ე.წ. კონვივიალისტურ მანიფესტზე, როგორც ახალ პოლიტიკურ იდეოლოგიაზე. მოვცეხსნება, რომ ალენ კეიი აკრიტიკებს ნეო-ლიბერალიზმს და გვთავაზობს ახალ პოლიტიკურ/ეკომინიკურ მოდელს ჩვენი ყოველდღიურობის გონივრულად მოდიფიცირებისათვის. მაგარამ თუ ჩავუღრმავდებით, ალენ ტურქი, როდესაც ამ კონკრეტულ მონოგრაფიაზე წერდა, საზოგადოება თავისი პოლიტიკური თუ ეკონომიკური მოწყობის წესით იყო ნაკლებად მოდერნული. რა გამოდის, კონვივიალისტური მანიფესტი შეიმუშავეს ტურქის შემდგომ რამდენიმე ათწლეულში და იგი მაინც გამოდის ორიენტირებული გარკვეული პოლიტიკური ინტერესების ეკონომიკურ ინტერესებად გასალებაზე. შესაძლოა მავანმა კონვივიალისტებად შერაცხული ინტელექტუალების მხრიდან ნეო-ლიბერალიზმის ასეთი დაუინებული კრიტიკა უკვე მხოლოდ ამ მოსაზრებიდან ამოსვლით მიიჩნიოს ნაკლებად სერიოზულად, ყოველ შემთხვევაში მეცნიერული დებატებისათვის.

სტუდენტებისა და დასძენს, არა იმდენად მომავლის კონკრეტული ხედვისგან ხიბლში ყოფნა, არამედ სურვილი შეგნიდან შეეტიათ სისტემისათვის, იყო მათი მოტივატორი. ახალგაზრდები ზრუნავდნენ არა ხვალეზე, არამედ უკვე სხვაგვარად ორიენტირებულ დღევანდელ დღეზე, მუნიკოფნაზე, მუნიკოფიერებაზე, ოღონდაც ახლებურად. მსოფლიოს არადასავლურ რეგიონებში იყო პირიქით. სისტემისეული, ანუ შინაგანი ხარვეზები ნაკლებად იქცევდა ყურადღებას და მითუმეტეს წინააღმდეგობის სურვილს, ხოლო შემდგომი (მომავალზე ორიენტირებული) განვითარების საკითხები, ინდუსტრიალიზაცია, დამოუკიდებლობა, ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენა ხდებოდა მიზეზი ვნებათაღელვის. ავილოთ 80/90 აინი წლების საბჭოთა რეალობა 15 ივე რესპუბლიკისათვის. ამდენი დავა, კამათი, თანაც საჯარო სივრცეში კომპერატივებზე, თანდათანობით პრივატიზაციაზე სახელმწიფო ქონების, საჯაროობასა და ზოგადად გარდაქმნაზე, გარდამავლი პერიოდებისათვის კალენდური მიჯნების განსაზღვრაზე, ცალკეული რესპუბლიკების დონეზე ეროვნული მოძრაობების გააქტიურების აუცილებლობაზე, დამოუკიდებლობის ოფიციალურად აქტის სახით დოკუმენტში დეკლარირებაზე და მსგავსი. შედარება ცხადია კალკირების პრინციპით შეუძლებელია, რადგან მკველვარისათვის აშკარაა, დასავლური სამყარო რადიკალურად განსხვავდებოდა არადასავლურისაგან და პოლიტიკურ/ეკონომიკური ისტორიითა და შესაბამისად სისტემური მოწყობის წესით. დასავლეთ ევროპა, ამერიკა და საბჭოთა კავშირი, დღეს უკვე თუნდაც პოსტ-საბჭოთა სივრცე არის სხვა. ავილოთ იგივე, თუნდაც ფიდუციარული ქვესისტემა, ანუ კულტურა.

სოციოლოგები უპირატესად დაკავდნენ, წერს ალენ ტურენი, მოწინავე დასავლური ქვეყნების ანალიზითა და შესწავლით, ხოლო დანარჩენი ნაკლებად განვითარებული

სამყარო გადაულოცეს კვლევის საგნად და ობიექტად ან-თროპოლოგებს.

როგორი ვითარებაა დღეს? სოციოლოგების წინაშე დგას ამოცანა, იკვლიონ სამი სამყარო:

✓ დასავლეთის მონინავე ინდუსტრიული საზოგადოება.

✓ პოსტ-კომუნისტური (არამხოლოდ პოსტ-საბჭოთა) ქვეყნები.

✓ მესამე მსოფლიოს ქვეყნები, რომლებიც უშუალოდ შესამჩნევად ჩამორჩებიან განვითარებისა და ცხოვრების დონით.

სოციოლოგები ამ მისის წინაშე ჯერაც უმნიფარნი ჩანანო, ჩიოდა ტურენი. შედარებითი კვლევებისადმი ცხოველინტერესს იჩინდნენ თავის დროზე ბარინგტონ მური<sup>62</sup>, რაი-ჰარდ ბენდიქსი<sup>63</sup>, ასევე შედარებით მაქრსისტული ორიენტაციის მქონე მკვლევარი, იმანუელ ვალერშტაინი<sup>64</sup>. ევროპული საზოგადოების მკვლევარს სოციოლოგი რომ ქვია, ხოლო აფრიკული საზოგადოების მკვლევარს დღესაც აფრიკანისტი, ეს სტერეოტიპია და საჭიროა გადაიხედოს.

ალენ ტურენს აქვს ასეთი მოსაზრება. ქვეყნები, რაც მოდერნიზაციის გზას შედგომია, თითქოსდა ბრმა ინერციას დაყვებიან, რომელიც რეალურად ჩრდილოეთის სამხრეთზე იდეოლოგიური ჰეგემონიზაციის შედეგია. დასავლეთიდან წამოსული ტალღა შესაძლებელს ხდის ე.ნ. მატერიალისტურ ევოლუციას, თუმცა აქედანაც კი მესამე სამყაროს ქვეყნები მიდიან ვოლუნტარისტულ და იდეოლოგიურ პლურალიზმამდე. რაც შეეხება შედეგებს, პოლიტიკურს, ინტელექტუა-

<sup>62</sup> Barrington Moore Jr. (1913-2005), ამერიკელი პოლიტიკის სოციოლოგი.

<sup>63</sup> Reinhard Bendix (1916-1991), გერმანული წარმოშობის ამერიკელი სოციოლოგი.

<sup>64</sup> Immanuel Wallerstein (1930-2019), ამერიკელი სოციოლოგი, ეკონომიკის ისტორიკოსი.

ლურს ასევე, არის რატომღაც ცალსახად ნეგატიური. XIX საუკუნის ევროპისათვის ცნობილი იყო ორი იდეოლოგიის შედარებით იდენტური დაპირისპირება. იგულისხმება, ბრიტანული, გნებავთ ფრანგული ევოლუციონიზმზი პარალელურად გერმანული კულტურული ისტორიციზმისა. ამ მოდელთაგან მეორემ პოვა გავრცელება გვიანდელი კაპიტალიზმის ქვეყნებში<sup>65</sup> და არამხოლოდ (იაპონია, ბრაზილია, მექსიკა და ასევე რაღაც ნაწილი მესამე მსოფლიოს ქვეყნების). ანგლო-ფრანგული მატერიალიზმი ტურენის თანახმად პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში დომინირებს. მესამე სამყა-

<sup>65</sup> რა მოიზრება ფორმულირებაში ეკონომიკური თეორიების თანახმად, „გვიანდელი კაპიტალიზმი?“. გვიანდელი კაპიტალიზმის გულისხმობს ფორდიზმიდან პოსტ-ფორდიზმზე გადასვლას. ფორდიზმი გულისხმობს (ლოკალურ დონეზე) მსხვილ, ვერტიკალურად ინტეგრირებულ კორპორაციებში მასობრივ წარმოებას; ასევე სტაბილური, მასობრივი ბაზრის უზრუნველყოფას (ისევ, ლოკალურ დონეზე). ფორდიზმის საპირისპიროდ, პოსტ-ფორდიზმი გულისხმობს სისტემას, რომელმაც თავის თავზე განიცადა გლობალიზაციის და გლობალური ბაზრის ზეგავლენა. საქმიან სამყაროში ურთიერთქმედებებმა ქსელური ხასითი მიიღო. ამავე დროს, როცა ქსელური კაპიტალიზმი აღარაა მონოლიტური და ერთიანი სისტემა. მას რომ სპეციფიკური და ხარისხობივი მახასიათებლები აქვს ამას ადასტურებს აღმოსავლეთ აზიაში საქმიანი ურთიერთობების ანალიზი. ორგანიზაციული კულტურის და არამხოლოდ კვლევით უშუალოდ დაინტერესებულ მკვლევართა შორის უნდა დასახელდენენ გირტ ჰოფსტედე და გერტ იან ჰოფსტედე, თუმცადა მოკლე მონახაზი ენტონი გიდენსაც აქვს სოციოლგებისთვის სამაგიდო წიგნად ქცეულ და ქართულ ენაზე 2011 წელს ნათარგმანებ „სოციოლოგიის“ კრებულში. რაც შეეხება უშუალოდ ქვეყნებს, როცა ამ სახელდების საშუალებით აღნიშნავენ, ანუ „გვიანდელი კაპიტალიზმი“, გულისხმობს მეტ-ნაკლებად პროცესს აღწერილს ზემოთ როცა ადგილობრივი წარმოება და ბაზარი უკვე დაექვემდებარა. თუმცა თავად ალენ ტურენი ამ ფორმულირებას არ უღრმავდება, მაგრამ ქვეყნების ჩამონათვალს გვაძლევს.

როში სოციალური სისტემების ანალიზი რეალურად ჩაანაცვლა კონკრეტული ქვეყნის ისტორიის მოყოლამ. ეს უკანასკნელი კი განისაზღვრება იდეის ზეგავლენით, რომელიც მორგებულია ეროვნულ ანდა რეგიონალურ ბუნებაზე. შიდა კონფლიქტები საგარეო კოფლიქტებთანაა კორელაციაში და კლასიფიცირდება ნიშნით ეროვნული/უცხოური. ეროვნული სუვერენტიტეტი ამ შემთხვევაში უფორე პრიორიტეტია, ვიდრე თავისუფლება, თანასწორობა, ანუ ის რაც არის ზოგადასაკაცობრიო, ანუ უნივერსალური ლირებულება.

მსოფლიოს ყველა რეგიონში დღესდღეობით სახელმწიფო, მითუმეტეს პოსტ-კომუნისტური, ანდა ეროვნული, ასევე მსხვილი კაპიტალისტური სახელმწიფოები გაემიჯნა ქვეყნის საზღვრებს შიგნით ე.ნ. საზოგადოებრივ სცენას, ველს. სახელმწიფო იმდენად ძალმომრე ჩანს ზოგიერთი კონკრეტული შემთხვევის გადასახედიდან, ბევრი სვამს შეკითხვას, ამბობს ტურენი, ნუთუ დასრულდა სამოქალაქო საზოგადოების ერა? იქნებ მოდის უკუსვლის წესით ეპოქა, რაც შეიძლება კვალიფიცირდეს, როგორც შეხლა იმპერიათა? ისტორიული განვითარების პროცესზე ამ ფაქტებს ვერ დავიყვანთ და აი, სწორედ ამ ინტერპრეტაციისთვის, ახსნისთვის არის საჭირო სოციოლოგები და მათი კვალიფიციური მტკიცებულებები. მეორესმხრივ, სოციოლოგებმა იმის დასაბუთებაც უნდა შეძლონ, რომ ცალკეული ქვეყნის ისტორიული არსებობის პრედიკატები ქვეყნისშიდა სოციალური პრობლემებით არ განისაზღვრება<sup>66</sup>. საბოლოოდ ალენ ტურენი ასეთ დასკვნამდე მიდის:

<sup>66</sup> ავიღოთ მაგალითისათვის საქართველოს კონკრეტული შემთხვევა. იგი სოციოლოგების მხრიდან ტურენის კლასიფიკაციის მიხედვით კვალიფიცირდება, როგორც პოსტ-კომუნისტური, რამაც განაპირობა სწორედ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ქვეყნის შიგნით მძიმე სოციალური პრობლემები. თუმცადა, ქვეყნის პირველი პრეზიდენტი, ბ-ნ

✓ ისტორიული ცვლილებების ერთიანი, ყოვლიმსომ-  
ცველი ენდოგენური პროცესი აღარ არსებობს.

თავისებურად ეს არის პერიფერაზი, ოლონდ კულტურის  
თეორიიდან აღებული სახეშეცვლილი ფორმით სოციოლო-  
გის მიერ. ამ შემთხვევაში შპენგლერი მეორდება ტურქენთან.  
ანუ, გავქვს არა ისტორია, არამედ ისტორიები, და თუკი  
კულტურები ლოკალურნი არიან, როგორც ამას ასაბუთებდა  
შპენგლერი, ეს მართებულია. გარდა ამისა სასარგებლო,  
რადგან ნაკლები რისკია ცალკეულ რეგიონში უილბლოდ  
მოვლენათა განვითარების შემთხვევაში იმ გლობალური კონ-  
გლომერარიტისათვის, რასაც მოვისენიებთ კაცობრიობად,  
მარტივად რომ ვთქვათ მსოფლიოდ.

ეხლა რაც შეეხება სოციალურ ცხოვრებას, ამ შემთხვე-  
ვაში ალენ ტურენი შეკითხვის ფორმით სვამს საკითხს: „იქ-

---

გამსახურდია, ცდილობდა ტურენს მიერ გაწერილი ამ მეორე პუნქტის  
თანახმად, საქართველოს მომავალი განეჭვრიტა უფრო სიღრმისეუ-  
ლად, ხედავდა რა მას ევროპული ცივილიზაციის მედროშედ და ლაპა-  
რაკობდა ამ გადასახედიდან არა პოტ-კომუნისტური, სოციალური  
პორბლემებით დაბეჩავებულ მიწის ნაგლეჯზე, არამედ აღმატებულად,  
საქართველოს სულიერ მისიაზე, რაც იყო ქართველი ხალხის ორიენტი-  
რებულობა უნივერსალურ და ზოგადსაკაცობრიო ლირებულებებზე,  
რომელსაც ის ზოგადად ქრისტიანული ლირებულებების სახელით მო-  
ნიშნავდა. ბ-ნ გამსახურდიას აქვს კიდევაც ნაშრომი, სახელწოდებით  
„საქართველოს სულიერი მისია“, სადაც ცდილობს შესავალი საქარ-  
თველოს შემთხვევის ანალიზისას ალექსანდრე ფონ პუმბოლტის მი-  
დევნებით დაინტერირებით და ანალიზიდან, იკვლიოს რა ამრიგად ერის  
არაცნობიერი და დაასაბუთოს მისი ძირძველი ევროპული ეტიმოლო-  
გა. პრეზიდენტი გამსახურდიას შრომები ენის ეტიმოლოგიის გათვა-  
ლისწინებით და არამხოლოდ, მეცნიერულად შეიძლება კვალიფიცირ-  
დეს, როგორც სემანტიკის სფერო და ამასთან საკმაოდ ორიგინალური.  
ის, რომ თავად იყო ფილოლოგი, ფილოლოგიის მეცნიერებეთა დოქტო-  
რი, მას კიდევ მეტად აძლევდა სამუალებას, ეს ყველაფერი თუნდაც  
არამიზანმიმართულად ექცია სემიოტიკური კვლევა-ძიებების სფეროდ.

**ნიებს თუ არა სოციალური ცხოვრება ცენტრს?**“ სოციალური პრობელემბი შენიშვნის ფორმით ავლნიშნეთ, რომ კავშირშია ცალკეული შემთხვევის დონეზე სახელწმიფოთა შორის გამნავავებულ დაპირისპირებებთან, ეროვნულ სუვერენიტეტთან, მზარდ ინდუსტრიალიზაციასთან და ამ დროს სოციოკულტურული მემკვიდრეობის თაობათა შორის ჯანსაღი გადაცემა ფერხდება. როდესაც ეროვნული სახელმწიფოების ჰეტეროგენულობის ინდიკატორი იზრდება, სტაბილურობა ფართე დიაპოზონზე, ანუ უნივერსალური ადამიანური ღირებულებების ირგვლივ შეთანხმება როგორ უზრუნველყონ, ვინ უზრუნველყოს გაურკვეველი რჩება. ცხადია არსებობენ საერთაშორისო ორგანიზაციები მსგავსი „გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა“, მაგრამ ვიცით, რომ რჩება ცხელი კერძი, იგულისმხება ტერიტორიები, სადაც საომარი ღონისძიებები ათწლეულებს ითვლის და არ ყოვნდება, ასევე ტერიტორიები, სადაც არის უწინდებურად შიმშილი და ბევრი სახელდებისათვის „თანამედროვე“ და მითუმეტეს „მოდერნული“ შეუსაბამო სატკივარი. ზოგადად როცა სოციოლოგები განსაზღვრავენ „მოდერნს“, „თანამედროვეს“, იგულისმხება თითქოს ცხოვრების მაღალი სტანდარტი მოსახლეობის დიდი ხვედრითი წილისათვის ლოკალურად ქვეყნის შიგნით და არა მხოლოდ. მოცემული ნაშრომის ფარგლებში, თანაც უკვე მეოთხე ქვეთავის გადასახედიდან, რამდენჯერმე ვიხელმღვანელე ქართველი კულტურის მკვლევარის, ასევე ფილოსოფოსის, აკაკი ყულიჯანიშვილის პერიფრაზით. ყულიჯანიშვილი აკაკი „კულტურის თეორიაში“ ცდილობს ჯამბატისტა ვიკოს<sup>67</sup>

<sup>67</sup> ჯამბატისტა ვიკო (1668-1744), იტალიელი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი და იურისტი. ყველაზე მეტად ვიკოსთან განხილვის საგნად აქცევენ კაცობრიობის მიერ განვლილი ისტორიული ციკლის ფაზებს: ღმერთების ეპოქა, გმირების ეპოქა და ეპოქა ადამიანებისა, რომელიც ახასიათებს რესპუბლიკურ-დემოკრატიულ მოწყობას ან წარმომად-

გადასახედიდან გვიჩვენოს როგორი სავალალო შედეგები აქვს თანამედროვე ეპიქაში შემობრუნებას ბარბაროსობისა-კენ, და ზედმიწევნით გასაგებად განსაზღვრავს, თუ რა შეიძ-ლება იყოს ბარბაროსობა დღევანდელობაში. ვაკეთებ უშუა-ლოდ ტექსტიდან ციტირებას<sup>68</sup>:

„ვიკოს აზრით ადამიანებს ძირითადად უყვართ თავისი სა-კუთარი სარგებელი, მაგრამ ადამიანის ცხოვრება რომ მხოლოდ ამ ყოველდღიურ არსებობაზე დაიყვანებოდეს, რომ არ იყოს ასეთი რამ, რაც ადამიანის თვითნებობას არ დაუშვებდა და ხელს შეუწყობდა ადამიანურის, ზოგად-საკაცობრიოს შენარჩუ-ნებას ადამიანთა მოღვაწეობაში. ამის გარეშე ადამიანები კი სრულიად ბუნებრივ, ცხოველურ არსებობაში ჩაიძირებოდნენ და ეს შეუძლებელია იმიტომ რომ ეს სამყარო უეჭველად გამო-სულია რაღაც გონებისაგან, რომელიც ხშირად არ ემთხვევა ზოგჯერ სრულიად უპირიპირდება და ყოველთვის აღემატება იმ ადამიანთა კერძო მიზნებს, რომლებიც მათ ისახავდნენ. ვიკო აღნიშნავს, რომ ადამიანები თავისიუფლად საკუთარი ნებით ახორციელებენ საკუთარ მიზნებს და ზეადამიანურ მიზნებსაც. განიხილავს რა კულტურისა და ბარბაროსობის მიმართებას, ამ-ბობს რომ ბარბაროსობა კულტურის წარმოშობის საწყისებთან კი არ გვხვდება მხოლოდ, არამედ აუცილებლობით ცვლის კულ-ტურას. **ახალი ბარბაროსობა** პირველისაგან, ძველისაგან გან-სხვავებით, რომელიც ზოგჯერ სტიქიურად, იმპულსურად წარ-მოშობდა კულტურას, ხოლო ზოგჯერ უბრალოდ ბაძავდა მას, ესაა ბარბაროსობა ხალხისა, რომელმაც უკვე გამოიარა კულ-

---

გენლობით მონარქიას და რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის ლირსების შესაბამის უფლებებსა და თავისუფლებებს.

<sup>68</sup> აკაკი ყულიჯანიშვილი, კულტურის თეორია, გამომცემლობა უნი-ვერსალი, თბილისი, 2009.

თავი 2. ძირითადი კულტუროლოგიური თეორიები, §1. კლასიკური კულტუროლოგიური თეორიები. ჯამბატისტა ვიკო. გვ. 32-33

ტურა. ესაა ცხოვრება, რომელიც სავსეა ცოდნით, მაგრამ მოკლებულია ადამიანურობას. ესაა მოლვაწეობა ადამიანებისა, როგოლთაც აქვთ მძლავრი საშუალებები, მაგრამ დაკარგული აქვთ მაღალი მიზნები. ბარბაროსობის ეპოქაში მეფობს თვითნებობა, კულტურის დროს თავისუფლება“.

როდესაც ცხოვრების მაღალი დონე და თანამედროვეობა/მოდერნი კორელაციაში ხვდება და გვესმის ეს, როგორც ლოგიკური კავშირი, ცხადია აქ იგულისხმება არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით ლოკალურად მოსახლეების ფინანსურად სახარბიელო მდგომარეობა, არამედ თავისუფლების მაღალი ინდიკატორი, რადგან თავისუფლება როდი დაიყავნება მხოლოდ ეკონომიკურ ასპექტზე. მრავალი კუთხით შეიძლება განხილვადი საკითხების და სოციალური პრობლემების ცალკეულდ დონეზე შესწავლა, მაგრამ მთავარი ერთია, რისთვისაც ზემორე ამონარიდი ყულიჯანიშვილის ტექსტიდან მოვიშველიე, სოციალურმა პრობლემებმა, არ უნდა გამოიწვიოს კულტურის კრიზისი მდგომარეობამდე, რომელიც შეიძლება იყოს უკვე კვალიფიცირებული, როგორც **ახალი ბარბაროსბა**. არის ასეთი საინტერესო რუსული წარმოშობის მკვლევარი, ფილოსოფიური ანთროპოლოგის დარგში, **ბორის მარკოვი** (1946), რომელიც მიჩნევს, რომ ლოკალურად ქვეყნის შიგნით, და გლობალურად ქვეყნის გარეთ, ანუ ქვეყანათაშორის, ყველაზარდ უნდა აღიკვეთოს ე.წ. საგანგებო ვითარება, ანუ უკიდურესი მდოგმარეობა, ანუ **ახალი ბარბაროსბა**.

ტურენი უფიქრდება, სად, როგორ ვიპოვოთ საზოგადოებრივი სისტემის და არა სახელმწიფოს ერთიანობის პრინციპი ცაკლეულ, კონკრეტულ შემთხვევებში, რომლებიც აშკარაა, რომ სპეციფიკურია. ტურენი ჩამოთვლის, რწმენები, ღირებულებები, ფუნდამანტალური წესები, იქნებ ე.წ. გაბატონებული კლასის ჰეგემონია, ანდა ისევ ყავარჯვნად მოშველიებული სახელმწიფო. არის ასეთი ბერძნული გამონათვამი, რომელსაც ჰერაკლიტეს მაინტერენ - panta rhei - და რო-

მელიც ნიშნავს, „ყველაფერი მიედინება“. ცალკეულ შემთხვევაში ასეთი მიდგომაც შესაძლოა იყოს გამოსავალი, ანუ გაცნობიერება, აღირება ცვლილებების გარდაუვალობისა. იქნებ ჯობიაო კიდეც, ამბობს ტურენი, ამის გათვალისწინებით რაღაც ახალი დუღაბის, მჭიდის პოვნა საზოგადოებრივი ცხოვრების ერთიან, მოწესრიგებულ სისტემაში მოსაყვანად, რაც ე.წ. ახალი ბარბაროსობისაგან დაგვაზღვევდა.

ალენ ტურენის დამოწმებით, მსგავსი საჭიროებიდან გამომდინარე „ორგანიზაციის“, კონკრეტულად „გადაწყვეტილებებისა და ორგანიზაციის სოციოლოგია“ მეტადრე ვითარდება. ყოველ შემთხვევაში კვლევები ამ კუთხით არის წაქეზებული. „გადაწყვეტილებებისა და ორგანიზაციის სოციოლოგია“ არის ქვე-სეგმენტი „სოციალური ცვლილებების სოციოლოგიისა“. იგი უპირისპირდება კლასიკურ სოციოლოგიურ მიდგომას და ამტკიცებს, რომ საზოგადოება ეს გახლავთ სისტემა ცენტრის გარეშე. ცვლილებების ხასიათი, მასშტაბი შეზღუდულია და ისიც განისაზღვრება ადაფტაციის ანდა შინაგანი დაძაბულობის უკუგდების ხარისხით. რაც შეეხება „მოქმედ სუბიექტს“, იგი საერთოდაც არ ითვლება მატარებლად რამეგვარი რაციონალურობის, ვინიდან თითოეული წარმოადგენს და იცავს განსაზღვრულ ინტერესს და ექვემდებარება ჯვეუფურ იდენტიფიკაციას, რაც არის შესატყვისი როგორც თავდაცვითი, ისევე თავდასხმითი სტრატეგიის. ყველა სტურქურული პრობლემა როგორც წესი ერთი ტიპის რეალობის, რომელიც ცხადია კონსტურინებულია, სასარგებლოდ არის მიჩქმალული. აქ ტურენი ბერგერი/ლუკმანის მიერ მონოგრაფია „მიპატიურება სოციოლოგიაში“ საკითხად დასმულ და ზოგადად, სოციოლოგთა შორის დაუსრულებელი დავის საგანს გადასწვდება, არის კი მსგავს ვითარებაში შესაძლებელი სერიოზული მსჯელობა თავისუფლებაზე, როცა პარალალურად მისი კონსტურინებისა და მოდელირების შესაძლებლობას, როგორც ფაქტს განვიხილავთ.

## 5. ე.ნ. მოქმედი სუბიექტის დაბრუნება მოდერნის პირობებში

ალენ ტურენი ლაპარაკობს მუდმივად საზოგადოების დეზინტეგრაციაზე, რაც მოიტანა თანამედროვე ეპოქამ. ეს პროცესი დაიწყო დასავლეთ ევროპიდან, სადაც პირველად გახდა შესამჩნევი ეროვნული სახელმწიფოს იდეის ვარდნა. თუკი ფუნდამენტური გადაწყვეტილებების უკან არ დგას ეროვნული სახელმწიფო, გამოდის იგი არაა ძალა. ფუნდა-მენტური გადაწყვეტილებები ცხადია მხოლოდ ომსა და მშვიდობას არ შეეხება. აქ უპირატესად ლაპარაკია გადაწ-ყვეტილებებზე ეკონომიკის სეგმენტში. როდესაც ლაპარაკია სოციალურ ცვლილებებზე, ეს მსოფლიოს სხვადასხვა რეგი-ონში კალენდრულად პარალელურ დროში არ ხდება. ევროპა როცა დადგა ფაქტის წინაშე ეროვნულ სახელმწიფოს შედ-გომია წყალი, დანარჩენ მსოფლიოში ჯერაც იყო ჭიდილი ავ-ტორიტარული ტიპის სახელმწიფოებთან. ევროპულ სოცი-უმში თუ ამ ახალ ყოველდღიურობას არ მოყოლია რაიმეგვა-რი ეკიზისტენციალური კრიზისი და ის, რაც კვალიფიცირდე-ბოდა ემილ დიურკემის მიერ ანომიად, ეს არის გარდაუვალი და განაჩენი დანარჩენი, ნაკლებად განვითარებული სამყა-როს წარმომადგენლობისათვის. მიზეზი ნათელია. ევროპა იმთავითვე იყო ორიენტირებული ეროვნული ღირებულებები ზოგადსაკაციობრიო, უნივერსალურ ღირებულებებთან დაე-კუმპლექტებინა, გარდა ამისა ქვეყნის ინფრასტრუქტურა - რისი გამართულობის ერთ-ერთი ინდიკატორიცაა ეკონომი-კური კეთილდღეობა, სამართლებრივად უსაფრთხო გარემო, ჯანდაცვის ძლიერი სტერუქტურები, მძლავრი საგანამანათ-ლებლო სისტემა, შედეგად პროფესიონალი კადრები და გარ-და ამისა მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნება - იყო მას-ქიმალურად მოუწყლვადი. ქვეყნებს სახელმწიფოებრივი

კულტურის ნაკლები გამოცდილების მქონეთ, ეროვნულობის ვარდნა რომ ძვირად დაუჯდათ, მითუმეტეს თუკი აღმოჩნდნენ კატეგორიაში, პოსტ-კომუნისტური ან სულაც პოსტ-საბჭოთა, ან კიდევ უარესი, ორივე ერთად, ესეც ექვემდებარება სოციოლოგიურ ანალიზს. საკმარისია შაბლონად შედარებისთვის აიღო ერთი კონკრეტული სახელმწიფო და გამორიცხვის წესით შეაფასო თითოეული სტრუქტურული კომპომპონენტი პოსტ-კომუნისტური და პოსტ-საბჭოთა რომელიმე ცალკეული ქვეყნიდან. ზოგადად როცა შედარებითი ანალიზი გამორიცხვის წესს ეფუძნება, ანალიზის შედეგები მაქსიმალურად მიუახლოებულია სინამდვილეს.

თუკი საზოგადოების ცნებას დავიყვანთ ცალკეულ ერსახელმწიფოებზე, როგორი იყო (ან შეიძლება არის დღესაც) საზოგადოების კლასიკური მოდელი?

✓ ე.წ. **საზოგადოებრივი ხელშეკრულების**<sup>69</sup> ძალით გაშუალებული სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების შორის მეტ-ნაკლებად მოწესრიგებული ურთიერთიმამართება;

---

<sup>69</sup> „მე-17, მე-18 საუკუნეების ინგლისელი ფილოსოფოსების, თომას პობსის, ჯონ ლოკისა და ფრანგი განმანათლებელის ჟან-ჟაკ რუსოს თეორიას სახელმწიფოსა და მთავრობის/მმართველობის სისტემის წარმოშობის და განვითარების შესახებ მეცნიერები „საზოგადოებრივ ხელშეკრულებას“ უწოდებენ. თუმცა, პობსის, ლოკისა და რუსოს გარდა, კიდევ ბევრი მეცნიერი იდგა „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“ პაზიციაზე. „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“ თეორიის მთავარი იდეა: ადამიანი არსებობდა სახელმწიფოსა და მმართველობის სისტემის შექმნამდე, ე.წ. „ბუნებით მდგომარეობაში“, რომელიც საკმაოდ წინააღმდეგობრივი, მოუხელთებელი და ხშირად საშიშროების შემცველია. ამგვარი წინააღმდეგობის დასაძლევად, ადამიანები მივიდნენ დასკვნამდე, რომ სჯობდა შეექმნათ ორგანიზაცია, რომელსაც დაუთმობდნენ საკუთარი „ბუნებითი უფლებების“ ნაწილს, რათა მისგან მიელოთ სხვა სამაგიერო სიკეთე. თუმცა, როგორი იყო „ბუნებითი მდგომარეობა“ და რა სიკეთე უნდა მიიღოს ადამიანმა სახელ-

- ✓ რაციონალურობის პრინციპით<sup>70</sup> ხელმძღვანელობა;
- ✓ ისტორიის საზრისის<sup>71</sup>, როგორც აპრიორი რწმენად მი-

მნიშვნელობა და მმართველობის შედეგად, ამ საკითხზე არ არსებობს საყვალთაო თანხმობა და მოაზროვნებიც ერთმანეთისგან განსხვავებულ შეხედულებებს გვთავაზობენ.“

გრიერ ბოროუსი, ზვიად აბაშიძე, ქეთევან მუხიგული, სალომე დუდუა, თამარ ქარაია, დემოკრატია და მოქალაქება, საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი, 2020.

<sup>70</sup> ე.ნ. რაციონალურობის პრინციპით ხელმძღვანელობდნენ განმანათლებლები. „განმანათლებლობის დიალექტიკა“, ასეთი სათაურით არსებობს ფრანგულობის სამეცნიერო სკოლის ადეპტების მ. ჰორჟა-იმერისა და ო. ადორნოს უაღრესად საინტერესო პუბლიკაცია. თუმცა იმანულ კანტის მიერ გაცემული პასუხი შეკითხვაზე „რა არის განმანათლებლობა?“, უკეთ წარმოაჩენს რა მოიაზრება რაციონალურობის პრინციპში. სასიკეთოდ, სასარგებლოდ საკუთარი გონების ექსპლუატაციის უნარი, რაც მარტივად არ გვეძლევა და ნიშნავს „გამოსვლას უმწიფერობიდან“. ეს კონკრეტული მასალა ქართულ ენაზე, ბრომურის ფორმით გიგი თევზაბის რედაქტორობით დაბეჭდა ილიას უნივერსიტეტმა, ხოლო მოგვიანებით, ელექტორონულად საკუთარ ვებგვერდზე – ბურუსი – განათავსა თენგიზ ვერულავამ.

<https://burusi.wordpress.com/2011/06/26/immanuel-kant-3/>

<sup>71</sup> „თუკი ჩვეულებრივი მოკვდავი თავისი ცხოვრების გარემოებებს და საკუთარი გამოცდილების მნიშვნელობას აღიქვამს როგორც რაღაც თავისთავად ნაცულისხმევს, სოციალური ფილოსოფიის წარმომადგენელმა თითქოსდა ცხოვრება სხვა, მაღალი, უმაღლესი თვალსაზრისიდან ამოსვლით უნდა შეისწავლოს. ის ინდივიდს რაღაცგვარ უნდილ არსებად მიიჩნევს, რომელიც არც ისე მნიშვნელოვანია კაცობრიობის თანმიმდევრულ, მიზანმიმართულ სვლაში. იგი აღმოაჩენს, რომ ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი, მოქმედი პერსონაჟები გახლავთ დიადი ერები ან დიადი კლასები, ანდა დიადი იდეები. ნებისმიერ შემთხვევაში, ის ცდილობს ისტორიის სცენაზე გათამაშებული პიესის საზრისის გაგებას და ისტორიული განვითარების კანონების გააზრებას.

ესაა მოკლე აღნერა მიდგომისა, რასაც მე (კარლ პოპერი) უწოდებ ისტორიციზმს. იგი ეფუძნება მოძველებულ იდეას, უ.ზ. მრავალ ხელოვნურად ურთიერთზე მიბმულ იდეას, რომელიც სამწუხაროდ გამ-

ლება და რამდენიმე სხვა. ალენ ტურენის აზრით საზოგადოების სწორედ ეს ზემოთაღნერილი მოდელი უკვე რაღაც გარკვეული ათვლის წერტილიდან არ იყო იმუნიტეტის მქონე თავის თავზე ეტვირთა საზოგადოების სისტემის ინტეგრაცია. იგი უფრორე გახლდათ ისტორიული ცვლილებების ტელეოლოგიური<sup>72</sup> მოდელი. შედეგად ანალიზის ცენტრში მოექცა არა ლირებულება მოდერნიზაციისა, არამედ სახელმწიფოს, უ. ზ. პოლიტიკური მოღვაწეობა. სახელმწიფო გამომდინარე მეტა-სოციალური პრინციპიდან განიხილებოდა აგენტად, რომელიც ისტორიის საზრისის გაშუალებას უწყობდა ხელს.

---

ხდარა განუყოფელი ნაწილი ჩვენი სულიერი ატმოსფეროსი. მას აღიქვამენ, როგორც თავისთავად ნაგულისხმევს და იშვიათად უქვემდებარებენ ეჭვს.

ნატურალისტური ისტორიციზმი განვითარების კანონს განმარტავს, როგორც ბუნების კანონს; სპირიტუალისტური ისტორიციზმი განმარტავს როგორც სულიერი განვითარების კანონს; ეკონომიკური ისტორიციზმი როგორც ეკონომიკური განვითარების კანონს; თეისტური ისტორიციზმი მითითებულ სხვა ფორმებთან აერთიანებს ვითარებას, რომ არსებობენ ისტორიული კანონები, რომელთა აღმოჩენა ეხელნიფება ადამიანს და რომელთა საფუძველზეც შეიძლება კაცობრიობის მომავლის წინასწარმეტყველება.“

**Карл Поппер, *ОТКРЫТОЕ ОБЩЕСТВО И ЕГО ВРАГИ*, Том I, ЧАРЫ ПЛАТОНА,** Международный фонд „КУЛЬТУРНАЯ ИНИЦИАТИВА“, Москва, 1992.

ზოგადად თეორიები, რომლებიც ემსრობიან ისტორიციზმის პოზიციებს და იზიარებენ ისტორიის საზრისის გაგებას სამი ტიპისაა

✓ **პოგრესის ისტორიული თეორიები**

✓ **სტაგნაციის ისტორიული თეორიები**

✓ **რევოლუციის ისტორიული თეორიები**

მათი ყველაზე ობიექტური ანალიზი აქვს კრებულში „**სოციოლოგია**“ (ორ ნაკვეთად) ედუარ კოდუას.

<sup>72</sup> ტელეოლოგიური, ანუ განსაზღვული მიმართულების მქონე.

მოდერნიზაცია საზოგადოებრივი ცხოვრების ლოკალურობის ყოველგვარ საფუძველს ანადგურებს. საზოგადოების ხისტ სტრუქტურაში შეიქრება ცვლილებები, რაც თავის თავში გარკვეულ ღირებულებით სტრატეგიასაც მოიცავს და შედეგად ყალიბდება ახალი პრინციპი საზოგადოებრივი ცხოვრების ერთიანობისა, რომელიც მეტა-სოციალური<sup>73</sup> ამიერიდან აღარ არის. იმ მომენტიდან, როდესაც საზოგადოება თავისივე თავს განკარგავს, იზრდება დისტანცია წარმოქასა და საზოგადოებრივი ცხოვრების კვლავწარმოებას შორის. საზოგადოების თვითმმართვა ბუნებიდან კულტურაზე გადასვლას როდი გულისხმობს, ან კიდევ ვწების ინტერესად ფორმირებას. საზოგადოების სისრულეში მოიაზრება ადამიანური უნარების შემოქმედებითი პრცესისათვის ძალდაუტანებელი დანებება. ადამიანური უნარები როცა განიხილება, როგორც საგანი შემოქმედებისა, ეს უკვე არის სამყარო თავისუფლების ჰუმანურობის პრინციპით კონსტრუირებული. ინდივიდუალურ თუ კოლექტიურ დონეზე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მეტასოციალურ პრინციპს ჩაანაცვლებს ადამიანიური ძალისხმევის, უშუალოდ შრომის შედეგი. საკითხის დასმა აღენ ტურენის მხრიდან იწყება სუბიექტისათვის ახალი აქტუალობის მინიჭებით. იგი დაიყვანება ადამიანის უნარზე გათავისუფლდეს როგორც ტრანსცენდენტური პრინციპების, ისევე კომუნიტარუ-

<sup>73</sup> საზოგადოების შემსნავლელი მეტა-სოციალური მიდგომა გულისხმობს კორელაციის „არსისა“ და „არსებობისა“ და გამომდინარე აქედან, ყველაფრის უკან აღმოაჩენს „საზრისს“. საზოგადოების შემსნავალელ მეტა-სოციალურ მიდგომას ყავს მოწინაღმდეგენი თავად აღენ ტურენის ჩათვლით, ძირითადად „ღია საზოგადოებისა“ და „კრიტიკული აზროვნების“ თეორეტიკოსების სახით, მითუმეტეს წარმომადგენლები პოსტმოდერნისტული სოციოლოგიური თეორიებისა. ასევე სისტემურ-ფუნქციონალური თეორიის ისეთი მიმდევრები, როგორიცაა გერმანელი სოციოლოგი ნიკლას ლუმანი.

ლი წესებისაგან<sup>74</sup>. სუბიექტის ცნება ჩვეულებრივ მოყავთ კო-რელაციაში ცნობიერებასთან. ჰეგელიანური „აბსოლუტური გონი“, რაც წარმართავს კაცობრიობის, ერების მდინარებას ეპოქათაშორის და ცნობიერების მატარებელი სუბიექტი არის სხვადასხვა დროის, უ.ზ. სხვადასხვა დროისათვის მახასიათებელი აზროვნების პროდუქტი. ცნობიერების მატარებელი სუბიექტი, ეს თემა, მხატვრულ ლიტერატურაშიც იყო ინტერესის საგანი. ალენ ტურენი ახსენებს ე.წ. *Bildungsroman*<sup>75</sup>. ასახელებს რამდენიმე ავტორს, ვოლფგაგნ გოეთე, გუსტავ ფლობერი, თომას მანი, ანრე შიდი, ერნსტ ჰემინგუეი, უილიამ სტაირონი.

<sup>74</sup> კომუნიტარიზმი არსებობს ორი ტიპის, ფილოსოფიური და იდეოლოგიური. ფილოსოფიური, რომელიც ჩვენთვის არის ალენ ტურენიდან ამოსვლით საგულისხმო, დაიყვანება შეხედულებაზე, რომ ერთობები, საზოგადოება აფორმირებს თითოეულ ადამიანს. ამისგან განსხვავებულია ლიბერალური და ლიბერტარიალური ფილოსოფია, რომლის ღრმა რწმენით საზოგადოება, ესაა პირველ რიგში პიროვნებათა გაერთიანება. კომუნიტარული მიდგომიდან გამომდინარე ადამიანი არის „პროდუქტი“. ლიბერტარიალურიდან კი „პროცესი“. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ფილოსოფოსი, მერაბ მამარდაშვილი თავს ლიბერტარიანელად არ მოიხსენიებდა, არაერთხელ გაუსვა ხაზი ფაქტს, რომ „ადამიანი არის პროცესი“. ე.წ. სიცოცხლის ფილოსოფიაში ასევე დომინირებს აზრი, რომ ადამიანი პროცესია, ოლნდაც დაკონკრეტებით, „ადამიანი არის პროცესი აღსრულებული მიზნიდან მორიგ დასახულ მიზნამდე“. დაახლოებით ასე უდერს ნიცშეს ფორმულა ადამინაზე.

<sup>75</sup> **Bildungsroman**, გერმანული გამოთქმა, ტერმინი გამოიყენა ფილოლოგმა კარლ მორგენშტაინმა, 1819 წელს საუნივერსიტეტო ლექციაზე, ხოლო მოგვიანებით რეპრიზირება გაუკეთა და დაამკვიდრა ვილ-ჰელმ დილთამ. მოკლედ, აქ იგულისმება ლიტერატურული ჟანრი, ფოქსირებული გმირის მორალურ და ფსიქოლოგიურ ზრდაზე ახალგაზრდობიდან სრულწლოვანებამდე. ამ ჟანრს მიაკუთვნებენ იოპან ვოლფგანგ გოეთეს, თუნდაც იმის გამო, რომ იყო ავტორი „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანისა“, რაც მაღალი ოსტატობით თავის დროზე თარგმნა კონსტანტინე გასახურდიამ (უფროსმა გამსახურდიამ).

ალენ ტურენი ფიქრობს, რომ იდეა საზოგადოებისა რა-ლაცნაირად განივრცო, გახდა ერთგავარად განფენილი, რა-მაც თავისმხრივ გვაიძულა გაგვეზიარებინა მუდმივი ცვლი-ლების იდეა. ერთისმხრივ ესაა საზოგადოებრივი ცხოვრების წმინდა პოლიტიკური კონცეფცია. მეორეს მხრივ, კონცეფ-ცია სუბიექტისა, რომლის უნარმაც (თვით)შემოქმედებისა რაღაც დოზით უზრუნველყო კორექტირება საზოგადოებრი-ვი ცხოვრების ერთიანობის უწინდელი პრინციპების. ალენ ტურენი დასძენს, რომ ამ შემთხვევაში ისტორიული მეცნიე-რებისათვის მახასიათებელ ტერმინებში სუბიექტის დეფინი-ცია რთულია. საზოგადოება იყო ისტორიაში; ახლა უკვე ის-ტორია იმყოფება საზოგადოებაში, რომელიც არის უნარის მქონე, აირჩიოს თავისი ორგანიზაციული მოწყობის წესი, ღირებულებები, ცვლილებათა პროცესები. იგი უკვე აღარ ღებულობს აპირორად ბუნების ანდა ისტორიულ კანონებს.

ალენ ტურენი თვლის, რომ მიშეღლ ფუკოს კრიტიკა ჰუ-მანიზმის მისამართით, სულაც არაა სუბიექტის იდეის საპი-რისპირო, რადგან სუბიექტი არ იქონიებს მუდმივ სუბსტან-ციონალურ შემცველობას და იგი ნებისმიერ „არსებას“<sup>76</sup>

<sup>76</sup> „არსისა“ და „არსებობის“ შესახებ მსჯელობა ფილოსოფიაში მრა-ვალ ავტორთან გვეძლევა. მათშორის გამოვყოფდი ფრანგ ექსისტენ-ციალისტს, უან-პოლ სარტრს:

„როგორ სამყაროს აირჩევს ადამიანი, მიუთითებს იმაზე, თუ როგორი ადამიანი არის იგი, როგორია მისი არსება. საერთოდ, ადამიანისათვის დამახასიათებელი თავისუფლება თითოეულ ადამიანში ვლინდება როგორც მის მიერ საკუთარი არსების შექმნა. სარტრი ფიქრობს, რომ სწორედ და მხოლოდ ამგვარად გაგებული თავისუფლება განასხვა-ვებს ადამიანს ყველა სხვა ობიექტისაგან სამყაროში, ასევე სხვა ცოც-ხალი არსებებისაგან. დანის, სახლის, გზის არსება წინასწარა დადგე-ნილი გამეოთებლის მიერ, მათ ამ წინასწარ დადგენილი გეგმისაგან გა-დახვევა არ შეუძლიათ. შეუძლებელია ეს ცხოველისთვისაც. სარტრი აყენებს პრინციპს, ადამიანის არსებობა წინ უსწრებს მის არსებას.

აღუდგება წინ. გასაგები რომ გახადოს კონკრეტულად რას გულისხმობს, ტურენი საჭიროდ მიიჩნევს ორი ცნებისათვის ახალი მნიშვნელობის მინიჭებას. ესენია

✓ ისტორია

✓ ინსტიტუცია

აქამდე ეს სიტყვა, ისტორია, უბრალოდ საზოგადოებრივი ფენომენების ისტორიულ ბუნებაზე მიუთითებდა და მისი პრაქტიკული დანიშნულება საზოგადოებრივი ფაქტების ისტორიული ანალიზით შემოიფარგლებოდა. არადა, ისტორია ესაა კულტურული, კოგნიტური, ეკონომიკური, ეთიკური მოდელების ერთიანობა, რისი დახმარებითაც კოლექტივი აშენებს გარემოს, რომელსაც სერუ მოსკოვიჩი<sup>77</sup> „ბუნებრივ (საკუთრივ) გარემოდ“ მოიხსენიებდა და დაიყვანება რაც ზოგადად კულტურაზე. ერთია საზოგადოების ფუნქციონირების შინაგანი წესები და მეორე ერთიანობა საზოგადოებისა. ასევე სხვაა საზოგადოების არსება, მისი ადგილი ევოლუციის ხანგრძლივ პროცესში. აღენ ტურენის აზრით, ყურადღების საგანი უპირატესად უნდა იყოს უნარი საზოგადოებისა საკუთარი რაობის განსაზღვრის.

რაც შეეხება მეორე ტერმინს, აქ აღენ ტურენი აკონ-

---

ტრადიციულად ხომ ყოველივე არსებულის არსება წინ უსწრებდა მის არსებობას, განსაზღვრავდა მას, როგორც საკუთარ გამოვლინებას. სარტრმა აქ უკიდურესი სინათლით და სიმკვეთრით გამოხატა კირკეგორის მოსაზრება, სადაც იგი აღნიშნავდა, რომ ყველა ცოცხალ არსებას (მაგ., გაყიდულ ბელურას) აქვს უფლება საყვედური უთხრას ღმერთს, გარდა ადამიანისა, რადგან მხოლოდ იგია თავისუფალი.“

გურამ თევზაძე, XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2002, გვ. 455-456

<sup>77</sup> სერუ მოსკოვიჩი (1925-2014), ფრანგი ფსიქოლოგი, ავტორი შრომებისა სოციალური ფსიქოლოგის დარგში; პარიზის უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული სოციალური კვლევების უმაღლესი სკოლის სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევების ლაბორატორიის ხელმძღვანელი.

კრეტებს, „ინსტიტუციონალიზირებულთა ჯამი განა უდრის ინსტიტუციას“. ინსტიტუცია ესაა მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც კულტურული ორიენტაციები საზოგადოებრივ პრაქტიკაში ტრანსფორმირდებიან. გამომდინარე აქედან თვალსაჩინო ხდება ფაქტი, „ყველა ინსტიტუტი პოლიტიკური როდი არის“.

ალენ ტურენი მიიჩნევს, რომ სუბიექტის იდეა მართებულია დავიჩემოთ საზოგადოების ნატურალისტური კონცეფციის<sup>78</sup> საწინააღმდეგოდ. ინდუსტრიალური ლირებულებების კრიზისმა მიგვიყვანა ახალი ტიპის საზოგადოების ფორმირებამდე. ინდუსტრიალური საზოგადოება იყო შეპყობილი ტრანსფორმაციის იდეით. ცვლილებებს რამდენიმე პუნქტად თუ გავწერთ, ასეთი სახე ქონდა:

- ✓ გაქრა წოდებრივი სისტემა.
- ✓ გაქრა საკმაოდ ბევრი ტრადიცია და მასთან ერთად ჩვეულება.
- ✓ რელიგიის როლი შემცირდა.
- ✓ საზოგადოების სოციალური სისტემა გახდა უფრორერთული.
- ✓ დაიწყო ბრძოლა თანასწორობისათვის.

ინდუსტრიულის შემდგომი საზოგადოება ალენ ტურენის თქმით ორიენტირებული არის დაადგინოს ურთიერთმიმართების ფორმები, საზღვრები თავის გარემოსთან, ამ გარემოს იდენტიფიცირება შესძლოს და უზრუნველყოს მოცე-

<sup>78</sup> ნატურალისტური კონცეფციის თანახმად, საზოგადოების ისტორია მართებული შევისწავლოთ ისევე როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერებები შეისწავლიან ბუნებას. ისტორიაში კვლევარს თითქოსდა ბუნების ხილული და უხილავი კანონები გადააქვს. ამ დროს ბუნება და ისტორია განვითარების ერთიან ჯაჭვში მოექცევა. ისტორიული შემეცნების მეთოდოლოგია შეესაბამება ბუნებისმეტყველებაში აპრობირებულ მეთოდოლოგიას.

მული კორელაციის გათვალისწინებით თავისი წონასწორობა. ინდუსტრიული კულტურის კრიტიკა მეტად აღარაა გასავლიანი. ჩვენს წინაშეა ტექნიკური მოღვაწეობის სრულიად ახალი ფორმები. ალენ ტურენი ასახელებს პოსტ-ინდუსტრიულ და ე.წ. ზე-ინდუსტრიულ საზოგადოებას. ასევე, გამოქვს ხელახლა მერამდენედ სუბიექტის შემოქმედებითი უნარები, რაც სახეს აძლევს საზოგადოებრივ ცხორებას, შესაძლებელს ხდის მის ჟულსაციას.

ალენ ტურენი უღმავდება საზოგადოებრივი კონფლიქტის თემას. ცდილობს დაგვარნებუნოს, რომ იტორიულობა საზოგადოებაში ფესვგადგმულ ღირებულებათა ერთიანობა როდია, არამედ ინსტრუმენტების ნაკრები, რომლის საშუალებითაც საზოგადოებრივ პრაქტიკათა ნაირსახეობა ფორმირდება. რაც შეეხება ინვესტიციებს, შეუძლებელია ისინი მოსახლეობამ ერთიანად აკონტროლოს. ალენ ტურენი იმოწმებს ალბერტ ჰირშმანის<sup>79</sup> მოსაზრებას. ჰირშმანს კარგად ესმოდა, რომ მოდერნიზაციის მონაპოვარი მავანთ ტრადიციის შენარჩუნებაში ვერ დაეხმარება. დასავლური ტიპის პროლეტარიზაცია, თუნდაც პროლეტარიზაცია საბჭოური მანერით ნიშნავს მხოლოდ დაკარგულ თაობებს და არანაირადა გამოსადევი მოდერნიზაციისთვის. განა მოხმარებიდან ამოღებული რესურსების ერთობლიობაა ისტორიულობა? ჰირშმანი სვამს შეკითხვას, მოსახლეობას თუ დავყოფთ პრინციპით, ვისაც რესურსებზე მონოპოლია აქვთ და ვინც ებრძვის მსგავს მონოპოლისტებს რესურსებისადმი იმავე ინ-

<sup>79</sup> **Albert Otto Hirschman** (1915-2012), იყო გერმანიდან მიგრირებული ამერიკაში, წარმომავლობით ებრაელი, ეკონომისტი, პარვარდის უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორი, **ჰირშმანდალ-ჰირშმანის ინდექსის** ერთ-ერთი ავტორი, მაჩვენებელი, რასაც იყენებონ დარგის მონოპოლიზაციის ხარისხის გასაზომად. მისი ინტერესის საგანი იყო უმუშევრობა, ჩრდილოვანი ეკონომიკა. 1998 წელს მიღებული აქვს **ტოინბის პრემია**.

ტერესით, ინვესტირების პროცესები ვის აწვება ტვირთად? ამ ორიდან ერთი ისტორიულობაზე მოიპოვებს კონტროლს.

მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა ბინარული ოპოზიცია, **სუბიექტი/ისტორიულობა**, მსგავსი მცდელობით აღენ ტურენი მორალისტურ ანდა იდეალისტურ სოციოლოგიას როდი სთავაზობს მკითხველს. ეს არის ერთგვარი საშუალება საკითხის დასმა იყოს შესაძლებელი. ედუარდ კოდუას ერთ-ერთ წიგნში, „შესავალი სოციოლოგიაში“, თხრობა იწყება განსაზღვრებით რა არის სოცილოგიის საგანი, ობიექტი და შემდეგ კვალიფიციურად და დეტალურადაა განმარტებული, რა დატვრითვა აქვს ე.ნ. საკითხის დასმას როგორც ზოგადად მეცნიერებაში, ასევე დარგში ცალკეული ავტორის მიერ საკუთარ თეორიულ ძიებებში და არა მხოლოდ.

საზოგადოებას იმთავითვე განმსჭვალავს კონფლიქტი. კონფლიქტში მყოფ ჯგუფებს შეიძლება ეწოდოს კლასები, თუმცა ამ ცნებას თანახლავს გარკვეული ბუნდოვანება. კლასების თეორია მოიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან ავტორს:

- ✓ კარლ მარქსი
- ✓ მაქს ვებერი
- ✓ ერიკ ოლინ რაიტი
- ✓ ფრენკ პარკინი

კარლ მარქსის მიხედვით ბუნებასა და საზოგადოებას შორის არსებობს ფუნდამენტური წინააღმდეგობა. ასევე არის სახეზე დიხოტომია, საზოგადოების მწარმოებელი ძალები და წარმოებითი ურთიერთობები. აღენ ტურენი კონფლიქტს საზოგადოებაში წარმოებითი ურთიერთობების ჭრილში მეორე-ხარისხოვნად მიიჩნევს. მისი აზრით არინ უბრალოდ გარკვეული ჯგუფები, რომლებიც ძალუმად ცდილობენ აკონტროლონ ის, რასაც დავიყვანთ ისტორიულობამდე. კაპიტალისტები და პროლეტარები როდი უპირისპირდებიან ამ სქემით ერთმანეთს. აღენ ტურენს შემოაქვს ახალი კატეგორია, **ინდუს-**

**ტრიალები** და მათ აწყვილებს მშრომელებთან. ორივე ჯგუფი მსგავსი კულტურული ორიენტაციის მქონეა:

- ✓ ორივეს სჯერა პროგრესის
- ✓ დამდეგი კეთილდღეობის
- ✓ სუბლიმაციის საჭიროების<sup>80</sup>

მიუხედავად ჩამონათვალისა, ურთიერთდამთხვევის, გადაკვეთის პუნქტებისა ინდუსტრიალები და მშრომელები ცდილობენ მოიპოვონ უპირატესობა, როცა საქმე ეხება ინდუსტრიალური კულტურის კონტროლს. ეს არაა უმტკივნეული პროცესი. ამიტომაც კვალიფიცირდება კონფლიქტად. თითოეულის მიზანია მიეცეს ერთსადამიავე კულტურულ ორიენტაციას განსხვავებული სოციალური ფორმა. ისტორიული ველი თუკი კულტურული მოდელების ერთობლიობაა, ცენტრალური სოციალური მექანიზმი გამოდის რომ ყოფილა სწორედ კონფლიქტი. კულტურული მოდელები თავისმხრივ ტრანსფორმირდებიან სოციალური ურთიერთმიმართებების

<sup>80</sup> **სუბლიმაცია**, ტერმინი რაც ფსიქოლოგიაში და აქედან სოციალურ მეცნიერებებში ზიგმუნდ ფროიდის მიერ დამკვიდრდა. დავიწყოთ იქედან, რომ ზიმუნდ ფროიდის თანახმად ადამიანს მართავს ორი ტიპის ენერგეტიკული ნაკადი, ე.წ. ეროსისა და თანატოსის. თანატოსი ესაა მოუთოვავი ქაოტური სანყისებიდან მომდინარე მისი მიმღები ობიექტის განადგურების ტენცეციის მქონე ენერგეტიკული ნაკადი. ადამიანში „იდი“ და გარკვეულნილად „ეგო“ს დონეზეც არის ლიბიდო დომინანტი. როცა ლიბიდო განსაზღვრავს სუბიექტს, მასში ნაკლებია შემოქმედებითი ცხოვრებისაკენ სწრაფვა. ანუ, იგი უფრო ობიექტია და ნაკლებად სუბიექტი. როცა ადამიანი თავის თავში ავითარებს შემოქმედებით უნარებს და შრომობს მუხლჩაუხრელად, არის თანდათან უფრო პორფუქტიული და წარმატებული, ანუ, შრომის კეთილი ნაყოფი სახეზეა, ამას ფროიდი განსაზღვრავს სწორედ, როგორც სუბლიმაციას. როცა ადამიანი თავის თავში ქაოსს სუბლიმაციის პროცესს უქვემდებარებს, შეიძლება ითქვას, რომ იგი იმართება ენერგეტიკული ნაკადით, წოდებული სახელად ეროსი, ანუ იგივე შენება, რეკონსტრუქცია და სიცოცხლის მეტი და უკეთესი ხარისხი.

სისტემაში, სადაც განმსაზღვრელია ძალაუფლებრივი მომართებები და შედეგად წესია უთანასაწორობა.

ალენ ტურენი ტალკოტ პარსონსის მიერ კონსტრუირებული საზოგადოების მოდელს, რომელიც ღირებულებათა ირგვლივაა ორგანიზებული, ეჭვის თვალით უყურებს. ეს ღირებულებები სხვა არაფერია, თუ არა სოციალური ნორმები, რაც სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციაში სხვადასხვა ფორმით მუშაობენ. ასევე სოციალური ნორმის თავის თავზე მორგების ინდივიდუალურ შემთხვევაზე ზეგავლენას ახდენს როლები და სტატუსი. საზოგადოებრივი ცხოვრების გასაგებად ორი კლასის ურთიერთმიმართებით ხელმძღვანელობა, გაბატონებული კლასი/მართული კლასი, არის ასევე არასწორი. ამ კრიტერიუმიდან ამოსვლით სოციუმში ყველაფერი ემსახურება გაბატონებული ჯგუფის ინტერესებს და ის, რასაც ვეძახით საზოგადოს და გამომდინარე აქედან სიკეთეს, არის მხოლოდ ცარიელი ცნება, ანუ, ტყუილი.

ალენ ტურენი იღებს ორ ცვლადს, ერთი, ღირებულებით ორიენტირებული ქცევა და მეორე, ბაზისური სოციალური კონფლიქტი. კულტურული ორიენტაციები წარმოადგენენ მხოლოდ პრინციპებს, მაშინ როცა ამის პარალელურად გვაქვს ინვესტიციები კოგნიტური, ეკონომიკური და ეთიკური, რომლებიც კლასობრივი კონფლიქტების მეშვეობით ტრანსფორმირდებიან საზოგადოებრივ პრაქტიკაში. ინდუსტრიალური საზოგადოება ეფუძნება მრეწველობას, მეცნიერების მიღწევებს, მისთვის მნიშვნელოვანია სეკულარიზაციის<sup>81</sup> მზარდი ხარისხი და ცხადია სახეზე მყოფი კლასობ-

<sup>81</sup> სეკულარიზაცია სოციოლოგიაში გაიგება, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში რელიგიის როლის ვარდნა, რასაც მოყვება რაციონალური ნორმების საფუძველზე საზოგადოების გადასვლა ელიტურ მოდელზე. ისტორიულად ტერმინიში სეკულარიზაცია, იგულისხმებოდა საეკლესიო-სამონასტრო მიწების კონფისკაცია სახელმწიფოს მიერ.

რივი კონფლიქტი. ინდუსტრიული საზოგადოების ფაზაში არის დაპირისპირებულთა ორი მხარე:

- ✓ მეწარმე. იქნება ეს კერძო მეწარმე თუ საზოგადო-ებრივ საწყისებზე მყოფი, ადგილობრივი თუ უცხო-ელი.
- ✓ მუშები. უფრორე კი კვალიფიური მუშა, ვინაც ჩა-უდგა სული სინდიკატსა და სოციალურ მოძრაობას.

განსაზღვრული კლასები ერთისმხრივ ავლენდნენ ღი-რებულებით ორიენტირებულ ქცევას, მეორესმხრივ უშუა-ლოდ ჩართულები იყვნენ კონფლიქტში, რის გამოც უმჯობე-სია ვილაპარაკოთ „საზოგადობრივ მოძრაობაზე“ და არა „საზოგადოებრივი კლასზე“. ყოველ შემთხვევაში ასეთია ალენ ტურენის პოზიცია.

მოცემულ ქვეთავში განხილული საკითხების ამონურვა ცხადია რამდენიმე ბეჭდური გვერდის ფარგლებში შეუძლე-ბელია, თუმცა ცხადად, გაგებისთვის მისაწვდომად გამოიკ-ვეთა ალენ ტურენის მიერი საზოგადოების დეკონსტრუირე-ბული სქემა, რომელიც შედგება სამი მთავარი სტრუქტურუ-ლი ელემენტისაგან:

- ✓ სუბიექტი
- ✓ ისტორიულობა
- ✓ კონფლიქტი

სუბიექტი ორგანიზაციისთვის ჩვეული პრაქტიკიდან დისტანცირებითაა აღებული და გახლავთ მატარებელი ცნო-ბიერების; კოგნიტური, ეკონომიკური თუ ეთიკური კულტუ-რული მოდელების ერთობლიობა გვაძლევს ისტორიულობას; დასახელებულმა კულტურულმა ორიენტაციებმა სოციალუ-რი ფორმა რომ შეიძინონ ფსონად მსახურობს ესათუის სა-ზოგადოებრივი მოძრაობა, ხოლო ეს ყველაფერი კი საბო-ლოო ჯამში კვალიფიცირდება სოციალურ კონფლიქტად.

## 6. სოციალური მოქმედების თეორიის დეკონსტრუქცია

მოცემულ წიგნში არის აღებული რამდენიმე საფუძველმდებარე თანამედროვე ავტორი<sup>82</sup> და მათი მოსაზრებების შედარებითი ანალიზის საფუძველზე უკვე მიმდინარეობის თხრობა. მიშელ ფუკო თავის ინტენსიურად კითხვად პუბლიკაციაში „ავტორი“, წერს, რომ თეორია იქმნება სწორედ ხარჯზე სხვა თეორიებისა. მე ნამდვილად არ მაქს ამბიცია, ვილაპარაკო რამე ახალ თეორიაზე, აյ უბრალოდ არის ანალიზი ერთი საკითხისა სხვადასხვა კუთხით, ისე რომ ერთიანი ლოგიკური ჯაჭვი მოგვეცეს და დავინახოთ სოციალური ცვლილებები ინდუსტრიალური საზოგადოების დადგომიდან დღემდე სხვადასხვა სექტორში საზოგადოების და სხვადასხვა ტიპის საზოგადოებებში, როგორ წარიმართა.

ალენ ტურენი ქვეთავიდან ქვეთავში მეორდება, რადგან ის საფუძვლემდებარე, რაც მნიშვნელოვნად განასხავებს ალენ ტურენს ე.ნ. კლასიკური სოციოლოგიური თეორიები-საგან, სასარგებლოა გაითავისოს ახალგზარდამ, ვინაც ჯერ კიდევ უფლება სოციოლოგიურ ცოდნას.

ალენ ტურენი საკუთარ ტექსებში გამორიცხვის პრინციპით სარგებლობს. აი, მაგალითად, მორიგი მე-6 ქვეთავის თემა, სოციალური მოქმედება. იგი თავდაპირველად აღა-გებს ლაფსუსებს ამ თეორიისთვის მახასიათებელს, რაც იყო მის ტექსტამდე, ხოლო შემდეგ საკუთარ ინტერპრეტაციას გვთავაზობს, რომელშიც ტექსტს მიღმა რჩება ზემოხსენებული დეფინიციის დრომოქმული ლაფსუსები.

თუკი საზოგადოებას დავიყვანთ საკუთარ წევრებამდე და დავსძენთ, რომ მათი უპირატესი მახასიათებელი მოქმედე-

<sup>82</sup> დანიელ ბელი, ნორბერტ ელიასი, ულრიხ ბეკი, ალენ ტურენი, ალენ კეიე.

ბა და ამავდროულად ურთიერთმიმართებაში ყოფნაა, ეს გა-  
მოიწვევს საზოგადოების მოდელის თავხედურ გამარტივებას.  
ასეთი გაგებით PR, ანუ საზოგადოებასთან ურთიერთობაც კი  
შეიძლება დაიყვანო სოციოლოგიაზე. მეორე, რაც არის ასევე  
არასწორი, თუკი მოქმედების საზრისი პიროვნების ცნობიე-  
რებაზე დავიყვანეთ. არც ისაა გამოსავალი, როცა ამბობენ,  
მოქმედებას სიტუაცია სრულიად განსზღვრავსო. ალენ ტუ-  
რენი საშიშად მიიჩნევს რწმენას, რომ საზოგადოება სხვადას-  
ხვა მოქმედის გადასახედიდან სხვადასხვაა და არ გააჩნია ერ-  
თიანობის ზოგადი პრინციპი. სოციოლოგიური ანალიზი უნდა  
ეფუძნებოდეს რაციონალობის პრინციპს, რომელიც არც სუ-  
ბიექტივიზმია და აღარც ობიექტივიზმი<sup>83</sup>.

როცა შევისწავლით საზოგადოებას, თვალში საცემია:

✓ რეალური მიზეზები (კორელაციაში სოციალურ  
ცვლილებებთან, მასში ჩართული ინდივიდების მოქმედებებ-  
თან).

✓ სუბიექტის ინტენცია<sup>84</sup>, ნება.

<sup>83</sup> ობიექტივიზმი, მოჩვენებითი ობიექტივიზმი, სინამდვილის მოვლე-  
ნების როგორც ისტორიული აუცილებლობის იდეალისტური განხილ-  
ვა, რომელიც გონიათ, რომ აღარ ექვემდებარებიან ზემოქმედებას.

<sup>84</sup> ინტენცია, მიმართულობა ცნობიერების, აზროვნებისა რაიმე საგან-  
ზე. სურვილისაგან განსხვავებით ინტენცია გაიგება როგორც მოქმე-  
დების ჩაფიქრებული გეგმა. ინტენცია – კომუნიკაციური განზრახვაა  
– შეიძლება გაჩნდეს ჩანაფიქრი ჩამოაყალიბო გამონათქვამი მეტყვე-  
ლების ამათუმი სტილში, მონოლოგური ანდა დიალოგური ფორმით.  
ინტენციის სახესხვაობას წარმოადგენს სამეტყველო (კომუნიკაციუ-  
რი) ინტენცია, განზრახვა განახორციელო მეტყველების აქტი. ინტენ-  
ცია ასევე შეიძლება ნიშნავდეს არაცნობიერ მისწრაფებას, ბუკვალუ-  
რად კი, „ის, რასაც მე შეგნიდან მივყავარ იქნეთ, საითაც მინდა“.

ე.ნ. მაღალი სქოლასტიკის წარმომადგენლის, **თომა აკვინელის** (1225-  
1274) შრომებში ინტენცია და არჩევნები შეადგენენ განმსაზღვრელ

- ✓ საზოგადოების უნარი, კავშირ-მიმართებების სისტემაში მუდმივად ყოველ ჯერზე დაამატოს, შეურიოს ადრე არ-სებულს ახალი ელემენტი (სელექციის უნარით დაჯილდოვებული პირი, როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური).
- ✓ საზოგადოების შიგნით კავშირ-მიმართებების სისტემის მომწესრიგებელი, მეორე სხვა სისტემა<sup>85</sup>.

ბოლო ორი ელემენტი ამ ჩამონათვალიდან (რაც შეგნებულად მკვეთრი ფერით მოვნიშნე) აღენ ტურენის შეხედულებით საზოგადოებაში, ასე ვთქვათ, დააშენებს პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ნესრიგს. სოციოლოგია მუდმივად შეისწავლის - აკვირდება, ზომავს, არგებს შესატყვის ინდიკატორს - მოძრაობისა და ნესრიგის პოლუსებს. მოძრაობის პოლუსში ექცევა კულტურული ინოვაციები და სოციალური

ორ ელემენტს ნების თავისუფალი და ამავედროს ზნეობრივი აქტისა, რაც პრაქტიკული გონიერის მხრიდან არის ჩამოსული.  
საკუთრივ რელიგიურ ჭრილში, ინტენცია ასეაა, რასაც შესთხოვენ ლოცვისას.

**იუდაიზმში კატეგორია „ინტენციის“ ანალოგი გახლავთ კავანა, რომელსაც აღნერენ შემდეგნაირად:**

კავანა გახლავთ მიმართულობა გულისა, ანუ კონცენტრირებული ყურადღება, ინტენცია, ე.ი. სულის ჩადება იმაში რასაც აკეთებ. კავანა ლოცვის დროს არის თავად ცნების აუცილებელი ნაწილი. ლოცვამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა უნდა მიიღოს რუტინული ხასიათი, ეს არ უნდა დავიდეს მექანიკურ ამოკითხვამდე ნაცნობი სიტყვების. ბრძენი, სულიერ ღვაწლში მყოფი ადამიანები ამბობდნენ, „ლოცვა კავანის გარეშე არის როგორც სხეული სულის გარეშე“.

<sup>85</sup> ე.წ. **მომწესრიგებელი სისტემა**, მეორე, სხვა, რაზეც აღენ ტურენი გვესაუბრება შეიძლება მეტყანკლებად გასაგები იყოს, თუკი შევადარებთ პალკოტ პარსონსთან საზოგადოების ცალკე ელემენტად გამოყოფილ ე.წ. **სოციეტარულ სისტემას**. მაგრამ, უპრიანია აქვე აღინიშნოს, ტალკოტ პარსონსს აღენ ტურენი დიდად არ წყალობდა; საერთოდაც ასაბუთებდა, რომ საზოგადოების ტალკოტ პარსონსისეული მოდელი ცოდნისთვის გამოუსადეგარია.

კონფლიქტები; წესრიგის პოლუსი მოიცავს პოლიტიკურ ძალაუფლებასა და იდეოლოგიური კატეგორიის ფენომენებს.

ალენ ტურენს შემოაქვს ასეთი ფრაზა, „წესრიგი“, თუმცა მისი ოდნავ ფორმისცვალება ტურენის ჩანაფიქრს, ვგონებ უფრო აღქმისათვის ხელმისაწვდომის გახდის. ამ ფორმისცვალების შედეგი იქნებოდა „წონასწორობა“, რომელიც არის შედეგი ურთიერთებებისა და კონფლიქტის. გერმანიის ერთერთი რეიტინგული ეროვნული არხისათვის **ZDF**<sup>86</sup> გაკეთდა დეტექტიური ტელესერიალი **Wilsberg** (ვინმე Juergen Kehrer ის იდეის მიხედვით). საინტერესოა პირველი სერიის სიუჟეტი: გერმანიაში თითქოსდა დაფუძნდა კორპორაცია, რომელიც ადგილობრივებს უწევს ვიდეო-მონიტორინგს. ქალაქის სკვერებში, ნაგავსაყრელებთან, ზოგადად ყველგან, არის ფარული კამერა, რომელიც ვიდეო სკანირების მეშვეობით ადგენს დევიაციის შემთხვევაში მოქალაქის ვინაობას (აქვთ დეტალური მონაცემთა ბაზა თითოეულ მოქალაქეზე). დევიაციად კვალიფიცირდება ნასვამ მდგომარეობაში პარკის სკამზე ძილი, ნაგვის ურნის გარეთ დაყრა, პარკირების წესის უგულვებელყოფა, უცენზურო სიტყვა, ნებისმიერი ტიპის ქცევა, რომე-

<sup>86</sup> გერმანიაში მაუწყებლოს ოთხი ზოგადეროვნული კოცენტრი: ZDF, ARD, Deutsche Welle, Deutschlandradio. თითოეულ მათგას აქვს რამდენიმე პროფილი. მაგალითად, ZDF ის შემთხვევაში საინფორმაციო ტელეარხი ცალკეა და ქვია ZDFinfo. არის ასევე ახალგაზრდული ტელეარხი, რომელსაც ქვია ZDFneo. ტელეარხს აქვს ვებში ოფიციალური გვერდი. აქ არის ფილმების მედიათეკა ხელმისაწვდომი, სხვადასხვა უანრი, დოკუმენტური, მხატვრული, სერიალი... ასევე სოციალურ ქსელში თავისი სივრცე, საიდანაც ამათუმი ახალ საინტერესო ტელეპროექტზე გადასვლა არის შესაძლებელი აქტიური ლინკით. საქართველოდან წვდომა ნიშანდობლივია რომ არის უფასო სრულიად, მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში არის პროგრამების ცალკეული პაკეტი, რაც ეროვნულ დონეზე ვრცელდება, ანუ უცხო ქვეყნიდან ყურება ტექნიკურად შეუძლებელია.

ლიც სამოქალაქო თვითშეგნების არქონაზე მიუთითებს. ხდება კალკულაცია, ე.წ. სოციალური კრედიტის რა რაოდენობა გაიხარვება. როცა ქულები კლებით ტოტალურად მინუსებში გადადის, ამ ადამიანებს უბრალოდ კლავენ, თუმცა მკვლელობას აქვს უბედური შემთვევის, ან ბუნებრივი სიკვდილის იმიტაცია. მოკლედ, ესაა სოციალური წესრიგის ფანატიკოსთა საიდუმლო ორგანიზაცია, რომელიც ცდილობს მოქალაქეები წვრილმანებამდე კორექტული გახადოს. ალენ ტურენი წერს, რომ წესრიგი, გნებავთ წონასწორობა მიიღწევა დესპოტიზმის კომპინაციით რაციონალურობასთან და ზემოთ მოყვანილი გერმანული ტელე-ნოველიდან სიუჟეტი ამას როგორც მეტაფორა ცხადყოფს.

ემილ დიურკემს სჯეროდა, რომ სოციალურის ახსნა მხოლოდ სოციალურით იყო შესაძლებელი. მაგრამ ამის საპირისპიროდ შეიძლება არგუმენტის მოყვანა. დავუშვათ ადამიანი, მუშა, რომელიც საათობით კონვეირის მუშაობას არეგულირებს, არაქათქმოცლილი სავსეა ზიზღით, მას უნდა ხმამაღლა ალაპარაკდეს რუტინული შრომის გაუსაძლის პირობებზე. ქალაქის რიგითი მობინადრე, შესაძლოა იყოს დათრგუნული დღენიადაგ გადატვირთული ქუჩებით, იქნება ეს გამოწვეული ფეხითმოსიარულის თუ სტრადაზე მანქანების სიჭარბით. ასეთ დროს იგი წუხს, რომ ქალაქი აღარაა მეტად ადამიანის „ბუნებრივი გარემო“. ამ და სხვა მსგავსმა ნეგატიურმა მუხტმა შესაძლოა რაიმე საპროტესტო სოციალურ მოძრაობას დაუდოს საფუძველი. სოციალური ფენა, მითუმეტეს თუკი ჩაგრული კლასის პოზიციიდან ხედავს საკუთარ თავს, თავის პრინციპებს, ღირებულებებს უპირისპირებს საზოგადოების გავრცელებული მართვის წესს, ხოლო თუ ეს ყველაფერი კულმინაციას მიაღწევს საჭირო ისტორიულ პირობებში, გვექნება ცვლილება. ამ ლოგიკურ ჯაჭვს ტურენი მძივივით აწყობს და ეწინააღმედგება ემილ დურ-

კემს, რომელიც ამბობდა, სოციალური აიხსენება ისევ სა-კუთრივ სოციალურითო.

სოციოლოგიის საგანს შეადგენს სოციალური მიმართე-ბების საშუალებით მიზანრაციონალურად მოქმედ პირთა ქცევის იდენტიფიკაცია, ახსნა. სოციოლოგია სწავლობს ქცე-ვის ერთგანზომილებიან აქტს, თუმცა მას აქვს კონტექსტი ურთიერთმიმართებების სახით. როდესაც მკვლევარი ქცევა-თა იდენტიფიკაციას ცდილობს, ალენ ტურენი ურჩევს უგულ-ყვებელყონ ამის უკან ე.წ. აზრთა წყობა, რასაც გერმანულად ჰქვია **Denkweise**; ყოველ შემთხვევაში ის, რაც კლვალიფი-ცირდება მსოფლხედველობად, ანუ გარკვეულ ღირებულებათა ნაკრებად. აი, მაგალითად, საწარმოო კონფლიქტი, მეწარ-მე/მუშა. ძნელი, თითქმის შეუძლებელი ჩანს მეწარმისა და მუ-შის აზრთა წყობის ხარჯზე განმარტო, რატომ გახდა ერთი გაფიცვის თანამონაწილე, მეორემ კი გაფიცულებს დაუპი-რისპირა ლოკაუტი. სოციოლოგისთვის კონფლიქტური ქცევა და მისი უშუალო შედეგია გაზომვა/დაკვირვების საგანი (გა-ფიცვა – 1, ლოკაუტი – 2). ის რომ მუშა შესაძლოა არ ჭამდეს ხორცს და იყოს ვეგანი, საწარმო კონფლიქტის გასაღებს არა-ნაირად გვაძლევს. საზოგადოების არსის უკეთ გასაგებად შემდეგი ანალოგი მოვიტანოთ. ვაჭრობა, პროდუქტის მარტი-ვი გაცვლა გარკვეული თანხის საწაცვლოდ. გვაქვს ორი მხა-რე, მოვაჭრე/მყიდველი. ფიქსირებულია ვინაიდან გაცვლის კოეფიციენტები, საბოლოოდ ეს გაცვლა სრულდება ნულოვა-ნი ჯამით. ამას ქვია მიმართება „წრფივი“. უან ბოდრიარი<sup>87</sup>

<sup>87</sup> უან ბოდრიარი (1929-2007), ფრანგი სოციოლოგი, კულტუროლოგი, ფილოსოფოსი-პოსტმოდერნისტი, ფოტოგრაფი, პარიზ-ნანტერის უნი-ვერსიტეტის პროფესორი, გარკვეული დრო ლექციებს კითხულობდა იულში. მიუხედავად იმისა, რომ ბოდრიარს პოსტმოდერნის „გურუდ“ ხმირად მოიხსენებენ, თვითონ მსგავსი იარლიყის მიწებებაზე აშკარად იკავებდა თავს. ინტერვიუში 1993 წელს მაიკლ გეინთან, რომელიც მის-

პუბლიკაციაში „დავივიწყოთ ფუკო<sup>88</sup> ამბობს, მიმართება წრფივი არაა სოციალური, ასეთია მხოლოდ ციკლური ან სპირალური და ის ყველაზე მეტად წარმოაჩენს ძალაუფლებრივი მიმართებების შინაარსს, რაც არაა აუცილებელი იყოს სახელ-დობრ პოლიტიკურის ჭრილში, ზოგადად შეიძლება სიმულა-ციის ველსაც კი წარმოადგენდეს.

თანამედროვე საზოგადოებაში ურთიერთმიმართებები ძირითადად ორგანიზაციების ჭრილში ექცევა. ორგანიზაციები შესაძლოა იყოს სხვადასხვა ტიპის. იხილეთ **სქემა 1.**

ორგანიზაციის ტიპები	
ზომის მიხედვით	პატარა, საშუალო, მსხვილი.
დარგისადმი კუთვნილებით	ტრანსპორტი და კავშირგაბ-მულობა, მანქანათმშენებლო-ბა, სოფლის მეურნეობა, წარ-მოება, ვაჭრობა, რაიმე სხვა.
ტერიტორიალური განლაგე-ბის მიხედვით	ერთ ტერიტორიაზე, ერთ გე-ოგრაფიულ წერტილში, სხვა-დასხვა გეოგრაფიულ წერ-ტილში.
წარმოების პროფილის მიხედ-ვით	სპეციალიზირებული, დივერ-სიფიცირებული.

ცა პუბლიკაციის ირგვლივ, „ომი სპარსეთის ყურეში“, ხაზი გაუსვა, პოსტმოდერნი არც კი შემდგარაო, „ერთგვარი უნიათობის მონაბერი ეტყობა პოსტმოდერნს, ხანდახან რეგრესისაც კი. ეს არის აზროვნების სტილი, რასაც ახასიათებს ყველაფრის ყველაფერთან აღრევა და ჩემო კარგებო, მაშინ პოსტმოდერნსიტები თქვენ ყოფილხართ და არა მე. მე არაფერი მაქვს ამასთან საერთო, ეს თქვენი საქმეა.“

<sup>88</sup> **Жан Бодрийяр**, ЗАБЫТЬ ФУКО, Перевод с французского Д.

Калугин, Санкт-Петербург, „ВЛАДИМИР ДАЛЬ“, 2000.

<b>მოგებისადმი დამოკიდებულებით</b>	კომერციული, არაკომერციული.
<b>საკუთრების ფორმით</b>	კერძო, სახელმწიფო.
<b>მოღვაწეობის კუთხით</b>	საწარმოო, სერვისის მიწოდება, სამუშაოს შესრულება.

ორგანიზაციაში გავლენა იზომება შემდეგი პრინციპით: „გის მიუწვდება ხელი ლეგიტიმურ გადაწყვეტილებაზე?“. ცხადია ჩარჩო ამ გადაწყვეტილებებისა ორგანიზაციის იურიდიული სამახურისმიერაა წინასწარ განსაზღვრული.

უფრო ფართე დონეზე, რომელიც მოიცავს აქტივობებს ცალკეული ეროვნული სახელმწიფოების შიგნით, გვაქვს ერგვარი კულტურული ველები და მათში არათუ ზეგავლენის, არამედ უშუალოდ კონტროლის მოპოვებას ცდილობენ გარკვეული კლასები. ე.წ. უმაღლესი კლასები თავისი თავის იდენტიფიცირებას ცდილობენ ისტორიულობასთან, ხოლო ისტორიულობა კი დაყავთ საკუთარ ინტერესებამდე.

ჩვეულებრივი მოქალაქე, ინდივიდი, როდესაც აღმოჩნდება კონკრეტულ გარემოებაში და ინიციატივას იღებს გარკვეულ აქტივობაზე, მის ირგვლივ ურთიერთმიმართებათა ჯაჭვს განსაზღვრავს წინასწარ დადგენილი წესები, ნორმები, სოციალური ორგანიზაცია. ცხადია ერთხელ დადგენილი წესრიგი არა მუდმივად სტატიური. პერიოდული, თანმიმდევრული კონფლიქტები ძალაუფლების სფეროში იწვევენ კულტურულ ტრანსფორმაციებს. ალენ ტურენი ამ ყოველივეს გათვალისწინებით აღმატებულ ხარისხში აიყვანს საზოგადოებრივ მოძრაობათა მნიშვნელობას.

ალენ ტურენის თანახმად საზოგადოების სისტემა, ინდივიდი(ები) არიან სხვადასხვა მხარეს, ისევე როგორც არაა კორელაციაში ინდივიდის კონკრეტული ქცევა და მისი აზრთა წყობა. ამათთვის მჭიდრი, დუღაბი არის სოციალური მიმართებები. თუკი ის, რაც ხდება საზოგადოების შიგნით,

კვალიფიცირდება ევოლუციად, ნაბიჯ-ნაბიჯ მივდივართ მარტივიდან რთულისაკენ, არადიფიცირებულიდან დიფერენცირებულისაკენ, შენელებულიდან მყისიერისაკენ, ტრანსფორმაციის უწვეტი პროცესი ძალაში შედის და სუსტ, მყიფე გაცვლებს მძლავრი გაცვლები ჩაანაცვლებენ. ინტეგრაცია, ნორმიდან გადახრა, კონსესუსი, კონფლიქტი - ეს ყველაფერი შეიძლება ავხსნათ ორგანიზაციების თავისებურებებით, ისკიარადა ტერმინი სოციალური მორფოლოგია<sup>89</sup> შეგვიძლია მოვიშველიოთ, რომელიც იყო ემილ დიურკემის მიერ შემოღებული.

როდესაც ვლაპარაკობთ სოციალურ ფაქტებზე, ცხადია გვიწევს მათი დაყვანა რაღაც კატეგორიებამდე, კონკრეტულად კი, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურამდე. ავილოთ თანამედროვე სახელმწიფო (კატეგორია პოლიტიკურიდან). იგი ფლობს ინსტრუმენტარიებს სახით ეკონომიკის სამინისტროსი, სოციალური უზრუნველყოფის და ა.შ. რას ეძახიან პოლიტიკას?

ერთის მხრივ, გადაწყვეტილებათა ფორმირების დროს გარკვეული სუვერენული ტერიტორიალური ერთობის წარმოდგენები ინტერესებზე. მეორეს მხრივ, უშუალოდ სახელმწიფო, ძალაუფლება, რომელიც უძღვება მმართველობის პროცესს, უზრუნველყოფს მშვიდობას, საჭიროების შემთხვევაში აწარმოებს ომს, ნერგავს თანდათანობით ცვლილებებს.

ზუსტად ასევე, ეკონომიკური სისტემა გულისხმობს მატერიალური რესურსების მობილიზებას, მათშორის პოლი-

<sup>89</sup> **Morphologie, soziale** (გერ.) – ემილ დიურკემის მიხედვით, სოციოლოგიის განსაკუთრებული დარგობრივი სფერო, რომელიც შეისწავლის და ახსნის საზოგადოების წყობას ურთიერთკავშირში გარემოსთან (მათ შორის ფიზიკურ გარემოსთან). სოციალური მორფოლოგიის მიზანია საზოგადოებათა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია (საზოგადოება ერთი სეგმენტით; საზოგადოება მრავალი სეგმენტით).

ტიკური მიზნითაც. ხოლო პოლიტიკური მიზნები აღენ ტუ-რენის მიხედვით ხშირადაა განსაზღვრული კულტურული სახის ღირებულებებით. ეკონომიკური სისტემა უძღვება კო-ლექტიკური შრომის საზოგადოებრივ ფორმებს, განაწილებას და მოხმარებას ამ შრომის პროდუქტისა. ეს ყველაფერი არის სწორედ კარლ მარქსის ენაზე საზოგადოების ბაზისი, თავი-სებური Grundlage.<sup>90</sup>

აღენ ტურენი სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებში, ამ-ბობს რომ ფიქსირდება საჭიროებათა ორი გვარი, გადარჩე-ნისთვის მინიმალური მატერიალური მოთხოვნილებები, ან კულუტურის სრულიად არაორდინალური და ფუფუნებად ნაგულისხმევი ელემენტებით მუდმივად ნებივრობა. ამერი-კელ სოციოლოგს, ნეილ სმელზერს, სახელმძღვანელოში „სოციოლოგია“, კონკრეტულად კი განყოფილებაში II \_სო-ცილური უთანასწორობა, თავი 9 \_უთანასწორობა, სტრატი-ფიკაცია და კლასი, ასეთი რამე უწერია:

უცხო თვალისათვის დეტროიტში აღტერ როუდი გამო-იყურება როგორც ქუჩა ჩვეულებრივი. თუმცაალა მას ადგი-ლობრივი მაცხოვრებლები „ბერლინის კედელს“ უწოდებენ ანდა კიდევ მეისონ-დიკსონის ხაზს. ეს ამით აიხსნება, რომ აღტერ როუდი გამოყოფდა დეტროიტის აღმოსავლეთის ფრაგმენტს ფეშენებლური, მდიდარი დასახლებისაგან გროს-პოინტი. კორესპოდენტი ამანდა ბენეტი „უოლ სთრით ჯორნალში“ (1982) აღწერდა ორივე „ნაპირის“ მაცხოვრებ-ლებს. დეტროიტის აღმოსავლეთ ნაწილში ღარიბები ცხოვ-რობენ. ძირითადად აფრო-ამერიკელები. გროს-პოინტს მდიდარი და მასიურად თეთრკანიანი მოსახლეობა იყვნებს. სკოლის შენობებსაც კი აქ პოლიცია იცავს მთელი თავისი ამუნიციით. მოსწავლეები სკოლის პარალელურად ხშირია, როცა ვიოლონის სპეც გაკვეთილებს იღებენ და ცხადია აქვთ

<sup>90</sup> გერ. საფუძველი

პერსონალური კომპიუტერები. საცხოვრებელი სახლები, ეზოები აკურატული, თავისი მწვანე დეკორატიულად გაკრეჭილი ღობებით. იგულისხმება, რომ სახლები აღჭურვილია როგორც ფუფუნების საგნებით, ასევე მუსამსახურე პერსონალით, ფარეხები გათვლიალი ორ ავტომობილზე მაინც. აქ საქველმოქმედო საღამოებიც კი სრულიად ყოფითი მოვლენაა. რაც შეეხება „მეორე ნაპირს“, სოციალი (სუბსიდია) აქ ნიშნავს გადარჩენას. ქალაქის მოცემული ნაწილი სრულიადაა დემორტიზირებული, ჩამონიგრეული ფასადები, დაუანგული ავტომობილები ქუჩის სხვადასხვა მხარეს, რომელთაც წლებია არ გაუვლიათ... შენობის კედლებზე ქაოტურად მიმყრილია წარწერები, ნაჩხაპნები, რომელთა შინაარსი ჩვეულებრივ უცენზურო და აგრესიულია. ნაგავი არასოდესაა გატანილი. ურნები პირთამდეა სავსე, რაც ზაფხულობით გაუსაძლისი ხდება.

როცა დავუშვათ ქალაქში, შტატის, ქვეყნის ეკნომიკური რეალობიდან გამომდინარე დგება მეტ-ნაკლები მომჭირნეობის აუცილებლობა, მდიდარი უბნის მაცხოვრებელი ჩოგბურთის კლუბში სიარულზე ეუბნება თავის თავს გარკვეული დრო უარს. ხოლო ღარიბი უბნიდან უმუშევრად დარჩენილი ქალისთვის უკვე ელემენტარული, ჰამბურგერიც კი მიუწვომელი ჩანს.

ალენ ტურენი გამიჯნავს ე.წ. ხანგრძლივ და მოკლე დროს. თან დასძენს, რომ იმეროებს ანალების სკოლის, მარკ ბლოკის, ლუსიენ ფევრისა და ფერნან ბროდელის პოზიციებს. კაცობრიობის გაჩენიდან ნარმოადგენლად ხანგრძლივი დრო ადამიანი ეჭიდებოდა ბუნებას და ამ ჭიდილის რეზულტატი იყო კულტურა, რამაც მოიტანა კულტურა და შესაძლებელი გახადა თანამედროვე საზოგადოება თვისი რთული პოლიტიკური ინფრასტრუქტურით. უკვე ამ მეორე ეტაპზე დრო გახდა ფრაგმენტული, მოკლე და მოექცა ჩარჩოებში ამათუმ აქტუალური პოლიტიკური მოვლენის. პოლიტიკუ-

რი პროსეცები კიდევ თავის მხრივ გამომდინარეობენ უსაშველოდ ფართე შრომითი ინდუსტრიის თავისებურებებიდან. თუკი დავუშვებთ ისტორიულ პროგრესს, ან უბრალოდ ვიტყვით, რომ მივდივართ უფრო რთული და დახვეწილი სტრუქტურის საზოგადოებამდე, ცხოვრების უკეთესი და მეტი ხარისხით, ცალკეული სოციალური ჯგუფის და ინდივიდის დონეზე ასევე უნდა გაფართოვდეს მოქმედების არეალი, ველი, ამას ზემოდან დაედება მეტი სეკულარიზაცია და წესრიგის მეტა-სოციალური გარანტიები ნაკლებად საჭირო შეიქმნება. ზოგადად მეტასოციალურად ორინეტირებული წესრიგი წარმოდგენილია აგრძესიული იდეოლოგიებით, ამასთან იდეოლოგიის სპეციფიკას არც აქვს მნიშვნელობა, მთავარია, რომ ისინი შესაძლებლოებების შეკვეცის ხარჯზე კუმშავენ მოქმედების არეალს.

სოციალურ მეცნიერებებში ზოგიერთ მკვლევარს ძალიან პრიმიტულად ჩვევია საზოგადოების ინტერპრეტირება. მაგალითად, როცა საზოგადოება დაყავათ ბრძოლის ველამდე ან უბრალოდ ბაზრამდე. ცალკეული ინდივიდების მოტივებიც ასევე ბანალურადაა წარმოდგენილი, დავუშვათ „გადარჩენა“, „გამდიდრება“, „გამარჯვება“ (თუმცა, ამას რომ უთითებენ, საინტერესო და ლიმილისმომგრელია ვისზე გულისხმობე გამარჯვებას რომ არ ვიცით). ემილ დიურკემი აღნიშნავდაო, პერიფრაზს აკეთებს ალენ ტურენი, განა შეიძლება სოციალური კონფლიქტის „ლვეზელის დაყოფაში ატეხილ დავიდარაბამდე დაყვანა?!“. სოციალური კონფლიქტების მიზეზებს და ზოგადად საზოგადოების დეზორგანიზაციას ვიცით, რომ დიურკემი მიანერდა სოციუმში ინდივიდების ინტეგრაციის შესაძლებლობების ვარდნას, რასაც მთელის დონემდე შეეძლო გამოეწვია ანომია და ცალკეული წევრის შემთხვევაში კი სულაც სუიციდი. ანომია კი ხასიათდებოდა შემდეგი ინდიკატორებით, დანაშაულებრივი ფონის ტოტალური ზრდა, აგრესია, კრიმინალი, მათ შორის, როგორც სა-  
118

ზოგადოების ოფიციალურ, მაღალ ეშელონებში, ასევე რიგით მოქალაქეებში. მგომარეობა, როცა არ იციან, რას მოელოდნენ შემდეგი წლის, სეზონის, თვის, ისკიარადა კვირის მანძილზეც. როცა პანიკის, შფოთვის მდგომარეობა პიკზეა და შიშის ობიექტები მისტიფიცირებული. ასეთი სოციუმი არც განიხილება საზოგადოებად და საჭიროებს საფუძვლიან რეკონატრუქციას, თავისებურ მკურნალობას.

## 7. გერმანული განათლების სისტემაში მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული ცვლილებები და ამერიკული განათლების სისტემა; შედარებითი ანალიზი კურტ ლევინის მიხედვით

მოცემულ ქვეთავში შედარებითი ანალიზი გვექნება ორ სოციო-კულტურულად განსხვავებულ სოციუმში, იგულისხმება ამერიკა (აშშ) და გერმანია, თუ როგორი ტიპის ცვლილებები მიმდინარეობდა მოყოლებული უშუალოდ ინდუსტრიალური რევოლუციიდან. ნაჩვენები იქნება თანამედროვე სისტემა განათლებისა, განსაკუთრებით კი ლაპარაკია დაწყებით განათლებაზე, რა გავლენას ახდენს განათლება ამ ორი ერის, სახელმწიფოს თვალშისაცემ მახასიათებლებზე. მსჯელობის საგანია თავად პროცესი სწავლების როგორ მიმდინარეობს და როგორია მეთოდები სწავლების. როგორია მათი ზეგავლენა ამ პროცესებში ჩართულ ადამიანებზე, ერთის მხრივ აღმზრდელები, მეორეს მხრივ კი აღსაზრდელები. გერმანელი ფსიქოლოგი, კურტ ლევინი, ალბათ დარგში ყველაზე მეტად იყო თრიენტირებული სოციოლოგიური მეთოდის გამოყენებაზე და თემები, რაზეც წლები მუშაობდა, იყო ცალსახად ორი დარგის (ფსიქოლოგია/სოციოლოგია) მიჯნაზე, მაგალითად, სოციალური მოქმედება, სოციალური ველები.

ამერიკული (აშშ) და ევროპული სოციუმის შედარებითი ანალიზი აქვს ძალიან დაწვრილებით, საფუძვლიანად, ადრეული სოციალიზაციის და კოგნიტური განვითარების (დაბადებიდან 15 წლამდე) ბაზაზე გაკეთებული მარგარეტ მიდს<sup>91</sup>,

<sup>91</sup> მარგარეტ მიდი (1901-1978), ამერიკელი ანთროპლოგი, ეთნოფსიქოლოგიური სკოლის წარმომადგენელი. სოციალიზაციის პროცესს წლების მანძილზე აკვირდებოდა და შეისწავლიდა ე.წ. მცირე ხალხებში, კონკრეტულად კი, პოლინეზიაში. აღსანიშნავია, რომ მისი მშობლები ასევე იყვნენ აკადემიურ, საუნივერსიტეტო სივრცეში წარმოდგენილი.

თუმცა მოგვეხსენება, რომ ევროპა არ დაიყვანება გერმანიაზე, ევროპა არის მულტიკულტურული, დიდი, ჭრელი ოჯახი და შესაბამისად, გერმანია ევროპის მხოლოდ ცაკეული და ამავე დროს სპეციფიკური შემთხვევაა.

მოცემულ ქვეთავში, როგორც ამაზე სათაური მონ-მობს, ჩვენ მიმოვიხილავთ კურტ ლევინის მიერ გაკეთებულ შედარებით ანალიზს ამერიკული (აშშ) და გერმანული სოცი-უმისა. როგორც მარგარეტ მიდის შემთხვევაში, რაზეც ზე-მოთ ავლნიშნეთ, აქაც შედარებისთვის სოციალიზაციის ნიუ-ანსებია აღებული დაკვირვების საგნად და კონკრეტულად ესაა ოჯაზი, მცირეწლოვანი ბავშვი, მშობლები; სკოლა, სკო-ლაში აღსაზრდელებისა და პედაგოგების მიმართება, ხოლო ბოლო ეტაპზეა უნივერსიტეტი, ლექტორები და სტუდენტე-ბი; არის ასევე ნიუანსი ყოველდღიური ცხოვრებიდან, მაგა-ლითად რამდენად განსხვავებულად შეიძლება ურთიერთობ-დნენ ავტობუსის გაჩერებაზე ან რკინიგზის სადგურზე ადა-მიანები მათთვის განკუთვნილი ტრანსპორტის მოლოდინში ერთ ან მეორე ქვეყანაში.

უნივერსიტეტის ბაზაზე კულტურათშორის ჭრილში სტუდენტები და ლექტორები ურთიერთმიმართებაში შეს-წავლის საგანი არაერთხელ გამხდარა. ამისი ცხადი მაგალი-თია, თავის დროზე ლონდონის ეკონომიკის სკოლის პროფე-სორის, თეოდორ შანინის<sup>92</sup> შედარებითი ანალიზი ბრიტანუ-

---

დედა, უშუალოდ სოციოლოგი გახლდათ. უურნალში „კულტურათშო-რისი კომუნიკაციები“ (№33; 2020:155) ჩემს მიერ დაიბეჭდა სწორედ მარგარეტ მიდის კვლევის ქართული თარგმანი ამერიკული (აშშ) და ევ-როპული სოციუმის თავისებურებები სოციალიზაციის ჭრილში.

<sup>92</sup> **თეოდორ შანინი** (1930-2020), მნიშვნელოვანია მისი წვლილი გლე-ხური ერთობების შესწავლაში. ასევე, ისტორიულ სოციოლოგიასა და ეპისტემოლოგიაში. შანინის დაინტერესების საგანი უპირატესად იყო ცოდნის სოციოლოგია, არაფორმალური ეკონომიკა, საზოგადოებრივ

ლი და პოსტ-საბჭოთა უნივერსიტეტებისა, რომელიც არა-ერთხელ გამოქვეყნდა და მათ შორის ინტერვიუს სახით 1990 წლის სექტემბერში, საერთაშორისო უურნალში „საქმიანი ადამიანები“<sup>93</sup>. უურნალის გავრცელების არე მათ შორის იყო პოსტ-საბჭოთა სივრცე და მკითხველს აძლევდა ე.წ. თვით-რეფლექსის, თვითანალიზის საშუალებას.

სანამ მიმოვიხილავთ კურტ ლევინისეულ შედარებით ანალიზს ამერიკულ-გერმანული უმაღლესი სასწავლებელებისა, კერძოდ, როცა ქვესაკითხისა სტუდენტებისა და სწავლების პროცესში მათი ხელმძღვანელობით დაკავებული აკადემიური პერსონალი, უპრიანია თვითონ მოცემული პერსონა სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობის პერიოდიდან და მას შემდეგ, როცა უკვე მოიპოვა სამეცნიერო ხარისხი და იყო წარმოდგენილი აუდიტორიაში, როგორ ურთიერთობდა ალმა-მატერის კედლებში (და არამხოლოდ) თავის მასწავლებლებთან, შემდეგში კოლეგებთან, თავის დისერტაციებთან და უბრალოდ სტუდენტებთან, ვისაც სხვადასხვა ლექციებს უკითხავდა, იქნება ეს გერმანიასა თუ ამერიკაში (აშშ).

მ. ლევინი მოგონებებში „ის ფსიქოლოგით ცხოვრობდა“, იხსენებს, რომ მისი (ანუ, კურტ ლევინის) სადოქტორო დისერტაციის მეცნიერ-ხელმძღვანელი იყო ვინმე პროფესორი შტუმპფი, რომელიც თავის მონაცემებს აძლევდა მოქმედების სრულ თავისუფლებას, რაც სხვათა შორის, შეიძლებოდა მავანს აღექვა, ხოლო დისერტანტს პირველ რიგში, როგორც ყურადღების ნაკლებობა. მიუხედავად იმისა, რომ პროფესორ შტუმპფთან კურტ ლევინს მოსმენილი და გავ-

---

მეცნიერებათა ეპისტემიოლოგია. 2002 წელს მიეცნიერებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მიიღო ბრიტანეთის იმპერიის ორდენი.

<sup>93</sup> საერთაშორისო უურნალი „საქმიანი ადამიანები“, 1990 წლის სექტემბერის გამოშვება, გვ. 73 დან.

ლილი ქონდა ათზე მეტი სალექციო კურსი, სასწავლო დის-ციპლინა, მას უჭირდა დალაპარაკება სადოქტორო დისერ-ტაციის მეცნიერ-ხელმძღვანელთან. თეორიული კვლევის გეგმა მიაწოდა მხოლოდ წერილობითი ფორმით. შემდგომი ოთხი წლის მანძილზე ლევინს ერთხელაც არ განუხილავს თავისი სადოქტორო დისერტაცია პროფესორ შტუმპფთან. ბოლო ეტიუდი მათი ურთიერთობის, როგორც ხელმძღვანე-ლი-დისერტანის იყო კელევის საბოლოო ანგარიშის წარდგე-ნა. ეს იყო ერთგვარი გამოცდილება კურტ ლევინისათვის და ზოგადად ტენდენცია იმდროინდელ გერმანულ აკადემიურ წრეებში, რომელსაც იგი თავად თავის პრაქტიკაში, საკუთარ დისერტანტებთან არანაირად არ იზიარებდა, როგორც გერმანიაში, ასევე ამერიკაში მოღვაწეობის დროს. ჯერ კი-დევ სტუდენტობის წლებიდან იყო ძალიან გახსნილი და ლია ურთიერთობებისათვის, ქონდა მეგობრების წრე, ხშირად ან-ყობდა საღამოებს, სადაც ცეკვავდნენ (მას ძალიან უყვარდა ცეკვა) და მიყავდათ სასარგებლო საუბრები დარგში საჭირ-ბოროტო საკითხებზე; ხანდახან ქალების უფლებებზე და თა-ვისუფლებებზეც ჩამოვარდებოდა ხოლმე საუბარი.

კურტ ლევინის დისერტაციების შემოადგენლობა იყო ჭრელი, მულტიკულტურული (ამერიკელი, იაპონელი, ფინე-ლი, რუსი...). მათგან ხანდახან სამშობლოშიც ღებულობდა მიწვევას და უწევდა მოგზაურობა იაპონიასა თუ რუსეთში.

კოლეგებისადმი ლევინი იყო მუდამ კეთილგანწყობილი და თუნდაც უმწიფარი მსჯელობის შემსწრე ინარჩუბებდა მოთმინებას, მეტიც, ზომიერების ფარგლებში ინტერესსაც კი გამოხატავდა. გარშემო მუდამ სტუდენტები ეხვია და მზად იყო, მათთან საათობით ესაუბრა მიმდინარე ლექციაზე განხილულ თემაზე თუ ზოგადად დარგის შიგნის არსებულ სხვადასხვა ნიუანსზე.

კურტ ლევინი ამერიკის (აშშ) საუნივერსიტეტო წრეებ-

ში რიგიანად ადაპტირების შემდეგ, არაერთხელ აღნიშნავდა, გერმანიაში თუკი კარგ სტუდენტს დარგში საუკეთესო ლექტორის კოპირება უნდა, ამისი არანაირი სურვილი ამერიკელ სტუდენტს არ გააჩნია და იგი ამას ამერიკელი სტუდენტის ძლიერ მხარეს მიაწერდა. გერმანიაში დაწყებული ოჯახიდან, სკოლიდან მოყოლებული უმაღლეს სასწავლებლამდე, მშობელი, მასწავლებელი, ლექტორი მოითხოვს და აჩვევს მასზე მინდობილ ე.წ. აღსაზრდელს მორჩილებას. ასეთი წარმოუგენელად ჩანს ამერიკაში, ეს უბრალოდ ცუდი ტონია, არის არცოდნა ელემენტარულის.

რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რასაც ლევინი თავის მონოგრაფიაში „სოციალური კოფლიქტების გადაჭრა“<sup>94</sup> განყოფილებაში „კულტურის ტრანსფორმაციის პრობლემები“ გამოყოფს და შემდეგ აჯგუფებს ქვესაკითხად „ზოგიერთი სოციო-ფსიქოლოგიური განსხვავება ამერიკელ (აშშ) და გერმანელ ხალხებს შორის“ მეტნაკლებად თანმიმდევრულად და მოცემული წიგნის ფორმატის გათვალისწინებით შეძლებისდაგვარად ქვემოთ მიმოვიხილოთ.

კურტ ლევინი შეგვახსენებს, რომ განათლება ესაა სოციალური პროცესი, რომელშიც დროდადრო ჩართული არიან ისეთი პატარა ჯგუფები, როგორიცაა დედა/შვილი, დროდადრო კი დიდი ჯგუფები, მაგალითად სასკოლო კლასი ან საზაფხულო ბანაკი. სწავლების შედეგი ქცევის ან დადგენილების განსაზღვრული მოდელის ფორმირებაა. ამასთან, ქცევის მოდელები და დადგენილების ტიპები, რომელთა განვითარებაზეცაა სწავლება მიმართული (ამისთვის ცხადია შესაბამისი თანხები გამოყოფა და მობილიზაცია უკეთდება ყველა სხვა საჭირო რესურსს) არ დაიყვანებიან რაიმე აბსტრაქტულ ფილოსოფიურ ანდა კიდევ მეცნიერულ თეორე-

<sup>94</sup> Kurt Lewin, *Resolving Social Conflicts*, New York: Harper; Курт Левин, *Разрешение социальных конфликтов*, „Речь“, Санкт-Петербург, 2000.

ტიკულ კონსტრუქტზე. ისინი უბრალოდ მორგებულია ჯგუ-  
ფის სოციოლოგიურ მახასიათებლებს პრაქტიკული საჭირო-  
ებიდან გამომდინარე. სოციალურ ფსიქოლოგიაში, მითუფ-  
რო ფსიქიატრიაში აღიარებული ავტორები, იქნება ეს დევიდ  
მაიერსი, ფრიც რიმანი<sup>95</sup> თუ ალფრედ ადლერი, აღნიშნავენ,  
რომ ადრეული სოციალიზაციის ეტაპზე და შემდეგაც, სუ-  
ლაც არაა სასურველი ბავშვში ჩამოყალიბდეს პატერნი, რო-  
მელიც შესაბამისი არაა ადგილობრივი ჯგუფის, ანუ ადგი-  
ლობრივი ჯგუფის სოციოლოგიურ მახასიათებლებს მკვეთ-  
რად არ შეესატყვისება. კურტ ლევინი ხაზგასმით აღნიშნავს,  
რომ სხვაა ოფიციალურად დეკლარირებული სტანდარტი და  
წესი და ის რაც აფორმირებს ამათუმ სოციალური ჯგუფის  
შიგნით მის ყოველდღიურობას. განათლება ყველაზე მეტად  
გამომდინარეობს ამ ავთენტური რეალობიდან.

როდესაც ლაპარაკია სასწავლო პროცესზე, რა და რო-  
გორ ისწავლება, სწავლების ინტენსიურობაზე, თუნდაც მომ-  
ცრო ზომის საგანმანათლებლო სტურქტურის ფარგლებში,  
დავუშვათ ოჯახი, იგი გამომდინარეობს უფრო ფართე სოცი-  
ალური ერთობის იდეალოგიური წანამძღვრებიდან, რომელ-  
საც ესათუის კონკრეტული ოჯახი განეკუთვნება. როდესაც  
ამ ე.ნ. ჩარჩო სოციალური ერთობისათვის იცვლება პოლიტი-  
კურ, ეკონომიკური ანდა სოციალური სტუქტურა, იგი თავის  
ნებისმიერ სატელიტში მოახდენს ზეგავლენას სწავლების ორ-  
განიზების პროცესზე, უფრო მეტიც, სწავლების შინაარსზე  
და მათ შორის სწავლებისას გამოყენებულ მეთოდებზე.

---

<sup>95</sup> ფრიც რიმანი (1902-1979), გერმანელი ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, ავ-  
ტორი შესაბამის წრეებში საყოველთაოდ აღიარებული მონოგრაფიი-  
სა, „შიშის ძირითადი ფორმები“ (სხვათაშორის არის თარგმნილი და  
გამოცემული ქართულ ენაზე), სადაც ზოგადად არსებული ადამიანის  
ოთხი ბაზისური ფსიქო-ტიპი იდეალურ-ტიპური ფორმითაა შედარე-  
ბის საგნად წარმოგენილი.

ბუნებრივია, რომ თითოეული ნაციონალური კულტურის შიგნით შეხედულებები ოჯახიდან ოჯახამდე განსხვავდება. არსებობს ცხადია რაღაცგვარი საერთო კულტურული ატმოსფერო და ყველა კერძო გარემოებისთვის ის ქმნის მეტნაკლებად მისადაგებად ქუდს. ზოგადი ატმოსფერო - ეს შეიძლება იყოს სოციალურ სტრუქტურაში აღწარმოების პროცესი - განსაზღვრავს განათლების ნაირგვარობას ვიწრო სტრუქტურული ერთეულების შიგნით. ოჯახის, სკოლის (საჯარო სკოლა იქნება ეს თუ კერძო) დამოკიდებულება/დამოუკიდებლობის ხარისხი ჩარჩო სოციალური ერთობიდან ემპირიულ კვლევებში არის გასათვალისწინებელი. კურტ ლევინის თქმით, იგი შეიქმნა მომსწრე, გულისმხობდა ჰიტლერამდე არსებულ და მის შემდეგ იდეოლოგიზირებულ, გარკვეული პერიოდი ცხადია, განათლების სისტემას გერმანიაში, რომ ცვლილებები პოლიტიკურ ველში უშუალოდ ასხვაფერებენ განათლებისათვის დასახულ მიზნებს, რაც სწავლების მეთოდებში იწვევს კორექტირებების აუცილებლობას. მოსწავლისათვის თავსმოხვეული ღირებულებები ერთია, რასაც ზოგადად ყველა ავტორიტარული რეჟიმი იცნობს, მაგრამ საინტერესოა ასეთი ნიუანსები: დასჯა, მისი ინტენსიურობა<sup>96</sup>, მასალის რაოდენობა, რომელიც საჭიროა იყოს ბუკ-

---

<sup>96</sup> უაკ რუსო, ემილი ანუ ალზრდის შესახებ, თბილისი, 1949 წელი. ეს მასშტაბური და აღიარებული ტრაქტატი სწავლების ხელოვნებაზე – 1762 წელს ავტორის მიერ შესრულებული – ვფიქრობ დღესაც რჩება მასალად, რომელიც ღირს ნამდვილად გავითვალისწინოთ, ვინც მეტ-ნკალებად ვმონაწილეობთ სწავლების პროცესში. დასაწყისშივე რუსო აღნიშნავს, „წინასწარმიღებული აზრები, ავტორიტეტი, გაჭირვება, მაგალითი, ყველა სოციალური ინსტიტუტები, რომლებშიც ვართ ჩაფლულნი“ არის ზეგავლენის მქონე კაცზე. თუკი ადამიანში არ იარსებებდა შინაგანი წინასწორობის ღერძი, მისი „ბუნება დაემსგავსებოდა პატარა ხეს, რომელიც შარა-გზაზე ამოსულა შემთხვევით და რომელსაც გამვლელ-გამომვლელნი ყოველმხრივ ეჯახებიან,

ყოველაირად გაღუნავენ, გამოღუნავენ და მაღეც დაღუპავენ. შენ მოგვართავ სათნო და წინდახედულო დედავ, შარაგზისთვის აქცევა რომ შესძელი და საზოგადოებრივ აზრთან შეხლა-შემოხლისაგან დაიფარე ახლაშობილი ხე. მოუარე მას, მორწყე ნორჩი მცენარე, სანამ იგი არ დამჭენარა: დადგება დღე, როცა მისი ნაყოფი ნუგეშს გცემს შენ... თუ როგორი იქნება მცენარე, მოვლაზეა დამოკიდებული, თუ როგორი იქნება ადამიანი, აღზრდაზეა დამოკიდებული.“ „აღზრდა ხე-ლოგებაა“. „ერთადერთი, რაც ჩვენი მუყაითობით შეგვიძლია გავაკე-თოთ, არის მეტი თუ ნაკლები მიახლოება მიზანთან, მისი მიღწევისთვის კი ბედია საჭირო“. წიგნის ყველაზე მთავარი გზავნილი კი არის ასეთი, „ყოველი აღმზრდელი არის ამხანაგი“ და გამომდინარე აქედან უან უაკ რუსო იყო ზოგადი განათლების ისტორიაში პირველი ის, ვინც ასე კვალიფიციაურად და დასბუთებულად დაგმო პრინციპი დასჯისა და ზედამხედველობისა სწავლების პროცესში. ამავე მოსაზრებას ყავ-და ოდნავ მოგვიანებით, ასევე კვალიფიციური წარმომადგენელი მა-რია მონტესორი (1870-1952), ხოლო საქართველოს უახლესი ისტორი-ის მანძილზე და საბედნიეროდ დღესაც, ყველასათვის ცნობილი, აკა-დემიკოსი ბ-ნ შალვა ამონაშვილი (1931). როგორც მარტარეტ მიდი, ასევე ლევინ კურტ, როცა თავიანთი ემპირიული კველევების შედეგე-ბის ხარჯზე ანალიზს ადგენდნენ და შემდეგ სამეცნიერო პუბლიკაცი-ებში ასაჯაროვედნენ, ამერიკული ხასითის პრიორიტეტებში ამტანო-ბას, გარემოებებისგან დამოუკიდებლად შინაგანი სტაბილურობის შე-ნახვის უნარს მიუთითებდნენ. ორივე მკვლევერი იხარჯებოდა დასა-ბუთებაში, რომ ლამის ყოველ რიგით ამერიკელს შეუძლია საგანგებო ვითარებაშიც კი სწორი ადაპტაციური ქცევის ჩვენება, და ამისი საი-დუმლო გენეტიკაში კია არა, ამერიკულ სოციუმში აპრობირებული აღზრდის პროსეცში, სოციალიზაციის თავისებურებაშია. აი, რას წერს ამავე საკითხზე, ამავე წიგნში („ემილი ანუ აღზრდის შესახებ“) ჯერ კიდევ როდის უან უაკ რუსო: „ჩემის აზრით, საუკეთესოდ აღ-ზრდილი ჩვენ შორის არის ის, ვისაც ყველაზე უკეთ შეუძლია ამ ცხოვრების ავისა და კარგის ატანა; აქედან კი გამომდინარეობს, რომ ჭეშმარიტი აღზრდა უფრო ვარჯიშია, ვიდრე დარიგება. ჩვენი ჭეშმა-რიტი ცოდნა ადამიანის ყოფის შესწავლაა. სწავლას ცხოვრების დაწ-ყებისთანავე ვიწყებთ; ჩვენი აღზრდა ჩვენს არსებობასთან ერთად ინ-ყება“.

ვალურად გაზუთხული, ბავშვებისათვის მინიჭებული თავი-სუფლებისა და დამოუკიდებლობის ხარისხი. რეალურად მო-სალოდნელია სოციუმმა შეცვალოს საგანმანათლებლო სივ-რცე და არა პირიქით, საგანმანათლებლო სივრცემ სოციუმი.

კურტ ლევინი მოვახსენებს, რომ ხანდახან საჭიროა სიტუაცია ავღნეროთ დინამიკის ტერმინებში. სიტუაცია ზო-გადად განიხილება, როგორც შესაძლო მოვლენების ანდა ქმედებების სასრულო ერთიანობა. სოციალურ პოზიციაში თითოეული ცვლილება, მაგალითად როგორიცაა მომდევნო კლასში გადასვლა, ახალი ამხანაგის შეძენა, თუნდაც ავად-მყოფობა რომელიმე ოჯახის წევრის, ნიშნავს რომ განსაზ-ღვრული საგნები, ადამიანები, მოღვაწეობის სახეები ხელმი-საწვდომი შეიქმნება, ან კიდევ პირიქით. ამას ქვია თავისუ-ფალი მოძრაობის სივრცე და ცხადია მას აქვს საზღვრები. სხეულის ფიზიკურ სივრცეში გადაადგილებაზე როდია ლა-პარაკი, აქ პირველ რიგში საინტერესოა სოციალური და მენ-ტალური „მოძრაობანი“. პიროვნების, ანდა სოციალური ჯგუფის თავისუფალი მოძრაობის სივრცე შესაძლოა იყოს წარმოდგენილი, როგორც სივრცე ტოპოლოგიური<sup>97</sup>, სხვა სფეროებით გარშემორტყმული, რომელიც არაა მისაწვდომი მოცემული ჯგუფისა ან პიროვნებისათვის. სფეროს დახუ-რულობა განსაზღვრულია უნარ-ჩვევის დეფიციტით, მოკ-რძალებული ინტელექტუალური განვითარებით. სხვა ფაქ-ტორია აკრძალვა სოციალური, ნებისმიერი სახის ტაბუ ერ-თგვარი და ისინი ადამიანსა და მის მიერ დასახულ მიზანს შორის აღმართული დინამიკური ბარიერებია. ბავშვს შეუძ-

<sup>97</sup> ტოპოლოგიური სივრცე, განსაზღვრული ტიპის (ტოპოლოგიის) და-მატებითი სტრუქტურით სიმრავლე. ტოპოლოგიის შესწავლის ძირი-თადი იბიექტია. ისტორიულად ტოპოლოგიური სივრცე გაჩნდა გან-ზოგადების სახით მეტრული სივრცისა. ტოპოლოგიური სივრცე ყვე-ლა სფეროში მათემატიკისა აღმოცენდება თითქმის ბუნებრივად.

ლია მაგიდიდან ვაშლის მოწვდენა, თუმცა დედამ ეს შესაძლოა აუკრძალოს. უთხრას, რომ გარეცხილი არაა.

სწავლების სიტუაციას თუკი გავაანალიზებთ, თავისუფალი მოძრაობის ხარისხი მეტადრე მნიშვნელოვანი იქნება. სასწავლო დაწესებულებებში პიროვნების თავისუფალი მოძრაობა ოჯახთან შედარებით გაცილებით მეტადაა შეზღუდული<sup>98</sup>. თანამედროვე ეტაპზე განათლების სისტემაში აქცენტი თავისუფალების იდეაზე კეთდება. აქ ორი მომენტია. პირველი, უნდა აღიარო ბავშვის ნებელობა, შემდეგ მისივე საჭიროებები. ამ აღიარებით ბავშვის თავისუფალი მოძრაობის სფერო ფართოვდება. რაც შეეხება ე.წ. საშუალო სტატისტიკური ბავშვის თავისუფალი მოძრაობის სივრცეს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჰიტპლერამდელ გერმანიაში არის სხვადასხვა. საინტერესოა შედარებითი ანალიზი გაკეთდეს ერთსადაიმავე სოციალურ კლასში, სკოლებში, რომელთაც აქვთ თანაბარი სტატუსი, სიტუაცია, პროფილი. კურტ ლევინი შერჩევისათვის გენერალურ ერთობლიობად ძირითადად იღებდა ე.წ. საშუალო კლასს, ფენას. ოდნავ უჩვეულოდაც კი ეჩვენება მკვლევარს გერმანიის მაგალითზე სურვილი დამგვანებისა. ანუ, ლაპარაკია მოსწავლის მხრიდან მასწავლებელზე, სტუდენტის მხრიდან - ლექტორზე, მათი კოპირება შეძლებისა და მონძომების კვალდაკვალ. დიდები ბავშვებს ამერიკაში (აშშ) ექცევიან როგორც თანასწორებს. გერმანიაში ორინტიერებული არიან დამორჩილების მდგომარეობაზე. ამერიკაში არაა მსგავსი დიხოტომია, **Herr/Untergebener**<sup>99</sup>, უფრორე აქაა მიმართება ორ ინდივიდს შორის, როცა მათ აქვთ პრინციპიალურად თანაბარი უფლე-

<sup>98</sup> თუმცა შეიძლება იყოს პირიქითაც. სახლში იყოს დამთრგუნველი გარემო და შეიქნას ეს მიზეზი ბავშვის მხრიდან თავის თავში ერთგავრი ჩაეტვის.

<sup>99</sup> ბატონი/ქვემდებარე

ბები. ამერიკაში მშობელი ბავშვს მეტადრე პატივისცემით ეპყრობა, ვიდრე ესაა გერმანიაში. ამერიკაში ბავშვს მუდმივად თხოვნით მიმართავენ, ასე ვთქვათ სავალდებულო მიაჩნიათ „რევერანსები“. თავაზინი რომ უნდა იყო შვილთან და დაუინება დაივიწყო, ეს ამერიკელი მშობლის წესია. ბავშვს ცდილობენ აჩვენონ, როგორი სასარგებლო იყვნენ, სამსახური გაუწიეს, ანუ მშობელი ადემონსტრირებს ბავშვის წინაშე მაღლიერებას. გერმანიაში შვილებისგან მოითხოვენ, „უნდა გააკეთო“, ვთქვათ რაიმე ნივთის მოტანას ავალებენ. გერმანელისთვის სამწუხაოდ, როგორც აღნერს ლევინი, ტიპიურია ფრაზა, „შემდგომში შენ ამას ჩემი ჩიჩინის გარეშე გააკეთებ“... დიდებს აქ ურჩევნიათ ბავშვში მორჩილების აღზრდა, ისინი გონიათ უნდა იყონ თავდახრილი. ამერიკელი კი ამ დროს ამჯობინებს ბავშვთან „თანაბარ ფეხზე“ ურთიერთობას, რამდენადაც ეს ასაკობრივი სხვაობის ფონზე არის შესაძლებელი. ამერიკელი მშობელი როცა ბავშვს რბილად რჩევას აწვდის, გერმანელი ხისტად მიუთითებს, არჩევანს როდი უტოვებს. ვიღაცამ შეიძლება შეგვისწოროს და ეს ახსნას ორი ენის (ინგლისური/გერმანული) გრამატიკული და სტილისტური სტრუქტურით. მაგრამ, მიხედავად ამისა, ამერიკელი მეტყველების დროსაც კი მეტად თავაზიანია. ბავშვს ამერიკაში (აშშ) აქვს საკუთარი აზრი. ამერიკაში მგზავრობისას გამორიცხულია შემთხვევა, პატარას, რომელიც თანგახლავს, უცნობი მიეფეროს. გერმანიაში ასეთ ინციდენტს არცთუ ძალიან აპროტესტებენ.

წარმოვიდგინოთ ასეთი სიტუაცია, „ორი მოჩხუბარი, მოკამათე მოზარდი“. აღმზრდელი ზოზინით და არცთუ დიდი ენთუზიაზმით ბოლოსდაბოლოს მოახდენს რეაგირებას წაკიდებულ ბავშვებზე. უცხო თვალის გადასახედიდან, ეს ჩანს როგორც პედაგოგის ზერელე დამოკიდებულება, სინამვილეში მსგავსი უემოციო დროში გაწელილი ჩარევა მას აქვს საგულდაგულოდ ნასწავლი. როცა პედაგოგს ბავშვის რაიმე

საქმიანობის შეყვეტა სურს, ამას ძალიან ფრთხილად და თანდათანობით აკეთებს. თუკი არსებობს ალბათობა ბავ-შვერი მის წინაშე დასმულ ამოცანას თავი გაართვას, აღ-მზრდელი უბრალოდ აღარ ჩაერევა. ჰიტლერამდელი სკო-ლები გერმანიაშიც იმავე პრინციპით ხელმძღვანელობდნენ, განსაკუთრებით მარია მონტესორის სახელობის ბალები.<sup>100</sup> ხმის ტეპბრიდან დაწყებული, როცა აღმზრდელი აღსაზ-რდელს მიმართავს, ამერიკიდან (აშშ) გერმანიამდე იცვლება.

---

<sup>100</sup> ალსანიშნავია, რომ **1939-1936 წლებში**, როცა მეორე მსოფლიო ომის მძვინვარებდა, მარია მონტესორი ინდოეთში მოღვაწეობდა. ლექციებს კითხულობდა **მადრასში** (ქალაქი სამხრეთ ინდოეთში, იგი-ვე ჩანაი), **კარაჩიში** (პაკისტანის სამხრეთით). მოგვიანებით სკოლა ჩამოაყალიბა **კოდაიკანალში**, რომელიც მთელი მეორე მსოფლიო ომის მანძილზე მუშაობდა. შვილთან ერთად ის ნერგავდა თავისი სწავლების მეთოდს. ტერმინი „**კოსმიური განათლება**“ იყო შემოტანილი 6 დან 12 წლამდე ბავშვებთან სამუშაოს სპეციულიკის განსასაზ-ლვრად. ამ მეთოდს ხაზი უნდა გაესვა ბუნების სამყაროს ყველა ელე-მენტის ურთიერთგამომდინარეობაზე. ბავშვები მეცადინეობდნენ უშუალოდ ბუნების წიაღში, გარშემო სადაც იყო მცენარეები, ცხოვე-ლები... მონტესორიმ შემუშავა გაკვეთილები, ილუსტრაციები, დიაგ-რამები და მოდელები პატარა ასაკის ბავშვებისათვის. ბოტანიკის, ზოოლოგის, გეოგრაფიის შესასწავლად იყო შემუშავებული სასწავლო მასალები. ამ ყველაფრის საფუძველზე ორი სახელმძღვანელო გა-მოიცა. 1\_ „**განათლება ახალი სამყაროსათვის**“; 2\_ „**ადამიანური პო-ტენციალის აღზრდა**“.

იმყოფებოდა რა ინდოეთში, მარია მონტესორი აკვირდებოდა ყველა ასაკის ბავშვს, მოზარდს და ასევე მათი ყრმობის პერიოდს. 1944 წელს წაიკითხა 30 სალექციო კურსი დაბადებიდან 3 წლამდე ბავშვებზე. 1949 წელს კი ზემოხსენებული სალექციო მასალა შეიკრა წიგნად „რა უნდა იცოდეთ საკუთარი ბავშვის თაობაზე“. 1944 წელს ეწვია **შრი-ლანკას**, ხოლო 1945 წელს მონაწილეობა მიიღო **ჯეიპურში** საყოველთაო ინდურ კონფერენციაში. 1946 წელს, როდესაც მეორე მსოფლიო ომი დასრულდა, მარია მონტესორი ოჯახთან ერთად ევროპაში დაბრუნდა.

და მაინც, ჰიტლერამდელი გერმანის საგანმათლებლო სისტემის უპირატესობის მიუხედავად, ზოგადად გერმანელები დაწყებითი სწავლების საფეხურზე, თავს უფლებას აძლევენ, იგულისხმება პედაგოგი, ჩაერიონ ბავშვის საქმიანობაში, ხმამაღლი ლაპარაკი მიუღებელი როდია, ცუდ ტონადაც კი არ მიაჩნიათ. გერმანიაში, მით უფრო ნაცისტური რეჟიმის პირობებში, პედაგოგი საჭიროდ არ თვლიდა, რაიმე აქსანა, განემარტა მოსწავლისათვის, რომელსაც კატეგორიული ფორმით აწვდიდა დირექტივას. ტოტალიტარული რეჟიმებისთვის ეს ნორმაა. ტოტალიტარული სახელმწიფო დგას ფორმულაზე, – **იბატონე ქვემდგომზე; დაემორჩილე ზემდგომს!** ყველა სტურქტურული ელემენტი სახელმწიფოს ამ პრინციპით მუშაობს და ადგილი პატივისიცემისათვის არაა. ზოგადად ადამიანის უფლებების ქვაკუთხედია, პატივისა და ღირსების უფლება. „ღირსება ზნეობრივი კატეგორიაა, თავისი შინაარსით ის უნივერსალური ცნებაა და პიროვნების განუყოფელი ნაწილია. ღირსება ადამიანის წარმომავლობის, სიმდიდრის და რომელიმე ჯგუფის კუთვნილების საფუძვლზე კი არ ენიჭება არამედ, ღირსება ბუნებით მინიჭებული გრძნობაა, ამიტომ იგი ყველა ადამიანის კუთვნილებაა, მიუხედავად იმისა, როგორია კონკრეტული ადამიანის აღქმა გარშემომყოფთა მხრიდან. ღირსების უფლების აღიარება გამორიცხავს ნებისმიერი ფორმის მონობასა და იძულებას. პიროვნების ღირსება მდგომარეობს სიყვარულის უნარში, მიუხედავად იმისა არის თუ არა შენი მეგობარი ის, ვინც გიყვარს, \_ამ სიტყვებში გამოხატა მაჲათმა განდიმ (Mohandas Gandhi, 1869-1948) ადამიანის ცხოვრების მთელი საზრისი და ღირსების გრძნობის უნიკალურობა.<sup>101</sup> ადამიანი

<sup>101</sup> გრიერ ბოროუსი, ზვიად აბაშიძე, ქეთევან მუხიგული, სალომე დუნდუა, თამარ ქარაია, დემოკრატია და მოქალაქეობა, მესამე გამოცემა, IFES, თბილისი, 2020.

ღირსებით მოპყრობას საჭიროების ნებსიმიერ ასაკში. როდე-  
საც კულტურის თეორიებზე ორინტირებული სოციოლოგები  
სხვადასხვა ხალხების, მათვის ნიშანდობლივი ცხოვრების  
და სახელმწიფოს მოწყობის წესს სწავლობენ, ხელმძღვანე-  
ლობენ დიხოტომით ფემინური/მასკულინური.<sup>102</sup> გერმანუ-  
ლი სოციუმი მასკულინობის მეტ ინდექსს ავლენს შედარე-  
ბით ანალიზებში ამერიკის ფონზე. ზოგადად იძულება არა-  
თუ განათლების სისტემაშია მიუღებელი ამერიკაში, არამედ  
ინტერპესრონალური ურთიერთობების დონეზეც, დაწყებუ-  
ლი ოჯახიდან დამთავრებული უბრალოდ ორია ადამიანის  
მეგობრობით. ამერიკაში სიყვარულის ინდიკატორია პატი-  
ვისცემა, ხოლო პატივისცემა დაცლილია ყოველგავარი უნ-  
დაობითი ხასიათისა და ძალდატანებისაგან, თუნდაც ეს  
იყოს გაუცნობიერებელი. ამერიკელი მკვლევარების, რო-  
ბერტ ბელლასა და მისი კოლეგების ნაშრომი „გულის ჩვევე-  
ბი“ ასაბუთებს, „ამერიკელებისათვის საზოგადოებრივი ღი-  
რებულებების დაცვის მიუხედავად, საკრალური მაინც პი-  
როვნული, ინდივიდუალური ღირებულებები რჩება. წიგნის

<sup>102</sup> ფემინური/მასკულინური, კულტურის თეორიებში ხალხთაშორისი  
მიმართებების შესასწავლად გამოყენებული კლასიფიკატორი, რაც მი-  
ესადაგება როგორც გაზომვის ინდიკატორი ცალკე აღებული განათ-  
ლების სისტემას, ამათუმ ორგანიზაციის მოწყობის წესს, ინდივიდუ-  
ალური პასუხიმსგებლობის ქონას, ან პირიქით, არქონას. ამასთან აღ-  
სანიშნავია, რომ კატეგორია ფემინური/მასკულინური არანაირად  
არაა ბმაში, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს გენდერთან. ესაა და-  
ვუშვათ როცა მიზანრაციონალური მოქმედება მოიცავს თავისში  
სხვაზე, ალტერის ეგოზე მიმართულობას, მეტი ემპათია, ნაკლები  
გულგრილობა, ეგოიზმი, ეგოცენტრიზმი, ფსიქოპათია და რაც უმნიშ-  
ვნელოვანესია შეგნებული პასუხიმსგებლობის არ ქონდა საკუთარ ქმე-  
დებაზე. თვითონ გაზომისთვის აპრობირებული ეს „იდეალური ტიპი“  
შეიძულებავეს პოლანდიელმა მკვლევარებმა, გირტ იან და გერტ იან  
პოფსტედებმა.

ავტორებმა გამოკითხეს საკმაოდ ძლიერი და წარმატებული პიროვნებები, რომლებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ავტონომიურობასა და ცოდნას და ღრმად სწამთ, რომ წარმატების მისაღწევად უცილებელია როგორც ახალი, ისე ძველი ფასეულობებისაგან დამოუკიდებლად მოქმედება. მათი აზრით, ნებისმიერ ადამიანს უნდა ჰქონდეს საკუთარი ცხოვრებისა და მოღვაწეობის საშუალება და თავისუფლება.<sup>103</sup> ამერიკულ ლირებულებათა წუსხაში სოციოლოგი ქრეგ კალპუნი ცალსახად ჩამონათვალს იწყებს დამოუკიდებლობით და დასძენს, „ხშირად ვერთიანდებით ჯგუფებსა და ორგანიზაციებში, მაგრამ უპირატესობას ყოველთვის დამოუკიდებლობას ვანიჭებთ და ნებისმიერ შემთხვევაში ვიტოვებთ ჯგუფის დატოვების უფლებას, თუკი ეს ჩევნ პიროვნულ ინტერესს აღარ ემსახურება. თუ სამსახური, ან ქორწინება წარუმატებელია, ვიცით, რომ გვაქვს მისი შეცვლისა და წინსვლის უფლება. სხვა ხალხებისგან განსხვავებით, აღმსარებლობა ჩვენთვის არა წარსულში წინაპრების გაკეთებულ, არამედ პიროვნულ არჩევან ემყარება.“<sup>104</sup> შეიძლება ყოველივე ზემო თქმული ასე დავაჯამოთ:

ადამიანს დაქვემდებარებულის პოზიციიდანა აქვს განცდა, რომ იგია ფლობის საგანი; ადამიანს დამქვემდებარებლის პოზიციიდან აქვს განცდა ქონის. არც ერთი, ფლობა/ქონა არ გულისმხობს ყოფნას. ყოფნა კორელაციაში ნებისმიერ ასაკში არის ინდივიდის ეკზისტენტიად ყოფნასთან. Existentia (ლათ.) არსებობა, ეკზისტენციალიზმის ერთ-ერთი მთავარი ცნებაა და იგი ხმარებაში შემოიღო კირკეგორმა (1813-1855), დანიელმა რელიგიურმა ფილოსოფოსმა, ფსი-

<sup>103</sup> ქრეგ კალპუნი, დონალდ ლაითი, სუზან კელერი, სოციოლოგია, ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2008.

<sup>104</sup> კალპუნი, 2008 წ. გვ. 162

ქოლოგმა და მწერალმა. ეკზისტენცია ეს არაა ადამიანის არ-სება, ვინაიდან უკანასკნელი აღნიშნავს ეკზისტენციალის-ტების თეორიის თანახმად (სარტრი) რაღაც განსაზღვრულ, წინასწარ მოცემულს, არამედ იგია „ღია შესაძლებლობა“ . ეკ-ზისტენცია ნიშნავს, რომ არ ექვედებარება ობიექტივიზმი-ბის პროცესს. ამერიკული განათლების სიტემა, როდესაც ამას შედარების საფუძვლად იღებს კურტ ლევინი ცდილობს ხელი შეუწყოს სწორედ „ღია შესაძლებლობებს“ და მინიმუმი დატოვოს ალბათობა ობიექტივიზმირებისათვის, ანუ, დაქვემ-დებარებისათვის. ამ ოქროს წესს მისდევენ მშბოლები ოჯახ-ში როცა ბავშვზე ზრუნვით არიან დაკავებული, პედაგოგები დაწყებითი და არამხოლოდ, სწავლების საფეხურებზე და ბოლოს აკადემიური პერსონალი უმაღლეს სასწავებლებშიც. თუკი გერმანიში სტუდენტი წარმატებულ ლექტორს აკოპი-რებს და მისი ეკზალტირებულიც შესაძლოა მიმდევარი რჩე-ბა, ამერიკაში ეს ესმით როგორც გან-საგნება და საკუთარ შინაგანობაში წონასწორობის ღერძის ჩაშენების უუნარობა, რის გარეშედაც ვერავინ გამოიმუშავებს ე.ნ. სწორ ადაპტა-ციურ ქცევას და ვერ განვითარდება.

კურტ ლევინი გაუსვამს ხაზს, რომ ყოველი რეჟიმი უპირისპირდება ინტელექტუალურ დისკუსიას, გონიერებას, რასაც არქმევს ლიბერალიზმის გამოვლინებას და დენის. პროცესში, როდესაც ადამიანები ერთმანეთს უცვლიან მო-საზრებებს, მსჯელობენ, ყალიბდება ურთიერთობები თანა-ბარ ფეხზე. როცა პედაგოგი მოსწავლეს, ზოგადად აღსაზ-რდელს განუმარტავს დირექტივების საჭიროებას, მიზეზს, თუ რატომ მიეთითა ამათუიმ კონკრეტულ შემთხვევაში, ეს მეტი დემოკრატიაა, აქ გათვალისწინებულია ბავშვთა ბაზი-სური უფლებები, შენ ამგვარად საგანმანათლებლო სისტე-მის ხარჯზე ბავშვს ეხმარები გახდეს რაც შეიძლება მალე დამოუკიდებელი, შესაბამისად თვითკმარი. ბავშვი რომ და-

მოუკიდებლად ჩაცმას სწავლობდეს, თავის მოვლას არის მნიშვნელოვანი.

ბავშვის ე.ნ. თავისუფალი მოძრაობის სივრცე არის ამერიკაში სხვა ქვეყნებთან შედარებით მეტი, მითუთრო რო-ცა ლაპარაკია გერმანიაზე. ჩვენ გვესმის, რომ ჩვენს ირგვ-ლივ სოციალური გარემო მრავალპლასტიანია. შეიძლება ერთ პლასტში, ბავშვს, ასევე პედაგოგს, ქონდეს მეტი თავი-სუფლება, სხვაში ნაკლები და მესამეში საერთოდაც არანი-რი. აბლოუტურად ჩაკეტილი თავისუფალი მოძრაობის სივ-რცე, ეს უკვე ემილ დურკემის მიერ ანომიად წოდებული მგომარეობაა და ხშირად ადგილობრივ დონეზე მთავრობე-ბის გადაყენება, შეცვლით სრულდება.

რაც შეეხება ყოველდღიურობას ამერიკელი სტუდენ-ტისა. ამერიკელი სტუდენტი ადგენს ნათელ, დეტალურად გაანგარიშებულ გეგმას ხანგრძლივი დროის პერსპერქტი-ვით, ესაა სტრატეგიურლი გეგმა, თავისი ამოცანები როგორ გაწეროს თანმიმდევრულად, ისე, რომ მათი შესრულება იყოს უფრორე ადვილი. გერმანელი ასეთ გრაფიკს - რა, რო-დის, როგორ - ნაკლებად ყვარობს. თითქმის არააო ასეთი ჩანაწერების არსებობა მოსალოდნელი, ამბობს კურტ ლევი-ნი. ამერიკელი სტუდენტისთვის ნორმალურია წინასწარ გან-საზღვრა, რამდენ საათს დაუთმობს კვირაში თავის კვლევას ექვსი თვის მანძილზე.<sup>105</sup> გერმანელი სტუდენტი თავისი სა-

<sup>105</sup> მაგისტრატურაზე სწავლების პერიოდში, მახსოვს ასეთი „ლირიკუ-ლი გადახვევა“ ედუარ კუდუას მიერ (თსუ სოციოლოგის კათედრის გამგე, ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი, ქართული სოციოლო-გიის ქვაკუთხედი), სასწავლო კურსს როცა გვიკითხავდა კულტურის სოციოლოგიაში, „მე დღეში 16 საათს ვმუშაობ“. მერე დაგვეკითხა, „რამდენ საათს მუშაობთ თქვენ?“. ანუ, გონიერივი აქტივობა, სას-წავლო-საკვლევ მასალაზე მუშაობა იგულისხმებოდა.

მუშაოსთვის განკუთვნილ ე.ნ. ტერმინს<sup>106</sup> თავს ვერ არ-  
თმევს. გერმანიაში საუნივერსიტეტო სემესტრის მანძილზე  
სესიები ერთხელ უწევთ, ხოლო ამერიკაში, ყვება ლევინი,  
სამეტრი ულუფებადაა დაყოფილი და რამდენჯერმე უწევთ  
სესია. ზოგადად ამ მეთოდს, როცა გრაფიკის მიხედვით აწ-  
ყობ ჰიპოტეთურ კონსტრუქციას სამუშაო-დროის განაწი-  
ლების, ან უნივერსიტეტი ხლეჩს სესიებად სასწავლო სე-  
მესტრს, ტრიმესტრს, საბოლოო ჯამში, მაინც დეკონსტრუქ-  
ცია ქვია. არის ასეთი რუსული გამოთქმა, „Москва не сразу  
строилась“<sup>107</sup>. ზოგადად მთელი საგანმანათლებლო სისტემა  
ექვემდებარება მსგავსი დეკონსტრუქციის პრინციპს და ამი-  
ტომაც გვაქვს სწავლების განსხვავებული საფეხურები, ავი-  
ლოთ საილუსტრაციოდ უმაღლესი სწავლების ფაზა:

- ✓ ბაკალავრიატი
- ✓ მაგისტრატურა
- ✓ დოქტორანტურა
- ✓ პოსტ-დოქტორანტურა

ნებისმიერი ორგანიზაცია, ნებისმიერი შრომის დანაწი-  
ლების საჭიროების მქონე ერთობა, ხელმძღვანელობს წინას-  
წარ ჰიპოთეტურად კალენდარში განერილი ამოცანების ჩა-  
მონათვალით, ზოგიერთს სულაც იურიდიული იმპერატივი

<sup>106</sup> **Der Termin** (გერ.)

Duden, Bedeutung: (für etwas Bestimtes) festgelegter Zeitpunkt; Tag, bis zu dem oder an dem etwas geschehen soll.

შესატყვისი ქართულ სიტყვათხმარებაში უცხოურიდან გავრცელდა ასევე ე.ნ. დედლაინი, ანუ სამუშაოს ჩაპარების ვადა, დღე, საათი, ხან-დახან ცხადია შეიძლება ოდნავ, სულ მისხალი დააგვიანო, გააჩნია ორგანიზაციის განაწესს, გააჩნია ვის აბარებთ. ან უბრალოდ, შეიძლება უწესებთ ამ კალენდრულ ვადას თქვენივე თავს, ისევე როგორც აქ კურტ ლევინის მიერ აღწერილი რიგითი ამერიკელი სტუდენტი.

<sup>107</sup> „მოსკოვი ერთბაშად არ აშენებულა“.

უმაგრებს ზურგს და გრაფიკიდან ცდომა მკაცრადაა სან-ქცირებული.

ევროპელები ასეთ რამეს ყვებიან ამერიკელებზე, „— ამე-რიკა კონტრასტების, უსაზღვრო შესაძლებლობების ქვეყა-ნაა.“ სახეზე მყოფი პერსპექტივები ამერიკელებს ანიჭებს დიდ თავისუფლებას. ისინი არ ეჯაჭვებიან ადგილს, მითუმე-ტეს თუკი ადგილმა არ შეიყვარა ისინი. ამერიკელი ტოვებს „შეჩერებულ“ სახლს, ახალი რაიონის დატესტვა არ ეძნელება, შესაძლოა სხვა ქალაქზე და შტატზეც იყოს ლაპარაკი. გერმა-ნელებს არ სიამოვნებთ ცვლილებები ჭერთან მიმართებაში და ისედაც, ზოგადად. მათთვის ახალ სიტუაციასთან შეგუე-ბის დროითი ლიმიტი უფრო ხანგრძლივია. ახლობელი ადამი-ანის გარდაცვალებასაც კი მეტი სილრმით, შეგნებულად უდ-გება ამერიკელი. ესმის, სიცოცხლე სასრულოა და არ არსე-ბობს ამ დროს უპირობო გარანტია, ყველაფერი რაც თეორი-ულად დასაშვებია, მოსალოდნელი ალბათობის მქონეა.

რაც შეეხება შეხედულებათა დაშორებას, ოპონონტის პოზიციიდან პიროვნულ მიღება/არმიღებას, იქნება ეს მეც-ნიერება, პოლიტიკა თუ რაიმე სხვა, ამერიკელი მიჯნავს პი-რადს და საჯაროს, ანუ, პროფესიულ საქმიანობასთან და-კავშირებულს და შეუძლია გამარჯვებაც მიუღოცოს მონი-ნააღმდეგეს და ქონდეს მასთან საკმაოდ თბილი, ამხანაგური დამოკიდებულება. გერმანიაში ასეთ პრაქტიკას ლამის სიბ-რიყვის რანგში აიყვანენ და მიაწერენ პიროვნების უნიათო-ბას.

გერმანული პუნქტუალობა ჩვენ ვიცით საბჭოთა და პოსტ-საბჭურ სივრცეში ასევე, როგორ იყო, არის ქათინაუ-რის რანგში აყვანილი. არადა კურტ ლევინი თავისი გამოც-დილებიდან, რომელიც ამ ორი სოციუმის დაკვირვების ხარ-ჯზე შეიძინა, ამბობს, პუნქტუალური, ზედმიწევნით კორექ-ტული არის ამერიკელი. ხოლო გერმანელებს მაგიდასთან ვახშამზეც კი ვერ მოუყრი დროულად თავსო.

ამერიკაში პოპულარობით სარგებლობს სისხამ დილას ლექციები, ან რაიმე სხვა ღონისძიება. ხშირად მოკრავ ყურს ფრაზას, „\_სამუშაომ ჩენგან N დრო (კვირა, დღე, საათი) წაიღო.“ ყოველთვის ახსოვთ და ხაზს უსვამენ, რა დროის შუალედში შეასრულეს დაგალება. ამით დაგალება ფასობს, მისი მნიშვნელობა სერიოზულობამდე იზრდება. უფრო მეტი, რეიტინგული უუნრალ-გაზეთები სტატიის გასწრივ, იქვე უთითებენ, საშუალოდ მის წაკითხვაში მკითხველი რა დროს დასარჯავს. გერმანიაში ეს იშვითი პრაქტიკაა. რიგითი გერმანელი დროს ხანდახან სრულიად ივიწყებს. არის ასეთი მეტად პოლულარული, თანაც ელიტურ საზოგადოებაში, შემსრულებელი Max Raabe<sup>108</sup>. აქვს სიმღერა *Der perfekte Moment*<sup>109</sup>, შემდეგი ტექსტით, *Heut' macht' ich gar nichts, keinen Finger krum, ich bleib' zu Haus' und liege hier einfach nur som rom...*<sup>110</sup>

ცხადია სიზარმაცე როდი ჩვევია გერმანელს, უბრალოდ დროის ასე არტახებში მოქცევის საჭიროებას ვერ ხედავენ. კოკო გამსახურდიას ესსე შვეიცარულ და ქართულ დროზე 2000 იან წლებში ერთ-ერთ ლიტერატურულ ალმანახში დაიბეჭდა და მატ-ნაკლებად ანალოგიური იყო შედარებითი ანალიზი იმასთან, რასაც მოცემულ სტატიაში კურტ ლევინის მიღევნებით განვიხილავთ. უ.ზ. შედარების კრიტერიუმი იყო მსგავსი. დროის შეგრძნება, მისი დეკონსტურქცია, ასეთი ჩანაწერები აკადემიურ სტილში აქვს ასევე საინტერესოდ კარლ პოპერს და არის კიდეც ქართულად თარგმნილი და გამოქვეყნებული<sup>111</sup>.

<sup>108</sup> Max Raabe (1962)

<sup>109</sup> გერ. საუცხოო მომენტები.

<sup>110</sup> გერ. დღეს არაფერსაც არ გავაკეთებ, თითს თითზე არ დავდებ, სახლში ვრჩები უბრალოდ დაწოლილი...

<sup>111</sup> კარლ პოპერი, რჩეული ნარკევები, გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, 2000.

ზოგადად შედარებითი ანალიზი, რომელიც ასეთი ნა-  
ყოფიერი გამოუვიდა კურტ ლევინს მოცულობით არის უფ-  
რო ფართე, თუმცა გამომდინარე ერთი ქვეთავის ფორმატი-  
დან, შევეცადე გამეანალიზებანა ის, რაც უშუალოდ სწავლე-  
ბა და სწავლებასთან დაკავშირებულ ჩვევით უნარებს შეე-  
ხებოდა. ჩემს მიერ დამუშავებული მონაცემები ავტორს გა-  
მოცემული ქონდა წიგნად, „სოციალური კონფლიქტების გა-  
დაჭრა“ და ფაქტიურად იყო როგორც გზამკვლევი ძირითა-  
დად ეთნიკური კონფლიქტების გადასაჭრელად თანამედრო-  
ვე მულტიკულტურულ გარემოში.

---

20. ინდეტერმინიზმი და ადამიანის თავისუფლება (1965), I ლრუბლები  
და საათები. გვ. 243 დან

## 8. თანამედროვე კულტურატშორისი კვლევები; გაზომვის ინდიკატორი ფემინურობა/მასკულინურობის კოდი

დღეს, დაჩქარებული გლობალიზაციის ფონზე ატუალურია კულტურატშორისი კვლევები, ე.წ. ეთნო-ფსიქოლოგიის დეტალური ანალიზი. ცხადია სხვადასხვა საუნივერსიტეტო სკოლა, ცალკეული მკვლევარი ირჩევენ სხვადასხვა კვლევის მეთოდს და შესაბამისად გაზომვის ინდიკატორს. კვლევები ლამის როგორც მოთხოვნა, არის ინტერდისციპლინარულ ჭრილში და ზოგადად ყველა სოციალური, საზოგადოებრივი მეცნიერების გამოცდილებას და პრაქტიკებს მოიცავს.

აღნიშნული ანალიზი ეფუძნება გირგ ჰოფსტედესეულ კლასიფიკაციას.<sup>112</sup> კულტურათა დახასიათებისას ჩვენ გამოვიყენებთ ასევე მახასიათებლებს, როგორიცაა ინდივიდიალ-ზომიზი და კოლექტივიზმი. გაზომვის ინდიკატორები იქნება მრავალკომპონენტიანი და მათ თანმიმდევრულად წარმოვადგენთ ქვეთავის ჩარჩოებში. კულტურათა კვლევისას შეისწავლება ისეთი რეგიონები, როგორიცაა ოჯახი და პირადი ურთიერთობები (შესაბამისად, ბავშვთა სოციალიზაცია), სამუშაო და ორგანიზაციები.

კულტურატშორისი განსხვავების საფუძველი ხშირად საზოგადოების ფუნდამენტური საკითხია. ინდივიდის როლი თუ ჯგუფის როლი? ჩვენს სამყაროში ადამიანების უმრავლესობა ისეთ საზოგადოებაში ცხოვრობს, სადაც პრიორიტე-

<sup>112</sup> გირგ ჰოფსტედე ჰოლანდიელი მეცნიერია. დაიბადა 1928 წელს. გრონინგენის უნივერსიტეტში შეისწავლა სოციალური ფსოქოლოგია, ხოლო ორგანიზაციული ანთროპოლოგია მასატრინის უნივერსიტეტში. დააფუძნა ინტერკულტურული კოოპერაციის კვლევითი ინსტიტუტი. მისი ძირითადი ნაშრომია „კულტურები და ორგანიზაციები“, რომელიც ხდება სწორედ მოცემული ქვეთავის მსჯელობის საგანი.

ტია ჯგუფის ინტერესი. ანუ, ლაპარაკია კოლექტივიზმზე. „ჩვენ“ და არა „მე“-ზე აქცენტის დასმა ბავშვობიდან, ადრე-ული სოციალიზაციის ასაკში სწავლობენ. „ჩვენ“ ჯგუფი პი-როვნების იდენტობისა და ცხოვრების სირთულეებისაგან თავდაცვის უმთავრესი წყაროა. კოლექტივისტურ საზოგა-დოებებში ადამიანი მთელი სიცოცხლის განმავლობაში თა-ვისი შიდა ჯგუფის ერთგული რჩება და ამ ერთგულების დარღვევა საშინელი საქციელია.

ინდივიდუალისტურ საზოგადოებაში ინდივიდის ინტე-რესი ჯგუფის ინტერესზე მაღლა დგას. თუ კოლექტივისტურ საზოგადოებებში დღესაც კი გაფართოებული ოჯახები გვაქვს, ინდივიდუალისტურში მხოლოდ ნუკლეური<sup>113</sup> ოჯა-ხები გვხვდება. ნათესავები სხვაგან ცხოვრობენ და მათ იშ-ვიათად ხედავენ. განათლების მიზანიც დამოუკიდებლად მოღვაწეობის უნარ-ჩვევების აღზრდაში მდგომარეობს. ინ-დივიდუალისტურ საზოგადოებაში მიაჩნიათ, რომ არც პრაქ-ტიკულად, არც ფსიქოლოგიურად, საზოგადოების ჯანმრთე-ლი წევრი სხვაზე დამოკიდებული არ უნდა იყოს.

როგორი მოთხოვნები აქვთ ინდივიდუალისტ ადამია-ნებს სამუშაოზე? მათვის მნიშვნელოვანია პირადი დრო. სამუშაო, რომელიც საქმარის თავისუფალ დროს ტოვებს პი-რადი ან ოჯახური ცხოვრებისათვის; თავისუფლება (მნიშ-ვნელოვანია თავისუფლება, საქმეს თქვენი საკუთარი მიდ-გომა მიუსადაგოთ) და გამოწვევა (სამუშაო გამომწვევი უნ-და იყოს, ისეთი, რომლისგანაც პიროვნული მიღწევის შეგ-რძნება დაგეუფებათ.

კოლექტივისტები სამსახურში კარგ პირობებთან აიგი-

<sup>113</sup> ნუკლეური ოჯახი, საკვანძო ცნება ოჯახის სოციოლოგიაში, თანა-მედროვე დასავლური ოჯახი, რომელიც შედგება მხოლოდ მშობლები-სა და შვილის, ან მშობლებისა და შვილებისგან. ანუ, ასეთ ოჯახში არ ვხვდებით თაობებს ბებია/ბაბუა-შვილები-შვილიშვილები.

ვებენ ხშირ ტრენინგებს, სათანადო ფიზიკურ პირობებს და მოელიან, რომ თავიანთ უნარებს ბოლომდე გამოავლენენ.

ძნელი გასაგები არაა, რატომ არის პირადი დრო, თავი-სუფლება და პირადი გამოწვევა ინდივიდუალიზმისათვის მნიშვნელოვანი. ისინი ხაზს უსვამენ თანამშრომლის ორგანიზაციისაგან თავისუფლებას. საპირისპირო პოლუსის სამუშაო მიზნები - ტრენინგი, ფიზიკური პირობები და სამსახურში უნარების გამოვლენა - აღნიშნავს, რას აკეთებს ორგანიზაცია თანამშრომლებისათვის, და ამით ხაზს უსვამს თანამშრომლის დამოკიდებულებას ორგანიზაციაზე.

ინდივიდუალისტურ კულტურებში ახალგაზრდებში პრიორიტეტულია შემდეგი ღირებულებები: სხვების მიმართ ტოლერანტობა, სხვებთან ჰარმონია, არაკონკურენტულობა<sup>114</sup>, ახლო, პირადი მეგობრები, არსებული მდგომარეობით/პოზიციით კმაყოფილება, სხვებთან სოლიდარობა, კონსერვატიულობა.

კოლექტივისტურ კულტურებში ახალგაზრდებისათვის ღირებულია: მშობლების პატივისცემა, მორჩილება, ფინანსური დახმარება და წინაპრების პატივისცემა, ქალების უმანკოება, პატრიოტიზმი.

კოლექტივისტურ საზოგადოებებში დამეგობრების საჭიროება არ არსებობს: ოჯახის ან ჯგუფის წევრობა ადამიანის მეგობრებს განსაზღვრავს. ოჯახური ურთიერთობების შენარჩუნება მშობლების პატივისცემისა და ქალების უმანკოების საფუძველზე ხდება. ამას პატრიოტიზმიც უკავშირდება.

<sup>114</sup> არაკონკურენტულობაში მოვიაზრებთ იზოთიმაის. „თიმოსი“, ეს ტერმინი ანტიკურობაში გამოიყენებოდა პლატონის ნაშრომებში. „მოშურნე სული“, იგივე აღიარების სურვილი, რაც მიუთითებს სხვებთან თანაბარ პირობებში განხორციელების სურვილზე, რაც ეწინააღმდეგება შენი ნებისადმი სხვათა მორჩილებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ძალაუფლებრივ დისტანციასა და კოლექტივიზმს შორის არსებობს კორელაცია. ისეთ კულტურებში, სადაც ხალხი შიდა ჯგუფებზეა დამოკიდებული, როგორც წესი, იგივე ხალხი ძალუფლების მქონე ადამიანებზეცაა დამოკიდებული. დიდი ოჯახის უმრავლესობას პატრიარქალური სტრუქტურა აქვს. მორალურ ავტორიტეტს ოჯახის თავი წარმოადგენს. ისეთ კულტურებში, რომლებშიც ადამიანები შიდა ჯგუფისაგან შედარებით თავისუფალნი არიან, როგორც წესი, ისინი ძალუფლების მქონე ადამიანებზე ნაკებად დამოკიდებულნი არიან. ინდივიდუალიზმის სტრატიფიცირებული ფორმა შემდეგში მდგომარეობს: საქმე იმაში კი არ გახლავთ, ადამიანებს სხვების რა მართებთ, არა-მედ, საკუთარი თავის რა მართებთ.

კოლექტიურ საზოგადობათა უმრავლესობაში სხვა ადამიანებთან პირისპირი კონფრონტაცია არასასურველ და უზრდებურ საქციელად მიაჩნიათ. სიტყვა „არა იშვიათად გამოიყენება, რადგან „არა“ კონფრონტაციაა. „შეიძლება სწორი ბრძანდებით“ ან „ამაზე ვიფიქრებთ“ მოთხოვნის უარყოფის ზრდილობიანი ფორმაა. იმავე განწყობით, სიტყვა „დიახ“ ყოველთვის დათანხმებას კი არ ნიშნავს, არამედ კომუნიკაციის ხაზის შენარჩუნებას.

ინდივიდუალისტურ საზოგადოებაში ოჯახში ბავშვს ასწავლიან, რომ რამდენადაც მტკივნეული არ უნდა იყოს, მან ყოველთვის სიმართლე უნდა თქვას. ინდონეზიაში ყოფილმა ჰოლანდიელმა მისიონერმა მრევლის მიერ ბიბლიის ნაწყვეტის უცნაური ინტერპრეტაცია აღწერა. ნაწყვეტი ასეთი იყო: კაცს ყავდა ორი შვილი. მივიდა პირველთან და უთხრა: „შვილო, წადი და დღეს ვენახში იმუშავე“. შვილმა უპასუხა: „წავალ ბატონო“, მაგრამ არ წავიდა. კაცი მეორე შვილთანაც მივიდა და იგივე გაუმეორა. მან უპასუხა: „არ წავალ“, შემდეგ კი ინანა და წავიდა. ამ ორთაგან რომელმა

შეასრულა მამის ნება? ბიბლიური პასუხია, რომ მეორე შვილმა შეასრულა მამის ნება, მაგრამ ინდონეზიელებმა პირველი შვილი აირჩიეს, რადგან ის არ შეენინააღმდეგა მამას და ფორმალური პარმონია დაიცვა. წავიდა თუ არა იგი სინამდვილეში, მათვის მნიშვნელოვანი აღარ იყო.

კოლექტივისტურ ოჯახში ბავშვები სწავლობენ, რომ სხვების აზრს უნდა მისდოონ. საკუთარი აზრი არ არსებობს - მას ჯგუფი განსაზღვრავს. თუ ახალი საკითხი წამოიჭრა და მასზე შეხედულება ჯერ არ არსებობს, ოჯახური თათბირია საჭირო. მხოლოდ ამის შემდეგ ყალიბდება საბოლოო აზრი. თუ ბავშვი მუდმივად ჯგუფის საწინააღმდეგო მოსაზრებებს გამოთქვამს, ითვლება, რომ ამას ცუდი ხასიათი აქვს. ინდივიდუალისტური ოჯახი მოელის და ხელს უწყობს ბავშვის საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბებას. იმ ბავშვზე, რომელიც მხოლოდ სხვების შეხედულებებს იმეორებს, ამბობენ, რომ სუსტი ხასიათი აქვს. სასურველ ხასიათთან თანხმედრაში მყოფი ქცევა კულტურულ გარემოზეა დამოკიდებული.

ცნობილი ფაქტია, რომ ნიდერლანდებსა და სხვა მრავალ ჩრდილო-ევროპულ ქვეყანაში სტუდენტების ხარჯების დიდ ნაწილს თავის თავზე სახელმწიფო იღებს. 1980-იანი წლების შემდეგ სისტემა ისე შეიცვლა, რომ განათლების ფულს პირდაპირ სტუდენტებს აძლევენ და არა მათ მშობლებს. ამით სტუდენტების დამოუკიდებლობა იზრდება. 18 წლიდან ბიჭები და გოგონები დამოუკიდებელ ეკონომიკურ აქტორებად ითვლებიან. სახელმწიფო დახმარების გარეშეც კი, ისინი ნაკლებად არიან დამოუკიდებული მშობლებზე და საერთოდ არ არიან დამოუკიდებული შორეულ ნათესავებზე.

კოლექტიურ საზოგადოებაში ოჯახური მოვალეობები მხოლოდ ფინანსური კი რაა, რიუტალურ ხასიათსაც ატარებს. ოჯახური თავყრილობები, როგორიცაა ნათლობა, ქორნილი და განსაკუთრებით დაკრძალვა, ძალიან მნიშვნელოვნად ითვლება და მათზე დასწრება აუცილებელია.

კოლექტივისტური კულტურის ქვეყნებში ნორმალურია, როცა სტუმრობა წინასწარი შეტყობინების გარეშე ხდება. მიუხედავად იმისა, რომ ტელეფონი მივარდნილ სოფლებშიც კი აქვთ მსოფლიოს ყველა კუთხეში, ისინი ასეთი ზარის აუცილებლობას ვერ ხედავენ. ინდონეზიაში, იავას ტომში გაფრთხილების გარეშე სტუმრობა სწორედ, რომ ნორმაა.

კოლექტივისტურ ოჯახში<sup>115</sup>, პარმონიასთან ერთად სირცხვილის კონცეფციაც მნიშვნელოვანია. ინდივიდუალისტურ საზოგადოებას დანაშაულის კულტურად აღწერენ. საზოგადოების წესების დამრღვევს დანაშაულის გრძნობა აწუხებს. ამის საფუძველი ინდივიდუალურად განვითარებული სინდისია, რომელიც შინაგანი პილოტის ფუნქციას ასრულებს. საპირისპიროდ, კოლექტივისტური საზოგადოება სირცხვილის კულტურა. კოლექტიური პასუხისმგებლობის საფუძველზე, თუ მოცემული ჯგუფის წევრმა საზოგადოების წესები დაარღვია, მას შერცხვება. სირცხვილის ბუნება სოციალურია, ხოლო დანაშაულის გრძნობა - ინდივიდუალური. შერცხვება თუ არა ადამიანს, დამოკიდებულია იმაზე, იაციან თუ არა მისი დარღვევის შესახებ სხვებმა. წესების დარღვევის გამოაშკარავება სირცხვილის უფრო დიდი წყაროა, ვიდრე თავად დარღვევის ფაქტი. დანაშაულის გრძნობა ასეთი არ არის. მას განიცდიან იმისდა მიხედვით, იციან თუ არა სხვებმა ჩადენილი უსაქციელობის შესახებ.

მთავარი გასხვავებები კოლექტივისტურ და ინდივიდუალისტურ საზოგადოებებს შორის ჰოფსტედის მიერ

<sup>115</sup> კოლექტივისტური ოჯახის კარგად გაგების საშუალებას გვაძლევს ზოგადად ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური საზოგადოებების კრიტერიუმების ცოდნა. ლალი სურმანიძის წიგნი, „ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური საზოგადოებები“, რომელიც 2001 წელს გამოიცა ფონდი ღია საზოგადოება-საქართველოს ხელმენყობით მოცემული სტატიაში მსჯელობის საგნად ქცეულ თითოეულ საკითხს აცხადებს.

მსოფლიოს მაშტაბით სიღმისეული კველევების საფუძველზე გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში ცხრილის სახით ასე გამოიყურება (თავი 3, გვ.89) :

### ზოგადი ნორმა და ოჯახი

კოლექტივისტები	ინდივიდუალისტები
ადამიანები დაბადებიდან ხვდებიან დიდ ოჯახებში, ან სხვა დახურულ ჯგუფებში, რომლებიც მათ ერთგულების სანაცვლოდ იცავენ	ყველა იზრდება იმ პრინციპით, რომ უნდა მოუაროს მხოლოდ საკუთარ თავს და უშუალოდ საკუთარ (პატარა) ოჯახს
ბავშვები სწავლობენ, როგორ იფიქრონ ყველაფერზე „ჩვენ“-ის კონტექსტში	ბავშვები სწავლობენ, როგორ იფიქრონ ყველაფერზე „მე“-ს კონტექსტში
ჰარმონია ყოველთვის უნდა იყოს შენარჩუნებული და უნდა ხდებოდეს პირდაპირი კონფლიქტებისაგან თავის არიდება	საკუთარი აზრების გულწრფელად გამოიქმა პიროვნების პატიოსნების ნიშანია
მეგობრობა წინასწარ განსაზღვრულია	მეგობრობა წესაყოფლობითია და ხელშეწყობა ჭირდება
რესურსები ნათესავებს უნდა გაუზიარო	რესურსები ინდივიდუალური საკუთრებაა, ბავშვებისთვისაც კი
ძირითადია მაღალი კონტექსტის მქონე კომუნიკაცია	ძირითადია დაბალი კონტექსტის მქონე კომუნიკაცია
საზოგადოების წესების დარღვევა იწვევს სირცხვილს და საკუთარი და ჯგუფის სახის დაკარგავას	საზოგადოების წესების დარღვა იწვევს დანაშაულის გრძნობას და საკუთარი თავისადმი პატივისცემის დაკარგვას
საცოლე უნდა იყოს ახალგაზრდა, გამრჯე და უმნიკვლო. საქმრო უნდა იყოს უფროსი	პარტნიორების მიმართ კრიტერიუმები არ არის წინასწარ განსაზღვრული

ეხლა კი ჯერი მიდგა ფემინურობის გამიჯვნაზე მასკულინობისაგან. შევთანხმდეთ, რომ ბიოლოგიურ განსხვავებათა აღსანიშნავად გამოვიყენებთ ტერნმინებს მამრობითი და მდედრობითი, ხოლო სოციალურად, კულტურულად განსაზღვრული როლებისათვის კი - მასკულინური და ფემინური. უნდა ნათელვყოთ, რომ ტერმინები შედარებითია და არა აბსოლუტური. შესაძლებელია, კაცი „ფემინურად“ მოიქცეს და ქალი „მასკულინურად“, ეს ნიშნავს, რომ ისინი თავიანთი საზოგადოების ნორმებისაგან განსხვავებულად იქცევიან.

საზოგადოებას მასკულინური ენოდება, როდესაც ემოციური გენდერული როლები გარკვეულად არის გაყოფილი: კაცი ასერტიული, ძლიერი და მატერიალურ წარმატებაზე ორი-ენტირებული უნდა იყოს, ხოლო ქალი მორიდებული, ნაზი და ცხოვრების ხარისხით დაინტერესებული. საზოგადოებას ფემინური ენოდება, როდესაც კაცი, ასევე ქალი მორიდებული, ნაზი და ცხოვრების ხარისხით დაინტერესებულნი უნდა იყვნენ.

რიგი გამოკვლევები ავლენენ, რომ ფემინური კულტურის ქვეყნებია შვედეთი, ნორვეგია, ნიდერლანდები და დანია. ნაწილობრივ ფინეთიც.

გენდერული როლების განსხვავების მხოლოდ პატარა ნაწილი არის ბიოლოგიურად განსაზღვრული, ამიტომ გენდერული როლების პატერნის სტაბილურობა თითქმის მთლიანად სოციალიზაციის ხარჯზე მიმდინარეობს. ჰოლანდიურ ფემინურ კულტურაში ბავშვების სოციალიზაციისას სქესთა შორის განსხვავება ნაკლებია.

როგორია მთავარი განსხვავებები ფემინურ და მასკულინურ საზოგადოებებს შორის. ზოგადი ნორმები და ოჯახი გარკვეულ მახასიათებლებში მოვაქციოთ. ფემინურ კულტურებში მნიშვნელოვანია ურთოერთობები და ცხოვრების ხარისხი. კაცის და ქალიც მოკრძალებული უნდა იყოს. როგორც კაცი, ისე ქალი შეიძლება იყოს ნაზი და ფოკუსს აკეთებდეს ურთიერთობებზე. ოჯახში დედასაც და მამასაც

აქვს შეხება ფაქტებთან და გრნობებთან. ბიჭისთვისაც და გოგოსთვისაც დაშვებულია ტირილი, მაგრამ ორივესათვის დაუშვებელია ჩეუბი. ბიჭები და გოგონები თამაშობენ ერთი და იმავე მიზეზების გამო. საქმროსგანაც და საცოლისგანაც ერთი და იმავე სტანდარტების მოლოდინია. ნორმაა, რომ ქმარი უნდა იყოს როგორც შეყვარებული. მასკულინურ კულტურებში ყველაფერი განსხვავებულადაა. მნიშვნელოვანია გამოწვევა, შემოსავალი, ალირება და წინსვლა. მამაკაცები როგორც წესი უნდა იყვნენ მიმწოლნი, ამბიციურიები და ძლიერნი. ქალები უნდა იყვნენ ნაზი და მიხედონ ურთიერთობებს. ოჯახში მამას შეხება აქვს ფაქტებთან, დედას - გრძნობებთან. გოგონები ტირიან, ბიჭები - არა. ბიჭებმა უნდა იჩეუბონ, გოგოებმა საერთოდ არ უნდა იჩეუბონ. ბიჭები თამაშობენ რათა აჯგობონ ვინმეს, გოგონები კი იმისთვის, რომ ერთად იყვნენ. საცოლე უნდა აიყოს უმნიკვლო და გამრჯე, საქმროები კი არა. ქმარი უნდა იყოს ჯანსაღი, შეძლებული და გამგები, შეყვარებული კი სახალისო.

ტრადიციულ საზოგადოებებში გაუთხოვარი ქალი იყო და არის კიდეც იშვიათობა და ის ხშირად დისკრიმინირებულია. თანამედროვე საზოგადოება ქალის მარტოობაში უცნაურს ვერფერს ხედავს. თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებებში მცხოვრებ ქალებს, ცოლის და დიასახლისობის გარდა, სოციალური როლის არჩევის უფრო დიდი თავისუფლება აქვთ. <sup>116</sup>

<sup>116</sup> ენტონი გიდენსი თანამედროვე საზოგადოების დამოკიდებულებას მარტოხელა ადამიანების მიმართ უკვემდებარებს მეცნიერულ ანალიზას თავის უკანასკნელ ნაშრომებში, რაც მოვაქციე ჩემს წიგნში „პოსტმოდერნიზმი და თანამედროვეობა“ (2016, თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი); ხოლო მარტოობის ანალიზი ზოგადად სტატიაში „Социологический анализ одиночества“, რომელიც 2016 წელს გამოქვეყნდა უკანასკნელ „Кавказ и мир“.

ფემინურობა ფემინიზმში არ უნდა აგვერიოს. ფემინიზმი იდეოლოგიაა, რომლის მიზანი საზოგადეობაში ქალის როლის შეცვლაა. მასკულინობა-ფემინურობის განზომილება ამ იდეოლოგიისათვის მნიშვნელოვანია, რადგან სხვადასხვა ქვეყნებში ფემინიზმის უფრო მასკულინურ ან ფემინურ გამოვლინებას წავანყდებით.

მასკულინობა-ფემინურობის განზომილებაზე ქვეყნის პოზიცია სექსუალური ქცევის ნორმებზედაც ახდენს ზეგავლენას. მასკულინურ ქვეყნებში კაცებისათვის და ქალებისათვის განსხვავებული სტანდარტების არსებობის ტენდენცია. კაცები ყოველთვის სუბიექტები, ქალები კი - ობიექტები არიან. შეიძლება ვილაპარაკოთ პატარძლების უმწიკვლობის ორმაგი მორალის სტანდარტზე: ქალებს მოეთხოვებათ უმწიკვლობა, კაცებს -არა. ეს ფოტოებსა და ფილმებში სიშიშვლის ნორმებშიც აისახება: შიშველი კაცის ჩვენების ტაბუ ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე შიშველი ქალისა. ფემინურ კულტურებში ორივე სექსისათვის ერთი სტანდარტი არსებობს - თანაბრად მკაცრი ან თანაბრად თავისუფალი - და სიშიშვლება და სექსუალობას შორის პირდაპირი კავშირი არ არსებობს. მასკულინურ კულტურაში ფემინურ კულტურასთან შედარებით სექსს უფრო დიდი ტაბუ ადევს. ეს შიდსის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაზე დაკვირვებიდანაც ჩანს. ფემინურ ქვეყანაში კამპანია პირდაპირია, ხოლო მასკულინურ ქვეყნებში რისი თქმა შეიძლება და რისი არა, შეზღუდულია. პარადოქსია, ტაბუს გამო ეს საკითხი უფრო მიმზიდველია და მასკულინურ ქვეყნებში უფრო მეტი იმპლიციტური სექსუალური სიმბოლიკაა ტელევიზორით ნაჩვენები, ვიდრე ფემინურ კულტურაში.

ორმაგი სტანდარტები სექსუალურ ქცევას უსვამს ხაზს: კაცებისათვის ეს „ქულების დაწერაა“, ქალებისათვის კი - ექსპლუატაციის გრძნობა. ერთსტანდარტიან ფემინურ

საზოგადოებაში ყურადღება ორი ადამიანის ურთიერთობაზეა გამახვილებული.

განათლებას რას შეეხება, ფემინურ კულტურებში ნორმად საშუალო სტუდენტი ითვლება, ხოლო უფრო მასკულინურ კულტურებში საუკეთესო სტუდენტი. გირტ ჰოფსტედე იმასაც კი ამბობს, რომ ჰოლანდიაში „კლასში საუკეთესო მოსწავლე“ ცოტათი სასაცილოდაც კი გამოიყურება.

ეს განსხვავება საკლასო ოთახის ქცევაში ჩანს. მასკულინურ კულტურაში სტუდენტები ცდილობენ საკუთარი თავი წარმოაჩინონ და ერთმანეთს ღიად ეჯიბრებიან. ფემინურ კულტურებში ასერტიულ ქცევასა და წარმატების მიღწევის მცდელობას ადვილად დასცინიან. წარმატებულობა ამკარად არ უნდა გამოჩნდეს; მასკულინურ კულტურაში სკოლაში წარუმატებლობა კატასტროფის ტოლფასია. იაპონიასა და გერმანიის მსგავს ძლიერ მასკულინურ ქვეყნებში ყოველ წელს წერენ სტუდენტზე, რომელმაც გამოცდაზე ჩაჭრის შემდეგ თავი მოიკლა. 1973 წელს ჰარვარდის ბიზნეს სკოლის კურსდამთავრებულმა ოთხი თვითმკვლელობის მცდელობა აღნერა. ამერიკულ ელიტურ დაწესებულებაში მისი სწავლის დროს ერთმა მასწავლებელმა და სამმა სტუდენტმა თავის მოკვლა სცადა. ფემინურ საზოგადოებაში სწავლაში წარუმატებლობა მცირე ინციდენტად ითვლება. როდესაც ახალგაზრდები თავს იკლავენ, მიზეზი სწავლასთან არ არის დაკავშირებული.

მთავარი განსხვავებები ფემინურ და მასკულინურ საზოგადოებებს შორის, როცა საქმე ეხება განათლებას და მომხმარებლის ქცევას, ასეთია:

ფემინურ კულტურაში საშუალო მოსწრების სტუდენტი ნორმაა, სუსტ სტუდენტს აქებენ; წარმატებულის შურთ; სკოლაში ჩაჭრა მცირე მნიშნელობის ინციდენტია; ბავშვები არაა გრესიულად სოციალიზირდებიან; სტუდენტები თავი-ანთ მოსწრებას სათანადოდ არ აფასებენ - ეგო მცირდება;

მასწავლებლის მეგობრულობა დასაფასებელია; სამსახურის არჩევა შინაგან ინტერესებზეა დაფუძნებული; ქალები და კაცები ნაწილობრივ ერთსა და იმავე საგნებს სწავლობენ; კაცებიცა და ქალებიც პატარა ბავშვებს ასწავლიან; კაცებიცა და ქალებიც საჭმელსა და მანქანებს ყიდულობენ; წყვილს საერთო მანქანა ჰყავს; უფრო მეტი საყოფაცხოვრებო პროდუქტი იყიდება; უფრო მეტ მხატვრულ ლიტერატურას კითხულობენ (რაპორტულია საუბარი).

მასკულინურ კულტურებში გვაქვს აპსოლუტურად სხვა რეალობა. საუკეთესო სტუდენტი ნორმაა, წარმატებულ სტუდენტს აქებენ; კლასში კონკურენციაა, ცდილობენ მიაღწიონ წარმატებას; სკოლაში საგნების ჩაგდება კატასტროფაა; ბავშვების აგრძელია მისაღებია; სტუდენტები თავიანთ მოსწრებას ზედმეტად აფასებენ, აღნიშნებათ ეგოს ზრდა; მასწავლებლის ჭკუა დაფასებულია,<sup>117</sup> სამსახურის არჩევა კარიერულ შესაძლებლობებზეა დაფუძნებული; ქალები და კაცები განსხვავებულ საგნებს სწავლობენ; პატარა ბავშვებს მხოლოდ ქალები ასწავლიან; ქალები საჭმელს, ხოლო კაცები მანქანებს ყიდულობენ; წყვილს ორი მანქანა სჭირდება; უფრო მეტი სტატუსის გამომხატველი პროდუქტი იყიდება; უფრო მეტ დოკუმენტურ ლიტერატურას კითხულობენ (რეპორტულია საუბარი).

<sup>117</sup> სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლების ზოგადი კრიტერიუმები, მოსწავლეთა და სტუდენტთა რეალობაში გავრცელებული ტიპაჟები, ნიჭის, ინტელექტუალური კავშირი სოციალურ კლასთან და აღზრდასთან დეტალურადაა შესწავლილი და მეცნიერულ ანალიზს ექვემდებარება ენტონი გიდენსის მიერ სოციოლოგიის სახელმძღვანელოში, რომელიც ქართულ ენაზეც არის გამოცემული 2011 წელს ფონდი ლია საზოგადოება საქართველოს ხელშეწყობით და აქტიურად გამოიყენება ჩვენს უნივერსიტეტში „სოციოლოგიის საფუძვლების“ სწავლებისას.

მასკულინობა-ფემინურობის განზომილება კონფლიქტების გადაწყვეტილებაზე გავლენას ახდენს. აშშ-ში და სხვა მასკულინურ კულტურაში (ბრიტანეთი და ირლანდია) არსებობს მოსაზრება, რომ კონფლიქტები ჩხუბით უნდა გადაწყდეს: „და საუკეთესომ მოიგოს“. ასეთი ქვეყნების ინდუსტრიულ ურთიერთობებშიც მსგავსი კონფლიქტი მიმდინარეობს. თუკი ეს შესაძლებელია, მენეჯმენტი პროფეკავშირებთან ურთიერთობას ერიდება და თავად პროფეკავშირების ქცევა ამგვარ დამოკიდებულებას ამართლებს.

ნიდერლანდების, შვედეთისა და დანიის მსგავს ფემინურ კულტურებში კონფლიქტის გადაჭრა მოლაპარაკებით ურჩევნიათ. საფრანგეთში, რომელიც სოციოლოგიურ კველავაში საშუალოდ ფემინური აღმოჩნდა, შიგადაშიგ ბევრი ვერბალური შეურაცხყოფა ხდება, როგორც დამსაქმებელსა და პროფეკავშირებს, ისე უფროსებსა და დაქვემდებარებულებს შორის. მაგრამ, თვითონ კონფლიქტის უკან ტიპურად ფრანგული „ზომიერების გრძნობაა“. ამიტომ მხარეები ერთად მუშაობენ და თანხმდებიან იმაზე, რომ შეთანხმდებიან. მასკულინურ საზოგადოებაში ორგანიზაციები შედეგებზე ამახვილებენ ყურადღებას და ყველას თანასწორობის პრინციპის მიხედვით აჯილდოვებენ - ანუ ყველას შესრულების მიხედვით. ფემინურ საზოგადოებაში ორგანიზაციაში ადამიანებს თანაბრობის და არა თანასწორობის საფუძველზე აჯილდოვებენ - ანუ ყველას თავისი საჭიროების მიხედვით.

იდეა, რომ ყველაფერი პატარა ლამაზია, ფემინური ღირებულებაა. სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, დიდ ორგანიზაციებში მუშაობის სურვილი მასკულინობასთან იყო დაკავშირებული.

მასკულინურ საზოგადეობაში საზოგადოების ეთოსია: „იცხოვრე, რომ იმუშაო“, ხოლო ფემინური საზოგადოებისა „იმუშავე, რომ იცხოვრო“.

1977 წელს ევროკავშირში ჩატარებული გამოკითხვა შემდეგ კითხვას მოიცავდა<sup>118</sup>: „თუ ეკონომიკური სიტუაცია ისე გაუმჯობესდა, რომ ცხოვრების სტანდარტმა აიწია, რომელს მიიჩნევდით უკეთესად შემდეგი ორი ვარიანტიდან: ხელფასის გაზრდას (დღეში იმდენივე სამუშაო საათით) თუ სამუშაო საათების შემცირებას (იმავე ხელფასით)“. არჩევანი განსხვავდებოდა. ხელფასის გაზრდის სურვილს ირლანდიელთა 62%, საათების შემცირების სურვილს ნიდერლანდების 64% გამოხატავდა. ეს განსხვავება მასკულინობასთან უფრო იყო დაკავშირებული, ვიდრე ეროვნულ სიმდიდრესთან.

დაკავირვება ავლენს, რომ მსოფლიოს ღარიბ ნაწილში მასკულინური კულტურა უფრო სწრაფად იზრდება, ხოლო მდიდარ ნაწილში ფემინური კულტურა.

ღარიბი საზოგადოებისათვის, ფემინურ ღირებულებებზე გადასვლა მოსალოდნელი არ არის. ფემინურობა-მასკულინობას შორის განსხვავებები დიდ როლს ასრულებს აზის მწვავე პრობლემაში: გოგონების დაბადების პრევენციაში. 2000 წელს აზიაში 100 მილიონით ნაკლები ქალი დაიბადა, ვიდრე ნორმალური შობადობის პირობებში დაიბადებოდა. ქალებთან შედარებით კაცების მატებამ, შესაძლებელია განხილული საზოგადოების უფრო მეტად მასკულინიზაცია გამოიწვიოს.

მოცემული ქვეთავი ანალიზური ხასიათისაა, მაგრამ ანალიზი ასევე მსახურობს პროჟეკტად. უნდა ყოველმხრივ შევეცადოთ ეკონომიკური სისტემების აღორძინებას, საშუალო კლასის გაფართოვებას, დემოგრაფიული ბალანსის დაცვას (ქალთა შობადობის პრევენციის აღკვეთა ყველა ლეგალური საშუალებით). სიუხვის, დოვალათის საზოგადოება-

<sup>118</sup> მოცემული კვლევა აღწერილია გირტ ჰოპსტედეს სახელმძღვანელოში „კულტურები და ორგანიზაციები“, რომელიც საქართველოში გამოიცა 2011 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით.

ში<sup>119</sup> მრავლდება ინდივიდუალისტური ლირებულებები და გვეძლევა ფემინური კულტურები, რაც დემოკრატიის მეტ ხარისხს გვპირდება. ასევე, რაც იკვეთება ანალიზის პროცესში - ბაზისისა და ზედნაშენის მარქსისეული ხედვა 21 საუკუნეშიც აქტუალურია. ანუ, არამხოლოდ პოლიტიკა, თვით კულტურაც ეკონომიკურად არის დეტერმინირებული.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჰუმანიტარულ მეცნირებათა ფაკულტეტზე არის ასეთი სამაგისტრო პროგრამა, კულტურათშორისი კომუნიკაციები, რომელსაც პროფესორი ინდირა ძაგანია ხელმძღვანელობს. წლების წინ, როდესაც გავუზიარე აღფრთოვანება კულტურათშორის კვლევებში მამ-შვილი პოპულარულებისგან დამკვიდრებული გაზომვის ერთგვარად ახალი ინდიკატორის გამო, ვგულისხმობ სწორედ ამ ინდექსის გამოთვლას ინდივიდუალურ თუ ერთობის დონეზე, მასკულინური/ფემინური, პროფესორმა ძაგანიამ, პროგრამის ხელმძღვანელმა, შემომთავაზა მაგისტრატურის მე-2 კურსზე, შემოდგომის სემესტრზე წაგვეკითა ზემოთნახსენები მეთოდოლოგიური მიდგომის გათვალისწინებით (თუმცა, არა მარტო), რაიმე კონკრეტული, ახალი საგანი. გარკვეული ფიქრის, ერთობლივი მუშაობისა და ძალისხმევის შედეგად მზად გვქონდა საგანი, „კულტურები და ორგანიზაციები“ (3 კრედიტით წარმოდგენილი, 1 ლექცია, 2 სემინარი), რომელიც პროგრამის წარმატებული რეაკრედიტაციიდანვე იკითხება შეუფერხებლად და დღესაც საგანს ვუძღვები პირადად მე.

---

<sup>119</sup> ტერმინი ეკუთვნის ჯონ გელბრაითს. მან შეიმუშავა ზოგადად „სიუხვის საზოგადოების“ კონცეფცია.

## 9. კომუნიკაციური სიუხვის უკუეფექტი ჯონ კინის ინტერპრეტაციებში

ჩვენ კომუნიკაციური სიუხვის ეპოქაში ვცხოვრობთ. მედიის სამყაროში არცთუ დიდ აღფრთოვანებას იწვევენ სხვადასხვა ინოვაციები, დაწყებული თანამგზავრული მაუნი-ყებლობით და დამთავრებული ჭკვიანი სათვალეებით, გნე-ბავთ ელექტრონული წიგნებით. პოლიტიკურ სფეროებში დიდ იმედებს ამყარებენ ელექტრონულ დემოკრატიაზე, ქი-ბერმოქალაქებსა და ზოგადად ელექტრონულ მმართველო-ბაზე. ჯონ კინი<sup>120</sup> თვლის, რომ კომუნიკაციური სიუხვე ძა-ლიან ბევრ, ერთობ მნიშვნელოვან მიმართებაში რადიკალუ-

<sup>120</sup> **ჯონ კინი, John Keane**, სამხრეთ ავსტრალიის მკვიდრი. განათლება მიიღო ადელაიდას უნივერსიტეტში, ტორონტოსა და კემბრიჯში. ამ-ჟამად ბატონი კინი არის პოლიტიკურ მეცნიერებათა პროფესორი სიდნეის უნივერსიტეტში და ბერლინის სოციალურ მეცნიერებათა სა-მეცნიერო ცენტრში. 1989 წელს მან ლონდონში დაარსა დემოკრატიის შესწავლის ცენტრი. ის ხელმძღვანელობს პროექტს სიდნეის დემოკ-რატიული ინიციატივა.

მის მრავალრიცხვოვან პუბლიკაციებში ცალკე უნდა გამოვყოთ „მა-სობრივი ინფორმაციის საშუალებები და დემოკრატია“ (Media and Democracy), რომელიც 1991 წელს გამოქვეყნდა და 25 ენაზე ითარ-გმნა; ასევე, „დემოკრატია და სამოქალაქო საზოგადოება“ (Democracy and Civil Society. 1988-1989), ძალადობის გამოვლინება“ (1996), „სამო-ქალაქო საზოგადოება: ძველი მოდელები, ახალი შეხედულებები“ (Civil Society: Old Models, New Views. 1998), დიდი აღიარების მომტანი ბიოგრაფია „ტომ პეინის პოლიტიკური ცხოვრება“ (Political life of Thomas Paine. 1995), ასევე „ვლაცლავ ჰაველი: პოლიტიკური ტრაგე-დია 6 აქტში“ (Vaclav Havel: A Political Tragedy In Six Acts. 1999), რო-მელიც ეხებოდა მე-20 საუკუნის ევროპაში ძალაუფლების საკითხის შესწავლას. ოფიციალური ვებ-გვერდი: <http://www.johnkeane.net/>

რად ცვლის ჩვენი ცხოვრების კონტურებსა და ჩვენს პოლიტიკას უკეთესი კუთხით. თუმცა იგი სვამს შეკითხვას, რატომ არ ეთმობა მნიშვნელოვანი ყურადღება საგანგაშო, ურთიერთსაპირისპირო ტენდენციებს, კერძოდ მედიის სფეროში დეკადანტურ პროცესებს, რომლებიც ხელს უწყობენ საყოველთაო მდუმარებას საზოგადოებაში, შეუზღუდავი ძალაუფლების კონცენტრაციას, რითაც საბოლოო ჯამში სუსტდება დემოკრატიის სული და ძალა. კინმა შეისწავლა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული კონტროლის რთული მექანიზმები, საბაზრო ცენტურა, ჩრდილოვანი პიარის წარმოების ტაქტიკა და შეეცადა გაეგო ეს პროცესები. კინი ამტიკიცებს, რომ მედიის დეკადანსი საზოგადოებრივი ცხოვრების ხარისხს მნიშვნელოვან ზიანს აყენებს.

ჯონ კინმა დემოკრატიისა და მედიის დეკადანსს მიუძღვნა ამავე სახელწოდების მონოგრაფია (John Keane, „DEMOCRACY and MEDIA DECADANCE“, 2013, New York). წაშრომში განხილული აქტუალური საკითხების ჩამონათვალი ასეთია: კომუნიკაციური სიუხვე (სიახლეები; ველური იდეები; ინფორმაციის დემოკრატიზაცია; Google; ახალი მაკრეკერობა; WIKIEAKS; აურჩეველი წარმომადგენლები; ტრანსსაზღვრული პუბლიკა), მონიტორული დემოკრატია, მედიის დეკადანსი, დემოკრატიის მოწინააღმდეგები, რის-თვისაა საჭირო საჯარო კომუნიკაციების თავისუფლება.

მოცემული ქვეთავის ფარგლებში ჩვენი ინტერესის საგანს შეადგენს უშუალოდ მედიის დეკადანსი.

ჩვენი დროის მნიშვნელოვანი დემოკრატიული ფაქტებია გავრცელებადი საინფორმაციო პანკები, საიდუმლოდ მოქმედი ძალაუფლების კორუფციოგენური შედეგების საჯაროდ გმობა, გაძლიერებული პოლიტიკური წარმომადგენლობა, ტრანსსაზღვრული პუბლიკის გაფართოება. შეუძლე-

ბელია არ დავაფასოთ მათი ტექნიკური ბაზა და პოლიტიკური ორიგინალობა.

კომუნიკაციური რევოლუციის პირველმა ტალღამ გააჩინა შეგრძნება, რომ კომუნიკაციის თავისუფლება და მონიტორული დემოკრატია იპყრობს მსოფლიოს.

პირველად კაცობრიობის ისტორიაში ჩვენს ხელთაა ტექნოლოგიები, რომლებიც გვაძლევენ საშუალებას შევინარჩუნონ სიღმისეული კავშირები ადამიანების დიდ სიმრავლეებთან. ადრე ჩვენი გარემოცვა ოჯახის, მეზობლების, „სოფლისა“ და გვარის საზღვრებში იყო მოქცეული. ქიბერ სივრცეში სულ უფრო მეტი ადამიანი ამყარებს კონტაქტს, ეცნობა ერთმანეთს და მსოფლიოც უფრო შეკრული ჩანს.

ინფორმაციული სიუხვე, წამიერად დამყარებული კავშირები ტექნიკური ინგრედიენტებია, რომლებიც საჭიროა სამოქალაქო აქტივობის ასაფეთქებლად. ჯონ კინი განსახილველად გვთავაზობს ევგენი მოროზოვის<sup>121</sup> მოსაზრებას, რომლის თანახმადაც ინტერნეტი ნეიტრალური მედიუმია, რომელიც არაფერ განსაზღვრულს არ იძლევა. ესაა უბრალოდ ტექნიკური არქიტექტურა (პაკეტები, ციფრული ქსელების კომუტაცია<sup>122</sup>, მობილური ტელეფონები, ლრუბლების გამოთვლა). სოციალურ და პოლიტიკურ ძალაუფლებრივ

<sup>121</sup> ევგენი მოროზოვი, 1984 წელს დაბადებული ბელორუსიაში, ამერიკაში მოღვაწე უურნალისტი, მწერალი, პოლიტიკურ მეცნიერებათა სპეციალისტი, რომელიც სწავლობს ტექნოლოგიების ზეგავლენას პოლიტიკურ და საზოგადეობრივ ცხოვრებაზე. 2011 წელს გამოაქვეყნა წიგნი „ქსელური სიცრუუ: ინტერნეტ თავისუფლების ბნელი მხარე“ (The Net Delusion: The Dark Side of Internet Freedom). გაზიარდა New York Times იგი 2011 წლის ერთ-ერთ საუკეთესო მონოგრაფიად აღიარა. ევგენი მოროზოვის ოფიციალური ვებ-გვერდი: <https://www.evgenymorozov.com/>

<sup>122</sup> ტრანზიტული კვანძების მეშვეობით კომუნიკაციური ქსელის აბონმენტების მიერთების პროცესი.

ურთიერთობებზე, არც ადამიანების ცხოვრების ხარიხზე რა-იმეგვარ განმსაზღვრელ ზემოქმედებას იგი არ ახდენს. კო-მუნიკაციური ტექნოლოგიები თავისი არსით არც დემოკრა-ტიული და არც ავტორიტარული არ არიან. ბაიტებზე გაცი-ლებით მეტია საჭირო, რომ დაამყარო, გაზარდო და კონსო-ლიდირება მოახდინო ჯანსაღი დემოკრატიის. ბაიტები ვერ შეძლებენ რაიმეს ფორმირებას ან სტრუქტურირებას. ინ-ტერნეტი, ესაა მხოლოდ საშუალება ძალაუფლების ხელში, რომელსაც ის იყენებს, როგორც უნდა. ისეთ ქვეყნებში - თვლის ჯონ კინი - როგორიცაა საუდის არაბეთი, ბელორუ-სია, თურქეთი, ვენესუელა, კომუნიკაციის საშუალებების ახალი გაღაეტიკა სინამდვილეში აძლიერებენ ძლიერებს და ასუსტებენ სუსტებს.

ჯონ კინი წამოწევს საკითხს „გამარჯვებულები და წა-გებულები“. ჩნდება შეკითხვა, რაში მდგომარეობს გამარ-ჯვებულების და წაგებულების წესი. განვიხილოთ იგი ერთ კონკრეტულ მაგალითზე. მე-19 საუკუნეში შეიქმნა ელექ-ტრონული სატელეგრაფო კაბელების გლობალური ქსელი, რაც ნიშნავდა კოდირებული სიგნალების კონტინენტებსა და ოკეანეებზე შანხაიდან კეიპტაუნში ანდა სან-ფრანცისკოდან ოუკლენდში სწრაფად გადაცემას. ელექტრონული ტელეგ-რაფი იყო უდაოდ რევოლუციური სიგნალური სისტემა. ტე-ლეგრაფის მუშაობას წარმართავდა ოპერატორი. იგი სატე-ლეგრაფო გასაღების დახმარებით ამყარებდა და საჭიროე-ბისას წყვეტდა კონტაქტს. ახორციელებდა არხის მეორე ბო-ლოში ადეკვატურად აღქმად „ჩხაკუნს“, სიგნალს, რომელიც ინტერპრეტირების შემდეგ მეორე ბოლოში გადაიწერებოდა სხვა ოპერატორის მიერ. დიდ მანძილზე, დროის მონაკვეთი-სა და ამინდის მიუხედავად, შეტყობინების გადაცემამ ზოგი-ერთი ადამიანი დაახლოვა. გაძლიერდა სოციალური კავში-რები ტელეგრაფის ოპერატორებს შორის. მათ „ბუმერებს“ ეძახდნენ. ისინი ასეც ხდებოდა, რომ მოცალეობის დროს

ლაყბობდნენ, ხუმრობდნენ, სხვადასხვა ისტორიებს აზია-  
რებდნენ, ჭადრაკიც კი უთამაშიათ. მოკლედ, ტელეგრაფი  
ვნებიანი გატაცებების მედიუმი გახდა. ელი ჩივერ ტალერის  
რომანში, „სევდიანი სიყვარული“ („Wired Love“, 1879) აღნე-  
რილი იყო მსაგასი ქსელური რომანი. ელექტრონული ტე-  
ლეგრაფი ეს იყო კრახი მანძილის ტირანიისა. შეტყობინების  
გაგზავნა შესაძლებელი იყო ლონდონიდან ბომბეიში და მას-  
ზე პასუხის 4 წუთში მიღება; ანდა ლონდონიდან სუეცის და  
ბომბეის გავლით სიდნეამდე სულ რაღაც 7 საათში მიღება<sup>123</sup>.  
ტრანსკონტინენტალური სააგენტოები Reuters, Associated  
Press გეოგრაფიულ იზოლაციაში მცხოვრებთ უყვებოდნენ  
შორეული მოვლენების შესახებ. ტელეგრაფი დაგვეხმარა  
უფრო ღრმად ელექტროფიცირებული კომუნიკაციების აგე-  
ბაში, რომელიც კავშირში იყო ტელეფონების გამოგონებას-  
თან. „ვიქტორიანულმა ინტერნეტმა“ მილიონობით ადამია-  
ნის ცხოვრებაზე მოახდინა უპრეცენდენტო გავლენა. ზოგი-  
ერთი ექსპერტი<sup>124</sup> ნინასნარმეტყველებდა ეროვნული სა-  
ხელმწიფოების გაქრობას, მთელს მსოფლიოში მშვიდობის  
დადგომას, ვინაიდან საფუძველი ჩაეყარა გლობალურ საბან-  
კო და სავაჭრო სისტემებს. ისიც სიმართლეა, რომ ტექნიკუ-  
რი ინოვაცია და პოლიტიკური შედეგები აცდენილი იყო. ქსე-  
ლური უსაფრთხოების დარგში სატელეგრაფო ექსპერტების  
ძალისხმევის მიუხედავად გავრცელება პპოვა სატელეგრაფო  
მაქინაციებმა. კორპორაციების მხრიდან საფონდო ბირჟების  
მდგომარეობაზე წუთიერი ანგარიშების გამოყენების გამო

<sup>123</sup> 1870 წლებში კლიპერით (სწრაფმავალი 3 იალქნიანი გემი) გადაზი-  
დული ბეჭდური შეტყობინება იმავე გზას საშუალოდ ფარავდა 60-80  
დღის მანძილზე.

<sup>124</sup> მაგალითად ნორმან ენჯელი თავის ბესტელერში „The Great  
Illusion“, 1909 წ. [https://en.wikipedia.org/wiki/The\\_Great\\_Illusion](https://en.wikipedia.org/wiki/The_Great_Illusion)  
[http://www.krugosvet.ru/enc/istoriya/ENDZHELL\\_NORMAN.html](http://www.krugosvet.ru/enc/istoriya/ENDZHELL_NORMAN.html)

დათვლილ საათებში იქმნებოდა და იკარგებოდა მთელი ქონება. გაიფურჩენა ისეთი მონოპოლიები, როგორიცაა Western Union, Pony Express. სხვა გადამზიდები, რომლებიც იყენებდნენ მტრედებს, საცხენოსნო ტრანსპორტს სრულიად მოწყდნენ საქმეს. 1860-იან წლებში ტელეგრაფმა ჩამოუქროლა საბანკო ტრანზაქციების ყველა დანარჩენ საშუალებას. არამარტო. ეს ეხებოდა სხვადასხვა ცნობებს, არჩევნების შედეგებს, სიკვდილის შესახებ უწყებას, გემების ჩამოდგომის და გასვლის დროს, ექიმის კონსულტაციის გაცემას. ტელეგრაფმა ძლიერ ჯგუფებს კიდევ მეტი მანევრირების სივრცე შეუქმნა. მათ ოფრო გავლენიანი გადაწყვეტილებების მიღების საშუალება მიეცათ. 1858 წელს, როცა ამერიკა და ევროპა პირველმა ტრანსატლანტიკურმა კაბელმა დააკავშირა, იყო ბევრი ფეირვერკი, სალუტი ზარბაზნებიდან, ჩირალდინიანი მსვლელობები, ზარების რეკვა, ქადაგება, საუბრები ურთიერთგაგბაზე, ჰარმონიასა და მშვიდობაზე მთელს მსოფლიოში. სინამდვილეში კი ტელეგრაფი იყო პოლიტიკური ბატონობის ინსტრუმენტი და ადამიანებს იგი ხანდახან ძალითაც მოეხვეოდა თავს. ჯონ კინი თავის ზემოხსენებულ მონოგრაფიაში შეგვახსენებს, რომ კომუნიკაციების ცვალებადი რეუიმების ისტორიის თანახმად თითოეულ ეპოქაში იყო ჩივილი სავარაუდო დეკადანტურ ეფექტებზე.

როგორი მდგომარეობა გვაქვს დღეს? ჩემს მონოგრაფიაში (თანაავტორობით ქ-ნ ხათუნა ამალლობელთან) „კომუნიკაციის სოციოლოგიური თეორიები“ ერთ-ერთ ქვეთავში მაქვს განხილული კომუნიკაციის საშუალებების ტრანსფორმაცია საზოგადოების ტრანსფორმაციის კვალდაკვალ. ვეყრდნობი მარკ პოსტერს<sup>125</sup>. თუკი თავდაპირველად კომუნიკა-

<sup>125</sup> მარკ პოსტერი, 1942-2012, ამერიკელი მეცნიერი. ისტორიის საპატიო პროფესორი, ასევე კინოსა და მედია კვლევების ექსპერტი. მოღვაწეობდა ირვინში, კალიფორნიის უნივერსიტეტში. მას სურდა ფრან-

ციები ხორციელდებოდა უშუალოდ, შემდეგ გაჩნდა გადამ-ცემი არხი „წერილის“ სახით და ჩამოყალიბდა მასშტაბური ქსელური ორგანიზაცია „ფოსტა“. თანდათან „წერილის“ ავ-ტომატიზაცია“ მოხდა და გაჩნდა ჯერ ტელეგრაფი, ხოლო მოგვიანებით ინტერნეტი და ადამიანებისთვის ხელმისაწვდომი შეიქმნა პერსონალური „ფოსტა“, ანუ E-mail. ადამიანები ეროვნული სახელმწიფოების დიქტატისაგან თითქოს გათავისუფლდენენ ქსელში, გახდენენ რა ქსელიანელები. საინტერესოა როგორ აღწერს არსებულ ვითარებას ჯონ კინი. მისი თქმით, კომუნიკაციური სიუხვე ფაქტიურად უდრის ინფორმაციულ კასკადებს. მათში მოქალაქეები ჩაყვინთავენ, იძირებიან. ესაა შეხედულებები სხვა ადამიანების, მათივე საკუთარი, ისინი ერთმანეთს ამყარებენ რაღაცგვარი ირიბი გზით, ყვავის მარტივად რომ ვთქვათ, უგუნურება. პოლიტიკური წარმოსახვა, ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდგომა ანალიზისას ადგილს უთმობს ერთგვარ „ჯოგურ აზროვნებას“. ყოველდღიურობის სიმბოლოებად ქცეულან Wikipedia, Facebook, Google-ის საძიებო სისტემა. ყველგან ვართ მახეში ე.წ. „მეშაპების“. ინტერნეტ სივრცეში ტივტივებენ ფრაგმენტები ავტორების გარეშე, მასალები, სადაც მითითებული არაა წყარო, ხშირია შემთხვევა, როდესაც გატარებული აზრი და არ ჩანს თანმიმდევრულობა, ლოგიკა, ნათქვამის მეშვეობით ერთი იდეის ირგვლივ არ იკვრება წრე. მეშაპის კულტურა არის „მემი“. განვმარტოთ ამავდროულად ტერმინები, რომელთაც ვიყენებთ თხრობისას: მეშაპს ინფორმაციულ ტექნოლოგიებში კარგად იცნობენ. ესაა ერთგვარი ვებ-აპლიკაცია, რომელშიც თავმოყრილია რამდენიმე წყარო

---

გული კრიტიკული თეორიით აღეჭურვა შეერთებული შტატების აკადემიური წრეები. აანალიზებდა თანამედროვე მასმედიას. იკვლევდა ფრანგ ავტორებს, უან ბოდრიარს, ლუი ალტიუსერს, უილ დელიოზს, ჟაკ დერიდას. [https://en.wikipedia.org/wiki/Mark\\_Poster](https://en.wikipedia.org/wiki/Mark_Poster)

ერთ მაინტეგრირებელ ინსტრუმენტად. მეშაპის ცნება დამკვიდრდა მუსიკიდან. ეს იყო რამდენიმე მუსიკალური მიმდინარეობის მიქსი, მაგალითად ჰიპ-ჰოპი... რაც შეეხება „მემს“, იგი კულტურული ინფორმაციის ერთეულია. მემი შეიძლება იყოს ნებისმიერი იდეა, სიმბოლო, სახეობა და მანერა ქცევისა, რომელიც ადამიანიდან ადამიანს გადაეცემა გაცნობიერებულად ან გაუცნობიერებლად. მემი ესაა მეტყველება, ტექსტი, ვიდეო, რიტუალი, უესტი და სხვა. მოქალაქეები, როგორც ეს მიაჩნიათ დარგის ექსპერტებს, მოსალოდნელი არაა, რომ ყოველთვის იჯერებდნენ კლიშეებს, რომლითაც მათ კვებავენ. სამაგიეროდ, ისინი გაბრძოლების გარეშე ყლაპავენ ამას. ჯერ ერთი, ეს შეტყობინებები სიმართლედ ასაღებენ თავს, მეორეც ადამიანები გადარბენის რეზიმში არიან და არც აქვთ დრო, რომ იჩერკედელაონ და ავთენტურობა ადგინონ. ისინი არც უფიქრდებიან ხშირად შეტყობინებებს, თვალს გადავლებენ ნაუცხათევად. არის კიდევ ერთი მიზეზი, ეს შეტყობინება შენი ნაფიქრალის ექოა და გამომდინარე აქედან არის უპირობოდ მისაღები. მედიის თეორიაში არსებობს ექო-კამერის ცნება. ექო-კამერა, ესაა ვითარება, როდესაც განსაზღვრული იდეები და რწმენები ძლიედებიან და მყარდებიან დახურულ სივრცეში შეტყობინების გადაცემის ან განმეორების გზით. დახურული სისტემა შესაძლოა იყოს პარტია, თანამოზრეთა წრე, სუბკულტურა. ამავდროულად ალტერნატიული ინფორმაციის ნაკადები ჩახშობილია. გამონათქვამები დისკუსიამდე არ მიგვიყვანს. აქ უბრალოდ თანამოზრები ადემონსიტიორებენ მხარდაჭერას, გაგულიანებენ. ადრესატები მსგავს დახურულ სივრცეში, რომლებიც ქმნიან შეტყობინებებს, უსმენენ მხოლოდ საკუთარ თავს და ეთანხმებიან ასევე საკუთარ თავს.

ჯონ კინი სწუხს, იმის გამო, რომ ქსელური კომუნიკაციების ბლოკირება შესაძლებელია ჩარევის ახალი ინტელექტუალური სამუალებების გამოყენებით, ვთქვათ მოქალაქე-

თა კერძო ცხოვრებაში გაქნილი უურნალისტების ორგანიზებული ციფრული ჩარევით. არსებობს კომპიუტერების ვირუსით ინფიცირების ტაქტიკები. ისინი ძირითადად შექმნილია საბანკო მონაცემებისა და საკრედიტო ბარათების ნომრების ხელში ჩაგდების მიზნით. ჩვეულებრივი ამბავია საბოტაჟი, ქიბერ-შეტევა. მათ შესწევთ უნარი შეაჩერონ სამთავრობო და კორპორაციული საიტების მოქმედება. „ციფრული ბლოკადით“ რომელსაც ქმნის „ფლუდინგი“<sup>126</sup> შესაძლებელია მათი გარკვეული დროით პარალიზება. როცა ხორციელდება მსგავსი სახის „ქსელური შეტევები“ სერვერებს უარი ეთქმებათ მომსახურებაზე. მსგავსი მოვლენა სპეციალისტებისათვის ცნობილია როგორც **DDoS** და იგი ტარდება ინფორმირებული კომპიუტერების ხარჯზე. ე.წ. ზომბები მისაწვდომობას ითხოვენ არჩეული ვებსაიტის მიმართ, შემდეგ კი გადატვირთავენ მას მკვეთრად მზარდი ტრაფიკით<sup>127</sup> და ამრიგად არღვევს სერვერს. ქიბერჩარევის მსგავსი ფორმები დიდად ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ესაა შესხენება, რომ კომუნიკაციური სიუხვის ეპოქაში მედია სისტემები უაღესად მოწყვლადია. რთულ ქსელებს „გატეხავენ“ რთული მეთოდებით. გახშირდა არაავტორიზებული ჩარევის შემთხვევები, რომლებიც საზოგადო ცნობილია „ჰაკერობის“ სახელით.

რაც შეეხება ურთიერთობებს, კომუნიკაციური სიუხვის

<sup>126</sup> ფლუდინგი, ანუ იმპლოზია

<sup>127</sup> ტრაფიკი, თავდაპირველი მნიშვნელობით ესაა ტრანსპორტის ერთეულის რაოდენობა, რომელიც რაღაც წერტილზე გადიან. ინგლისურიდან თარგმანში traffic ნიშნავს ტრანსპორტის ნაკადს, ხოლო ფრაზა traffic jam მაგალითად, გადაითარგმნება, როგორც „ავტომანქანათა საცობი“. ქართულ ენაზე სიტყვა „ტრაფიკი“ გამოიყენება რამდენიმე კონტექსტში: ინტერნეტ-ტრაფიკი, მობილური-ტრაფიკი, საიტის ვიზიტორების ტრაფიკი.

ეპოქაში სოციალური იზოლაციის და პოლიტიკური მოწყვლვადობის საშიშროება კიდევ უფრო მეტია. ჩვენ ვუჩივით სილოფსიზმს და ეს განპირობებული მანქანებით. ადამიანები წარმოუდგენლად დიდ დროს ატარებენ ტექნიკასთან. ისინი ყოველდღიურად, დაახლოებით 5 საათი, მიერთებული არიან თავიანთ საყვარელ ინსტრუმენტს. ეს ეხება განსაკუთრებით ახალგაზრდობას. მითუმეტეს ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა იაპონია, ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია. სამყარო ამ ადამიანების პროექციად გარდაიქმნება. ინდივიდების სარკისებური გამოსახულება ხდება საყოველთაო. ისინი ქედმაღლობის მსხვერპლი ხდებიან. ინტერნეტი გაძლევს შესაძლებლობას შეიძინო უკამათო წონა, გათავისუფლდე სხვა ადამიანების მხრიდან წინააღმდეგობისაგან. სხვებთან დაპირისპირებისას უბრალოდ აჭერ ღილაკს „Delete“, ანდა გადადიხარ შედარებით უსაფრთხო ლინკებზე და შემდეგ თვითდამკიდრებას იწყებ საიტებში, რომლებიც გთავაზობენ ანონიმურ და ყოველგვარ რისკს მოკლებულ ურთიერთოებს დანარჩენებთან. ამ უკანაკსნელთ რეალურ სივრცში თქვენ არ შეხვდებით არასოდეს. „New Yorker“-ში გამოქვეყნებული ძველი კარიკატურის არსი ეხლა სრულიად გასაგებია. კარიკატურაზე გამოსახულია ძალი პერსონალურ კომპიუტერთან, ხოლო ქვემოთ ნათქვამია, „ინტერნეტში არავინ იცის, რომ შენ ძალი ხარ“<sup>128</sup>. ანონიმურობის უკან ქრება პირადი პასუხისმგებლობა. არ არსებობს ბარიერი შესვლასა ან გამოსვლაზე. არ ხდება რედაქტირება. შუკავებელი თვითობა ბადებს შეუზღუდავ თვითობას. ჯონ კინის აზრით სწორედ ასეთი მანქანური სილოფსიზმისგანაა განპირობებული ჩვენს მიერ ამ ქვეთავში განხილული დეკადანსის ფორმა. ყოველდღიური კომუნიკაცია სამწუხაროდ ჩახერგილია სამოყვარუ-

<sup>128</sup> Peter Steiner. New Yorker. 1993. 5 july.

[https://en.wikipedia.org/wiki/On\\_the\\_Internet,\\_nobody\\_knows\\_you%27re\\_a\\_dog](https://en.wikipedia.org/wiki/On_the_Internet,_nobody_knows_you%27re_a_dog)

ლო ნაკადით. დილეტანტებობა კონტინენტის მასშტაბით საფრთხეს უქმნის პროფესიანალური გაზეთების, უუნრალების არსებობას, ასევე მუსიკას, კინოს. ნებისმიერ ადამიანს რაღაც ნააზრევით, თუნდაც იგი სუსტად იყოს არგუმენტი-რებული, შეუძლია YouTube-ზე ვიდეოს გამოქვეყნება, ბლოგის შექმნა და პუბლიკაციის დადება, Wikipedia-ში სტატიის ჩაგდება. ქრება რედაქტირების ხელოვნება. მიჯნა პროფესიონალ ექსპერტსა და გაუთვითცნობიერებელ მოყვარულს შორის მცირდება. ანონიმური ბლოგერები, ვიდეორედაქტორები, რომელთაც არად უღირთ პროფესიონალური სტანდარტები და სარედაქტორო ფილტრები, ააგორებენ საჯარო დავებს და მანიპულირებენ საზოგადოებრივი აზრით. ჭეშმარიტება ამ პირობებში არის რაღაც კაპრიზული, უკიდურესად შეხედულების საქმე, საქონელი, რომელიც შეიძლება იყოდო, გაყიდო, შეფუთო და გამოიგონო ხელახლა. „კოპი-ფეისტის“ ქსელური კულტურა ტოტალურად სპობს ხარისხსას.

კომუნიკაციური სიუხვის უკუ-ეფექტთაგანია ქიბერ-სივრცეში დახურული ერთობების ჩამოყალიბება, რაც ადამიანებს სოციალური კაპიტალის დაგროვებას საშუალებას მხოლოდ შერჩევის პრინციპით აძლევთ. ე.წ. განდობილთა შანსები ქსელში უმისამართოდ მყვინთავთა შანსებს რადიკალურად აღემატება. ქსელური სტრატიფიკაციის საკითხი მეტად საინტერესო სოციოლოგიური ანალიზისათვის, თუმცა მოცემული სტატიის ფარგლებში, მხოლოდ მისი დასახელებით დავკმაყოფილდებით.

## **10. თანამედროვე სოციოლოგის ტენდენციები, ISA, გლობალური დიალოგის აქტუალური თემატიკის ზოგადი მიმიხილვა**

სოციოლოგთა საერთაშორისო ასოციაცია (ISA) წელი-  
წადში სამჯერ 17 სხვადახვა ენაზე აქვეყნებს პერიოდიკას,  
უურნალს, სახელწოდებით „გლობალური დიალოგი“. უურნა-  
ლი ელექტრონული ფორმით ხელმისაწვდომია მსოფლიოს  
ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. ასოციაციას  
ცხადია აქვს შესაბამისი ვებ-გვერდი და ვებ-გვერდს, ასევე  
საკუთარი სივრცე სოციალურ ქსელში fb. უუნრალის მორიგი  
ეგზიმპლარის ჩამოტვირთვა pdf ფაილის ფორმატში (სასურ-  
ველ ენას გამოცემისა ვირჩევთ ამ დროს ინდივიდუალურად,  
პირველ რიგშია ე.წ. გაეროს ოფიციალური ენები და შემდეგ,  
შედარებით პერიფერიული, თუმცადა ქართული ენა გათვა-  
ლისწინებული არაა) სოციალური ქსელიდანაცაა შესაძლე-  
ბელი, ვინაიდან იქვე, ე.წ. კედელზე აზიარებენ ყოველი მო-  
რიგი ნორმის შესატყვის აქტიურ ლინკს.

რითია უპირატესი უურნალი „გლობალური დიალოგი“  
დარგში აღიარებულ სხვა გამოცემებზე? მას აქვს მეტად ლი-  
ბერალური ხასიათი, მართლაც ზედმინევნით ინტერნაციო-  
ნალური და როგორც თავად ასოციაციაში, აქ თანასწორო-  
ბის პრინციპი უმაღლეს რანგშია აყვანილი. სოციოლოგთა  
საერთაშორისო ასოციაციის მთავარი ოფისი განლაგებულია  
საფრანგეთში, კონკრეტულად პარიზში და ასოციაციის პრე-  
ზიდენტი როდესაც იცვლება, ეს ცვლილება არის ნამდვი-  
ლად სიახლეებთან დაკავშირებული. პასუხისმგებელი პირი  
არაა შერჩეული პრინციპით „დასავლეთის საუნივერსიტეტო  
სკოლა“, ეს შეიძლება იყოს საუნივერსიტეტო კადრი აზის  
უკიდურესი წერტილიდან, თუნდაც აფრიკის და პუბლიკაცი-  
ები თანაბრად ფარავს რეგიონებს ლათინური ამერიკის, აღ-

მოსავლეთ ევროპის, ასევე ზოგადად პოსტ-კომუნისტური ქვეყნების არეალს.

შევეცდები თემები, რასაც სოციოლოგთა საერთაშორისო ასოციაცია აშუქებს აქტუალობის მიხედვით ფრაგმენტებად მიმოვისილო.

პირველი აქედანაა ე.წ. ინტელექტუალური, აკადემიური ფემინიზმი, რომელსაც წარმოადგენს ამერიკელი მკვლევარი ქალი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნენსი ფრეიზერი.<sup>129</sup>

საქართველოში ჰაინრიხ ბიოლოს ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს ხელშეწყობით, 2017 წელს გამოიცა ნენსი ფრეიზერის მონოგრაფია, „ფემინიზმის თავგადასავალი; სახელმწიფოს მიერ მართული კაპიტალიზმიდან ნეოლიბერალურ კრიზისამდე“. აქ არის აქტუალურ საკითხთა მთელი რიგი ჩამონათვალი, ფემინისტური პოლიტიკის წინააღმდეგ ლაკანიანიზმის გამოყენება; გენდერულ სამართლიანობასთან ორგანზომილებიანი მიდგომა; სამართლიანობის ახალი ჩარჩო გლობალიზებულ მსოფლიოში; ფემინისტური ამბივალენტობის გადალახვა მარკეტიზაციასა და სოციალურ დაცვას შორის.

2018 წელს „გლობალური დიალოგის“ რიგით მე-3 გამოცემაში დაიბეჭდა მეტად საინტერესო ინტერვიუ ნენსი ფრეიზერთან, რომელიც ეხება უშუალოდ იდენტობის თემას. ფრეიზერი ამბობს, რომ იდენტობაზე საუბარმა შეიძლება

<sup>129</sup> ნენსი ფრეიზერი (1947), უძლვება ფილოსოფიის სასწავლო კურსიუ იორკის ახალ სკოლაში. ის ცნობილია, როგორც ე.წ. პოლიტიკური იდენტობის კრიტიკოსი. აქვს შრომები სამართლაინობის კონცეფციაზე. თანამედროვე ლიბერალიზმს მიიჩნევს ყავლგასულად და კნინად. აქვს მიღებული ალფრედ შუცის სახელობის პრემია სოციალურ ფილოსოფიაში ამერიკის ფილოსოფოსთა ასოციაციისაგან და გახლავთ იმავე ასოციაციის აღმოსავლეთი განყოფილების პრეზიდენტი.

ერთგავარად გზიდან გადაგვახვევინოს. დღეს ინტერსექციურობაზე საუბარი გამხდარა მოღური. მსგავსი ფორმულირება საჭიროებს კრიტიკულ კომენტარს, მაგრამ ერთიან ჯამში ეს მიდგომა არის მართებული. მისი ამოსავალი პუნქტი იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ქალი ერთ ნავში სულაც არ იყოფება, არც მუშათა კლასის ყველა წარმოამადგენელი იმყოფება ერთ ნავში, იგივე ითქმის ფერადკანიანებზე, რომლებიც ასევე არ არიან ერთ ნავში. ძალაუფლების ასიმეტრიის ორპორა სტრუქტურები არსებობს, პოზიტიური და ნეგატიური პრივილეგიების განაწილების ღერძები. ფემინიზმმა, რომელიც ამტკიცებს, რომ მას აინტერესებს ერთიანი ზოგადი გზავნილი ყველა ქალისათვის და არ აინტერესებს სხვადასხვა კატეგორიის ქალთა მდგომარეობების თავისებურებები, მოჭამა თავისი თავი, რადგანაც ის მხოლოდ ქალთა პრივილეგირებული ფენის ინტერესს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, მიაჩნია ნენსი ფრეიზერს, რომ ლიბერალური მერიტოკრატიული ფემინიზმი უკვე დარჩა წარსულში. ფემინიზმი უნდა იყოს არა მხოლოდ ქალებისთვის, არემედ ასევე კლასებისთვის, რასებისთვის და ჩაგვრის სხვა ძირითადი სისტემებისთვის, რომლებიც მოქმედებენ კაპიტალისტურ საზოგადოებებში.

ხშირად იბჭდება სტატიები თანამედროვე დემოკრატიის კრიზისზე. ამათ შორისაა ნიშანდობლივია ჰაუკე ბრუნკერისტი (Hauke Brunkhorst), რომელიც გვესაუბრება „დემოკრატიის კრიზისზე.“ ბრუნკერისტს კონკრეტულად საჯაროობისთვის გამოაქვს საკითხი, „სახელმწიფოში ჩაშენებული ბაზრებიდან ბაზრებში ჩაშენებულ სახელმწიფოებამდე“. მკვლევარი ინფორმაციას შემდეგი სახით გვაწვდის. მხოლოდ რამდენიმე წელია, რაც სახელმწიფოში ჩაშენებული ბაზრები გადაიქცა ბაზრებში ჩაშენებულ სახელმწიფოებად. სახელმწიფო სამართლის პრიმატი შეიცვალა ფართე და მზარდი რაოდენობის ტრანსნაციონალური რეჟიმებით, რომლებიც ექვემდებარებიან კერძო სამართალს, რაც, რო-

გორც უწინდელი რომის სამართლის შემთხვევაში, ემსახურება მხოლოდ გაპატონებული კლასების კოორდინაციას მთელს იმპერიაში.

მსოფლიო ბაზარში ჩაფესვება იძლევა გარანტიას, რომ ინვესტორები ნებისმიერ ქვეყანას თავისუფლად აირჩევნ, მაშინ როცა თავის მხირვ სახელმწიფოები ვერ აირჩევნ ინვესტორებს, ამრიგად კი იძულებულნი იქნებიან ჩაერთონ წარმოების სარფიანი პირობებისათვის უმოწყალო ბრძოლაში. შედეგად, სოციალური განსხვავებანი კლასებს, ნაციებს, ეროვნებებს და თაობებს შორის მიაღწევენ თავბრუდამხვევ მასშტაბებს.

ავტორიტარული კაპიტალიზმის აღორძინებაზე ხშირად ქვეყნდება კრისტიან ფუკსის (ვესტმინსტერის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი) ანგარიშები.

მემარჯვენე ავტორიტარიზმი სამ ელემენტს შეიცავს. რწმენას, რომ ხელმძღვანელობა უნდა განხორცილედეს ზემოდან ქვემოთ, ნაციონალიზმს, მტრებად და მეგობრებად დაყოფის სქემას, ასევე მებრძოლ პატრიარქატს (კანონის და წესრიგის პოლიტიკას, ომის და განვევითი სამხედრო სამსახურის იდეალიზაციას). კონსტრუირებულ მტერთან მიმართებაში რეპრესიული ზომები; კონსერვატული გენდერული ურთიერთობები. მემარჯვენე ავტორიტარიზმი ასრულებს იდეოლოგიურ როლს: ის კლასობრივი სტრუქტურებიდან და კაპიტალიზმიდან, როგორც სოციალური პრობლემების მშობელი საფუძვლიდან და მიზეზიდან გადაიტანს მოქალაქეების ყურადღებას. ლტოლვილები, იმიგრანტები, განვითარებადი ერები, მუსულმანები და სხვანი კონსტრუირებული არიან განტევების ვაცად. მათ პასუხისმგებლობა მიეწერებათ უმუშევრობაზე, დაბალ ხელფასებზე, ეკონომიკურ სტაგნაციაზე, სახელმწიფო დახმარების ვარდნაზე, საცხოვრისის კრიზისსა და დანაშაულობებზე. ტრამპი მექსიკასა და

ჩინეთს ბრალს სდებს დეინდუსტრიალიზაციასა და სოცია-ლურ ვარდნაში, იმას კი სულაც არ ახსენებს, რომ ამერიკუ-ლი კაპიტალი მუშების ექსპლუატაციას ახდენს როგორც შტატებში, ასევე კაპიტალის აუტსორსინგის ადგილებში, როგორც ჩინური პათოგენური საწარმოების, ასევე მექანიკუ-რი *maquiladoras* ჩათვლით.

მემარჯვენე ავტორიტარიზმი არ წარმოადგენს არც საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმას, არც საზოგადოებ-რივი მოწყობის ტიპს. ესაა პროცესი, რომელიც საზოგადოე-ბის სხვადასხვა დონეზე შეიძლება ხდებოდეს: ინდივიდუა-ლურზე (პიროვნების ავტორიტარული სტრუქტურა, ცნობი-ერება, ინდივიდუალური პოლიტიკური ქცევა), პოლიტიკური ჯგუფების და მოძრაობების დონეზე. ასეთი შეიძლება იყოს იდეოლოგია, ინსტიტუტი და საზოგადოება მთლიანობაში. უკიდურესად მემარჯვენე ექტრემიზმი და ფაშიზმი - ეს მე-მარჯვენე ავტორიტარიზმის ინტესნიური შემთხვევებია, რომლებიც მოთმინებით ეკიდებიან ფიზიკურ ძალადობას და აქტიურად იყენებენ ძალადობას და ტერორს პოლიტიკური საშუალებების სახით.

არანაკლებ ინტერესს იწვევს ე.ნ. „ეთნიკური მოქალაქე-ობის“ საკითხები. ამ თემაზე თანამედროვე აკადემიურ წრეებ-ში მუშაობს ანდრეა სილვა-ტაპია (პუბლიკური სახელობის უნივერსიტეტი, ბერლინი, გისენის უნივერსიტეტი, იუსტის ლიბინის სახელობის, გერმანია). ჩვენს თანამდევროვე პატრი-არქალურ, ევროპაცენტრისტულ, ქრისტიანობაზე ორიენტი-რებულ მსოფლიო სისტემაში ღრმადაა ფესვგადგმული კოლი-ნიალური მოქალაქეობა, რომელსაც ასევე შეიძლება ვუნი-დოთ არალეგიტიმური მოქალაქეობა. კოლონიალური მსოფ-ლიო სისტემა მოქმედებს გლობალური რასობრივი და ეთნი-კური იერარქიების საფუძველზე, რომლებიც განსაზღვრავენ, რომელი ჯგუფი იმსახურებს პრესტიუს და პატივისცემას, ხო-

ლო რომელი - არა. ანია ვაისი იძლევა შემდეგ განსაზღვრებას: რასიზმი - ესაა ჩაგვრის ისეთი სისტემა, რომლის დროსაც სტაპილური და გრძელვადიანი მარკერი თვალსაჩინოს ხდის განსხვავებულობას და ზეგავლენას ახდენს კლასიფიკაციებზე, პრაქტიკებსა და ინსტიტუციებზე იმგვარად, რომ განსაზღვრული კატეგორიის კოლექტივებს მიაწერს ნაკლებ უფლებებს, დამოუკიდებლად იმისგან, არის თუ არა ეს მარკერი ბიოლოგიური ანდა მოუთითებს თუ არა სხვაგვარ სტაპილურ განსხვავებაზე. ეთნიზირებული და რასობრივად განსაზღვრებადი მოქალაქეობა არა მხოლოდ იქცევა მთელს მსოფლიოში ძირძველი ხალხის და სოციალური უმცირესობების გამოცდილებად, ასევე განსაზღვრავს მიგრანტების გამოცდილებას, რომლებიც იტანჯებიან ეთნიზაციის პროცესითა და რასობრივი თავისებურებების მიწერით, როგორც ეს ხდება თურქებთან გერმანიაში ანდა ლათიონამერიკელებთან შეერთებულ შტატებში. ეთნიზაცია - ესაა პროცესი, რომლის დახმარებითაც ჯგუფი დევოლარიზირდება და განიხილება როგორც ჰომოგენური, დაჯილდოვებული ერთგვაროვანი რასობრივ-კულტურული მახასიათებლებით...

ლეგიტიმურ მოქალაქეებად ითვლებიან ადამიანები, ინტეგრირებულნი ნაციაში, როგორც ჰომოგენურ კულტურულ ჯგუფში. ეთნიზირებული მოქალაქეები ითვლებიან არალეგიტიურად. ისინი ქვეყნის მოქალაქეების სახით აღიარებულნი არიან, თუმცა მიიჩნევიან არალეგალურად, არანამდვილად. ეს არალეგიტიმურობა რასობრივი მიკუთვნებულობის საფუძველზე შეეფარდება ეთნიზაციას და გაუფასურებას. ის წარმოადგენს თვისით უთანასწორობის განსაკუთრებულ ტიპს, რომელიც ზეგავლენას ახდენს ადამიანების საკუთარი ღირსების გრძნობაზე და იმ შესაძლებლობებზე, რომლებითაც სარგებლობა არ შეუძლაით: ეს არალეგიტიმურობა მიგვიყვანს დისკრიმინაციმდე და დამცირებამდე. მოქალაქეობის კრიტერიუმით ასეთი უთანასწორობა ვლინდება ნაცი-

ონალური სახელმწიფოს იმავდროულად, მაგრამ ის ასევე არის მემკვიდრე წარსულიდან წამოსული კლასიფიკაციებისა და სტრუქტურებისა (წაციონალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე, ანდა კოლონიამდელ პერიოდში). წაციონალური მშენებლობის და დამოუკიდებლობისათვის მოძრაობის ლიდერებმა ხელი შეუწყეს პომოგენური წაციონალური იდენტობის შექმნას, რომელიც ჩამოყალიბდა მრავალი კონკრეტული ჯგუფის მარგინალიზაციის შედეგად...

თუმცალა კანონი აღიარებს მოქალაქეობის ორივე ტიპს, ლეგიტიმური და არალეგიტიმური მოქალაქეები არსებითად განსხვავდებიან. წაციისადმი მიკუთვნებულობა აღიარებულია პირველ ჯგუფთან, მეორე ჯგუფი მეორეხარისხოვნად მიიჩნევა. არალეგიტიმურ მოქალაქეებს „რაღაც არ ყოფნით“, მათი კულტურა და ქცევა განიხილება, როგორც არასრული. ასეთი პოზიციონირება ხელს უწყობს დისკრიმინაციას და დამცირებას, რაც რჩება დანარჩენი საზოგადოებისათვის უხილავი.

მოქალაქეობა - ესაა მახასიათებელი ინდივიდის მდგომარეობისა. მაგრამ, როცა ის ეთნიზირდება და მიენიჭება რასობრივი მახასიათებლები, გამოირიცხება სუბიექტის ინდივიდუალურობა. მოქალაქეები, განსაზღვრული, როგორც რასობრივად არასრულფასოვანნი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, არალეგიტიმური მოქალაქეები, ყოველთვის აღინერებიან, როგორც პომოგენური ჯგუფი. ესაა „იმიგრანტები“, „არაბები“, „მუსულმანები“, „ძირძველი ხალხი“, „ჩრდილო-აღმოსავლეთის ინდიელები“ და სხვები. ისინი არასოდეს არ აღინიშნებიან, როგორც ავტონომიური ინდივიდუალური სუბიექტები. ინდივიდუალურობა გადანახულია თეთრი ადამიანებისთვის. ასეთი ტრანსკრიბირების შედეგად ევროპელი რასის წარმოამდგენლების ან მათ ნაშიერთა უილბლობები მიეწერება მათ პირად შეცდომებს: ისინი დაჯილდოვებულნი არიან პრივილეგიით, იყონ ინდივიდუალური მოქალაქეები. ეს ეფექტი კონ-

ცეპტუალიზირებული იყო, როგორც „თეთრების პრივილე-  
გია“. მეორეს მხრივ, კოლონიალური სუბიექტების უილბლო-  
ბები, შეცდომები არალეგიტიმური მოქალაქეებისა მიეწერება  
მათ კულტურას, ნაციას, რასას, ეთნიკურობას; და პასუხის-  
მგებლობა არასოდეს არ მიეწერება ინდივიდს, როგორც ავ-  
ტონომიურ ცალკეულ მოქალაქეს. არალეგიტიმური მოქალა-  
ქეები ყოველთვის წარმოადგენენ საკუთარი ეთნიკურობის  
ანდა რასის ტუსალებს, და ეს მოქმედებს სრულიად განსხვა-  
ვებულად, ვიდრე თეთრი ადამიანის პრივილეგია. თეთრების  
პრივილეგია ზემოქმედებს როგორც უხილავი დისპოზიტივი,  
რომლის დროსაც პრივილეგირირებულების ეთნიკურობა და  
რასობრივი მიკუთვნებულობა არაა ნახსენები და არაა აღია-  
რებული. ის არ არსებობს და სწორედ ამით აიხსნება ინდივი-  
დუალურობის თავისუფლება. პრივილეგირირებულების მიღ-  
წევები და უილბლობები გამოიყურება, როგორც მათი მიღწე-  
ვები, და რა განუყოფელი შემადგენელი მათი ეთნიკური და  
რასობრივი მიკუთვნებულობისა.

განსაზღვრული ჯგუფების გამოცდილების აუღიარებ-  
ლობამ შეიძლება მიგვიყვანოს კონფლიქტებამდე და ძალა-  
დობამდე, თუკი მათი მოთხოვნები არ აღიქმება სერიოზუ-  
ლად. თანამედროვე სამყაროში ჩვენ არ შეგვიძლია ვიმსჯე-  
ლოთ რასობრივად და ეთნიკურად ჰომოგენური ნაციონა-  
ლური სახელმწიფოების არსებობაზე. ჩვენ აღვასრულებთ  
ჩვენს ისტორიულ მოვალეობას, როცა ყურს ვუგდებთ იმათ,  
ვისი ხმაც დიდი ხნის მანძილზე მიჩუმათებული იყო. მხო-  
ლოდ ასე შეიძლება დემოკრატიის განვითარება.

უახლესი პუბლიკაციები უშუალოდ ხელოვნურ ინტე-  
ლექტზეა ორიენტირებული. ამ თემაზე მუშაობს **პაულო ტუ-  
ბარო.**<sup>130</sup>

<sup>130</sup> საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრი, პარიზ-  
საკლეს უნივერსიტეტი.

ცხადია, თითოეულმა ჩვენგანმა ისიც კარგად, **ხელოვნური ინტელექტი „ჭკვიანი“** მხოლოდ რეალური ადამიანების წყალობით ხდება.

თანამედროვე ხელოვნური ინტელექტის წარმოუდგენელი წარმატებები დაფუძნებულია მამაკაცებისა და ქალების ერთობლიობაზე, რომლებიც „მიკროსამუშაოს“ ასრულებენ. ისინი სახორცე მასალას (შიგთავსა) აფიქსირებენ გამოსახულებებზე, სარეკლამო რეცეპტებს უკეთებენ ტრანსკიბირებას, თარგმნიან ტექსტის ფრაგმენტებს, იწერენ თავიანთ ხმას, კითხულობენ რა ამ დროს წინადადებებს ხმამაღლა. ეს ამოცანები, არიან რა მარტივი და კვლავწარმოებადი, თავიანთი შემსრულებლებისგან მაღალ კვალიფიკაციას არ მოითხოვენ და ანაზღაურდებიან რამდენიმე ცენტით. მუშები ოფიციალურად როდი ფორმდებიან, ისინი სუბ-კონტრაქტორები არიან და მათ საქმეზე უხდიან. თავიანთ სმარტფონებზე, კომპიუტერებზე, ისინი მუდმივად კონკრეტულ დავალებებს ასრულებენ და ამ დროს სპეციალიზირებული საიტებით სარგებლობენ.

აჩრდილების, მუშაკების ეს არმია რანაირად უჭერს მხარს ხელოვნურ ინტელექტს? განვიხილოთ ხმოვანი თანაშემწის მაგალითი. მას ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგია შთაბერავს სიცოცხლეს. დავუშვათ, ალექსი ანდა სირი. ვიდრემდე მომხმარებელთა თხოვნების ამოცნობას ისწავლიან, ხმოვანმა თანაშემწემ საჭიროა მოიპოვოს ადამიანური მეტყველების მრავალი ნიმუშის გაცნობის შესაძლებლობა, მაგალითად, სიტუაცია, როდესაც ადამიანები ამინდზე სვმა-ენ შეკითხვებს. მანქანამ უნდა „აითვისოს“, რომ შეკითხვის ყველა ეს ფორმა ერთიდაიგივე მნიშვნელობის მქონეა და განსხვავებები ხმის ტემპრში, ინტონაციასა თუ აქცენტში, ასევე სხვადასხვა ფონური ხმაური არაფერს ცვლიან. ამგვა-რად ხმოვანი თანაშემწე მომხმარებლისგან დასმულ მსგავს შეკითხვებს შემდგომში განასხვავებს. მიკრო-თანამშრომლე-

ბი ამრიგად არიან ზედმიწევნით საჭირო მსგავსი მაგალითების წარმოებისთვის, ვთქვათ ხმების ჩასაწერად რომლებიც ეკითხებიან ამინდზე. ხელოვნური ინტელექტის მწარმოებლები ეყრდნობიან მიკრომუშაკებს როდესაც ტესტირებას გადის მათი ჭკვიანი თანაშემწეები და საჭიროა მათი ფუნქციონირების კონტროლი.

2000 იანი წლების დასაწყისში კომპანია Amazon მიკროსამუშაოს პოლულარიზირებით დაკავდა. Amazon მა შემოგვათვაზაზა ასეთი მომსახურება, „მექანიკური თურქი“ (რაც ვირტუალურ შრომით ბაზარს წარმოადგენს). ეს მოწყობილობა პირველად შიდა მომსახურებისთვის იყო ჩაფირებული და მისი დახმარებით მიკრო-მუშაკებს შეეძლოთ პროდუქტების სიების დაკომპლექტება. მოგვიანებით კომპანიამ ხელმისწვდომი გახადა სერვისი იმ გარე კლიენტებისათვის, რომელთაც შეეძლოთ ხელოვნური ინტელექტის ამოცანების ფორმულირება, რითაც თავის მხრივ მიკრო-მუშაკები დაკავდებოდნენ. კომპანია Amazon მა ამ მოწყობილობას დაარქვა „ხელოვნური ხელოვნური ინტელექტი“ (ტავტოლოგია ერთგვარი) და ამრიგად, ხაზი გაუსვა, რომ ამოცანების აუტ-სორსინგი არის საუკეთესო გადაწყვეტილება ადამიანების-თვის, ვინც ამას ეფუძნება თავს გაართმევს, უკეთ ვიდრე კომპიუტერები. დღეს ბევრი ვებ-საიტი, აპლიკაცია მისდევს Amazon ის მეთოდს და მის სხვა ვარიანტებს გვთავაზობს. იგივე შინაარსისაა იმ ფირმების საქმიანობა, როგორიცაა ავსტრალიური Appen, გერმანული Clickworker, ამერიკული ფირმები Lionbridge და Microworkers.

კი მაგრამ, სად არიან განთავსებული ის მიკრომუშაკები, ვინაც ხელოვნური ინტელექტის შექმნაში მონაწილეობენ? ამოცანების გარკვეული ნაწილი შესაძლებელია შესრულდეს ონლაინ და არ მოითხოვს უშუალოდ აქ და ახლა ყოფნას, ანუ, კონკრეტულ ადგილას. მაგალითად, იმ შემ-

თხვევაში, როცა სალათის, პომიდვრის გრაფიკულ გამოსახულებაზე წრეებია მისახატი. ზოგიერთი თანამსრომელი ცხოვრობს ქვეყანაში, სადაც ზოგადად ნებისმიერი შრომა დაბალანაზღაურებადია. მიკო-სამუშაოს გეოგრაფია ამ კუთხით შრომის აუტსორსინგის კარგად ცნობილ პატერნებს ააღმორდინებს. აუტსორსინგი, ცნობისათვის, ესაა ორგანიზაციის მიერ, ხელშეკრულების საფუძველზე, განსაზღვრული სახეობის სამეწარმეო ფუნქციების სხვა კომპანიისთვის გადაბარება. იგი აპრობირებულია შესაბამის სფეროში, მოითხოვს ე.ნ. ლოკალურ ცოდნას და უნარებს და ოფშორის რეჟიმში ვერ შესრულდება. აი, მაგალითად, ხმოვანი თანაშემწეფო აზენებით რომ აღიჭურვოს, საჭიროა მიკრო-მუშაკებმა იცოდნენ ენები, თავი გაართვან აქცენტებისა და დიალექტების კვლავწარმოებას, რაც ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც ამ მოწყობილობას ყიდიან, არის გავრცელებული. მიკო-მუშაკები, რომლებიც „მექანიკურ თურქს“ ემსახურებიან არიან ლოკალიზებული შეერთებულ შტატებში. „კოლეგების ჯგუფთან ერთად ჩვენ (ამბობს პაულო ტუბარო) საფრანგეთში ჩავუშვით გამოკვლევა, „ციფრული პლატფორმების შრომითი რესურსები“. ამ მაღალ ინდუსტრიულ ქვეყანაში ბევრი მისდევს მიკრო-სამუშაოს“.

ვინდაა საფრანგეთში მიკრო-მუშაკი? როგორც გამოკვლევიდან იკვეთება, არა მხოლოდ სტუდენტები ან მილენიალები. 60 % ზე მეტი საფრანგეთში მიკრო-მუშაკებისა 25 დან 44 მდე ასაკობრივ ჯგუფს განეკუთვნება. მათ პარალელურად აქვთ ძირითადი, ანუ ბაზისური სამუშაო. ისინი დასაქმებული არიან, ვთქვათ, მედიცინის, განათლების სფეროში, არიან სახელმწიფო მომსახურების სექტორშიც. მიკრო-სამუშაო მათთვის არის ერთგვარი დამატებითი შემოსავალი. მიუხედავად იმისა, რომ მიკრო-სამუშაო მეტად შეზღუდულ კვალიფიკაციას საჭიროებს, ირონია იმაშია, რომ ეს კადრები

ზოგადად არიან მთლიანობაში უმაღლესი განათლებით, გარკვეული ნაწილი უბრალოდ შეიძლება არ იყოს დიპლომირებული, მაგრამ უმაღლესი განათლება აქვს, საშუალოდ საფრანგეთში 40 % ზე მეტი იგულისხმება. ნახევარზე ოდნავ მეტი, ფრანგი მიკრო-მუშაკებისა არის ქალი და ხშირად დაოჯახებული. არიან სავარაუდოდ ნახევარ განაკვეთზე დასაქმებული და ხშირად, დამოკიდებული მეუღლის გასამრჯელოზე; დროის უმეტეს ნაწილს საოჯახო საქმეებს უთმობენ. სამსახურზეც და ოჯახშიც, ყველა შესვენებისათვის განკუთვნილ ფანჯარას ისინი მიკრო-სამუშაოებისთვის იყენებენ. ყველა მიკრო-მუშაკები დამატებით შემოსავალს აფასებს პოზიტიურად. თუმცა, ხარვეზის სახით აღნიშნავენ, რომ მიკრო-სამუშაო ასევე არის დამატებითი დატვრითოვა ოფიციალური სამსახურისა და საოჯახო საქმის პარალელურად და ფაქტიურად მთელს თავისუფალ დროს მოიხმარს.

მიკრო-სამუშაოს მიღმა კეონომიკური მოწყლვადობის ფართოდ გავრცელებული, თუმცა მიჩუმათებული პრობლემებია. ფრანგი მიკრო-მუშაკის 20 % ზე მეტი ცხოვრობს შიდა-მეურნეობაში და ისინი სილარიბის ზღვარს ქვემოთ არიან. იღებენ მედიური შემოსავლის მხოლოდ ნახევარს. ასეთ პირობებში, ვთქვათ შედარებისათვის, რომ მთელს ქვეყანაში მოსახლეობის 10 % იმყოფება. ამ ფონზე, ონლაინ მიკრო-სამუშაო გვევლინება მცდელობად სილარიბესთან როგორლაც გამკლავების. რესპონდენტების უმრავლესობა პასუხობს, რომ მიკრო-სამუშაოთი დაკავების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ სიდუხჭირეა. თუმცა, საფრანგეთში საშუალო მიკრო-მუშაკის თვიური შემოსავალი მეტად ასიმეტრიულადაა გადანაწილებული. „შემთხვევითი“ მიკრო-მუშაკების უმეტესი წილი, რომლებიც შეკვეთებს ღებულობენ მხოლოდ დროდადრო, შიგადაშიგ, თვეში გამოიმუშავებენ 21 ევროზე ნაკლებს. ძალიან აქტიური მუშაკების მცირე რიცხვი, როცა ისი-

ნი სრული დატვირთვით მუშაობენ, თვეში 1500-2000 ევრომ-დე გამოიმუშავებს.

მიკრო სამუშაოს, აშკარად აქვს პოტენციალი, შეზღუ-დული ფინანსური შესაძლებლობით ადამიანების ნაწილობ-რივი მხარდაჭერის. ეს ადამიანები შრომის სტანდარტულ ბა-ზარზე დასაქმების მცირე შანსებს ფლობენ და საჭიროებენ გარდა ამისა მოქნილ სამუშაო გრაფიკს, დავუშვათ, იმიტომ, რომ აწევთ შინმოვლის ვალდებულებები. მიკრო-სამუშაოს თან ახლავს სფეციფიკური რისკები. მსგავსი დასაქმება სო-ციალური დაცულობის არანაირ გარანტიას არ იძლევა, ანუ ამ დროს არაა ნაგულისხმევი ჯანმრთელობის მდგომარეო-ბის გამო სოციალური ანაზღაურება, საპენსიონ დანაზოგს ასევე ვერ გააკეთებ. კარიერის განვითარებაში გამოცდილე-ბას მიკრო-სამუშაოდან ვეღარ გაითვალისწინებ. ერთ ვებ-გვერდზე გამომუშავებული რეპუტაციის ტრანსფერი მეო-რეში შეუძლებელია. ფსიქოლოგიურად მიკრო-სამუშაო ასე-ვე შესაძლოა იყოს დამთრგუნავი. მიკრო-მუშაკი ხშირად თა-ვის კლიენტს არ იცნობს, არც იმ დავალებების მიზნები იცის, რასაც თავი უნდა გაართვას. სამუშაოს დასრულების მერე სამუშაო მხოლოდ ცარიელი ინფორმაციაა. ერთ-ერთი რეს-პოდენტი, რომელიც ხელოვნური ინტელექტის შექმნაში მო-ნანილეობდა, ამბობდა, რომ ვერადა ვერ ჩაწვდა აზრს, საა-თობით რისთვის ავალებდნენ პომიდვრების გრაფიკულ გა-მოსახულებაზე წრების ხატვას. ხანდახან, შესრულებული სამუშაოც კი, ანუ დაკვეთა, უარიყოფოდა და ცხადია რჩებო-და აუნაზღაურებელი. მიკრო-მუშაკებს ამ დროს იმის გარ-კვევაც არ შეუძლიათ, რა მოხდა. მიკრო-მუშაკები ერთმანე-თისგან იზოლირებულ პირობებში მუშაობენ. სამუშაო სახ-ლში სრულდება. არ აქვთ ე.ნ. საოფისე სივრცე ყავისათვის, ვებ-გვერდები მათთვის ციფრულ სივრცეს არ ქმნიან, სადაც დავუშვათ ჩატის ფანჯარა მაინც იქნებოდა კომუნიკაციის-თვის, თუნდაც ეს იყოს ონლაინ-რეჟიმში. მსგავსი ინფრას-

რუქტურის შესქმნელად აუცილებელია პროფესიული კავშირების ან თუნდაც, აქტივისტების ინიციატივა.

ვინაიდან მიკრო-დავალებების შესრულებაზე დგას ხელოვნური ინტელექტის ინდუსტრიის განვითარება, ხოლო მიკროსამუშაო სრულდება ძირითადად იმ ადამიანების ხარჯზე, ვინც ფინანსურად შეჭირვებულია, მნიშვნელოვანია სერიოზულად განვიხილოთ ამ სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პერსპექტივები. მიკრო-სამუშაოსთვის განკუთვნილ საიტებსა და აპლიკაციებს შეუძლიათ დაგვეხმარონ, გადაწყვეტილების მიღება იყოს უფრო გამჭვირვალე; გასარჯელო-სათვის გაჩნდება ახალი ქსელური რესურსები, შემუშავებულ იქნება მხარდაჭერის სამსახურები. თუმცადა, ცხადია, პროფესიულ კავშირებსა და პოლიტიკოსებს არატიპიური შრომის ახალი ფორმების დასაცავად გაცილებით მეტის გაკეთება შუძლიათ.

წარმატებულად იბეჭდება მკვლევარი გერმანიიდან, ფელიქს ზიულმან-ფაული, რომელიც აღნიჩნავს, რომ განახლებადი ენერგიის წყაროები გულისხმობენ ციფროვიზაციას, რაც აუცილებელია გონიერი განაწილებისათვის.

ზიულმან-ფაული გვიყვება, ჩვენ რომ ციფროვიზაციის ეპოქაში ვცხოვრობთ, ამას ბევრი რამ ადასტურებს. აი, მაგალითად, ხმოვანი ჩანაწერების მაღაზია. ხდებოდა ხოლმე, რომ ჩვენ რადიოში რაღაცას მოვისმენდით ანდა მეგობრის რჩევით გავეშურებოდით ხმოვანი ჩანაწერების მაღაზიაში და ვყიდულობდით გადამტანს მუსიკით. ეს მატერიალური საგანი ჩვენი საკუთრება ხდებოდა. ეხლა ეს გუშინდელი დღეა! ტექნიკური სერვისები, რომლებიც ციფრული პლატფორმის ბიზნეს მოდელზე არიან დაფუძნებული, უზრუნვეყოფენ მისაწვდომობას მილიონობით სიმღერაზე და ხმოვანი ჩანაწერების ძველ მაღაზიას ჩაანაცვლებენ. არსებითად შეიცვალა მუსიკალური ინდუსტრიაც. ახლა მონაცემები იქცევა წარმოების ძირითად საშუალებად. პლატფორმის ბიზნეს

მოდელი თავის მომხმარებლებზე ბევრ ინფორმაციას აგროვებს. მაგალითად, მისმა ალგორითმმა „იცის“, რომელ მუსიკალურ ჟანრს ვუსმენთ ჩვენ, როდის, როგორი სიხშირით და სად. უფრო მეტიც, ინახება ინფორმაცია მასზედ, თუ რომელი გენდერი გვაქვს, გვყავს თუ არა ბავშვები, სად ვცხოვრობთ, როგორია ჩვენი შიდამეურნეობის შემოსავალი.

სწორედ ეს ინფორმაცია ხდის წარმატებულს პლატფორმათა უმეტესობას. მათ იციან ჩვენი არჩევანი, ატიტუდები და შეუძლიათ ინინასწარმეტყველონ ჩვენი ქცევა. მათი სერვისები მომხიბლველი იმიტომაცაა, რომ ისინი ადაპტირდებინ ჩვენს ინდივიდუალურ არჩევანზე. პლატფორმები ასევე მიჰყიდიან შეგროვილ ინფორმაციას სარეკლამო სააგენტოებს, რომელთაც უკვე აქვთ შესაძლებლობა პიროვნულად ორიენტირებული მოხმარების პროდუქტები შემოთავაზონ. დღეს ციფროვიზაცია ნიშნავს, უპირველეს ყოვლისა, შემდეგს - მძლავრ კავშირს კაპიტალიზმსა და ტექნოლოგიას შორის.

ეს უშუალოდ არის იმ ფაქტთან დაკავშირებული, რომ ციფროვიზაცია ხშირად არაა შერწყმული მდგრადობასთან. 1987 წელს ბრუნდტლენდის ცნობილ ანგარიშში, რომელიც გაკეთდა გაეროს მისამართით, მოცემული არის შემდეგი განსაზღვრება: „მდგრადად ისეთი განვითარება იწოდება, რომელიც ანტიკარი საჭიროებებს პასუხობს და არ ზღუდავს მომავალი თაობების შესაძლებლობებს, დაიკმაყოფილონ მოთხოვნილებები“. ამრიგად, თავად ჩვენ, ჩვენ შვილებს და იმათი შვილების შვილებს უნდა ქონდეთ შანსი „კარგი ცხოვრებით“ ცხოვრებისა. და რას ნიშნავს ეს? ეს ცხადია არის კულტურის საკითხი. დასავლურ საზოგადოებაში, რომელიც იმყოფება ჰუმანიზმისა და განმანათლებლობის იდეის ზეგავლენის ქვეშ, წარმოდგენა კარგ ცხოვრებაზე ეფუძნება ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა ძირითადი დემოკრატიული უფლებები, თვითგამორკვევა, მრავალფეროვნება, პრი-

ვატულობა, დამაკმაყოფილებელი გარემოპირობები და „თავისუფლება“ - რაც არ უნდა იმაღლებოდეს ამ სიტყვის მიღმა. მიუხედავად ამისა, ამ ცნებებიდან მრავალი შეიცვალა ციფროვიზაციის ზეგავლენით, რომლის მამოძრავებელი ძალაც არის, თუმცა არა უკანასკნელი, ეკონომიკური ინტერესები. პრივატულობა, მაგალითად, იგი შეიძლება არ იყოს გარანტირებული იმ პლატფორმებით, რომელთა წარმატებაც განსაზღვრულია საჭიროებით შეიტყონ ჩვენზე ყველაფერი შესაძლებელი. უფრო მეტიც, კარგი გარემოპირობები არასოდეს არაა მიზანი ეკონომიკური ინტერესის და ციფრულ ეპოქაში ამ მიმართებით არაფერი შეცვლილა.

ციფროვიზაცია გულისხმობს მოწყობილობების და ინფრასტრუქტურათა წარმოებას, ნედლეულის მოპოვებას და ტრანსპორტირებას. ციფრული მოწყობილობების მარტივი გამოყენება მოიხმარს ელექტროენერგიის მოცულობას, რომელიც შეადგენს ელექტრობაზე მთელი გლობალური მოხსოვნის 10 %. თუკი, ამ ტრენდის გავრცელების სიჩქარე შენარჩუნდება, 2025 წელს მისი ხვედრითი წილი მიაღწევს 20 %. შესაბამისად, წარმოება და მოხმარება ინფორმაციისა და კომუნიკაციური ტექნოლოგიების შეადგენს 3,7 % ემისიის  $\text{CO}_2$  (მჟავური ოქსიდი) ადამიანის მიერ ნაწარმოები; 2025 წელს ეს ციფრი მიაღწევს 8 %. ნედლეულის მოპოვება უზარმაზარ პრობლემებს უქმნის იმ ქვეყნების მდგრად განვითარებას, სადაც ეს მიმდინარეობს. ამისი წათელი მაგალითია კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა. კონგო არის უმსხვილესი მომწოდებელი ისეთი ელემენტების, როგორიცაა ვოლფრამი, ტანტალი, კალა, კობალტი, ოქრო. ეს მინერალები შეუცვლელია ციფრული მოწყობილობების მშენებლობისათვის. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება შობს ცნობილ ეკოლოგიურ პრობლემებს, ისეთს, როგორიცაა ეროზია, წყალქვეშა წყლების მოწამლვა, სახეობების გაქრობა, თუმ-

ცალა, კიდევ უფრო მძიმეა სოციალური დონის პრობლემები. ქვეყანას შეძრავს სისხლიანი სამოქალაქო ომი. მილიონობით სამოქალაქო პირი იტანჯება სხვადასხვა გასამხედროებული დაჯგუფებების ქმედებათაგან, რომლებიც ამ ომს 30 წელზე მეტია აწარმოებენ. მაღაროები, რომლებზეც წარმოებს მინერალების მოპოვება, რაც ციფროვიზაციის ეპოქაში არის ჩაუნაცვლებელი, საბრძოლო ძალების ხელში იმყოფება, რომლებიც თავისითვის იარაღს ყიდულობენ, ყიდიან რა ამ მინერალებს. სწორედ ამიტომ ეძახიან მათ „კონფლიქტურ მინერალებს“. კიდევ უფრო საშინელია შედეგები - შიმშილი, სექსუალური ძალადობა, ავადმყოფობები, თანამედროვე მონობა, ჯარისკაცი ბავშვები.

თუმცალა, არის კარგი ამბებიც. მდგრადი განვითარების ზოგიერთი სფერო არის მხარდაჭერილი დიგიტალიზაციის მიღწევების ხარჯზე. პირველი მაგალითი შეეხება ძვრას განახლებადი ენერგიის გამოყენებასთან დაკავშირებით. განახლებადი ენერგიის რესურსები რომ ეფექტურად მოიხმარო შეუძლებელია გვერდი აუარო ციფროვიზაციას, რადგან მსგავსი ენერგიის წარმოება დეცენტრალიზირებულია. ძნელია მისი დაგეგმვარება და ენერგია იწარმოება დღის სხვადასხვა მონაკვეთში და ხანდახან მხოლოდ მცირე ულუფებით. შენახვა და განახლება განახლებადი ენერგიისა ძალიან სწრაფად უნდა ხდებოდეს, რათა მისმა მდინარებამ ხელი ეფექტურ გამოყენებას აღარ შეუშალოს. ყველაფერი ეს არის შესაძლებელი თვითდამსწავლელი კომპიუტერული ტექნოლოგიების წყალობით.

სხვა მაგალითი - სატრანსპორტო სისტემის მდგრადი განვითარების ტენდენცია. ტრანსპორტის გამოყენების შემცირება, რომელიც მუშაობს საწვავზე, სატრანსპორტო საციბები ქალაქებში და ჯარიმები გარემოს დაბინძურებისათვის მოითხოვენ სამგზავრო ავტომობილების მასობრივ შემცირებას. თუმცალა, სახეზეა არსებითი ინფორმაციული ლაკუნები

და პრობლემები, დაკავშირებული ტრანსპორტის ალტერნატიული სახეობების შედარებასთან. ლაპარაკია სხვადასხვა პროვაიდერებზე და ფასის წარმოების მოდელებზე, გნსხვავებებზე, რაც დაკავშირებულია სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების დროსთან და ა.შ. მათზე ამომწურავი ინფორმაციის მოპოვება რთულია. მაგრამ, ამჟამად ნებისმიერი ინფორმაციული პრობლემის გადაჭრა იოლადაა შესაძლებელი სმარტფონების საყოველთაო მისაწვდომობით. მრავალი კვლევითი პროექტი გერმანიაში არის მიმართული სწორედ იმ საკითხებზე, რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივი სატრანსპორტო პროვაიდერების მიერ აპლიკაციების გამოშვებას და აპლიკაციის შევსებას სრული ინფორმაციით, რაც აუცილებელია ამ რეგიონის სხვა მიმწოდებლებისთვის. ესლა კარშერინგის პროვაიდერები შესაძლოა შეადარო ერთმანეთს, ესაა კომპანია ველოსიპედების, ავტობუსების, მატარებლების და სხვათა იჯარით გაცემისათვის. შეიძლება გამოითვალო, რამდენ დროს მოინდომებს თითოეული მოგზაურობა; შეიძლება ასევე ბილეთების რეზერვირება და ყიდვა, ამ აპლიკაციების მომსახურებით სარგებლობის დროს. ციფროვიზირება ხელს უწყობს, რომ მოგზაურობები ასევე ექვემდებარებოდნენ მდგრადი განვითარების პრინციპებს.

ცხადია მოცემული პრობლემატიკით დაკავებულ მკლევარებს აინტერესებთ, და რაღა იქნება შემდეგი?

უსასრულო გამოკვლევები აჩვენებენ, რომ მდგრადობა არის საზოგადოების მთავარი მახასიათებელი. თუმცალა, იმოქმედო შესაბამისად მდგრადი განვითარების პრინციპებისა - ეს სულ სხვა საქმეა. ადამიანები აგრძელებენ ავტომობილებით სარგებლობას და დაფრინავენ თვითმფრინავებით. მათ გადაადგილების ამ საშუალებებზე უარის თქმა არ უნდათ. და აქ ჩვენ აღმოვაჩენთ იმპერატივს პოლიტიკისათვის. არსებობს მრავალი მარტივი ნაბიჯი, რომელიც ამ მიმართულებით შეიძლება გაკეთდეს. მათ შორისაა გადასახადების

შემცირება ციფრული მოწყობილობების შეკეთებაზე ანდა კანონის მიღება იმის თაობაზე, რომ ყველა ელექტორნული მოწყობილობა უნდა შეაკეთონ. მაგრამ ყველაზე წონადი ნაბიჯი იქნება სამართლიანი ფასის ფორმირება ნედლეულზე. ეკოლოგიური და სოციალური ნგრევა, რომელთანაც მინერალების მოპოვება მიგვიყვანს, ფინანსურად კომპენსირებული უნდა იყოს. და თუმცადა, ასეთი ნაბიჯის შედეგები იქნება უკიდურესად სერიოზული, მას ასევე შეუძლია გზა გავა-ლოს პოსტ-ზრდის ეკონომიკამდე, მოიცავს რა რესურსებს უფრო მაღალი გადასახადებით.

ციფროვიზაციამ შეიძლება ხელი შეუწყოს წარმოების და ცხოვრების უფრო მეტად მდგრადი საშუალებების შექმნას, ასევე რისკების არიდებას, რაც განპირობებულია ენერგიის მოხმარებითა და ბუნების ნგრევით. ასეთი ციფროვიზაცია გახდება შესაძლებელი მრავალი აქტორის ერთობლივი ძალისხმევის ხარჯზე. ჭკვიანი კანონმდებლობა - ფაქტორთაგან ეს მხოლოდ ერთია. ადამიანებმა მას პოლიტიკური აქტივიზმის დახმარებით უნდა დაუჭირონ მხარი, ხმის მიცემით და ცხოვრების ახალი წესით. მდგრადობა ჩაფიქრებულია თვითკმარობაში, ციფროვიზაცია კი დაბლა წევს მოხმარების ზღვარს. ჩვენ ამ გარემოებაზე უნდა გავა-მახვილოთ ყურადღება.

სოციოლოგები შრომის პირობებით ისევე ინტერესდებიან და წუხან, რომ ე.წ. ვები, ანუ ციფრული ველი ჯერაც არაა თვისებული შესაბამისი პროფესიული კავშირების მიერ და ბუნებრივია შრომის სახლემნიფო მასშტაბით მოქმედი კანონმდებლობა ვერ იცავს უბრალო მოქალაქეებს, რომელნიც სამუშაოზე რაღაც აპლიკაციის საშუალებით აიყვანეს და უკუ-კავშირი დამსაქმებელთან აქვს ასევე მხოლო აპლიკაციის საშუალებით.

არის ასეთი თემები, ე.წ. **ლირსეული სამუშაოს ფონდი.** თავისუფალი შემოსავლის ეკონომიკის აქციონრული გამოკ-

ვლევით დღეს დაკავებული არიან ვინმე **სრუჯანა** კატა, კელი ხაუსონი და მარკ გრემი, ოქსფორდის ინტერნეტის ინსტიტუტი, ოქსფორდი, დიდი ბრიტანეთი.

დასახელებული სოციოლოგები ჯერ გვათავაზობენ განხილვისთვის წანამდლვარს: რაიდშერინგის კომერციული პორიზონტალური ფირმები უკანასკნელ ათწლეულებში იქცნენ გადაადგილების პოპულარულ საშუალელებად.

თავდაპირველად საკვანძო ტერმინებს განვმარტავ.

**კარპულინგი, იგივე რაიდშერინგი.** კერძო ავტომობილის ერთბლივი გამოყენება თანამგზავრების მოძიების ონლაინ-სერვისების დახმარებით. ამასთან, საწვავზე ხარჯი წანილდება პროპორციულად და არჩეულია ყველასათვის ოპტიმალური მარშრუტი, რომელიც მძლოლის მარშრუტისგან მნიშვნელოვნად გადახრილი არაა, ტაქსისაგან განსხვავებით, რომელშიც ხარჯებს იხდის მგზავრი, ხოლო მარშრუტს განსაზღვრავს მძლოლი. თეორიულად, რაიდშერინგის დროს, მანქანის მართვა შეიძლება ერთ-ერთ მგზავრსაც გადაეცეს, თუმცა არაა აუცილებელი.

იმისდა მიხედვით, როგორაა დაგეგმილი, გამოიყოფა **კარპულინგის სამი სახე:**

✓ **კლასიკური** - როგორც წესი შორეული მგზავრობა, როცა იგი დიდი ხნით ადრეა დაგეგმილი.

✓ **დინამიკური** - საქალაქო სივრცეში გადაადგილება უმნიშვნელო მანძილზე ალტერნატივების სახეზე ქონის დროს.

✓ **რეგულარული** - მონაწილეები, მარშრუტი და მგზავრობის განრიგი მუდმივია.

სრუჯანა კატა, კელი ხაუსონი და მარკ გრემი ყვებიან, რომ ინდური რაიდშერინგული ფირმა **Ola Cabs** იყენებს ციფრულ პლატფორმას მოთხოვნის ბალანსისა და შრომის შეთავაზების ორგანიზებისათვის. გლობალურ სამყაროში

კომპანიების სულ უფრო მეტი რიცხვი ასეთ ბიზნეს მოდელს იყენებს. ამ ფირმის მობილური აპლიკაცია მგზავრებს - ვინც ავტომობილს საჭიროებენ - საშუალებას აძლევს პირა-დად მძროლს დაუკავშირდნენ. დასაქმების მსგავსი ციფრული პლატფორმები შეადგენენ „გიგ-ეკონომიკის“ სისტემის ნაწილს, რომლის ჩარჩოებშიც კომპანიები ციფრული პლატფორმების დახმარებით, ვინც ცხადი აღმოჩინების საფუძვლებზე მუშაობენ, აკავშირებენ მსურველებს, რომელნიც თანახმა არიან მოკლევადიანი არარეგულარული შეკვეთების (gigs) ხარჯზე გამოიმუშაონ თანხმა გადახდილი ფასის წყალობით. დასაქმებულობის გიგ-ეკონომიკის მოდელი მუშაობს მართვის ციფრული აღმოჩინების დახმარებით. ის აღნევს ეკონომიკური აქტივობის სხვადასხვა სფეროში, მგზავრების გადაყვანიდან დაწყებული, დამთავრებული შენაძენის მიწოდებით, საოჯახო საქმეებში დახმრების უზრუნველყოფით და სხვადასხვა ფინანსური მომსახურეობებით.

**Ola** - ესაა ტიპიური გიგ-ფირმა. ის თავისუფლებისა და მოქნილობის ნარატივებს იყენებს, რათა შეძლოს „პარტნიორი-მდლოლების“ რეკრუტირება, რომლებიც ფირმის მუშაობას უზრუნველყოფენ. გიგ-ეკონომიკის საკვანძო მანტრების შესაბამისად ფირმის ვებ-გვერდი თავისი მდლოლებისთვის „მოქნილ საათებს“ უზუნველყოფს, „შრომის თავისუფალ რეზიმს“ და შესაძლებლობას „გამოიმუშაოს პატივისცემა“. გარდა ამისა, **Ola** თავის მდლოლებს საშუალებას აძლევს გასამრჯელოსათვის გამოიყენონ კომპანიის ბრენდი, მანქანის იჯარით აყვანა შეუძლიათ 10-15 \$ დღეში. რეკლამა პირდება, რომ მდლოლები „მანქანის ტარებას ნულოვანი რისკით შეძლებენ“, თუკი დროებით გადაიხდიან დაახლოებით 56 \$ შენატანს უკან დაბრუნების გარეშე და შეიძენენ დაზღვევას (293 \$ დან 432 \$ მდე ღირებულების).

ნარატივი, რომელსაც ფირმა **Ola** წინწამონევს, პარტნიორ-მდლოლებს პოზიციონირებას უკეთებს, როგორც დამოუკიდებელ, უფლებამოსილების მქონე (**Self-empowered**) მუშაკებს, რომელიც თავისუფალი არიან ტრადიციული შრომის რეჟიმის შეზღუდვებისგან და შესაძლებლობას იქნიებენ განახორციელონ ბალანსი სხვადასხვა საინტერესო ამოცანათა შორის. გიგ-სამუშაო თვით-მართვის მიმზიდველ პერსპექტივებს თავაზობს, არსებული რესურსების კაპიტალიზაციას, პირდება, რომ ფირმის თანამშრომლებს მეტი დრო გაუჩნდებათ საოჯახო და სხვა საქმეებზე. შემდეგ, ფირმა აღფრთოვანებით გაუსვამს ხაზს, რომ თანამშრომლები დასაქმების მსგავს რეჟიმში დიდ კონტროლს ფლობენ თავისი სამუშაოს და პირადი ცხოვრების მრავალ ასპექტზე. თუმცადა, რეალობა ასეთი დაპირებებისაგან ხშირად ძალიან განსხვავდება. პირდაპირი მართვა, ადამიანის - ბოსის მიერ განხორციელებული, ჩანაცვლებულია უფრორე შენიდბული და ყველგანმყოფი კონტროლის ფორმებით, რომელიც რეალიზირდება ციფრული ალგორითმების მეშვეობით.

2019 წლის დეკემბერში ჟურნალმა **The Economic Times** გამოაქვეყნა შეტყობინება, რომ რაიდშერინგულმა ფირმამ **Ola** -მ სამუშაოდან დაითხოვა მუმბაიში მდლოლი მგზავრის საჩივრის საფუძველზე, რომელიც იუნიებოდა, რომ მდლოლს საჭესთან ჩასთვლიმა, რამაც ავტო საგზაო შემთხვევა გამოიწვია. მდლოლმა კი განაცხადა, რომ იგი შესვენების გარეშე საჭესთან იმყოფებოდა ოც (20) საათზე მეტხანს. ერთი შესედვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ ფირმის ქმედება, რომელიც დაითხოვს მდლოლს, მიმართულია მგზავრის და ასევე მდლოლის უსაფრთხოებაზე. მაგრამ ეს ეპიზოდი სტრუქტურული პრობლემების ილუსტრაციაა, რომელიც მახასიათებელია რაიდშერინგული სექტორისათვის და გიგ-ეკონომიკის მთელი კონტექსტისათვის. კერძოდ აქ იგულისხმება: შრომის

დაბალი ანაზღაურება, დასაქმების არცთუ უსაფრთხო პი-რობები, საკადრო გადაწყვეტილებების მიღებისას იურიდიუ-ლი პროცედურების არარსებობა. ჩანართში ციტირებული იყო მუშაკთა ორგანიზაციის წარმომადგენლის სიტყვა: „თუ-კი მძღოლები 14-15 საათზე ნაკლებს იმუშავებენ, ისეთი ფირმებისთვის, როგორიცაა **Ola, Uber** და სხვა, ისინი ვერ შეძლებენ მანქანის იჯარის საფასურის დაფარვას.“

გიგ-ეკონომიკის პლატფორმები ხშირად პოზიციონირ-დებიან როგორც მხოლოდ ტექნოლოგიური კომპანიები, რომლებიც აკავშირებენ ვინც საკუთარი შრომის გაყიდვის მსურველია და მიჰყიდვიან იმათ, ვინც საჭიროებს მომსახუ-რების შეძენას. ამ ლოგიკის თანახმად, რომელიც იკითხება იურისდიქციაში, პლატფორმები თავიან მუშაკებს განსაზ-ღვრავენ „ხელშეკრულების დამოუკიდებელ მონაწილეებად“, „თვითდასაქმებულებად“ და არა დაქირავებულ მუშებად. მსგავსი კატეგორიზაცია კუმულირებას უკეთებს კონტრო-ლის არსებულ მიმართებებს, რომელთა მეშვეობითაც პლატ-ფორმები განსაზღვრავენ შრომის პირობებს, ანაზღაურებას და უკეთებენ დემონსტრირებას ქსელური მართვის მაღალ ეფექტურ მეთოდებს. ასეთი წანამძღვრების ხარჯზე მზარდი რაოდენობის გიგ-მუშაკების შრომა კონტრაქტის შედგენისას არ მოექცევა შრომითი კანონმდებლობის ველში და ვერ გახ-დება სოციალური დაცვის ობიექტი. ასეთ მუშაკებს არ აქვთ უფლება ე.წ. საავადმყოფო ფურცელზე, ანაზღაურებად შვე-ბულებაზე და საპენსიონ დანარიცხებზე. პლატფორმები მუ-შაკებს გამოუქვითავენ თანხას მანქანის იჯარიდან, ტექ-მომსახურებიდან, ასევე გამოუქვითავენ დაზღვევას და საწ-ვავის ხარჯებს. მუშაკებს თავად აკისრიათ პასუხისმგებლო-ბა, დაითვალინ გადასახადები და გადაიხადონ. შრომის საა-თების არჩევანში მოქნილობა შერყეულია შრომის ანაზღაუ-რების შეკვეცით, რომელიც განაპირობა სამუშაო ძალის სწრაფად მზარდმა რიცხვმა, რომლის მართვასაც ახორციე-

ლებს პლატფორმა. გეიმიფიცირებული ციფრული სერვისი ამავდროულად ხელს უწყობს იმ მუშაკებს, ვინც მეტი საათი მუშაობენ. უფრო მეტი, მძლოლებს შეკვეთების მცირე რაოდენობით პლატფორმები არ აძლევენ უზრუნველყოფის გარანტიებს. სამუშაო ძალის გადაჭარბებული შეთავაზებისაგან მომსახურებაზე მოთხოვნა პერიოდულად დაბლა იწევს და ხელფასებს შორის მეტი ლოდინი ხდება საჭირო. სამუშაო ძალის გადაჭარბებული შეთავაზების შედეგი ასევე არის ის, რომ კლინტებს სერვისზე ლოდინი იშვიათად თუ უწევთ. ამ ფაქტორების გათვალისწინება მუშაკებს აიძულებთ აირჩიონ ხარგრძლივი სამუშაო სმენა. შედეგად კი იზრდება რისკი, მძლოლმა შეიძლება დააღალატოს თავის თავს, კლიენტს, აღმოჩნდეს რა სახითათო ვითარებაში, როგორც ჩვენ ეს ვნახეთ **Ola** -ს ფირმის მძლოლის მაგალითზე, ვისაც ჩასთვლიმა საჭესთან.

არც ფირმა **Ola**, არც ინდური კონტექსტი უნიკალური არაა. შრომის დაბალი ანაზღაურების მსგავსი პრობლემები და რისკისადმი მგრძნობელობა მახასიათებელია გლობალური გიგ-ეკონომიკისათვის. ეს პრობლემები შეიძლება გადაიჭრას სხვადასხვა დონეზე. აუცილებელია დაქირავებული მუშაკებისთვის სტატუსის რეგულირების დაწესება, ხოლო ციფრული პლატფორმებისათვის ვალდებულებების განსაზღვრა. საპროტესტო მოძრაობები, მუშაკთა ორგანიზაციები და მესამე მხარე სწორედ ამ მოთხოვნებს წამოწევენ წინ, ცდილობენ რა ცნობიერების დონის ამაღლებას, პრობლემების გააზრებას, უფრო სამართლიანი პრაქტიკის სტიმულირებას გიგ-ეკონომიკის სფეროში.

ზემოთ აღნერილი მოთხოვნის სტილში იყო დაფუძნებული 2018 წელს ღირსეული სამუშაოს ფონდი (**Fairwork Foundation**), ოქსფორდის უნივერსიტეტის სააქციონრო კვლევითი პროექტი. პროექტი გულისხმობს სოციალურ

მკვლევართა თანამშრომლობას შრომითი სამართლის წარმომადგენლებთან, რომელნიც თავის მხრივ გიგ-ეკონომიკის არასამართლიან პრაქტიკებს შეისწავლიან. საფუძველზე იმ მონაცემებისა, რომლებიც გიგ-მუშაკების ინტერვიუირების ხარჯზე მოიპოვეს აფრიკა, აზიასა და ევროპაში, იგულისხმება სამასზე (300) მეტი ადამიანი, გაუკეთეს ფორმულირება ღირსეული ციფრული პლატფორმის ხუთ (5) პრინციპს:

- ✓ ღირსეული ანაზღაურება
- ✓ ღირსეული პირობები
- ✓ ღირსეული კონტრაქტები
- ✓ ღირსეული მართვა
- ✓ ღირსეული რეპრეზენტაციები

აწარმოებენ წლიური ციკლის პანელურ კვლევას, რომლის მიზანიც გახდავთ გიგ-ეკონომიკის პლატფორმების შეფასება მოცემულ პრინციპებთან შესაბამისობაში. კვლევა გულისხმობს პლატფორმის მუშაკებთან და პლატფორმის მენეჯმენტთან ინტერვიუს გაძლილას. შემდეგ მათ საქმიანობას ათესულიანი (10) შეკალით აფასებენ და ეს შეფასებები გამოაქვთ ინდივიდუალურ სერთიფიკატებზე, რეიტინგის ცხრილებზე, ამის ხარჯზე კი ხდება ფირმის რეიტინგის დემონსტრირება „ღირსეული შრომის შეკალაზე“. თითოეული ხუთი პრინციპისათვის ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ზღვრულ მნიშვნელობებს შეიმუშავებენ (მაგალითად, „ღირსეული ანაზღაურების“ ოპერაციონალიზირება სხვადასხვა კონტექსტში განსხვავებულად ხდება). პლატფორმებმა კარგი მაჩვენებლები სარეკლამო მიზნებითაც შეიძლება გამოიყენონ, ანუ, სიმბოლო, შემუშავებული, რაც ღირსეული დამსაქმებლის შეკალაზე მათ რანგს მონიშნავს.

ცდილობენ ისეთი მიდგომა შეიმუშაონ, რომელიც მუშაკებს, ფირმებს, მომხმარებლებს, მაკონტროლობელ სტრუქტურებს მისცემს საშუალებას შეექმნათ წარმოდგენა

პლატფორმების ეკონომიკაზე, რომელიც დანაპირებს ასრულებს დასაქმებულობის ზრდის თაობაზე, ცხოვრების მდგრად უზრუნველყოფასა და მუშაკების უფლებამოსილების ზრდაზე (სრუჯანა კატა, კელი ხაუსონი, მარკ გრემი).

კლიენტის საჩივარზე პასუხად ფირმა *Ola*-მ მძღოლის მისამართით მიიღო მყისიერი დისციპლინარული და კორექტირებადი ზომები. ისკიარადა, მოსთხოვა კიდევაც მიემართა სამედიცინო სამსახურისათვის. თუმცა, შესაძლოა ყველა-ფერში მძღოლის დადანაშაულება არ ღირდეს. აზრი აქვს კი ადამიანს რჩევები მისცე ნაკლებად დაიღალოს ან ნაკლებად დამოკიდებული იყოს შემოსავლის დამთრგუნველ წყაროზე? თუკი *Ola* და ანალოგიური პლატფორმები აქტიურად მოახდენენ თავიანთ მენეჯმენტში ღირსეული სამუშაოს პრინციპების ინკორპორირებას, ამბობენ მკვლევრები, მივაღწევთ შრომის უფრო ღირსეულ და უსაფრთხო პირობებს გიგ-ეკონომიკის მუშაკებისათვის. მუშაკები, ვინც უფრო ღირსეულ ანაზღაურებას ღებულობენ, მუშაობენ შესაბამისად პლატფორმებზე, რომელშიც ჩაშენებული აღარაა ბონუს-სტრუქტურა (რაც აქეზებს ზე-დასაქმებას), დამღლელი სამუშაო დღის ბოლოს დიდი ალბათობით იტყვიან უარს კიდევ ერთ შეკვეთაზე.

როცა მუშაკებისათვის ფირმის ვალდებულებები ცნობილია, ისინი მეტი ალბათობით ფხიზელი თვალით აფასებენ კონტრაქტის ხელმოწერის წინ შესაძლებლობებს. პლატფორმაზე მიწერილ მუშაკებს, ვინც მენეჯმენტის პროცედურულ წესებს მისდევენ, იმ შემთხვევაში შეეძლებათ აპელაცია, თუკი მათი მისამართით გაუმართლებელ დისციპლინარულ ზომებს მიიღებენ. ისინი, ასევე შეძლებენ მოთხოვნას, რომ მათი შემთხვევა ღიად სასამართლო უწყებაში იყოს განხილული. ის მუშაკები, რომლებიც მოახრეხებენ კოლექტიური ორგანიზაციის შექმნას, რომელსაც თავისი მხრივ პლატ-

ფორმები აღიარებენ, შეძლებენ მოითხოვონ საკუთარი პირობებით უფრო სამართლიანი კონტრაქტის დადება. მაგრამ, დღემდე ყველაფერი არის სხვაგვარად. *Ola* და სხვა პლატფორმების უმეტესობა რიკსების აუტსორსინგსა და ხარჯებს მუშაკებისთვის წარმატებულად ახორციელებენ. პლატფორმების მენეჯმენტი შრომის არახელსაყრელ პირობებზე, იმათვის ვისაც ქირაობს, არის პასუხისმგებელი.

შრომის პირობების რისკებთან დაუცველი შერწყმა არაა ბუნებრივი, აუცილებელი ანდა მისაღები პირობა თანამედროვე ეკნომიკების ციფრული პლატფორმების. შრომითი სამართალი, რაც მუშათა კლასს მოუპვებია მრავალწლიანი ჯაფით, ციფრული ეკონომიკის ჭყვიანი მენეჯმენტის მხრიდან დღეს არის საფრთხის ქვეშ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრს აღარ სჯერა, თითქოს იყოს ალტერნატივები ამ სფეროში დასაქმებულთათვის, რომ პლატფორმები რჩებიან მოუწყლვადნი და სრულიად ხელშეუხებელნი მუშაკების ზენოლისაგან, საჭიროა ვალიაროთ, ციფრული მენეჯმენტი საზოგადოებრივი აზრის მიმართ მეტად მგრძნობიარეა. პლატფორმის მომხმარებლები, ისევე როგორც მუშაკები, კლინეტები ასევე, ძალაუფლების გაცილებით დიდ რესურსს ფლობენ, ვიდრე ჩვენ ეს გვივნია. საბოლოოდ ისინი შეძლებენ თავიანთი შრომითი პირობების გაუმჯობესებას.

კოვიდ-რეალობამ მოყოლებული 2020 წლის იანვრიდან ქართულ ბაზარზეც, დიდ ქალაქებში და მითუფრო თბილოსის მასშტაბით გაიზარდა მოთხოვნა ტაქსის მომსახურებაზე. როდესაც იყო ლამის თვეები აკრძალვა საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და მოქალაქეებს გვიწევდა ნაკლები სიხშირით, თუმცა მაინც რეგულარულად ქალაქში მოძრაობა ერთი წერტილიდან საკმაოდ შორს ტერიტორიალურად მყოფი ქალაქის მეორე წერტილამდე, გვერჩვინა ერთდაიგივე ტაქსით მომსახურების სერვისი. პირადად მე, ავტორი წიგნის, ვსარგებლობდი კორონა რეალობის პირობებში, თბილისურ

ავტო-მომსახურების ბაზარზე წლებია არსებული ფირმით, „მაქსიმი“, რომელიც ვებში წარმოდგენილია შესაბამისი აპლიკაციით. მისი ჩამოტვირთვა, გააქტიურება შეიძლება როგორც სმარტფონზე, ასევე ექსპოლუატაცია კომპიუტერით ან რაიმე სხვა ხელსაწყოდან, როემლსაც აქვს წვდომა ინტერნეტთან. დანიშნულების ადგილამდე მგზავრობისას გზად არაეთხლ დამისვამს მძღოლისთვის შეკითხვა, რა პროცედურები გაიარეს კომპანია მაქსიმში მოსახვლელად? იყო ეს საკუთარი ავტომობილი, თუ დამსაქმებელმა გამოუყო უშაულოდ? იქნებ იჯარით სთხოვეს აღება? როგორც ზემოთ შევისწავლიდით „გლობალური დიალოგში“ გაშუქებული მასალის პარალეურად, მათაც ხომ არ უწევდათ თვიურად იჯარის პროცენტის დაფარვა? რამდენი საათი უნდა ემუშავათ? ზოგადად რამდენი მგაზვრი იყო საჭირო ე.წ., დღიური ნორმის შესასრულებლად?

„გლობალური დიალოგის“ უახლეს დისკუსიებში აქტუალურია კრიპტოვალუტა, ელექტორნული ვალუტა, როგორც ახალი სოციო-ეკონომიკური მოვლენა, რაც მსოფლიო მასშტაბით ეკონომიკური ინდუსტრიის სრულ ტრანსფორმაციას გვპირდება. დარგის სპეციალისტები ფიქრობენ, რომ მის კვალდაკვალ საფინანსო ინდუსტრიაში თითოეული მოქალაქისათვის თანაბარ ფეხზე მონაწილეობის შესაძლებლობა, ჩართვა იქნება გარანტირებული. განიხილავენ სოციალურ ქსელებზე თანხის მოძრაობის, სერვირების, გადახდის შესაძლებლოებს, პერსპექტივებს. მსგავსი კვლევები, პუბლიკაციები განსაკუთრებით შეეხება fb მიერ მოცემული ფუნქციით თავის მომსახურების სფეროს გაფართოვებას. მავანი (ცხადია, არა ყველა) აკრიტიკებენ სოციალური ქსელის ფუძემდებელსა და მფლობელს, რომ fb ტოტალურად დიდი ხანია მსოფლიოს მასშტაბით მთელი მოსახლეობის უკიდურესად სენსიტიურად კვალიფიცირებულ ინფორმაციასაც კი (როგო-

რიცაა თუნდაც პირადი მიმოწერა ჩატში) აგროვებს და განკარგავს უპირობოდ. ალნიშნული ინფორმაციის ფლობა გადის სხვ მომხმარებელების, ყოველ შემთხვევაში ირიბად მაინც ფინანსური მიზნებით მანიპულირებასა და კონტროლზე.

გლობალურ დიალოგში დაბეჭდილი პუბლიკაციებიდან ციფრულ ეკონომიკაზე ყველაზე საინტერესოა **ლევიო სკატოლინის** (**რიო-დე-ჟანეიროს შტატის უნივერსიტეტი, ბრა-ლიზია**) მიერ მომზადებული მასალა.

ზოგადად კრიპტოვალუტას თანდევს იმედი უფრო დე-მოკრატული ფინანსური სისტემის შექმნის.

არიან ადამიანები, ვინც ეჭვით უყურებენ თანამედროვე კაპიტალიზმის ცივილიზაციურ მიღწევებს, ცალყად უყურებენ ასევე ე.წ. ციფრული და ინფორმაციული ეპოქის ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ დაპირებებს. ხელოვნური ინტელექტი, მანქანური სწავლება, მონაცემთა მსხვილი ბაზები, ე.წ. საგანთა ინტერნეტი,<sup>131</sup> ბლოკჩეინი, კრიპტოვალუ-

---

<sup>131</sup> ე.წ. **საგანთა ინტერნეტი**, – ესაა მოწყობილობების განვითარების შემდეგი დონე, რომელთაც შეუძლიათ უსადენო ტექნოლოგიების ქსელში ინტერნეტის მეშვეობით ანდა დახმარებით გაერთიანება. რეალური დროის რეზიმში ისინი ისინი გაცვლიან მონაცემებს, როგორც უშუალოდ, ერთ ფიზიკურ სივრცეში, ისე შორს მყოფი ონალინ-სერვისებით. ამ მოწყობილობებს უნარი შესწევთ იმუშაონ ავტომატურ რეჟიმში, მაგრამ მომხმარებელს შეუძლია მათი მართვა, მათ შორის დისტანციურადაც. ყველაზე მარტივი ინტერპრეტაცია, თუ რა არის **Internet of Things**, ამგვარად გამოიყურება: ესაა ქსელი, რომელშიც ურთიერთადაკვირებული მომხმარებლები კი არა, დანადგარები არიან. უნინ თუკი ინტერნტს უერთდებოდა კომპიუტერები, ნოუთბუკები (პერსონალური კომპიუტერები), სმარტფონები და პლანშეტები, ეხლა მას უკვე შესაძლებელია მოუერთო პრაქტიკულად ნებისმიერი მოწყობილობა, როგორიცაა სმარტ-საათები, ჭკვიანი საყოფაცხოვრებო ხელსაწყოები, მონაცემთა ცენტრი და ჭკვიანი ტანსაცმელიც კი, მათ

ტები, ისკიარადა სმარტფონები, ჩვენი სხეულების, სულების ერთგვარი გაგრძელება, განიხილებიან ახალი ეპოქის მახასი-ათებლებად. ისინი, ამავდროულად ჩამკეტი მექანიზმებია, იგულისხმება რომ მათგან მოსალოდნელია ადამიანებისთვის პერსპექტივების ველის მაქსიმალური შეზღუდვა. საკითხი უპრიანია დაისვას შემდეგი ფორმით: რატომ ხდება ისე, რომ გადაწყვეტილებები, სტუქტურები იმ იდეალებთან აცდენაში მოდიან, რაც ეკუთვნით პირველწყაროდ, ბიძგის მიმცემად. მათ ხშირად ჩვენი წარსულში გადასროლა ძალუძთ, იმედ-გაცრუების ტოტალურ ველში, თუმცა მაინც ახლი ფორმა-ტის ხარჯზე ეს ყველაფერი სხვა რანგის რეალობას შობს.

---

შორის თერმული წინდა, ფეხსაცმელი, ზენარი... განკუთვნილი მცივა-ნებისთვის.

პირველად ტერმინი „საგანთა ინტერნეტი“ გამოიყენა ამერიკელმა მკვლევარმა **კევინ ეჭტონმა**.

საიდენტიფიკაციო ნიშანი იმისთვის, რომ მოწყობილობა ნამდვილად განეკუთვნება „საგანთა ინტერნეტს“ ასეთია, მას ინტერნეტზე ძალუძს მიერთება დამოუკიდებლად ასევე დაკავშირება სხვა მსგავს მოწყობილობებთან და მათთვის მონაცემების გადაცემა. ასეთი მაგალითი: დავუშვათ გვაქვს სპორტული სამკლავური, ის ჩვენს ყოველ-დღიურ აქტივობაზე აგროვებს ინფორმაციას. ითვლის გადადგმული ნაბიჯების რაოდენობას, მაჯისცემის სიხშირეს ზომავს, გახარჯული კალორიების რაოდენობას ასევე განსაზღვრავს. ეს ინფორმაცია ბლუთუსით გადაეცემა სმარტფონს, ხოლო მასში კი გააქტიურებულია სპეციალური აპლიკაციაა. იგი მოწოდებულ მონაცემებს ახარის-ხებს და აგზავნის სერვერზე. შედეგები ინახება ლრუბელში, ეს კი შესაძლებელს ხდის თქვენი მხრიდან დინამიკაში მათ ნემისმიერი დროის მონაკვეთში შესწავლას: კვირის, ერთი თვის ანდა სხვა დროის შუალედში. შესაძლებელია თქვენ რაიმე სამედიკინო სერვისით გინევთ სარგებლობა, ეს ინფორმაცია იქნება ხელმისაწვდომი არა უშაულოდ თქვენთვის, არემედ თქვენი მკურნალი ექიმისათვის, ანუ პროფესიონალისთვის. თუკი მაჩვენებლი დასაშვებ ზღვარს გადასცდება, ექიმს სპარტფონზე, ანდა პლანშეტზე მიუვა შესატყვისი შეტყყობინება, რათა მოახდინოს დროული რეაგირება.

ჩვენს ირგვლივ მიმდინარე მოვლენების სოციალური საფუძველი ხშირად არის იგნორირებული. პირველი კრიპტოვალუტა იდეის დონეზე, რომელსაც ფართე გასავალი ჰქონდა, კერძოდ აქ ვლაპარაკობთ ბიტკოინზე, შეიძლებოდა განგვეხილა, როგორც პროტესტის ფორმა ტრადიციული ფინანსური სისტემების წარმოუდგენლად მომხვეჭლური და დანაშაულებრივი საქმიანობის. ზემოხსენებული საქმიანობის წესი, სამწუხაროდ მხარდაჭერილი და წაქეზებული იყო თითოეული ეროვნული სახელმწიფოს საზღვრებში. სწორედ ამან გამოიწვია 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი.

ბრიტანეთის მთავრობას განზრახული ჰქონდა 2009 წლის 3 იანვარს საბანკო დახმარების მეორე ტრანში გაეცა. პროტესტის ნიშნად გაზეთ Times მა დადო ანგარიში, რომ ამ თანხის ინსკრიპტობა მოხდა ბიტკოინში. ეს იყო სწორედ ამ მოდერნული წამოწყების პირველი მტკიცებულება. ტექნოლოგიური არქიტექტურა იმგვარად დააპროექტეს, რომ უნარი ჰქონოდა გახევებული, ტრადიციული ფინანსური სისტემების გაკონტროლების. „შუამავლები“, ვის გამოც ინდივიდუალურ მომხმარებლებს და არამრგო, კიდევ მეტი გასავალი ქონდათ, უნდა თამაშიდან გაემიჯნათ. მოქმედების თავისუფლება, ცხადია ფინანსური ოპერაციების დონეზე უნდა ქონდა მეტი უბრალო ადამიანს, როგორ მოქალაქეს, მთელ საზოგადოებას.

ტრადიციული ფინანსური სისტემის პრობლემა ინსტიტუციებზე ფუნდამენტურ დამოკიდებულებაშია. აქ იგულისხმება როგორც ტრანზაქციების ვალიდურობა, ასევე ვალუტის გამოშვება. ფინანსური დაწესებულებები, მაგალითად კერძო და ცენტრალური ბანკები, იძლევიან გარანტიას, რომ A ფლობს თანხის განსაზღვრულ რაოდენობას, ხოლო მას მერე, რაც ამ თანხას გადასცემს B ს, მედატ ვეღარ გამოიყენებს მას. ძალაუფლების დელეგირება ხდება ფინანსური ინსტიტუ-

ციებისათვის, რათა მათ ამოცანების შესრულება შეძლონ. თუმცა, დღეს ფინანსური ოპერაციები ლამის ოკლუტურის სფეროს განეკუთვნება, ისინი მოწყვეტილია ჩვენს ყოველ-დღიურობას, დისტანცირებულია. პოლისების მართვის გა-დამჭრელი ფაქტორი ნდობაა, მითუმეტეს სოციალური ფორ-მატის პირობებში. ამ დროს წარმოება ტოტალურად ექვემდე-ბარება გაცვლას, ე.ი. გარკვეული თანხის მისაღებად.

ე.წ. გროსბუხების<sup>132</sup> ქსელის შექმნის შესაძლებლობა, რომელსაც ყველა გამოიყენებდა ვისაც კი დასჭირდებოდა ჩართვა ფინანსურ ტრანზაქციებში, ისე რომ ყველა ტრან-ზაქცია ყოფილიყო ფიქსირებული და გ.ა. ვალიდური, გარან-ტირებული დახმარება თითოეული ციფრული კვანძისათვის, კონსესუსის მექანიზმები გარანტირებული მოსალოდნელი და დამაჯერებელი ჩანდა. განვმარტოთ, თუ მსგავსი ქსელი რატომაა ტოლერანტული. თუკი მისი ერთი კვანძი მოქმედე-ბას შეწყვეტს, მაინც არაფერი დაშავდება, ვინაიდან მას აქვს ე.წ. ჩაშენებული სისტემაში ვალუტის გამოშვების ფუნქცია, ასე დაახლოებით 21 მილიონი ბიტკოინი, ადამიანს ეძლევა შესაძლებლობა ტრანზაქცია განახორციელოს ელვისებუ-რად, ნებისმიერი გეოგრაფიული წერილიდან, ხელსაწყო, სერვერი ასევე არაა განსაზღვრული, მხოლოდ ინტერნეტზე წვდომა სავალდებულო. ელექტორნულ ველში ერთი კვანძის შეფერხება არაა მიზეზი ამ შეფერხების რიკოშეტით სხვა კვანძებზე გადაცემისა. სისტემა ნებისმიერ შემთხვევაში სხვა არხების ხარჯზე არის გამტარი.

განაწილების სისტემის კოორდინაციის არქიტექტურა, რაც არის საფუძველი ბიტკოინის, იმდენად მოქნილი აღმოჩ-ნდა, რომ დამოუკიდებელ ტექნოლოგიად ჩამოყალიბდა და

<sup>132</sup> გროსბუხი, ესაა ბაზისური ბუღალტერული წიგნი. აქაა გაერთია-ნებული ამონანერი ყველა ანგარიშიდან, ოპერაციები მიბმული შემო-სავალსა და აგრეთვე გასავალზე.

შემდეგ ამას მოყვა მთელი რიგი აპლიკაციების შექმნა, რაც იწოდება სწორედ რომ ბლოკჩენიად.

2019 წელს ბიტკოინის საბაზრო ფასმა მიაღწია 225 მილიარდ დოლარს და ეს შეადგენდა 120 მილიარდ ტრანზაქციას წელიწადში, ასახულს თავისივე ციფრულ ქსელში. ეს კონკრეტული ქსელი ფინანსურ სისტემას რევოლუციურად, ტოტალურად ასხვაფერებს. იბადება შეკითხვა, იგი ძალაუფლებას უბრალო, რიგით ადამიანებს აზიარებს? ასე მარტივად როდია საქმე. ტურბოლენტური და გაურკვეველი დასაწყისის შემდგომ, 2014 წლიდან ფინანსურმა ინსტიტუტებმა, კორპორაციებმა და ფინანსური ბაზრის მსხვილმა მოთამაშეებმა შეცვალეს თავინთი დამოკიდებულება კრიპტოვალუტი-სადმი და მასობრივად დაინყეს ინვესტირება მის შესწავლა/განვითარებაში. იდეალი იყო გამოწვევა რეალობისთვის. ქსელის უმრავლესობას შეადგენდა რიგითი მომხმარებელი თავისივე პერსონალური კომპიუტერით და სწორედ ისინი ახორციელებდნენ კონტროლს. პარალელურად ბიტკოინში საძიებო სამუშაოებს უძღვებიან უზარმაზარი ე.წ. ფერმები. ამ სახელწოდებით აღინიშნება დიდი და რთული სტრუქტურის მქონე კომპანიები, რომელთა განკარგულებაშიც არის ტექნიკა, ენერგია, რესურსები, რასაც შეიძლება დაერქვას კაპიტალი და რაც იძლევა საშუალებას გადამუშავდეს ე.წ. „მტკიცებულებითი სამუშაო“. ცხადია, უნდა ვახსენოთ ბოლოდროინდელი განახლება ფეისბუკზე. უმსხვილეს მსოფლიო კორპორაციებთან და ფინანსურ ინსტიტუტებთან ერთად, ეს მასშტაბური სოციალური ქსელი იმედოვნებს შექმნას თავისი კრიპტოვალუტა, ჭკვიანურად სახელდებული, როგორც „ლიბრა“, რათა მიაღწიოს მიზანს, დასახულს ბიტკოინის და სხვა კრიპტოვალუტების მხრიდან (ლაპარაკია, რომ იყოს მასიური მოხმარების საგანი). ჩვენ ამ პროცესის თანამონაწილე ვართ, უშუალოდ ვადევნებთ თვალს, თუ რო-

გორ შეიქმნა, განვითარდა პლატფორმა ამ უმსხვილესი სო-ციალური მედიისა. ბევრს მიაჩინა, რომ ფეისბუკი არასამ-რთლებრივად იყენებდა მილიარდობით ადამიანის ინდივი-დუალურ მონაცემებს წლების მანძილზე. ფეისბუკი უმსხვი-ლეს კომპანიებთან ალიანსში ერთიანდება და ქმნის საზოგა-დოების ისტორიაში ნამდვილ გლობალურ ბანკს. ამასთან, იგია კერძო საკუთრება და დეტალურად იცის ყოველივე თა-ვის მომხმარებელზე, პრიორიტეტების, განათლების, გემოვ-ნების, სიხარულიდან იმედგაცრუების და მომავლის გეგმე-ბის სახითაც კი.

ჩვენს მოქმედებებს ჭირდება სწორი ორინტაცია და ეს შესაძლებელია კრიტიკული ანალიზის ხარჯზე. ერთის მხრი-ვაა ფინანსური ინდუსტრიის პრობლემები, მეორეს მხრივ ნდობის ხარჯზე ცენტრალიზირებული ინსტიტუტები. მათ აკისრიათ შუამავლის როლი. აქტუალურია გადაწყვეტილება მოცემული სისტემის რეფორმირების, შექმნა ნდობის დე-ცენტრალიზირებული ქსელის. ფინანსური სისტემების პრობლემა მისი ფორმა როდია, პრობლემა მისი შინაარსია. ანუ არა გარეგანი, არამედ სიღრმისეული. ისმის შეკითხვა, შეიძლება საზოგადოება შუამავლების გარეშე დააფუძნო? გასათვალისინინებელია ამ დროს სოციალური შაუმავლობა. ასეთი არჩევანის წინაშე ვდგავართ, შუამავლობა ერთ მხა-რეს, როგორც ნდობის გარანტი, ხოლო მეორე მხარეს უშუა-ლოდ ფული, თანხა. განა ფული, თანხა არ ამკვიდრებს ცენ-ტრალიზირებულ ინსტიტუტებს, მათ ვერიფიკაცისა და ზრდას? ამ შინაგანმა ლოგიკამ არ უარყო ფულადი დაგრო-ვება, ხომ მისგან გამომდინარეა თანხის კონცენტრაცია და სისტემის ცენტრალიზაცია?

დღეს, სოციოლოგიაში ყველაზე საინტერესო, ჩემი გა-დასახედიდან ასე ჩანს, კონვიცილაიტური მანიფესტის ირ-გვლივ ატეხილი აჟიოტაჟი, რასაც აქტიურად აშუქებს სოცი-

ოლოგთა საერთაშორისო ასოციაცია (ISA) იმავე პერიოდი-კის ფურცლებზე. რამდენიმე წელია რაც შეიქმნა ვებ-გვერ-დი კონვივიალისტური ინიციატივის პროპაგანდისათვის, რომელზეც შეიძლება მანიფესტის („კეთილმეზობლური თა-ნაცხოვრების ხელოვნება“) ორივე, ძველი და განახლებული ტექსტების ნახვა, მათშორის სამ ენაზე, ფრანგული, გერმა-ნული და ინგლისური. ფრანგი მკვლევარი ნეო-ლიბერალიზ-მის კოსნტრუქციული და დაუღლელი კრიტიკოსი, **ელენ კე-იე**, პარიზ-ნანტერის უნივერსიტეტის ემერეტუსი, სოციო-ლოგის პროფესორი, რომელიც წიგნის დასაწყისში ერთერთ ქვეთავში მეტნაკლებად ასევე წარმოვადგინე.

რა არის კონვივიალიზმი? ზოგადად რას ეხება ე.წ. კონ-ვივიალისტური მანიფესტი? ესაა ახალი პოლიტიკური იდეო-ლოგია. კონვივიალისტური მანიფესტი ხელმოწერილია თით-ქმის სამასი ინტელექტუალის (ეკონომისტები, ფილოსოფო-სები, სოციოლოგები, საზოგადოებრივი აქტივისტები) კულ-ტურისა და ხელოვნების მოღვაწეების მხრიდან. ისინი კონვი-ვიალისტური ინტერნაციონალიზმის (სახელწოდება შეირჩა მანიფესტის კოლექტიური ავტორებისათვის) ერგვარ ბირთვს აყალიბებენ. აქ არაფორმალურ კავშირზეა ლაპარა-კი, ვინაიდან არც ოფისი, ორგანიზაციული სტურქტურა, რა-იმე სახის დაფინანსება (მითუფრო ბიუჯეტი), გარდა ვო-ლუნტარული ტიპის დამხარებისა არ გააჩნიათ. წევრები მა-ნიფესტს სხვა დანარჩენ ინტელექტუალთა შორის აქტიურად ავრცელებენ, იგულისხმება სოციალური აქტივისტები და შე-მოქმედებითი შრომით დაკავებული ადამიანები, ვინაც ით-ვლებიან ე.წ. შეხედულებების ლიდერებად და აფორმირებენ მსოფლიო დონეზე ე.წ. საზოგადოებრივ აზრს. უკვე რამდე-ნიმე ათწლეულია ჩვენ ვცხოვრობთ ნეოლიბერალური იდეო-ლოგის ზეგავლენა, პეგემონიის ქვეშ, როგორც იტყოდა

გრამში.<sup>133</sup> იგი ჩვენ ხელს გვიშლის აღვიქვათ ჩვენგან განსხვავებული სამყარო. ნეოლიტერალიზმი სრულიად ექვემდებარება რანტიეს<sup>134</sup> მიწერილობებს და სპეკულაციურ კაპიტალიზმს. მისთვის ნიშანდობლივი ლოგიკის ხარჯზე მსგავსი ჰეგემონია ბადებს უთანასწორობას, რაც დღითიდლე შიგნავს, ანადგურებს იდეალებს დემოკრატიის. ახალგაზრდებში თანდათან იშრიტება რწმენა დემოკრატიის, როგორც ღირებულებისადმი. ქვეყნები, რომელთაც 21-ე საუკუნეშიც დიქტატურასთან ჭიდაობა უნდევთ, უფრო არიან შეპყრობილი დემოკრატიის უპირობო ავტორიტეტის გაზიარებით. ცხადია ეს სამწუხარო ტენდენციაა. ისკიარადა ამბობს ალან კეიე, ესაა კატასტროფა. 1930 წლის ევროპაში რაც ხდებოდა, ის დღეს მთელი მსოფლიოსთვისაა აქტუალური პრობლემა. დამოკრატიას უდგას დაისი.<sup>135</sup> ყველაფერი რაც კრიტიკული

<sup>133</sup> **ანტონიო გრამში** (1891-1937), გრამშის ყველაზე ცნობილი თეორიული ნაშრომი ჰეგემონიის იდეას ეხება. გრამშის მიხედვით, ჰეგემონია „სოციალური მდგომარეობაა, სადაც სოციალური რეალობის ყველა ასპექტზე ერთი კლასი დომინირებს“, გრამშის ცნება ჰეგემონიაზე, სახელმწიფოსა და სოციალურ კვლავნარმოებაზე, კონკრეტულ შეხედულებებს ეფუძნება. მისთვის სახელმწიფო არ მართავს ძალის მეშვეობით, ის თანხმობის საფუძველზე მართავს, თუმცა ჯარსა და პოლიციას მაინც იყენებს. ერთი რამ კი ცხადია, თანხმობის ადგილი არის რთული და არათანაბარი.

<sup>134</sup> **რანტიე**, პირი, რომელიც ცხოვრობს რენტის ხარჯზე, ანუ შემოსავლებიდან, რომელიც მიეროდება კაპიტალის ხარჯზე, რომელიც როგორც წესი განთავსებულია საბანკო შენატანზე, ფასიან ქაღალდებზე, მომგებიანი უძრავი ქონებიდან, მიწიდან, ბიზნესიდან, ასევე სემოსავლიდან რასაც იძლევა საავტორო უფლებები და ჰონორარი.

<sup>135</sup> ცხადია, ესაა ამ კონკრეტული ავტორის მოსაზრება, რასაც მართალია ყავს მომხრები, მაგრამ აუცილებელი არაა დაეთანხმოს მეოთხელი, ან მევე თავად, ეს ყველაფერი გავიზიარო როგორც მოცემულობა.

აზროვნების სფეროს განეკუთვნება, სოციოლოგიის ჩათვლით, შესაძლოა გაქრეს.

ნეოლიბერალური იდეოლოგია<sup>136</sup> რატომ მიიჩნევა ასეთ მძლავ წინაღობად ე.ნ. კონვივიალიზმის მიმდევრებისთვის? საინტერესოა თვითონ რას მანქერენ ნეოლიბერლიაზმის სიძლიერეს. ალენ კეიე ყვება „გლობალური დიალოგის“ ფურცლებზე ინტერვიუში სოციოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის - ISA - პრეზიდენტ, სარი ხანაფთაძე<sup>137</sup>, იგი ჯერ ერთი მხარდაჭერილია მასმედიის მხრიდან, გიგანტური, პოლიციური, ხანდახან კრიმინალური რესურსებითაც კი. არის სხვა ფაქტორიც. დღესდღეობით არ არსებობს ალტერნატიული იდეოლოგია, თანმიმდევრული იდეების, კოცეფციების, თეორიების, ღირებულელების ნაკრები, რასაც ექნებოდა მა-ინტეგრირებელი ძალა. ადამიანები სიახლეებისკენ მიისწრაფვიან, სამყარო მართული ცალსახად ფინანსური და სპეკულატური ლოგიკით, არ იწვევს მათ ნდობას. პლანეტა კლიმატური და ეკოლოგიური კატასტროფის ზღვარზეა. მდიდარ

<sup>136</sup> რაც შეეხება ანალიზს ნეოლიბერალიზმის, როგორც ეკონომიკური თეორიის და პოლიტიკური იდეოლოლოგიის, ქართულ აკადემიურ სივრცეში, ყველაზე კვალიფიციურად ქონდა თავის დროზე და დღესაც ვერავის გაუწევი კონკურენცია, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, უშაულოდ პოლიტ-ეკონომისტს, 80-იან წლებში თსუ პროფესორს, რომელმაც თავისი ბიოგრაფიის ბოლო 3 ათეული წელი გერმანიში გაატარა, ტარელ გელანტია (1951-2019). მისი დისერტაციის თემა გახდათ სწორედ „ნეოლიბერალური ეკონომიკური თეორია“. დამუშავებული ლიტერატურა ასევე, არის მნიშვნელოვანი. გერმანელი ავტორები ძირითადად, ამასთან ტექსტები ორიგინალში... შეიძლება ნახვა საჯარო ბიბლიოთეკის არქივში, რაც სადისერტაციო ნაშრომებისთვისაა განკუთვნილი.

<sup>137</sup> სარი ხანაფი, ბეირუთის ამერიკული უნივერსიტეტი, ლიბან. სოციოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტად არჩეულია 2018-2020 წლის ვადით.

ქვეყნებში ახალგაზრდები მეტად აცნობიერებენ ეკოლოგიური რისკის უცილობელ ხასიათს. თუმცა, იმის გაგება მაინც უჭირთ, რომ ამისი შეჩერება შეულძლიათ გონივრული ძალისხმევით, თანმიმდევრული ღონისძიებებით. პირველ რიგში ნეოლიბერალზმის ჰეგემონია უნდა დასრულდეს. დემოკრატიულ წარმოსახვას ჭირდება ახალი სიცოცხლე.

ტერმინი „კონვივიალიზმი“ მინიმუმ შეიძლება განვიხილოთ როგორც ცარიელი ნიშანი, „მანა“.<sup>138</sup> იგია იმედის სიმბოლო, რომ ახალი იდეოლოგია, უ.ზ. ინტელექტუალური კონცეფცია, რომლიც მიხედვით ყველა, ვინც მზადაა საფუძველი დაუდოს პოსტ-ნეოლიბერალურ სამყაროს, ამ ტერმინში სიყვარულით ჩადებს თავისი სურვილის და ინტერესის წილს.

ეხლა მეორე საკითხი, თუ არის ცნება „კონვივიალიზმი“ რელევანტური? და მართლაა განა ნეო-ლიბერალზმი ასეთი პრობლემა? ინგლისურ, ფრანგულ ენებში, აზუსტებს ალენ კეიე, კონვივიალურობა ესაა ხელოვნება მეგობრებთან ერთად კომფორტულ გარემოში ნადიმის. აქვს მეტად სასიამოვნო კონოტაცია და განიზიდავს პოტენციურ მოწინააღმდეგებს. მშვიდობიანი, კეთილმეზობლური თანაცხოვრების აღსანიშნავად შეირჩა მსგავსი ტერმინი, სრულიად პლანეტის მასშტაბით ამხანაგობა რომ გვწყუროდა ამის ხაზგასასმელადო, თანდასხენს იდეის ინიციატორი. ზოგადად როგორ უნდა ითანამშრომლონ ადამიანებმა, თუკი ინტერესების გამიჯვნის ხარჯზე წინააღმდეგობაში იმყოფებიან? როგორც მარსელ მოსმა<sup>139</sup> თავის დროზე აღნიშნა, უბრალოდ არ

<sup>138</sup> კლოდ ლევი სტროსის მიხედვით.

<sup>139</sup> მარსელ მოსმი (1872-1950), ფრანგი ეთნოგრაფი, სოციოლოგი. ემილ დიურკემი ბიძად ეკუთვნოდა და გარდა ამისა, იყო მისი მოსწავლე. 1925 წელს მეტად საინტერესო ნაშრომი გამოაქვეყნა, „მონახაზი ნაჩუქრობაზე; არქაულ საზოგადოებებში გაცვლის საფუძველი და 204

უნდა დახოცონ ერთმანეთი. ზოგიერთმა მეცნიერმა თქვა უარი კოვივიალისტური მანიფესტის ხელმოწერაზე. მათი გადასახელიდან ნეოლბერალიზმი არადა, პოპულიზმი კია პრობლემა.

ალენ კეი გვიზიარებს თავის გამოცდილებას, რომელიც ააგო სოციოლოგიაში კლასიკოსების, მარქსი კარლ, ტოკვილი ალექსის, ვებერი მაქს, დიურკემი ემილ და ა.შ. საკვანძო შრომების გათვალისწინებით. ისინი აყავს მორალური და პოლიტიკური ფილოსოფიის რანგში. სოციოლოგის მამები ნაზიარები ცხადია იყვენენ ანთროპოლოგიას და შესაბამისად ეფუძნებოდნენ წარსული საზოგადოებების გამოცდილებას. ისტორიის გარიურაჟზე ადამიანური ერთობების თვითორგანიზაცია ასე დეტალურად რომელიც გადმოგვცა მარსელ მოსმა, სასარგებლოა ძალიან ანალიტიკური ჩაღრმავებისთვის. ერთის მხრივ, გაცემა (გალება), მეორეს მხრივ, მიღება, ფენომენოლოგიური ტრადიციით რაც ჩუქებად იწოდება, ხშირად როდი ავლენს ალტრუიზმს ე.ნ. მყარი ბირთვით. ეს ხშირად უბრალოდ გაცვლაა, კალკულაცია, ბულალტერია, მარტივად თუ ვიტყვით, ანგარება. ერთ-ერთ ნაწარმოებში, **Измайл-Бей**, რუსი პოეტი მ.ი. ლერმონტოვი წერს, „**Верна там дружба, но вернее мщенье; Там за добро – добро, и кровь – за кровь, И ненависть безмерна, как любовь.**“ ასეთ დროს ვრნებუნდებით, რომ ნეგატიურის გაცვლა ხანდახან უფროა გულწრფელი და აქვს ნამდვილად „მყარი ბირთვით“. როგორ უნდა მივაღწიოთ,

---

ფორმა“. ძირითადად მისი კვლევების ხაზი ამ წიგნიდან უნდა ვეძიოთ. ადამიანთა შორის გაცვლის საფუძველი მხოლოდ ლამაზ ქალალში გახვეული საჩუქარი როდია, გაცვლას ექვედებარება ყველაფერი, ღიმილიდან დაწყებული თავად უხეშობაც... ნიშანდობლივია ამას რითი და როგორ ახსნის მეცნიერი, მითუფრო სოციოლოგი, რომელიც ასე ვთქვათ, დარგს თავად ლეგენდარულმა ემილ დიურკემმა აზიარა.

რომ გაცვლის საფუძველი იყოს უმტკივნეულო? არის ასეთი გერმანული მუსიკალური ჯგუფი, პოლულარული მეტად, ვერცხლისფერი მთვარე, ანუ SilberMond. მათი სიმღერის ტექსტები არის ფაქტიურად სამოქალაქო თვითშეგნების ასამაღლებლად, ტოლერანტობის ხარისხის გასაზრდელად, ზომიერი, მოკრძალებული და არა მომხვეჭლური, ვერცხლისმოყვარე ადამიანისთვის შესატყვისი ცხოვრების, მნიშვნელოვანი სოციალური იდეების პროპაგანდა. აქვთ ასეთი ძალიან ლამაზი სიმღერა, ნათელი ტექსტით, „მსუბუქი აბგა“, რაც გერმანულად უღერს ამგვარად, „Leichtes Gepaeckt“. ფაქტიურიად რა არის იდეა კონვივიალიზმის და რის გამოც ეს ხალხი იწუნებს ნეო-ლიბერალურ მიდგომას, ტექსტში მოცემული სიმღერისა ჩანს ძალიან გასაგებად. ადამიანი, რასაც ცხოვრების გზაზე იჭინთება და აგრესიული ძალისხმევით თავის „ბუდეში“ როგორც ლამის კაჭკაჭი ეზიდება, 99 % არაა საჭირო. ზედმეტია. ადამინები შეაჩინესო სიხარბეს, დაგროვების უინით გახადესო დაავედული და შესაბამისად, გაუჩნდათო ეჭვი, რომ ამ გზაზე, ანუ ველური კონკურენციისა, მისაღებია იმის დავიწყება, რომ სხვა, მოყვასი უნდა იყოს „არა მხოლოდ საშუალება, არამედ მიზანი.“<sup>140</sup> კონვივიალისტური მანიფესტი 2019 წლის 4 თებერვალს ხელმოწერილია საქრისტიანოს სახელით პაპი ფრანცისკის მიერ; დიდი იმამი ალ-აზხარისა (ეგვიპტე) და ახმად ალ-ტაიებისგან ასევე, მუსულმანური სამყაროს სახელით. ალენ კეიე დასძენს, რომ არ ჩანს მისთვის მიზეზი, რატომ იგივე დოკუმენტი, რომელიც პროპაგანდას უწევს ზომიერი ცხოვრების წესს; მშვიდობას ადამინთა შორის; ბუნების მოვლის, გაფრთხილების საჭიროებას შეგვახსენებს, რომ იყოს ხელმოწერილი ასევე პროტესტანტების, ბუდისტების, იუ-

<sup>140</sup> იმანულე კანტის ცნობილი მორალური იმპერატივი.

დაველების და სხვა კონფესიების მორალური ავტორიტეტების მიერ. ამბობენ ისინი, კონვივიალისტები, უნდა შეიქმნას ზოგადსაკაცობრიო სოლიდარობის ასაამბლეა. იგი უნდა და-აკომპლექტონო მსოფლიო სამოქალაქო საზოგადოების წარ-მომადგენლებმა, ფილოსოფოსებმა, ე.ნ. ზუსტი მეცნიერების ადეპტებმა, ჰუმანიტარული და სოციალური ცოდნის, სხვა-დასხვა ეთიკური, სულიერი, რელიგიური პრაქტიკების გა-მოცდილმა სუბიექტებმა, რომლებიც თავინთი ხედვით ამ ახალ ინიციატივას იზიარებენ. ალენ კეიე ფიქრობს, რომ მო-ცემული ინიციატივა მათ შორის თავის თავზე შეუძლია იტ-ვირთოს სოციოლოგთა საერთაშორისო ასოციაციამ (ISA). ცხადია ბოლოს იმაზეცაა ლაპარაკი, ამ მანიფესტის თეზისე-ბი რითია საინტერესო გლობალური სამხრეთისათვის? ამ ქვეყნებში ტარდება კი რაიმე მოკვლევა? აღმოჩნდა, რომ დი-დი ნაწილი სარედაქციო, წერილობითი სამუშაოსი იმთავით-ვე იყო ჩრდილოეთში შესრულებული. უნდა გაკეთდეს შესა-ბამისად წერილობითი ტექსტების თარგმანები პორტუგალი-ურად, ესპანურად, იტალიურად, იაპონურად. უნდა წააკით-ხონ, აპირებენ ამას, არგენტინაში, ბრზილიასა და მექსიკაში, ინდოეთში, აფრიკაში და ა.შ. ასევე იქნებოდა არაბულ ენებ-ზე თარგმანი მნიშვნელოვანი. როგორც ვხედავთ, მიუხედა-ვად ოდნავი პათოსისა კონვივიალისტები აქცენტს კონკრე-ტულ სამ - მეტად აქტუალურ დღეს - საკითხზე აკეთებენ. ესენია:

✓ ეკოლოგიური, ანუ ბუნების დაცვა გამოხატული ბუ-ნებრივი რესურსების - მათ შორის სასარგებლო წიაღისეუ-ლის - შეძლებისდაგავარად მინიმალური ექსპლუატაციით.

✓ ეკომონიკური, რაც გულისხმობს იმის გააზრებას, რომ კაპიტალიზმი არ დაიყვანება მომხვეჭველობის და ვერ-ცხლისმოყვარეობის ლოგიკაზე. ქონამ არ უნდა ჩაანაცვლოს ყოფნა, და ადამიანები საბაზრო გაცვლის პროცესში უნდა

შენარჩუნდნენ ნებისმიერი პოზიციის მხრიდან, როგორც მიზანი და ამავე დროს საშუალება.

√ პოლიტიკური, გააზრება იმისა, რომ ჩვენ კვლავ კოლონიალისტური ლოგიკა გვამოძრავებს, ამჯერად პოსტ-კოლონიალიზმთან გვაქვს საქმე.

არის კიდევ რამდენიმე სხვა საკითხი:

√ გენდერული

√ სუბკულტურული

√ კულტურული

ისინიც ცხადია, წარმოდგენილია მანიფსეტის ტექსტში გაშლილად.

## ტ ე რ მ ი ნ ე ბ ი

**ადაპტაცია -** გრძნობის ორგანოების და მთლიანად ორგანიზმის შეგუება არსებობის ცვალებად პირობებთან. ბილოგიდან გადააქვთ სოციო-ბილოგიასა და ასევე სოციოლოგიაში და ამ დროს შემგუებლობის ხარისხი სანოტიკურისა არა უძრალოდ ცოცხალი ორგანიზმების დონეზე, არამედ განსჯის უნარის მქონე დამოუკიდებლად მოქმედი ინდივიდებისა და სხვადასხვა შემცველობისა თუ სიდიდის სოციალური ერთობების, ზოგადად საზოგადოებისთვის.

**ალგაციური და ავტორიტარული რესურსები -** ალგაციური რესურსები არის საშუალება, ინდივიდმა დაიქვემდებაროს და განკარგოს მატერიალური ობიექტი(ები). ესენია, წარმოების საშუალებები, ნედლეული, სამრეწველო პროდუქტი; ავტორიტარული რესურსები არის საშუალება, აკონტროლო სხვა ინდივიდების მოღვაწეობა. იგი ზოგადად არამატერიალური სახის რესურსია, მაგალითად, ადამიანთაშორისი ორგანიზაცია, ადამიანთა სასიცოცხლო შანსები, ერთის უნარი იყოს მეორის მიმართ დომინანტური იყოს.

ორივე ტიპის რესურსი ქმედითია მხოლოდ ადამიანთაშორისი ურთიერთობების ჭრილში.

**ანარქიზმი -** ზოგადი სახელწოდება რიგი შეხედულებათა სისტემისა, რომელიც ადამიანის თავისუფლებას ეფუძნება. ანარქიზმი უარყოფს მართვის მაიძულებელ კომპონენტს და ადამიანის ძალაუფლება ადამიანზე მიაჩნია მიუღებელი.

**ანომია -** უკავშირდება ემილ დიურკემის სახელს. მოიაზრება იმთავითვე დაავადებული საზოგადოების სინდირომად, რომლის ინდიკატორიცაა სოციუმში ინდივიდების ინტეგრირების ხარისხის ტოტალური ვარდნა. ემილ დიურკემის მიხედვით, ანომია ინდივიდუალურ დონეზე შეიძლება გახდეს მიზეზი თვითმკვლელობის, რომელიც არ იქნება კორელაციაში ინიციატორის ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან. ტერმინის ცნობილი მოდიფიცირება, გაშლა გარვეულ თეორიად ეკუთვნის რობერტ მერტონს.

**არტეფაქტი** – ადამიანის შემოქმედებითი მოღვაწეობის პროდუქტი. არტეფაქტების მთელი ნაირსახეობა გვეძლევა - კულტურული არტეფაქტი, არტეფაქტი მეცნირებაში, არტეფაქტი არქეოლოგიაში, არტეფაქტი პროგრამირებაში, არტეფაქტი UML ენის მოდელირებისას, არტეფაქტი პროექტების მართვაში, არტეფაქტი კოდირების თეორიაში, არტეფაქტი ფოტოზე და ციფრულ გამოსახულებაზე, არტეფაქტი ე.ნ. ფენტეზიში.

**აუტსორსინგი** – გარეგანი წყაროს გამოყენება. ორგანიზაციის მხრიდან, ხელშეკრულების საფუძველზე სამეწარმეო საქმიანობის გარკვეული ნაწილის – უფლებამოსილების სახით – სხვა იურიდიული პირისათვის გადაცემა.

**აქსიოლოგია** – ფილოსოფიური მოძღვრება ლირებულებების შესახებ.

**ბაიტი** – ციფრული ინფორმაციის დამუშავებისა და შენახვის ერთეული. ე.ნ. ბიტების ერთობლიობა, რაც კომპიუტერის მიერ ერთდროულად მუშავდება. თანამედროვე გამოთვლით სისტემებში ბაიტი შედეგად 8 ბიტისაგან, შესაბამისად შეუძლია 0 დან 255 მდე სხვადასხვა მნიშვნელობის შეძენა (მდგომარეობის, კოდის).

**ბიტკოინი** – დეცენტრალიზირებული გადახდის სისტემა. ამ სისტემის ფუნქციონირებისათვის გამოიყენება კრიპტოგრაფიული მეთოდი. სისტემის ადრესატების შორის ტრანზაქციების შესახებ ყველა ინფორმაცია ხელმისაწვდომია.

ყველაზე მცირე გადაცემადი სიდიდე გახლავთ  $10^{-8}$  ბიტკოინი. ელექტრონული გადახდა ორ პირს შორის მიმდნარეობს შუამავლების გარეშე. პროცესი შეუქცევადია და არ არსებობს მექანიზმი დაფიქსირებული ოპერაციის გაუქმების.

**ბიუროკრატია** – სისტემა მართული, განხორციელებული აპარატის მიერ, რომელიც საზოგადოებაზე ზემოთ დგას.

ბიუროკრატია თავისში გულისხმობს სისტემაზიტაციას და მოსახლეობის მომსახურების მიღების განსაკუთრებულ ნესრიგს

სახელმწიფოს მხრიდან (ცნობები, დოკუმენტები და მსგავსი) საჯარო თუ სხვა ტიპის დაწესებულებებისაგან. ბიუროკრატიის ე.ნ. იდეალური ტიპების კლასიფიკაცია ეკუთვნის გერმანელ სოციოლოგს, მაქს ვებერს.

**ბლოკჩეინი** – ბლოკების განსაზღვრული წესების მიხედვით აწყობილი უწყვეტი და თანმიმდევრული ჯაჭვი, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას. კავშირი ამ ბლოკებს შორის უზრუნველიყოფა არა მხოლოდ ნუ-მერაციის ხარჯზე, არამედ იმითაც, რომ თითოეული ბლოკი მოიცავთ თავის ჰეჩ-თანხას, და ჰეჩ თანხას წინამდებარე ბლოკის. ბლოკ-ში ნებისმიერი ინფორმაციის შეცვლა, შეცვლის მისავე ჰეჩ-თანხას. ამასთან წინამდებარე ბლოკები ხელშეუხებელი რჩება.

**Bildungsroman** – ესაა ჟანრი ლიტერატურაში, როდესაც პერსონაჟის ფსქიოლოგიურ და მორალურ ზრდას ექცევა მეტი ყურადღება და წიგნს ლაიტმოტივად გასდევს პერსონაჟის მთელი ცხოვრების გზა.

**გაზომვის ინდიკატორი** – ამათუმ სოციალური მოვლენის, ფაქტის დაკვირვებისა და გაზომვისათვის საჭირო ტექნიკური საშაულება. ემპირიული სოციულოგიური გამოკვლევების შედეგები ვალიდური ვერ იქნება, თუკი ინდიკატორი გაზომვისა იმთავითვე სწორად არ შეირჩა. მაგალითი – დანაშაულად ქცევა რომ კვალიფიცირდეს, გაზომვის ინდიკატორად უნდა იმუშაოს ქვეყნის შიგნით მოქმედმა კონსტიტუციამ... განათელების დონის საზომი ინდიკატორი იქნება ოფიციალური ნომინაციის ტიპი ასახული დიპლომის რანგში (ბაკალავრი, მაგისტრი, დოქტორი).

**განმანათლებლობა** – იმანუელ კანტის განსაზღვრებით, ეს არის მგომარეობა, როდესაც საზოგადეობა, გნებავთ ინდივიდი გამოდის ე.ნ. უმწიფრობის მდგომარეობიდან და ინყებს საკუთარი განსკის ექსპლუატაციას. განმანათლებლობა ნიშნავს საჭიროების არ ქონას რაიმე ტიპის ავტორიტეტში. ურავლესობის აზრი, ტრადიცია, პოლიტიკური ლიდერი კი არ აძლევს ადამიანს მიმართულებას, არამედ საკუთარი საჭიროება გამომდინარე მისივე შინაგანობიდან. ამ თემაზე საინტერესო პუბლიკაციები

აქვთ ე.წ. ფრანკურტის სკოლის წარმომადგენლებს პორკაიმე-რი/ადორნო. როგორც უკვე ავლნიშნე იმანუელ კანტს, ასევე მი-შელ ფუკოს.

**გაფიცვა** – ესაა შემთხვევა, როდესაც ორგანიზაციის პერსონალი ცუ-დი სამუშაო პირობების გამო დამსაქმებლამდე ხმის მისაწვდე-ნად, სამუშაო პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით, წყვეტს სამუშაო პროცესს. შესაძლოა გამოვიდეს ქუჩაში, მოაწყოს პა-რალელურად აქცია, მიიქციოს მედიის ყურადღება და ყველა-ფერი ეს ხდება შესაბამისი პროფესიული კავშირების შაუამავ-ლობით. ისოტრის გარიურაუზე სანარმოო გაფიცვებს ძალზედ ქაოტური ხასიათი ქონდა.

**გენდერი** – სოციალური სქესი, განსხვავება მამაკაცსა და ქალს შო-რის, რომელიც არის არა ბიოლოგიურად განპირობებული, არა-მედ სოციალურად და ეპოქიდან ეპოქამდე და სოციუმიდან სო-ციუმამდე იცვლება. გენდერი და როლური სტერეოტიპები არი-ან კორელაციაში.

**გიგ-ეკონომიკა** – ადამიანთა ქსელი, რომლებიც რაიმეგვარი შრომითი ხელშეკურლების გარეშე მუშაობენ. ეს შეიძლება იყოს უბრალოდ რა-იმე მოკლევადიან, თუნდაც ერთჯერად პროექტში დასაქმებული ადა-მიანი, ან ციფრულ ველში მიკრო სამუშაოების შემსრულებლები. რაი-მე აპლიკაციის სამუალებით კონკრეტულ შრომით საქმიანობაში ჩარ-თული ინდივიდები. გიგ-ეკონომიკაში არის ნორმა ე.წ. თავისუფალი შემოსავალი. პროფესიული კავშირები, შრომითი უფლებები და მსგავ-სი, ეს ის განზომილებაა, სადაც არ მოიაზრება სამწუხაროდ დღესაც.

**გლობალიზაცია** – ესაა მსოფლიო ეკონომიკური, პოლიტიკური, კულ-ტურული და რელიგიური ინტეგრაცია და უნიფიკაცია. გლობალიზა-ციის ძირითადი შედგებია, შრომის მსოფლიო დანაწილება, მიგრაცია, კაპიტალის, სამუშაო ძალის, სანარმო რესურსების კონცენტრაცია, სახელმწიფო სუვერენიტეტის შემცირება.

**გროსბუხი** – ძირითადი საბულალტერო წიგნი. სადაც არის წარმოდგენილი საბოლოო ანგარიშები ბულალტერული აღრიცხვის, თავის შემოსავლიან გასავლიანად, ფაქტურიად ყველა ფინანსური ოპერაციის ირგვლივ დეტალური ჩანაწერი. საჭირობის შემთხვევაში მასთან მიერთება უნდა შეეძლოს თითოეულ სუბიექტს და აქ დაცული ინფორმაციით სარგებლობა. ანუ, გროსბუხი არაა დახურული სისტემა. იგი საჯარო ექსპლუატაციის საგანია.

**გულაგი** – საბჭოთა რეალობაში არსებული დახურული ბანაკები, ძირითადად რუსეთის ტერიტორიაზე უკიდურეს ჩრდილოეთში, სადაც თავისუფლების აღვეთასთან ერთად ხშირად სავალდებულო იყო ასევე შრომა, მათ შორის ინტელექტუალური. გულაგის ტყვები საბჭოთა კავშირში ძირითადად იყო კრიტიკულად მოაზროვნე ინტელიგენცია.

**Gemeinschaft** – ტერმინი ეკუთვნის სოციოლოგ ფერდინანდ ტიონისს და ალნიშნავს არქაულ საზოგადოებებს, სადაც საზოგადოება არსებობდა ერთობის ფორმით და არ იყო ჩანასახი ორგანიზაციის, არ იყო გამიჩნული ურთიერთობები ფორმალური/არაფორმალურის ჭრილში. ე.წ. წინარე, პრიმიტული საზოგადოებები.

**Gesellschaft** – თანამედროვე საზოგადოება, სრულფასოვანი სისტემებით პოლიტიკისა, ეკონომიკისა, კულტურისა. სადაც ასევე, სახეზეა სოციეტარული, ანუ მაინტეგრირებლი ქვესისტემა. სადაც პირველადი და მეორეული სოციალური ჯგუფების გვერდით, თანაარსებობენ და ინდივიდების ცხოვრებას აძლევენ ტონს ორგანზაციები, ბიუროკრატიული, ტრანსნაციონალური, ნებაყოფლობითი ასოციაციები და მსგავსი.

**დანაშაული** – ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება სოციუმში მიღებულ წესებს, ნორმებს, ზოგადად არის აღნიშნული, როგორც ანორმალური და კანონსანინააღმდეგო კონსტიტუციაში და რისი შედეგიცაა დაზარალებული მხარე, ფიზიკური თუ იურიდიული პირი. ზარალი, ზიანი შესაძლოა იყოს მორალური, ფიზიკური, ფინანსური. დანაშაულის აქტი ექმედებარება კანონაღმსრულე-

ბელი სტურქტურების მხრიდან კონკრეტულ საქნციას. სანქციას ცხადია კონსტიტუციაში არსებული მიწერილობები განსაზღვრავს.

**დევიცია** – ქმედება, რომელიც ენინაალმედეგება სოციუმში მიღებულ წესებს და ნორმებს, თუმცა არ არსებობს დაზარალებული და ზოგადად, არანაირი ზარალი. მაგალითად თუნდაც დრესკოდის უგულვებელყოფა, შუქნიშანზე ანთებული წითლის არ-შემჩნევა, მანქანის სიჩარის ოდანავი გადაჭარბება, უბილეთოდ მგზავრობა და მსაგვასი.

**დე-იდეოლოგიზაცია** – იდეოლოგიის ფსევდო, ყალბი ბუნების აღიარება და მასზე უარის თქმა. პროცესი, როცა აბლოსუტური ჭეშმარიტების რანგში აყვანილ, კონკრეტულ ლირებულებათა ნაკრებზე აგებულ სწავლებაზე ამბობენ უარს, არააქვს ამდროს სწავლების ხაიათს მნიშვნელობა, არის იგი პოლიტიკური, რელიგიური თუ ეროვნული. მნიშვნელოვანია, რომ თანხმდებან მისი ბუნების სიყვალეში.

**დენდიზმი** – ტერმინის რანგში იქნა აყვანილი, როდესაც მიშელ ფუკომ შარლ ბოდლერის პერიფრაზი მოახდინა პუბლიკაციაში, „რა არის განმანათლებლობა“. დენდიზმი როდია სინონიმი სნობიზმის. დენდიზმი ესაა სულის ერთგვარი კეთილშობილების საზომი, გამოვლენილი პიროვნების ქმედებაში. ოღონდ არც შარლ ბოდლერს და მითუმეტს მიშელ ფუკოს არ უგულისხმიათ სული თეოლოგიურ ასპექტში. აյ უბრლოდ ადამიანის შინაგან წყობას მოიზრებდნენ, რომელსაც არცთუიშვითად ახასიათებს ლირებულებით-რაციონალური ქცევა, ანუ, იდეის ადამიანები, ვისთვისაც „ყოფნაა“ უპირატესი და მხოლოდ შემდეგ „ქონა“.

**დიხოტომია** – ორობითობა, ე.ნ. ბინარული კოდირება. ნიკლას ლუმანის ტექსტებში ხშირად განმეორებადი მნიშვნელოვანი წესი. ნებიმსიერი სოციალურ ველში, იქნება ეს პოლიტიკა, ეკონომიკა თუ კულტურა, როცა ხორციელდება კომუნიკაცია, ბინარული კოდი აიგება სწორედ დიხოტომიის ხარჯზე, ანუ ორობითობის. მაგალითად, მეცნიერებაში – ჭეშმარიტი/მცდარი, ეკონომიკაში

– საკუთრების ფლობა/არფლობა, პოლიტიკაში – სამართლებრივი/არასამართლბრივი, ლეგიტიმური/არალეგიტიმური და მსგავსი.

**დოგმა** – ვითარება, რომელიც აბსოლუტური ჭეშმარიტების რანგში მიიღება რწმენად. მასზე გარემოებები ვერ ახდენენ ზეგავლენას და იგი არ ექვემდებარება შეცვლას.

**დოგმატური აზროვნება** – ის, რაც გამორჩებავს კრიტიკულ აზროვნებას და რწმენას, წინასწარგანწყობას სახავს ჭეშმარიტების ინდიკატორად. მისი ძირითადი მახასიათებელი სუბიექტურობა. დოგმატური აზროვნების ხარჯზე რეალობის აღქმა ძენლდება ან სულაც არის მიუღწეველი.

**ევოლუცია** – ცვლილებები რაიმე სფეროში, რასაც მოსდევს ლოგიკურ შედეგად, განვითარება. მარტივი ორგანიზმები, ერთეულები შეიძენენ როცა რთულ სტრუქტურას, როდესაც ერგანზომილებიანი ხდება მრავალგანზომილებიანი. ევოლუცია არის შესწავლის საგანი, როგორც ბიოლოგიურ მეცნირებებში, ასევე სოციალურში. ინგლისელმა სოციოლოგმა, ჰერბერტ სპენსერმა (1820-1903) ბიოლოგიის მეცნიერებიდან, კერძოდ ჩარლ დარვინიდან ისესხა ევოლუციის შესახებ თეორია და დამკვიდრა სოციოლოგიაში და ამ მიმართულებას დაერქვა ბიოლოგიზმი, თუმცა ასევე იგია წყარო ისტორიზმის და ისტორიაში ე.ნ. საზრისის საკითხად დაყენების მიზეზი.

**ეკზისტენცია** – აზროვნებით გაჯერებული არსებობა, ერთ-ერთი ფილოსფიური თეორიის საკვანძო ტერმინი. ეკზისტენციალისტებად ითვლებან კარლ იასპერსი, მარტინ ჰაიდეგერი, უან პოლ სარტრი, ალბერ კამიუ.

**ეკზოგენური/ენდოგენური** – პ. მობიუსის (P. J. Möbius) მიერ დამკვიდრებული ტერმინები სამედიცინო ფიქოლოგიისა და ფსიქიატრიაში. ეკზოგენური გარე-ფაქტორების ზეგავლენით აღმოცენ-

დება, ხოლო ენდოგენური კი შინაგანი მიზეზებიდანაა გამომდინარე.

**ეკონომიკური ფუნდამენტალიზმი** – თეორია, რომელზეც საავტორო უფლება ჯორჯ სოროსს ეკუთვნის. ჯორჯ სორისის განმარტებით, ეკონომიკური ფუნდამენტალიზმი ესაა მდგომარეობა, როდესაც სოციუმს განკარგავს ბაზარი და იგი არამდაარამც არ იმყოფება მორალის საზღვრებში. ეკონომიკური ფუნდამენტალიზმი უარყოფს უნივერსალურ ადამიანურ ღირებულებებს, სახელმწიფოსა და მოქალაქეების ზემოთ აყენებს ბიზნესის ხშირად ანგარებიან ინტერესებს.

**ეკომერცია** – დანაშაულის ბიოლოგიურ თეორიაში, ამერიკელმა მკვლევარმა, უილიამ შელდონმა განმარტა აღსანერად ადამიანის ფიზიოლოგიური აგებულების. ანუ, გამხდარი, ჩია, ლამის ანორექსიული აგბულების მქონე. შელდონის მიხედვით ამ ფიზიოლოგიური მახასიათებლის უკან იმაღება სენსიტიური პერსონა, ხანდახან ნერვიულიც კი, თუმცა ზოგადად სხვებისადმი და მითუფრო დანაშაულისკენ მიდრეკილი საერთოდ არაა.

**ელექტორნული ეკონომიკა** – ტერმინი ხშირად გვხდება ენოტი გიდენ-სისა და ფრენკ ვებსტერის პუბლიკაციებში. გლობალიზაციის პირობებში, როდესაც საბანკო ტრანზაქციები უმუალოდ ელექტრონულ ველში ხორიცელდება და ქაღალდის ფული კი არაა მიმოქცევაში, არა-მედ კომბინაცია 010101... ქვეყნებს, ორგანიზაციებს შორის ციფრულ ველში ფინანსური ხასიათის ტრანზაქციები პირველ რიგში ნდობაზეა დაფუძნებული.

**ენდომერცია** – დანაშაულის ბიოლოგიურ თეორიაში, ამერიკელმა მკვლევარმა, უილიამ შელდონმა განმარტა აღსანერად ადამიანის ფიზიოლოგიური აგებულების. ნიშნავს მრგავლი ფორმების მქონე, ზომიერად ფერ-ხილურიან ადამიანს. უილიამ შელდონი ამბობდა, რომ ადამიანი ასეთი ფიზიოლოგიური მახასიათებლებით არაა მიდრეკილი დიდად დევიაციისა და მითუფრო დანაშაულისაკენ.

**ექსპლუატაცია** – ჩაგვრა. ტერმინს ხშირად იყენებდა კარლ მარქსი კლასთაშორის არსებული დამოკიდებულების აღსანიშნავად, რაც იყო საწარმოო ურთიერთობების ირგვლივ კონცენტრირებული. კარლ მარქსთან ბურჟუაზია ანარმობდა პროლეტარების, მუშების ექსპლუატაციას, ანუ ჩაგვრას, რაც გამოიხატებოდა მუშის დაუღალავი შრომით გამომუშავებული ე.წ. ნამატი ლირებულების ქარხანის მეპატრონის მხრიდან მიტაცებით.

**თიმოსი (მეგალო-თიმია, იზო-თიმია)** – ფრენსის ფუკუიამა იყენებს ტერმინს მონოგრაფიაში „ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი“. ეყრდნობა რა ამ დროს ანტიურ ავტორებს და ამბობს, თიმოსი ესაა „მოშურნე სული“. იგი ორნაირად შეიძლება ინდივიდუალურ დონეზე გამოვლინდეს. მეგალო-თიმია გულისხმობს სხვისი დამორჩილების სურვილს, იზო-თიმია კი სხვებთან მშვიდობიანად თანაცხოვრების.

**იდეოგრაფია** – ტექსტი, წერა არა ასოების, არამედ იდეოგრამის საშუალებით.

**იდეოლოგია** – იდეოლოგია როგორც წესი არა-მეცნიერულია, თუმცა შესაძლოა ეფუძნებოდეს მეცნიერებას. ესაა კონცეპტუალურად გაფორმებულ იდეათა ერთობლიობა, რომელიც გამოხატავს ინტერესებს, მსოფლეოდვას და იდეალებს კლასების, ერების, საზოგადოებათა, პილიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი მოძრაობების სუბიექტების. ხშირად ხდება, რომ ამათუიმ იდეოლოგიას აქვს პრეტენზია აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე და როგორც ეს იყო საბჭოთა კავშირისა და ნაცისტური გერმანიის შემთხვევაში, როდესაც ის ამავე დროს არის მმრთველი კლასის იდეოლოგია, ხდება საყრდენი ავტორიტარული და ტოტალიტარული რეჟიმებისათვის.

**იმპერატივი** – სავალდებულო ხასიათის მოთხოვნა. მაგალითად, ცნობილია იმანუელ კანტის მორალური იმპერატივი, „მოქექეცი სხვას, ისე როგორც შენ გინდა რომ გექცეოდნენ“; ან კიდევ, „ნუ იქნება შენთვის ადამიანი მხოლოდ საშუალება, იყოს იგი აგრეთვე მიზანი“.

**ინდუსტრიალური რევოლუცია** – იგივე სამრეწველო რევოლუცია, რომლისგანაც ე.წ. ლიფტის ეფექტი იყო წარმოების საშუალებების დახვეწა, ზრდა, განვითარება, შრომის ავტომატიზაცია. თარიღდება XVIII-XIX საუკუნეებით. ამ დროს ჩნდება მანუფაქტურები, ქარხნები და მუშათა კლასი შეიძენს თავისებურ ძალას. ინდისტრიალურის წინარე იყო აგრარული საზოგადოება.

**ინფორმაციული საზოგადოება** – საზოგადოება, განსაზღვრული ხელოვნური ინტელექტით, ე.წ. ჭკვიანი ტექნოლოგიებით, სადაც გაჯეტები არის ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი და რომელთა გარეშეც კომუნიკაცია და ზოგადად ორიენტირება, არის რეალურად წარმოუდგენელი; საზოგადოება, რომელშიც დასაქმებულთა უმრავლესობა დაკავებულია ინფორმაციის წარმოებით, შენახვით, გადამუშავებით და რეალიზაციით, განსაკუთრებით მისი უმაღლესი ფორმით, ცოდნით.

**ისტორიციზმი** – რწმენა, რომლის თანახმადაც ისტორიას გააჩნია საზრისი, შესაბამისად წინასწარ განსაზღვრული მიმართულება. ისტორიციზმი გეორგ პეგელის შემთხვევაში საფუძვლად დაედო ე.წ. ევროპაცენტრიზმს. ისტორიისა და საზრისი მიმართებას დასავლეთის აკადემიურ წრეებში ნაყოფიერად იკვლევდა იასპერსი კარლ, ხოლო საქართველოში კოდუა ედურადი. კარლ მარქსის შემთხვევაში ისტორიციზმი გადაიზარდა ე.წ. დიალექტიკურ მატერიალიზმში. ისტორიციზმის ყველაზე ანგარიშგასანევი კრიტიკა ეკუთვნის ოსვალდ შპენგლერს, შედარებით თანამედროვე ეტაპზე, კი კარლ პოპერს და მისეული კრიტიკის არგუმენტების გაერთიანებული მონოგრაფიაში 2 ტომად, „საზოგადოება და მისი მტრები“. ისტორიციზმს, როგორც მეცნიერულ მიდგომას არ იზიარებდა ასევე „ანალების სკოლა“ (ლუსინ ფერი, მარკ ბლოკი და ფერნან ბდროდელი).

**კავანა** – იუდაური მრწამსის თანახმად, ესაა გულითადად უფლისადმი აღვლენილი ლოცვა, როდესაც განა უბრალოდ ბუტბუტებ ლოცვის ტექსტს და მანქანურად იმეორებ სიტყვებს, როდესაც ლოცვაში მუნმყოფობს კავანა, ადამიანის სული, გრძნობა და

გონება შიშვლდება შემოქმედის წინაშე და მსგავის ლოცვით  
მლოცველი ეზიარება გარკვეულ წმინდაობას.

**კომუნიზმი** – ოტოპიური თეორია, რომლის თანახმადაც შესაძლებელია საზოგადოება სრული თანსწორობისა და აბსოლუტური სამართლიანობის პირობებში, სადაც ასევე უზრუნველყოფილი იქნება სიუხვე და კეთილდღეობა. ადამიანები აღარ იქნებიან გაუცხოებული რელიგიით, პოლიტიკით, შრომით და ზოგადად ნაციონალური, ასევე აღარ იქნება ღირებულება. კარლ მარქსის ძალისხმევითა და მონდომებით ეკონომიკურად ორინეტირებულ, თუმცა ცალსხად პოლიტიკურ მრწამსად ჩამოყალიბდა, რომელსაც პირველ რიგში იზიარებდნენ კომუნისტური პარტიები და მეტ-ნაკლებად ასე რჩება დღესაც, თუმცა უტოპიის ელემენტები, ცხადია ჩამოშორდა და დარჩა მემარცხენე პოლიტიკურ ორიანტაციად. საბჭოური გაგება კომუნიზმიდა და დასვლური, იყო და არის სხვადასხვა.

**კომუნიტარიზმი** – ორი ტიპისა შეიძლება იყოს, ფილოსოფიური და იდეოლოგიური. მიმდინარეობა, რომელიც თვლის, რომ ერთობები, საზოგადოება აფორმირებს ყოველ ცალკეულ ადამიანს. განსხვავებით ლიბერალური ან ლიბერტანული ფილოსოფიის გან, რომელიც მიზნევს, რომ ცალკეული ერთობები წარმოადგენენ პიროვნებათა სიმრავლეს. კომუნიტარები აკრიტიკებენ ლიბერალურ დაშვებას, რომ ინდივიდი შესაძლოა საზოგადოებისაგან, რომელშიც იგი გაიზარდა, აბსოლუტურად ავტონომიურად განიხილო. მათ თავისმხრივ წამოჩეს მოსაზრება, რომ წებისმიერი ინდივიდის ღირებულებებს, აზრებს და შეხედულებებს აფორმირებს სწორედ საზოგადოება.

**კონვივიალიზმი** – ახალი პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც დაკავებულია ნეო-ლიბერალიზმის კონსტრუქციული კრიტიკით. კონვივიალისტებმა გამოსცეს ე.ნ. კონვივიალისტური მანიფესტი და ფაქტიურად ეს იყო, მსოფლიო საზოგადოების წინაშე დეკლარირება თავიანთი მიზნების და მოქმედების სტრატეგიის. მოძრაობის ლიდერია ფრანგი სოციოლოგი, პარიზ-ნანტერის უნივერსიტეტის ემერეტუსი, ალენ კეიე. კონვივიალისტურ მანიფესტში აქცენტი კეთდება ასევე გარემოს დაცვის საკითხებ-

ზე და ზოგადად ესაა, ერთად კეთილმეზობლური თანაცხოვრების ხელოვნება, როდესაც საცხოვრის სივრცეში მთელი პლანეტა მოიაზრება.

**კონტინუუმი** – გარემო, რომელშიც შეისწავლება პროცესები სხვა-დასხვა გარე-პირობების არსებობისას.

**კონტრ-კულტურა** – გარკვეული სოციალური ჯგუფის ღირებულება-თა ნაკრები, ცხოვრების წესი და არამხოლოდ, რომელიც თავისი თავის დე-იდენტიფიკაციას ახდენს ე.წ. დომინანტ კულტუ-რასთან და უდგება მას ოპოზიციაში. კონტრ-კულტურა შესაძლოა იყოს ახალგაზრდული, რელიგიური, პოლიტიკური და სხვა... ზოგადად კონკულტურული არის ნოვაციის წყარო, მაგრამ შესაძლოა იგი დესქტრუქციული ელემენტებით დაიტვირთოს და მისი წევრების მარგინალზიაციის და სოციუმიდან გარიყვის მიზეზიც კი გახდეს.

**კრიტიკული აზროვნება** – მიშეღ ფუკო აქვს ასეთი ფორმულირება, „შეშლილი გონება ამოდის იგივეობის წესიდან, ჯანსაღი კი ეძებს განსხვავებას.“ კრიტიკული აზროვნება, სწორედ განსხვა-ვებას ეძებს, ანუ ცდილობს მაქსიმალურად თავიდან აირიდოს რჩმენა ე.წ. აბსოლუტურ ჭეშმარიტებაში, აარიდოს თავი „სახ-ლედებას“, იარლიყების მინებებებას, აზროვნების პროცესს არ აქცევს სტეროტიპების ჩარჩოში, არ ვარდება უკიდურესობაში, მსჯელობა ასეთ დროს გამორიცხავს ემოციას, მითუ უფრო აუიტირებას და არის ობიექტური, ემოცური ნეიტრალურობის ხარჯზე. ყოველთვის ტოვებს ფანჯარას სხვა შესაძლებლობისა და დაშვებისათვის.

**კულტურა** – ის, რაც განსხვავდება აპრიორად არსებულისგან, ანუ, განსხვავდება ბუნებისაგან. კულტურა ესაა ადამიანის შემომედებითი შრომის რეზულტატი, ის რაც წარმოადგენს ამავე დროს თავისთავად ღირებულებას. კულტურას უნივერსალური ხასიათი გააჩნია, მისითაა განპირობებული ზოგადად ის, რასაც სოციალური ქვია და დეტერმი-ნირებული მთლიანად საზოგადოება. ადამიანი კულტურას ისიგრძე-განებს დაბადებიდან მოყოლებული სოციალიზაციის პროცესში. ფაქ-

ტიურად, მთელი ცხოვრებისს გზა, ესაა პროსეცი კუტლურასთან ზია-რებისა, რესოციალიზაციათა ეტაპობრივ ჭრილში.

**კრიპტოვალუტა** – ციფრული ვალუტის სახესხვაობა, რომლის შინაგა-ნი დათვლადი ერთეულების ანგარიშს უზრუნველყოფს გადახ-დის დეცენტრალიზირებული სისტემა. ამასთან არ არსებობს შიდა ან გარეშე ადმინისტრატორი, არც რაიმე მსგავსი ანალო-გი. სისტემა სრულიად ავტომატურ რეჟიმში მუშაობს. კრიპტო-ვალუტას თავისთვის როდი გააჩნია რაიმეგვარი მატერიალუ-რი ან ელექტრონული ფორმა. იგია უბრალოდ ციფრი, რომე-ლიც თვლადი ერთეულების მონაცემთა რაოდენობას აღნიშ-ნავს. კრიპტოვალუტას თანერთვის პროტოკოლი, ფულადი ტრანზაქციის დროს მონცემების გაცვლის ამსახველი საინ-ფორმაციო ფაილი.

**ლიფტის ეფექტი** – ტერმინი ხშრიად მეორდება გერმანელი მკვლევა-რის, ულრიხ ბეკის ტექსტებში და ესადაგება განვითარების მა-ლალი ტემპიდან გამომდინარე უეცარ ცვლილებებს. მახასია-თებლები მსგავსი ლიფტის ეფექტისა შთამბეჭდავია და გულის-ხმობს მეტ ცხოვრებას და ცხოვრების მეტ ხარისხს მოსახლოე-ბის ფართე ფენებისათვის და არა მხოლოდ პრივილეგირუბლი უმცირესობისათვის, ანუ, გამოდის ესაა სიკეთების ერთგვარი ნაციონალიზაცია.

**მარგინალი** – გაორებული ადამიანი, რომელიც იმყოფება განსხვავე-ბულ სოციალურ ჯგუფთა, სისტემისა და კულტურათა ზღვარ-ზე, დეზინტეგრირებულია და ღირებულებები, რომელთაც ის მისდევს, ასევე არიან წინააღმდეგობაში. გერმანული ანდაზაა ასეთი – **sich zwischen zwei Stühle setzen** – ამ შემ-თხვევისთვის შესატყვისი.

**მასკულინური/ფემინური** – ჰოლანდიელმა მკლვევარებმა, კერძოდ ჰოფსტედეებმა (იგულისხმევა მამა-შვილი ჰოფსტედე, ავტორი მო-ნიგრაფის „კულტურები და ორგანიზაციები“) დააფუძნეს, როგორც გაზომვის ინდიკატორი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისა და არამხო-ლოდ, ზოგადად ერების წარმომადგენლების ქცევების და აზრთა წყო-

ბის საიდენტიფიკაციოდ. როგორც წესი მასკულინური/ფემინურის ინ-დექსის დაანგარიშება ხდება მრავალ განზომილებაში ერთდროულად, ესენია 1. მცირენლოვანი ბავშვის აღზრდა, 2. სასკოლო/საუნივერსიტეტო განათლება, 3. სამუშაო (ორგანიზაციები), 4. პირადი ურთიერთობები/ქორინება/ოჯახი, 5. საყოფაცხოვრებო ჩვეულებები (გადაადგილების საშუალებები, მყიდველის ტიპი...).

**მეზომერფი** – დანაშაულის ბიოლოგიურ თეორიაში, ამერიკელმა მკვლევარმა, უილიამ შელდონმა განმარტა აღსაწერად ადამიანის ფიზიოლოგიური აგებულებების. დაკუნთული, ჯმუხა, მოუხე-შავი ადამინი. როგორც წესი არიან აგრესისკენ, სისასტიკისკენ მიღწეული.

**ნატურალიზმი, ნატურალისტური კონცეფცია** – ფილოსოფიური მი-მართულება, რომელიც ბუნებას განიხილავს უნივერსალურ პრინციპად ყოველივე არსებულის. XX საუკუნის ბიოლოგიური მსოფლებელია. იმანეულ კანტის მიხედვით, ნატურალიზმი ესაა ბუნების ფარტებიდან ყოველივე მიმდინარის გამოყვანა. ეთიკა-ში ნატურალიზმი გულისხმობს ბუნებრივი მიღწეულებების განვითარებას.

**ნეო-ლიბერალიზმი** – დაიყვანენ ეკონომიკურ თეორიაზე, თუმცა ეს შეხედულება მცდარია. ლიბერალიზმის სახესახვაობა. პოლიტიკური და ეკონომიკური ფილოსოფიის მიმართულება. რომელიც 1930 წლებში აღმოცენდა, ხოლო როგორც იდელოგია ჩამოყალიბდა 1980-1990 იან წლებში. 1938 წელს ამ ტერმინმა პირვე-ლად გაიჟდერა უოლტერ ლიბმანის კოლოქვიუმზე პარიზში.

**ნომოთეტიკური; ნომოთეტიკური მიდგომა** – იმანუელ კანტის მო-ვრებაში გონების „კანონმდებლური“ მოდვანეობის უნარი, რისი საშუალებითაც შემტკნების წესები და კანონები განისაზღვრება. ბადენის ნეო-კანტიანური სკოლის მიხედვით, კი ესაა საბუ-ნებისმეტყველო მეცნიერებების მეთოდი, რომელმაც უნდა გა-მოავლინონ კანონზომიერება, რაც მეცნიერების ზოგადი ტენ-დენციების გენერალიზაციას განსაზღვრავს.

**პარტიკულარიზმი** (ანტონიმი იქნება, უნივერსალიზმი) – მისწრაფება კერძოსა და გამუალებისაკენ. პარტიკულარიზმი მრავალ სფეროში გვხვდება, მაგალითად, ეთიკური პარტიკულარიზმი, პოლიტიკური პარტიკულარიზმი, ლიტერატურული პარტიკულარიზმი, პარტიკულარიზმი სოციოლოგიაში, პარტიკულარიზმი თეოლოგიაში და სხვა. როდასაც პარტიკულარიზმს იღებენ საზომად კონსტიტუციის გამართულობის, ეს ძალიან ცუდია, რადგან გულისხმობენ, რომ კანონებისადმი მიდგომა მართლაც მიერძოებულია, გამუალებულია რაიმე სახის ავოტორიტეტით და კონსტიტუცია, სულაც არაა ამ დროს უნივერსალური დოკუმენტი, რომელიც კონკრეტულ სახლმწიფოში მოქალაქეთა უსაფრთხოების გარანტიად გამოდგება.

**პოსტ-ინდუსტრიალური საზოგადოება** – საზოგადოება, რომლის ეკონომიკაში, კერძოდ კი სამრეწველო ინდუსტრიაში ჭარბობს ინოვაციური სექტორი, ასევე მაღალი ხვედრითი წილი ე.წ. gross domestic product (ინგ.) მაღალი ხარისხის მქონე, ინოვაციური მომსახურებისა; კონკურენცია შეინიშნება ეკონომიკური მოღვაწეობის ყველა სფეროში. მოსახლების მეტი წილი არის მომსახურების სფეროში დასაქმებული. ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალაა სამეცნიერო გამოგონებები. უმნიშვნელოვანესია ხარისხიანი განათლება, კომპეტენტურობა, დასაქმებული შემოქმედებითი მიდგომა.

**პროგრესი/რეგრესი** – ძირითადად გამოიყენება მკვლევარებთან, რომლებიც იზიარებენ ისტორიული და საზოგადოების განვითარება პეგონიათ ნაწილი კაცობრიობის რაღაც კანონზომიერი მიმერთულებისა.

**რანტიკ** - რენტის ხარჯზე მცხოვრები პირები, ე.ი. შემოსავლებიდან, რომელსაც იძლევა კაპიტალი როგორც წესი განთავსებული საბანკო შენატანების სახით, ფასიანი ქაღალდები, მომგებიანი უზრავი ქონება, მიწები, ბიზნესი, ასევე შემოსავალი საავტორო უფლებებიდან და პონორარი.

**რიზომა, რიზომატული საზოგადოება** – ესაა პოსტმოდერნისტული კონცეპტი. გვხვდება ტექსტებში უ. დელიოზსა და ფ. გაუტა-რისთან. რიზომა არის თავისი ხასიათით ჰეტეროგენული, არ აქვს ერთიანი ცენტრი, იგი დეცენტრალიზირებულია. წარმო-იდგინეთ ფართედ დატოტვილი ხე, განშტოებები მისი. შესაბა-მისად საზოგადოებაც, თუკი რიზომატულია, მრავალპლასტია-ნია და უცილობლად დეცენტრალიზირებული. ამ სქემაში ბირთვს რომ ვერ იპოვო, ავტორების, დელიოზი/გუატარის მი-ხედვით, არის შეღავათი და მეტი შანსი ინდივიდუალური თავი-სუფლებისთვის.

**სამოქალაქო საზოგადოება** – მოქალაქეთა ერთობლიობა, რომლებიც სახელმწიფო ძალაუფლების საჭებებისგან შორს იმყოფებიან. სა-ზოგადოებრივი ურთიერთობების ჯამი, არსებული სახელმწი-ფოებრივ, ძალაუფლებრივ, ასევე კომერციულ სტრუქტურათა მიღმა. სამოქალაქო საზოგადოებაში, როგორც წესი, თავისუ-ფალი მოქალაქეები წებაყოფლობით ქმნიან არაკომერციულ ასოციაციებს, ე.ნ. არასამთავრობო ორგანიზაციებს, ნინ წამო-წევენ მნიშვნელოვან სოციალურ ინიციატივებს, სხვადასხვა თემებს, იდეებს, მაინტეგრირებელი ხასიათის ღირებულებებს. სამოქალაქო საზოგადოებას აქვს ასეთი მნიშვნელოვანი ფუქ-ნცია, ესაა ხელისფლების საქმიანობის მონიტორინგი.

**სახელმწიფო** – მართვის მექანიზმი და სტურქტურა, რაც კონკრეტულ ტერიტორიაზე სუვერენიტეტს ახორციელებს და აქვს ლეგიტიმური ძალადობის უფლება, მონიტორინგს ახორციელებს ქვეყნის ეკონომი-კურ და სულიერ ცხოვრებაზე.

**სეკულარიზაცია** – მეცნიერების და ტექნიკის როლის ზრდა, რასაც თანსდევს რელიგიური ინსტიტუტების ზეგავლენის შემცრიება. სეკულარიზაციის პროცესზე კატალიზატორის ეგვლენას ახ-დენს გლობალიზაციის პროცესი.

**სიუხვის საზოგადოება** – კენეტ გელბრაითის, ამერიკელი ეკონომის-ტის მიერ დამკვიდრებული ტერმინი. შეესაბამება თანამედროვე სა-ზოგაოდებებს მოყოლებული სამეცნიერო-ტექნიკური და ინდუსტრი-

ალური რევოლუციიდან. კენეტ გელბრაითს ამ სახელწოდებით დარგში, ზოგადად სოციალურ მეცნიერებებში უაღრესად მნიშვნელოვანი მონოგრაფია აქვს.

**სოფისტები** – ანტიურ საპერძნეთში პირველები, ვინც ფასიანი სწავლება დააფუძნა და პირვლები, ვინ ალაპარაკდნენ, რომ ადამიანს არ აქვს საჭიროება ზოგადად რაიმეგავრ გარეგან ავტორიტეტში, რომ ეს უბრალოდ არაპრაქტიკული და არაპრაგმატულია.

**სოციალიზმი** – პოლიტიკურ, ეკონომიკური თეორია.

**სოციო-ბიოლოგია** – მისი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია ედუარდ უილსონი (Wilson). ე. გიდენსი „სოციოლოგიაში“, კერძოდ ქვეთავები „ადამიანური მოდგმა, სოციობიოლოგია“, ნერს, მიუხედავად იმისა, რომ ბიოლოგები აღიარებდნენ ევოლუციურ უწყვეტობას ცხოველებსა და ადამიანებს შორის, უკანასკნელ ხანებამდე მათი უმრავლესობა ცდილობდა ხაზი გაესვა ადამიანური სახეობის განსხვავებული თვისებებისთვის. ამ პოზიციას ეჭვისქვეშ აყენებენ **სოციობიოლოგები**, რომლებიც მჭიდრო ანალოგიებს ხედავენ ადამიანებისა და ცხოველთა ქცევას შორის. ტერმინი სოციობიოლოგია ეხება ბიოლოგიური პრინციპების გამოყენების საკითხს ყველა სოციალური ცხოველის, მათ შორის ადამიანის, სოციალური აქტივობების ასახსნელად. სოციობიოლოგებს ლრმად სწამთ, რომ ადამიანის სოციალური ცხოვრების ბევრი ასპექტი მის გენეტიკურ წყობაზეა დამოკიდებული.

**სუბკულტურა** – ის, რაც დე-იდენტიფიკაციას აკეთებს დომინატკულტურასთან, თუმცა მას როდი უდგას ოპოზიციაში. ის მშვიდობიანად თანაარსებობს დომინატი კულტურის ჩარჩოებში.

**სუბლიმაცია** – ზოგმუნდ ფროიდის მიერ დამკვიდრებული ტერმინი. გულისხმოს ლიბიდონალური ენერგიის შრომის, უ. ზ. კი გონებრივი შრომის პროცესში განეიტრალურებასა და სასარგებლობდებოდა.

**ტოტალიტარიზმი** – მმართველობის ტიპი, ფორმა, როდესაც ხელი-სუფლებაში მოქცეული მმართველი ჯგუფი ხელმძღვანელობს არა კონსტიტუციითა და დემოკრატიული ღირებულებით, არამედ ეყრდნობა ძალადობას, მათ შორის ფიზიკურს, დაშიენას, ტერორს, როდესაც მოქალაქების საჯარო და პრივატული სივრცე და ზოგადად ცხოვრება, გამიჯნული არაა. ათწლეულები მთავრობაში სახეები უცვლელია, როგორც წესი არის ქვეყნის შიგნით ერთპარტიული პოლიციური სისტემა (მაგალითად ნაცისტური გერმანია, საბჭოთა კავშირი, ჩინეთი, სამხრეთ კორეა...), მედია ექვემდებარება მკაცრ ცენზურას, ასევე ხდება დაგეგმვარება ეკონომიკის და სხვა მრავალი ლაფსუსი სახელმწიფო მართვისა და მოქალაქეთა ყოველდღიურობაში.

**ფემინიზმი** – ქალთა უფლებების დამცავი სოციალური მოძრაობა. ფემინისტური მოძრაობის ისტორია ფრანგული რევოლუციიდან იწყება, როდესაც ხსენებული რევოლუციიდან სულ რამდენიმე წელიწადში, ვინმე მარი ჟუზმა დაწერა და გაასაჯაროვა „ქალთა უფლებების დეკლარაცია“, რის გამოც გადაეცა პასუხისგებაში და შემდგომ სულაც სიკვდილით დაისაჯა. ფემინისტების მონაპოვარია ქალთა შრომითი, პოლიტიკური და სხვა, რამდენიმე ბაზისური უფლება. თუმცა მოძრაობის საჭიროება და დასახვეწი კანომდებლობაში პუნქტი ქალთა უფლებების თაობაზე, მიიჩინევენ თავად ისინი, რომ დღესაც არერთია. ყველაზე ნაყოფიერი წარმომადგენელია, ამერიკელი მეცნიერი, ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი, ნენსი ფრეიზერი, ავტორი მონოგრაფიისა, „ფემინიზმის თავგადასავალი – სახელმწიფოს მიერ მართული კაპიტალიზმიდან ნეოლიბერალურ კრიზისამდე“.

**ფილოგენეტიკა** – ბიოლოგიური სისტემატიკის სფერო, რომელიც დაკავებულია დედამიწაზე სიცოცხლის სხვადასხვა ფორმათა შორის ევოლუციური ურთიერთიმართებების გამოვლენითა და ნათელყოფით, როგორც თანამედროვე, ისევე გარდასულ, უკვე მკვდარ ციფილიზაციებში.

**ქარიზმა, ქარიზმატული** – განსაკუთრებული ნიჭი, პიროვნული ხიბლი, რომელიც მიიჩინება, რომ არის თანმობილი, ანუ უფლისგან.

გერმანელი სოციოლოგი, მაქვს ვებერი, ქარიზმატული მმართველობის ფორმასაც კი ასახელებს ტრადიციულისა და რაციონალურის გვერდით. დომენიკ კოლა თავის „პოლიტიკურ სოციოლოგიაში“ ასევე ამ ფენომენს მიმოიხილავს და შარლ დე-გოლს, ნაპოლეონ ბონაპარტს და ორ-სამ ნეგატიურ, თუმცა ასევე ქარიზმატულ ლიდერებს აღწერს თავაინთი მოღვაწეობის პიკზე.

### **პეტეროგენული/ჰომოგენური – განსხვავებულობა/მსგავსება**

**ჰოლოკოსტი** - ანტი-სემიტური დანაშაულებრივი ინიციატივის შედეგი მე-20 საუკუნეში განხორციელებული უშუალოდ ადოლფ ჰიტლერისა და მისი თანამოაზრების მიერ საკონცენტრაციო პანკების სამწუხარო პრაქტიკა და N რაოდენობით კოლექტიურად ჩადენილი პარბაროსული ქმედება ებრაელი ნაციის მისამართით.

**ჰომო ეკონომიკუსი** – იგულისხმება ადამიანი რაციონალური, რომელიც ყოველთვის მიისწრაფვის სარგებლისაკენ და არჩევანს აკეთებს მისი ეკონომიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე.

**ჰომო ნოვუსი** – ე.წ. ახალი ადამიანი, ახალი იდეებით, ნოვატორი, რომელსაც გამონაკლისის წესით აღიარებს და სულაც არ დევნის სოციუმი. ასეთი იყო თავის დროზე მისი თანამედროვეებისთვის მწერალი ქალი, ავრორა დიუპონი, რომელიც იბეჭდებოდა ფსევდონიმის ქვეშ, ჟორჟ სანდი. ერთ-ერთი პირველი, ვინც ცხენოსნობისას მამაკაცის-თვის განკუთვნილი უნაგირი მოირგო და საჯარო სივრცეში მამაკაცის სამოსი, შარვალი. მის ბიოგრაფიის მხატვრულ სახეებში გასაჯაროებაზე თავად დიზრაელიც კი დაიხსარვა.



## გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ქ. პოლიტკოსანის №4. ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com